



This pdf is a file in the Digital South Caucasus Collection (DSCC), a collection in the Ancient World Digital Library hosted by the [Institute for the Study of the Ancient World Library](#) in partnership with the [Georgian National Museum](#).

- Author: Tushishvili, N.
- Title: Madnischalis Samarovani
- Publication Date: 1972
- Publisher: Metsniereba
- Place of Publication: Tbilisi
- Collection: Digital South Caucasus Collection
- Collection ID: dsc_c_ab8f4d59ba

About

The Digital South Caucasus Collection (DSCC) is a collection in the Ancient World Digital Library (AWDL), a project of the Library of the Institute for the Study of the Ancient World (ISAW) at New York University in cooperation with the Georgian National Museum. AWDL's mission is to identify, collect, curate, and provide access to a broad range of scholarly materials relevant to the study of the ancient world. The ISAW library is responsible for curating the collection, clearing the rights as needed, preserving the digital copies in NYU's Faculty Digital Archive, creating high-quality metadata in order to maximize discoverability, and making the works accessible to the general scholarly public.

ნ. თუშიშვილი

მანსკალის
სამართლები

⟨ 3305134365 ⟩ 1972

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია
ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის
ინსტიტუტი

ნ. თუ შ ი ვ ი ლ ი



მადნისჭაღის სამარქოვანი

(გვიანი ბრინჯაოს ხანის კულტურის აღრეული
ეტიპი ძვემო ქართლში)



ბამონცემლოზა „მეცნიერება“
თბილისი

1979

302.8 (C 41)
9(005). (47.922)
a 913

ნაშრომში „მადნიშკალის სამაროვანი“. ვარდა აღნიშნული სამაროვნისა, რომელიც გაითხარა მდ. ალკეთის ხეობაში 1963—1964 წწ., განხილულია სხვა არქეოლოგიური ძეგლებიც, რომლებიც შესაძლებელს ხდიან მეტ-ნაკლები სისრულით წარმოვიდგინოთ საქართველოს ერთ-ერთი ისტორიული პროვინციის — ქვემო ქართლის უძველესი წარსული.

მადნიშკალის სამაროვანი გვიანი ბრინჯაოს ხანის ადრეული ეტაპის ძეგლია. იგი თარიღდება ძვ. წ. XIV—XIII ს-ის პირველი ნახევრით.

ნაშრომში განხილული მასალა მნიშვნელოვნად ავსებს ჩვენს წარმოდგენებს ქვემო ქართლის შუა და გვიანი ბრინჯაოს ხანის შორის დარჩენილი დროის მონაკვეთზე, რომელიც აქამდე ძალიან სუსტად იყო შესწავლილი: ამას კი არსებითი მნიშვნელობა აქვს აღნიშნული ხანის კულტურათა წარმოშობისა და ურთიერთკავშირის გასაშუქებლად. ფაქტიურად ამ პრობლემის კვლევა-ძიებამ უნდა გამოარკვიოს, შეიძლება თუ არა ვიგულისხმოთ ბრინჯაოს ხანის აღმოსავლურ ქართული კულტურის უწყვეტი განვითარება ქვემო ქართლში, რაც აქ მოსახლე ტომების ეთნიკური კუთვნილების საკითხსაც მოჰყვება შექს.

წინასიტყვაობა

წინამდებარე ნაშრომს საფუძვლად უდევს მადნისჭალაში 1963—1964 წწ. გათხრილი გვიანბრინჯაოს ხანის ადრეული ეტაპის სამაროვანზე მოპოვებული არქეოლოგიური მასალები. სამაროვანი მდებარეობს მდ. ალგეთის შუა წელზე, ფარცხისიდან მანგლისში მიმავალი გზის მე-9 კილომეტრზე, სადაც ამჟამად გაშენებულია ლითოგრაფიული ქვის დამამუშავებელი ქარხანა. სამარხები პირველად გამოჩნდა ხსენებული ქარხნის მშენებლობის დროს, რის შესახებ შეიტყო ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტმა და კიდევაც მიავლინა ექსპედიცია ამ ძეგლის შესასწავლად.

ამასთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს, რომ ექსპედიციის მუშაობის ოპერატიულად წარმართვის საქმეს ხელი შეუწყვეს იმხანად არსებულ საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს მუშაკებმა: თ. კინწურაშვილმა (კაპიტალური მშენებლობის სამმართველოს უფროსი), დ. ჩიკვაძემ (სამთო მრეწველობის სამმართველოს უფროსი), ი. გოგიტიძემ (საქართველოს მთამადნეულის ტრესტის მმართველი), ი. გულუამ (მადნეულის სამთო გამამდიდრებელი კომბინატის მშენებლობის დირექციის უფროსი) და სხვა ამხანაგებმა.

გარდა მადნისჭალის სამაროვნისა, ნაშრომში განხილულია ალგეთის ხეობაში ჩვენს მიერ მიკვლეული ადრებრინჯაოს, შუაბრინჯაოსა და ადრეანტიკური ხანის ძეგლებიც.

ნაშრომის ძირითადი მიზანია შეძლებისდაგვარად დაახასიათოს ქვემო ქართლის გვიანბრინჯაოს ხანის ადრეული ეტაპის კულტურა, დაუკავშიროს იგი წინამორბედ და მომდევნო ხანის კულტურებს, სათანადო ადგილი მიუჩინოს მას სხვა ძეგლებს შორის და ნაწილობრივ დააზუსტოს ადრე შემუშავებული პერიოდიზაციის ზოგიერთი საკითხი. განხილული მასალა მნიშვნელოვნად ავსებს ქვემო ქართლის შუა და გვიანი ბრინჯაოს ხანას შორის დარჩენილი დროის იმ მონაკვეთს, რომელიც აქამდე თითქმის შეუსწავლელი იყო. მის შესწავლას კი არსებითი მნიშვნელობა აქვს შუა და გვიანი ბრინჯაოს ხანის კულტურებს შორის კავშირის პრობლემის გადასაწყვეტად. ფაქტიურად ამ საკითხის შესწავლამ უნდა გამოარკვეოს შეიძლება თუ არა აღმოსავლურ ქართული კულტურის უწყვეტი განვითარება ვიგულისხმობთ, რაც ამ არქეოლოგიური კულტურების ეთნიკური ვინაობის საკითხსაც მოჰყენდა შუქს.

მადნისჭალის სამაროვანთან ერთად ნაშრომში გამოყენებული ახალი მასალები მიკვლეულია და გათხრილია ქვემო ქართლის ტერიტორიაზე 1960—1965 წლებში მომუშავე ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის არქეოლოგიური ექსპედიციების მიერ. ესენია — თეთრი წყაროს არქეოლოგიური ექსპედიციის არდასუბნის რაზმი (ხელმძღვანელი გ. გობეჯიშვილი, რაზმის უფროსი ნ. თუშიშვილი), ბოლნისის (ხელმძღ-

ვანელი ი. გპელიშვილი) და ალგეთის ხეობის (კონსულტანტი ვ. გობეჯიშვილი, საველე სამუშაოების ხელმძღვანელი ნ. თუშიშვილი) არქეოლოგიური ექსპედიციები. გარდა ზემოჩამოთვლილი პირებისა, საველე სამუშაოებში სხვადასხვა დროს მონაწილეობას იღებდნენ მეცნიერი მუშაკები—ჯ. ამირანაშვილი, დ. ბერძენიშვილი, ა. ბოხოჩაძე, თ. ბუგიანაშვილი, თ. თოდრია, კ. კვიციანიძე, ზ. შატბერაშვილი, ლ. წითლანაძე, დ. ხახუტაიშვილი; ასპირანტები—გ. შამბა, შ. ჩართოლანი; მხატვარ-არქიტექტორები—კ. მემანიშვილი, გ. ტონია; ფოტოგრაფები — ი. ნესკოროდიევი, ლ. სკლიფასოვსკი; სტუდენტი პრაქტიკანტები — კ. კალანდაძე, ვ. ნიკოლაიშვილი, ა. სიხარულიძე და გ. ხოჯავა.

აღნიშნული ექსპედიციების მონაპოვრის ძირითადი ნაწილი გამოფენილია თეთრი წყაროს მუზეუმში, რომელიც რაიონული პარტიული კომიტეტის (მდივანი ა. ბეკაური) და ძველთა დაცვის საზოგადოების რაიონული საბჭოს (თავმჯდომარე შ. ბურდული) თხოვნით 1965—1966 წლებში საზოგადოებრივ საწყისებზე მოაწყო ისტორიის ინსტიტუტის არქეოლოგიურმა სექტორმა. მუზეუმის შექმნაში უშუალო მონაწილეობა მიიღეს კ. კვიციანიძემ, ნ. თუშიშვილმა, მხატვარმა ვ. კანდელაკმა — ა. აფაქიძისა და გ. გობეჯიშვილის კონსულტაციით.

ესარგებლობ რა შემთხვევით, მიიღა მადლობა გადაეუხადო ჩემს კოლეგებს, არქეოლოგიის სექტორის მუშაკებს, რომელთა წრეში მზადდებოდა ეს ნაშრომი; ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის არქეოლოგთა და ქიმიკოსთა კოლექტივებს, რომლებიც ყოველმხრივ მიწყობდნენ ხელს მუშაობის პერიოდში.

განსაკუთრებით უნდა აღვნიშნო ის ყოველდღიური უანგარო დახმარება, რომელსაც მიწევდა არქეოლოგიის სექტორის გამგე საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი პროფ. ა. აფაქიძე და ბრინჯაოსა და ადრერკინის ხანის განყოფილების გამგე ისტორიულ მეცნ. კანდ. გ. გობეჯიშვილი

საველე მუშაობისა და მასალის კამერული დამუშავების პროცესში გაკეთებული ფოტოდოკუმენტების უდიდესი ნაწილი შესრულებულია ჩემს მიერ. ტაბულებზე მოცემული ცალკეული ფოტოსურათები დამზადებულია, აგრეთვე, ჯ. ამირანაშვილის, ი. გილგენდორფის, მ. კოზლოვსკის, ი. ნესკოროდიევის, ა. ნუცუბიძის, ლ. სკლიფასოვსკისა და შ. ჩართოლანის მიერ.

შესავალი

§ 1. ქვემო ქართლის ბუნებრივი პირობები¹

ქვემო ქართლი საქართველოს ერთ-ერთი სამხრეთი პროვინციის ისტორიული სახელწოდებაა, რომელიც ძირითადად მდ. ხრამისა და ალგეთის ხეობებს მოიცავს. მისი ბუნებრივი საზღვარი ჩრდილოეთით გადის თრიალეთის ქედზე, სამხრეთით — სომხეთის ქედზე; დასავლეთი საზღვარი — სველი მთების წყალგამყოფ თხემებზე და სამსარის ქედის ჩრდილოეთ ნაწილზე, რომელიც მას გამოჰყოფს ჯავახეთიდან. აღმოსავლეთით ქვემო ქართლი ემიჯნება მდ. მტკვრის მარჯვენა ნაპირს, მოიცავს რუსთავის ველს და აღწევს ივრის ზეგანის სამხრეთ-დასავლეთ კიდემდე. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, იგი ესაზღვრება ჯავახეთს, შიდა და ზემო ქართლს, კახეთს, სომხეთსა და აზერბაიჯანს.

აღნიშნული ტერიტორია აერთიანებს ექვს ადმინისტრაციულ რაიონს: თეთრი წყაროს, მარნეულის, ბოლნისის, დმანისის, წალკის და გარდაბნის.

ქვემო ქართლის ბარისა და მთისწინეთის ფიზიკურ-გეოგრაფიულ თავისებურებას ქმნის მისი გეოლოგიური აღნაგობის სპეციფიკა და აზერბაიჯანის არიდულ (მშრალპავიან) ოლქებთან სიახლოვე. დაბალი ჰიფსომეტრიული დონე და აზიის კონტინენტის კლიმატური ზემოქმედება ქვემო ქართლის ბუნებას აძლევს კონტინენტურ სუბტროპიკულ ხასიათს.

ქვემო ქართლის ბარისა და მთისწინეთის ზედაპირის ჰიფსომეტრიული ზღვრები 265 (მდ. ხრამის ქვემო წელი) და 1000—1200 (პლატო თეთრი წყაროსთან) მეტრის სიმაღლეზე მდებარეობს. წალკისა და ბედენის ზეგნები 1700—2000 მ-ს და მეტ სიმაღლეს აღწევს. რაც შეეხება ალგეთის ხეობის შუაწელს, სადაც მდებარეობს ჩვენს მიერ მიკვლეული ძეგლების ძირითადი ნაწილი, იგი განლაგებულია 600—800 მ სიმაღლეზე. მტკვრის ორივე სანაპიროზე გაშლილი ვაკე კი მაქსიმალურად 250—500 მ სიმაღლეს აღწევს.

ქვემო ქართლში წარმოდგენილია რელიეფის შემდეგი ტიპები: ალუვიური ვაკეები, ტექტონიკური სერები, ეროზიულად დანაწევრებული მთისწინა ბურცობები, მთისწინა ტერასები და დენუდაციური ზედაპირები, ვულკანური წარ-

¹ ცნობები ქვემო ქართლის ბუნებრივი პირობების შესახებ ამოკრეფილი ვაქვს შემდეგი ლიტერატურიდან: ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა (საქართველოს გეოგრაფია), თ. ლომოურის და ნ. ბერძენიშვილის რედაქციით, თბ., 1941; Л. Н. Маруашвили, Геоморфология и палеогеография части Нижней Картли, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ვახუშტის სახ. გეოგრაფიის ინსტიტუტის შრომები, VIII, თბ., 1957; ლ. მარუაშვილი, საქართველოს ფიზიკური გეოგრაფია, თბ., 1964; აღ. ჯავახიშვილი, საქართველოს ფიზიკური გეოგრაფია, თბ., 1958; Минеральные ресурсы ССР Грузии, под ред. С. А. Годабрелидзе, Тб., 1933; Пригодные ресурсы Грузинской ССР, I, М., 1958.

მოშობის ლავური პლატოები. არის სუფოზური, მეწყრული, ანთროპოგენური და სხვა ფორმებიც.

ბარის საშუალო წლიური ტემპერატურაა $11,5-13,0^{\circ}$ სითბო, უცივესი თვისა $3-0^{\circ}$ სითბო; ტემპერატურის წლიური ამპლიტუდა $23,0-24,5^{\circ}$ -ია, ატმოსფერულ ნალექთა ჯამი $350-500$ მმ-ი. შედარებით ამაღლებულ ნაწილში (თეთრი წყაროს და წინწყაროს მიდამოებში) ჰავა შედარებით გრილია და ნესტიანი: საშუალო წლიური ტემპერატურა $+9^{\circ}$ -ია, უცივესი თვისა — მინუს 2° , ამპლიტუდა $20,0-20,5^{\circ}$, ნალექიანობა $700-750$ მმ.

ჰიდროგრაფიული ქსელი წარმოდგენილია მდ. მტკვრით და მისი მარჯვენა შენაკადებით, რომელთა შორის უმნიშვნელოვანესი ძარღვებია მდ. ხრამი, ალგეთი და მაშავერა.

ნიადაგური საბურველი გამოსახულია წაბლა მიწების, ყომრალი, ყავისფერი, რუხ-ყავისფერი, შავმიწისებური და ალუვიური ნიადაგების შეთანაწყობით. დაბალ დონეზე (არა უმაღლეს $400-500$ მ-სა) მდებარე ვაკეებს ფარავს წაბლა ნიადაგი. უფრო ამაღლებულ ადგილებს (თეთრი წყაროს და დისველის პლატოები, ასურეთის მიდამოების ტერასული სიბრტყეები) — შავმიწისებური და მათი მსგავსი ნიადაგები. თრიალეთისა და სომხითის ქედებზე და მათ კალთებზე გავრცელებულია ყავისფერი და ყომრალი ნიადაგები.

მცენარეულობა წარმოდგენილია ველის, ტყე-ველის და ტყის ტიპებით. ბარის, ვაკეების და მთისწინეთის მცენარეულ საფარში გაბატონებულია ურო, აბზინდა, ხურხუმი და სხვ. გარდამავალ ზოლში ადგილი აქვს ბუჩქნარისა (ძეძვი, ჯაგრცხილა და სხვ.) და ბალახის მორიგეობას. ტყის მცენარეებს შორის გაბატონებულია ფოთლოვანი ხეები — ვერხვი, ტირიფი, თელა, თუთა, კუნელი (მდინარეთა კალაში), მუხა, რცხილა, წიფელი, იფნი და სხვა. აქა-იქ გვხვდება ნაძვი, სოჭი და ფიჭვი.

როგორც ვხედავთ, ქვემო ქართლის გეო-კლიმატური პირობები უაღრესად მრავალფეროვანია. აქ არსებობს როგორც დაბალი ველები, ისე სუბალპური და ალპური ზონები. ბარში და მთისწინა ზოლში თბილი, ზომიერი ჰავაა, რაც ხელსაყრელია სოფლის მეურნეობის წამყვანი დარგების—მიწათმოქმედების, მებაღეობა-მეზოსტნეობის და ტექნიკური კულტურების განვითარებისათვის. კარგად ხარობს ვაზი.

ივ. ჯავახიშვილის მიერ ძველი წყაროების მიხედვით შედგენილ საქართველოს ბოტანიკურ-აგრონომიულ რუკაზე ქვემო ქართლისათვის გამოყოფილია შემდეგი არეები: ენახიან-ხილიანი, უვენახო-უხილო, ბრინჯ-ბამბის, ბალახოვან-ყვავილოვანი და ზამთრის საძოვრები².

სადღეისოდ არსებული სოფლის მეურნეობის დარგების განვითარებაც დაახლოებით ანალოგიურ სურათს გვაძლევს.

² ივ. ჯავახიშვილი, საქართველოს ეკონომიური ისტორია, წიგნი პირველი, ტფ., 1930. იხ. წიგნის ბოლოში დართული რუკა.

მესაქონლეობის ნიადაგზე ბარის მოსახლეობა მჭიდროდ არის დაკავშირებული მთასთან, სადაც უხვი საზაფხულო საძოვრებია.

საქართველოს ეს მხარე მდიდარია წიადის ეულითაც. აქ მოიპოვება სპილენძი, რკინა, ვერცხლი, ოქრო, ტყვია, მარგანეცი, ნავთობი, კვარციტი, აზბესტი, კირქვები, ლითოგრაფიული ქვა, მარმარილო, ტუფი, ანდეზიტი, ანდეზიტ-ბაზალტი, ობსიდიანი, სხვადასხვა სახის თიხები—მათ შორის ცეცხლგამძლე და სხვა. შედარებით მცირე რაოდენობით, მაგრამ მაინც არის ამეთვისტო (მარნეულის რ-ნი), აქატი და იასპი (სადახლოსა და შაუმიანის მიდამოებში).

ქვემო ქართლში წარმოდგენილია როგორც ველებისათვის, ისე ტყისა და სუბალპებისათვის დამახასიათებელი თითქმის ყველა სახის ცხოველები.

მდინარეები და ტბები მდიდარია იხტოფაუნით. აქ არის როგორც ნტკნარი წყლის, ისე ზღვის ფორმებიც.

ზომიერი ჰავა, ფლორისა და ფაუნის მრავალფეროვნება, ვაკეების, მთაგორიანი ადგილების, ზეგნების, მდინარეთა ფართო ქსელის, ხევებისა და ხეობების სიუხვე — უძველესი დროიდანვე ქმნიდა წინაპირობას ქვემო ქართლში ადამიანის ცხოვრებისათვის.

§ 2. ქვემო ქართლის არქეოლოგიური ძეგლების შესწავლის მოკლე ისტორია

ქვემო ქართლი ყოველთვის იყო და ეხლაცაა ჩვენა მიწა-წყლის ერთ-ერთი მოწინავე რაიონი, სადაც საძიებელია ქართული კულტურის უძველესი ფესვები³.

მიუხედავად იმისა, რომ ეს მხარე არათანაბრადაა შესწავლილი, როგორც ძეგლების გეოგრაფიული განფენილების მიხედვით, ისე ქრონოლოგიური თვალსაზრისით, აქ გათხრილია მთელი რიგი პირველხარისხოვანი ძეგლები, რომლებიც მეტ-ნაკლებად ასახავენ აქ მოსახლე ადამიანების კულტურასა და საქმიანობას ქვის ხანიდან მოკიდებული ისტორიის მთელ მანძილზე.

აღნიშნული ტერიტორიის უძველესი პერიოდის შესწავლისათვის უაღრესად მნიშვნელოვანი მოვლენა იყო ადგილ უდაბნოში, რომელიც აღმოსავლეთიდან ესაზღვრება ქვემო ქართლს, უმაღლესი ადამიანისნაირი მაიმუნის (უდაბნოპითეკის) ნაშთების აღმოჩენა. ამან მეცნიერებს საშუალება მისცა კავკასია შეეყვანათ ერთ-ერთ ისეთ გეოგრაფიულ ზონაში, სადაც უნდა მომხდარიყო მაიმუნის გაადამიანების პროცესი⁴.

³ ნ. ბერძენიშვილი, ისტორიული გეოგრაფიისათვის, საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის კრებული, I, თბ., 1960, გვ. 21.

⁴ ნ. ბურჩაკ-აბრამოვიჩი, ე. გაბაშვილი, უმაღლესი ადამიანისნაირი მაიმუნის აღმოსავლეთ საქართველოს ზედა მესამეული ნალექებიდან, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, VI, № 6, თბ., 1945; Н. И. Бурчак—Абрамович, Е. Г. Габашвили, Высшая человекообразная обезьяна из верхнетретичных отложений Восточной Грузии, ССМ, XIII—A, თბ., 1946; В. П. Якимов, Ранние стадии антропогенеза, Труды инст. этн., Нов. сер., 1951, XVI, გვ. 7—88.

ქვემო ქართლში მიკვლეულია ქვის ხანის მნიშვნელოვანი ძეგლები: ეძანი (ბარმაქსიზი)⁵, ზურტაკეტი⁶, სამშვილდე⁷, კაზრეთი⁸, ქოსალარი⁹, წოფი,¹⁰ მაშეი¹¹, გომარეთი¹² და სხვა.

მართალია ნეოლითური ხანა აქ თითქმის სრულიად შეუსწავლელია¹³, მაგრამ მცირეოდენმა სადაზვერვო სამუშაოებმა უკვე გამოავლინა ამ კულტურის მანიშნებელი მასალა წოფში¹⁴.

უკეთ არის წარმოდგენილი ნეოლით-ენეოლითური ძეგლები, რომელთა შორის უმნიშვნელოვანესია შულავრის¹⁵, იმირის¹⁶, არუხლოს¹⁷, წოფის¹⁸ და სხვა ნამოსახლარები. ისინი ახლებურად აშუქებენ ძვ. წ. V—IV ათასწლეულში აქ მოსახლეს ტომთა ადრესამიწათმოქმედო კულტურებს¹⁹, რომლებიც ეხმაურებიან სამ-

5 Б. А. Куфтин, Археологические раскопки в Триалети, I, Тб., 1941, გვ. 123; მ. გაბუნია, ეძანის (ბარმაქსიზის) ეხში 1963—1964 წელს წარმოებული არქეოლოგიური გათხრების შედეგები, XIV სამეცნიერო სესია მიძღვნილი 1964 წლის საველე-არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგებისადმი, თბ., 1965, გვ. 5—8.

6 Л. Н. Маруашвили, Зуртакетская палеолитическая стоянка в южной Грузии и ее геологическое значение, журнал «Природа», № 12, 1946; С. Н. Замятин, Изучение палеолитического периода на Кавказе за 1936—48 гг., Материалы по четвертичному периоду СССР, вып. 2, М.—Л., 1950.

7 Б. З. Бертенишвили, ხრამის ხეობის პალეოლითური ძეგლები, მსკა, III, თბ., 1963, გვ. 5—17.

8 იქვე

9 იქვე.

10 ვ. გრიგოლია, ქვემო ქართლის პალეოლითი (დამარხული გამოქვაბული წოფი, I), თბ., 1963.

11 А. Н. Каландадзе, Разыскания по археологии доантичной Грузии, автореферат, Тб., 1969, გვ. 27.

12 იქვე.

13 ლ. ნებიერიძე, დასავლეთ ამიერკავკასიის ნეოლითი, სადისერტაციო ნაშრომი, ხელნაწერი, თბ., 1967, გვ. 9.

14 ტ. ჩუბინიშვილი, ო. სანებლიძე, ლ. ნებიერიძე, კ. კვიციანიძე, სამხრეთ საქართველოში 1965 წელს ჩატარებული არქეოლოგიური კვლევა-ძიების ძირითადი შედეგები, XV სამეცნიერო სესია მიძღვნილი 1965 წლის საველე-არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგებისადმი, თბ., 1966, გვ. 9—11.

15 ო. ჯაფარიძე, ა. ჯავახიშვილი, ქვემო ქართლის არქეოლოგიური ექსპედიციის შედეგები (1965—1966 წწ.), მაცნე, 1967, № 3(36), გვ. 292—298.

16 А. И. Джавахишвили, Раскопки жилого холма Имирис-гора, Археологические открытия 1967 года, М., 1968, გვ. 293—294; О. М. Джапаридзе, А. И. Джавахишвили, Результаты работ Квемо-Картлийской археологической экспедиции (1967 г.), ССМ არქეოლოგიური ექსპედიციების ანგარიშები, თბ., 1969, გვ. 19—26.

17 ტ. ჩუბინიშვილი, ქვემო ქართლის არქეოლოგიური ექსპედიციის 1966 წლის საველე მუშაობის ძირითადი შედეგები, XVI სამეცნიერო სესია მიძღვნილი 1966 წლის საველე-არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგებისადმი, თბ., 1967, გვ. 21—25; ტ. ჩუბინიშვილი, კ. კვიციანიძე, ვ. ნიკოლაიშვილი, კ. მაცხოვნაშვილი, არუხლოს ენეოლითური ნასახლარის 1966—1968 წლის თხრის შედეგები, XVIII სამეცნიერო სესია მიძღვნილი 1968 წლის საველე-არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგებისადმი, თბ., 1969, გვ. 4—5.

18 ტ. ჩუბინიშვილი, ო. სანებლიძე, ლ. ნებიერიძე, კ. კვიციანიძე, დასახ. ნაშრ.

19 Т. Чубинишвили, К. Кушнарева, Новые материалы по энеолиту Южного Кавказа, мაცნე, № 6, თბ., 1967, გვ. 337; ტ. ჩუბინიშვილი, საქართველოს უძველესი ტომების სელეირი კულტურისათვის, საბჭოთა ხელოვნება, № 11, 1968, გვ. 59.

ბრეთ ამიერკავკასიის თანადროულ ნამოსახლარებს²⁰. ენეოლითური და ადრე-ბრინჯაოს პერიოდების ერთმანეთთან დასაკავშირებლად საინტერესო მასალას იძლევა თეთრი წყაროს ნამოსახლარი²¹. ამგვარივე, თუმცა დარღვეული, ძეგლები დამოწმებულია ალგეთის ხეობაშიც — არდასუბანსა²² და აბელიაში²³.

განვითარების შემდგომ ეტაპზე, ადრებრინჯაოს ხანაში, საზოგადოების ცხოვრებაში კულტურის მკვეთრი აღმავლობა იწყება: ვლინდება ახალი საწარმოო ძალები, კიდევ უფრო ვითარდება მიწათმოქმედება, მესაქონლეობა, შინახელოსნობა და, რაც მთავარია მელითონეობა. ამ ხანის ძეგლები ქვემო ქართლში შესწავლილია ბეშთაშენში²⁴, ოზნში²⁵, კიკეთში²⁶, თამარისში²⁷, აბელიაში²⁸, წოფში²⁹ და სხვაგან³⁰.

წევლთა ამავე ჯგუფს ეკუთვნის 1964 წლის ალგეთის ხეობის არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ აღვლ ნახიდრებისქალაში (რომელიც მდებარეობს მადნისქალის ქვემოთ მდ. ალგეთის გაყოლებით 1,5 კმ მანძილზე, მის მარცხენა ნაპირზე) გათხრილი № 3 გორასამარხი³¹. ქვა-მიწაყრილის მოცილების

20 Археологические исследования в Азербайджане, Баку, 1965, გვ. 45—53.

21 ვ. გ. ბ. ე. შ. ვ. ი. ლ. ი., თეთრი წყაროს არქეოლოგიური ექსპედიციების 1956—1958 წწ. საველე მუშაობის ანგარიშები (ხელნაწერი).

22 ნ. თ. შ. ი. შ. ვ. ი. ლ. ი., არდასუბანის ზოგიერთი ადრეული ძეგლი, ძეგლის მეგობარი, № 15, თბ., 1968, გვ. 41—45.

23 ტ. ჩ. უ. ბ. ი. ნ. ი. შ. ვ. ი. ლ. ი., ო. ს. ა. ნ. ე. ბ. ლ. ი. ძ. ე. ლ. ნ. ე. ბ. ი. ნ. ი. შ. ვ. ი. ლ. ი., დასახ. ნაშრ.

24 Б. А. Куфтин, დასახ. ნაშრ., გვ. 106—118.

25 Б. А. Куфтин, Археологические раскопки в Цалкинском районе, Тб., 1948, გვ. 26—45.

26 Е. Пчелина, Археологическая разведка в районе Триаletesкого хребта близ гор. Тбилиси, სსმმ, V, 1930; ვ. ფ. ხ. ა. ე. ბ. ლ. ი. ძ. ე. ლ. ნ. ე. ბ. ი. ნ. ი. შ. ვ. ი. ლ. ი., ქვემო ქართლის ენეოლითი, თბ., 1963, გვ. 18.

27 ვ. ფ. ხ. ა. ე. ბ. ლ. ი. ძ. ე. ლ. ნ. ე. ბ. ი. ნ. ი. შ. ვ. ი. ლ. ი., ენეოლითური ხანის სამარხი სოფ. თამარისიდან, ასპირანტთა და ახალგაზრდა მეცნიერ მუშაკთა მე-12 კონფერენციის თეზისები, თბ., 1961, გვ. 342—344.

28 ნ. თ. შ. ი. შ. ვ. ი. ლ. ი., ალგეთის ხეობის 1964 წლის არქეოლოგიური ექსპედიციის საველე მუშაობის ანგარიში, XIV სამეცნიერო სესია მიძღვნილი 1964 წლის საველე-არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგებისადმი, თბ., 1965, გვ. 28; ვ. კ. ე. ბ. ი. ნ. ი. შ. ვ. ი. ლ. ი., ზ. შ. ა. ტ. ბ. ე. ბ. ლ. ი. ძ. ე. ლ. ნ. ე. ბ. ი. ნ. ი. შ. ვ. ი. ლ. ი., 1964 წლის ალგეთის ხეობის არქეოლოგიური ექსპედიციის II და III უბნების გათხრების მოკლე ანგარიში, იქვე, გვ. 28—31.

29 ტ. ჩ. უ. ბ. ი. ნ. ი. შ. ვ. ი. ლ. ი., ო. ს. ა. ნ. ე. ბ. ლ. ი. ძ. ე. ლ. ნ. ე. ბ. ი. ნ. ი. შ. ვ. ი. ლ. ი., დასახ. ნაშრომი.

30 ცოტა ხნის წინათ ზემოაღნიშნულ ზოგიერთ ძეგლს ენეოლითურ ხანას აკუთვნებდნენ. უკანასკნელ ხანებში ირკვევა, რომ ე. წ. „მტკვარ-არაქსის კულტურა“ არსებითად ადრებრინჯაოს ხანისაა და, ბუნებრივია, ეს ძეგლებიც ამავე ხანაში უნდა მოექცნენ. იხ. А. А. Иессен, Кавказ и Древний Восток в IV и III тысячелетиях до нашей эры, КСИИА, 93, М., 1963, გვ. 3—14; ტ. ჩ. უ. ბ. ი. ნ. ი. შ. ვ. ი. ლ. ი., მტკვრისა და არაქსის ორმდინარეთის უძველესი კულტურა, თბ., 1965.

31 1960—1962 წლებში ჩვენ მიზნად ვისახავდით არქეოლოგიურ მონაპოვართა შუქზე ალგეთის ხეობის ზოგად შესწავლას. იმის გამო, რომ შემდგომ წლებში ჩვენი საველე მუშაობის შედეგად განსაკუთრებით მომრავლდა ერთი გარკვეული პერიოდის მასალა, შესასწავლი ობიექტი შესაბამისად დაკონკრეტდა და გვაიძულა კვლევა წაგვემართა ერთი ძირითადი მიმართულებით, კერძოდ, გვიან ბრინჯაოს ხანის ადრეული ეტაპის წარმოსაჩენად.

ნაშრომის ამ ნაწილში შედარებით დაწვრილებით ვჩერდებით ჩვენს მიერ მიკვლეულ ზოგიერთ ისეთ ძეგლზე, რომელიც უშუალოდ საკვლევ პერიოდს არ მიეკუთვნება. მაგრამ რადგან მათი ნაწილი დღემდე კვლავ გამოუქვეყნებელია, ჩვენ მიზანშეწონილად ჩავთვალეთ ამ ძეგლების აქ მოხსენიება, მით უმეტეს, რომ მათი გაცნობა, ვფიქრობთ, კიდევ უფრო დაეხმარება ალგეთის ხეობის მკვიდრთა წარსულის შესწავლის საქმეს.

შემდეგ იქ მკვეთრად გამოისახა დიდი ზომის რიყის ქვებით შედგენილი, სხვადასხვა დონეზე მდებარე სამი რკალი (ტაბ. XXXIV₁). გარეთა და შიგნითა რკალების სიმაღლეთა სხვაობა 0,5 მ უდრიდა.

შიდა რკალის სამხრეთით მდებარე სამარხის იატაკი კირქვის ბრტყელი ფილაქვებით იყო მოგებული. სამარხს ჩრდილოეთიდან ზღუდავდა მორკალული კედელი, რომელიც შედგენილი იყო მშრალად დაწყობილი ბრტყელი ქვების ოთხი რიგისაგან (ტაბ. XXXIV₂). კედლის სიმაღლე 0,55 მ უდრიდა, სიგრძე O—W აღწევდა 3,0 მეტრს, სიგანე N—S 1,7 მეტრს. სამხრეთიდან კამერა გახსნილი იყო, — როგორც ჩანს, ალგეთის დინების შემოქმედებით დარღვეული.

საკმაოდ დაშლილი ჩონჩხების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, სამარხში დაკრძალული იყო 4 მიცვალებული თავით ჩრდილოეთისკენ მიქცეული.

ინვენტარს შეადგენს, თითქმის ერთნაირი, თიხის 4 ქურქელი (ჩ=15,0 სმ). მათ აქვთ: ცადმოშლილი პირი (d=10,0 სმ), მაღალი — ცილინდრული ყელი, მოპრგვალეებული — ქვემოთ შევიწროებული მუცელი (d=13,00 სმ); ვიწრო ძირი (d=3,5 სმ) შესქელებულია და შიგნით არის შედრეკილი. ორი ქურქელი ცალყურაა (ტაბ. XXXV₁), დანარჩენი ორი — უყურო (ტაბ. XXXV₂). ყურები ერთმანეთთან აერთებს ქურქლის ყელსა და მხარს. ქურქელი მონაცრისფრო — მოყვითალოა, შედაპირგაპრიალებული: კეცი გადანატეხში მუქი ნაცრისფერია; თიხა საკმაოდ წვრილმარცვლოვანი. აღსანიშნავია, რომ შიგნითა მხრიდან ქურქლის კედლებს მიუყვება პორიზონტული ნაკაწრები. რაც საფუძველს იძლევა მათ დასამზადებლად მარტივი მორგვის გამოყენება ვივარაუდოთ.

პარალელური მასალა, — ძირითადად კერამიკულ ფორმათა მსგავსებით და კოლექტიურ სამარხთა მიხედვით (კიკეთი³², ამირანის გორა³³, თრიალეთი³⁴, აბელია³⁵, წოფი³⁶, დიდუბე³⁷ და სხვა), — ნახიდრებისქალის №3 გორასამარხს ძვ. წ. III ათასწლეულის დასაწყისით ათარიღებს.

დაახლოებით ამავე ხანას უნდა მიეკუთვნოს 1961—1962 წლებში სოფ. არდასუბანში მიკვლეული ქვის აკლდამა და დარღვეული კულტურული ფენა³⁸.

აკლდამაში ერთიმეორის თავზე დაკრძალულ ორ მიცვალებულს (კაცი მარჯვენა გვერდზე, ქალი — მარცხენაზე) აღმოაჩნდა თიხის ორი ქურქელი, ძვლის კვირისტავი და შურდულის (?) ქვა. საინტერესოა, რომ ერთ ტოლჩას ნაბზარი ადგილები კუპრით აქვს შელესილი. წინასწარ უნდა ითქვას, რომ ნამოსახლარ ფენაშიც აღმოჩნდა ყვითელი ქურქლის ერთი ნატეხი, რომელსაც შერჩენილი აქვს კუპრის ნაშთი. ეს არის კუპრის გამოყენების ჯერჯერობით ყველაზე უძველესი შემთხვევები საქართველოს ტერიტორიაზე.

აკლდამა ორიგინალური კონსტრუქციისა: სწორკუთხა ნაგებობის ქვედა ნაწილი შეკრულია შვეულად დაყენებული დიდი ზომის ბრტყელი ფილაქვებით.

32 გ. ფხაკაძე, ქვემო ქართლის ენეოლითი, ტაბ. VI—XVIII.

33 ტ. ჩუბინიშვილი, ამირანის გორა, ტაბ. IV, VII.

34 Б. А. Куфтин, Археологические раскопки в Триалети, ტაბ. CXXV.

35 ტ. ჩუბინიშვილი, ო. სანებლიძე, ლ. ნებიერიძე, კ. კვიციანიძე, დასახ. ნაშრ.

36 იქვე

37 დ. ქორიძე, თბილისის არქეოლოგიური ძეგლები, თბ., 1955, გვ. 6—75.

38 ნ. თუშიშვილი, არდასუბანის ზოგიერთი ადრეული ძეგლი, ძეგლის მეგობარი, № 15, თბ., 1968, გვ. 41—45.

მას ზემოდან დაშენებული აქვს თიხის ხსნარით შემტკიცებული ნატეხი ქვების წყობა, რომლის კუთხეები მომრგვალებულია და სამარხის გეგმას ოვალურ (ნალისებურ) მოხაზულობას აძლევს. აკლდამის სამხრეთ კედელში გაკეთებულია შესასვლელი, რომელიც უნდა ვიფიქროთ, ქვებს შორის შექმნილ ღარებში ჩასმული ფიცრით იკეტებოდა. სამარხი დამხრობილია S—N (3,3×2,0×1,1 მ). იატაკი თიხატკეპნილია. გადახურვა, როგორც ჩანს, ძეღური უნდა ჰქონოდა, რასაც მოწმობს სამარხში აღმოჩენილი ხის უამრავი ნაშთი.

ზოგიერთი ნიშნით არდასუბნის აკლდამა ემსგავსება ახალციხის ამირანის გორის, კიკეთის და სხვა სამარხ ნაგებობებს³⁹. მართალია, ყველა ეს ნაგებობა მშენებლობის ტექნიკით განსხვავებულია არდასუბნის აკლდამისაგან, მაგრამ მათ ერთი საერთო და მეტად საყურადღებო დეტალი ახასიათებთ: დამხრობა სამხრეთიდან ჩრდილოეთით; სამხრეთით აქვთ შესასვლელიც.

აკლდამაში აღმოჩენილი კერამიკა პარალელს პოულობს თეთრი წყაროს, თამარისის, კიკეთის, ძალინას და ახალციხის ამირანის გორის მასალებში.

აკლდამის ახლო მიკვლევული ნამოსახლარი ფენა მეტად დაზიანებულია. აქ მოპოვებული თიხის ჭურჭლის ძირითადი ნაწილი მოვარდისფრო-მოყვითალოა. არის მუქი ფერის და შავპრიალა ვარდისფერსარჩულიანი კერამიკის ფრაგმენტებიც. ზოგიერთ მათგანზე შერჩენილია სათვალისებური ხვიის რელიეფური სამკაული. ამავე ფენაში აღმოჩნდა ერთი შავპრიალა ვარდისფერსარჩულიანი თიხის ჭურჭლის ნატეხი, რომელიც შავ ფონზე მოხატულია წითელი ჯვარედინით. ჩვენთვის ცნობილი ყველა ნიმუში, გარდა ზემოაღნიშნულისა, მუქი საღებავითაა მოხატული მოვარდისფრო ან მოყვითალო ფონზე; მათი აღმოჩენა დამოწმებულია ბეშთაშენში, ოზნში, ბედენზე, ურბნისში და სხვ. ო. ჯაფარიძის აზრით, მოხატული კერამიკა ჩვენში საკმაოდ ადრე შემოდის წინა აზიასთან ურთიერთობის შედეგად, მაგრამ სათანადოდ ვერ იკიდებს ფეხს⁴⁰.

დანარჩენი მასალიდან აღსანიშნავია თიხის კერის შვერილი, ბაზალტის ხელსაფქვავის ქვები, კაყის ნამგლის პირი და სხვა, რომლებიც მიწათმოქმედებას უკავშირდებიან.

შინაურ ცხოველთა ძვლები და სადღვებლის ფრაგმენტები მესაქონლეობის არსებობას მიუთითებენ.

სამარხ ნაგებობათა და მათში აღმოჩენილი მასალის ანალიზით დადგენილია, რომ ამირანის გორის ნალისებური სამარხები მტკვარ-არაქსის კულტურის ძეგლთა ადრეულ ჯგუფს ეკუთვნის. ასეთივე სურათი ჩანს თამარისისა და კიკეთის მასალების მიხედვითაც. აღნიშნულ ძეგლებთან შედარებისას ცხადი ხდება, რომ არდასუბნის აკლდამა აღნაგობით (შვეულად დაყენებული ფილაქვებით შეკრულ კამერაზე ნატეხი ქვებით დაშენებული ნალისებური ნაგებობა) და ზოგიერთი სხვა დეტალით (შესასვლელის უფრო რთული კონსტრუქცია, თიხის ხსნარის გამოყენება) უფრო განვითარებულ ტიპს წარმოადგენს. ამიტომ არდასუბნის აკლდამა სამარხთა ზემოაღნიშნული ჯგუფის მოგვიანო საფეხურს უნდა მიეკუთვნოს.

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ნამოსახლარ ფენაში მოპოვებული ზოგიერთი ფრაგმენტი, მტკვარ-არაქსის კულტურის ადრეულ კერამიკას ემსგავსება. მაგ-

³⁹ ტ. ჩუბინიშვილი, ამირანის გორა, თბ., 1963, ტაბ. IV, VI; გ. ფხაკაძე, ქვემო ქართლის ენეოლითი, თბ., 1963, გვ. 16—17, ტაბ. VI—VIII, XVII.

⁴⁰ ო. ჯაფარიძე, ქართველი ტომების ისტორიისათვის..., გვ. 65.

რამ კერამიკაში შენიშნული, ასაკობრივი სხვაობა (თიხის გამოწვა-დამუშავების მიხედვით), სამწუხაროდ, სტრატეგრაფიული მონაცემებით ვერ მტკიცდება ფენების ერთმანეთში აღრევის გამო.

აღრებრინჯაოს ხანა თავის უდიდეს აყვავებას აღწევს III—II ათასწლეულთა მიჯნაზე, რასაც ადასტურებს ბედენის გორასამარხი. აქ აღმოჩენილმა შესანიშნავმა მასალამ დაიკავა შუალედი რგოლი „მტკვარ-არაქსის“ აღრეული ბრინჯაოს ხანისა და თრიალეთის შუაბრინჯაოს ხანის ბრწყინვალე კულტურებს შორის, ერთმანეთთან დააკავშირა ისინი და მიუთითა ეთნო-კულტურული განვითარების უწყვეტობაზე ამ ხანის ამიერკავკასიაში, პირველ რიგში ქვემო ქართლში⁴¹.

ქვემო ქართლის შემდგომი აყვავება დაკავშირებულია საყოველთაოდ აღიარებულ ბრწყინვალე ძეგლებთან (წალკის პლატოზე და ზურტაკეტში), რომლებსაც საპატიო ადგილი უჭირავთ მსოფლიო კულტურის საგანძურში. შუაბრინჯაოს ხანაში აქ მოსახლე საზოგადოება ხასიათდება მაღალი კულტურით და ეკონომიური ძლევამოსილებით⁴².

აქ მოკლედ გვინდა შევჩერდეთ არდასუბანში⁴³ 1960 წელს გამოვლენილ შუაბრინჯაოს ხანის სამარხზე⁴⁴, სადაც ოვალურ ორმოში დაკრძალულ მიცვალებულთან ერთად აღმოჩნდა ცხვრის ჩონჩხი. ინვენტარი: თიხის 9 კურკელი, ბრინჯაოს 3 ნემსი, სარდიონის, პასტის და ოქროს მძივები.

სამარხი მნიშვნელოვანია იმით, რომ შუაბრინჯაოს კულტურის ძეგლები ქვემო ქართლიდან აქამდე ცნობილი იყო გორასამარხების სახით, რომლებსაც გვაროვნული საზოგადოების ზედა ფენას მიაკუთვნებენ. არდასუბნის სამარხი საშუალებას იძლევა აღინიშნოს ამ ხანის ჩვეულებრივი ორმოსამარხის რაობა.

⁴¹ გ. ვოზეჯიშვილი, ახალი არქეოლოგიური აღმოჩენა თეთრი წყაროს რაიონში, XVI სამეცნიერო სესია მიძღვნილი 1966 წლის საველე-არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგებისადმი, თბ., 1967, გვ. 25; მისივე, ბედენის აკლამა, ძეგლის მეგობარი, № 12, თბ., 1967, გვ. 13.

⁴² Б. А. Куфтин, К вопросу о ранних стадиях бронзовой культуры на территории Грузии. КСИИМК, VIII, М.—Л., 1940; მისივე, Археологические раскопки в Триалети, გვ. 78—100; მისივე, Археологические раскопки 1947 г. в Цалкинском районе, Тб., 1948; ო. ჯაფარიძე, არქეოლოგიური გათხრები თრიალეთში, თბ., 1967; О. М. Джапаридзе, Археологические раскопки в Триалети в 1959—1960 гг., СА, № 2, М., 1964; ო. ჯაფარიძე, არქეოლოგიური გათხრები თრიალეთში (ქართველი ტომების ისტორიისათვის ძვ. წ. II ათასწლეულში), თბ., 1969; ე. ვოგაძე, თრიალეთის ყორღანული კულტურის პერიოდიზაციისა და გენეზისის შესახებ., თბ., 1968, ხელნაწერი; Э. М. Гогадзе, К вопросу о генезисе и периодизации курганной культуры Триалети, ძველი ისტორიის საკითხები, თბ., 1970.

⁴³ აღნიშნულ სოფელს დღეს რატომღაც არღისუბანს უწოდებენ. 1679 წლის ყმების ნასყიდობის ერთ-ერთ წიგნში, რომელიც მიცემულია რამაზა და სხვა ყორღანას-შვილების მიერ თავიანთ განაყოფ როსტომისადმი, იგი მოხსენიებულია არდასუბნის სახელწოდებით (იხ. ნ. ბერძენიშვილი, დოკუმენტები საქართველოს სოციალური ისტორიიდან, I, ბატონყმური ურთიერთობა (XV—XVIII სს.), თბ., 1940, გვ. 63). ცოტა უფრო გვიან, 1701 წლის სიველ-გუჯრებში, 1721 წლის მოწინავე დროშის აღწერაში და მომდევნო ხანის სხვადასხვა საბუთებში აღნიშნული სოფელი უკვე მოხსენიებულია არდასუბნის სახელწოდებით (იხ. იას. ლორთქიფანიძე, ქვემო ქართლი, I—II, თბ., 1935, გვ. 283. აქვეა მითითებული სხვა დამადასტურებელი საბუთებიც).

⁴⁴ ნ. თუშიშვილი, არდასუბნის შუაბრინჯაოს ხანის სამარხი, მაცნე, № 4, თბ., 1967, გვ. 225—231, ტაბ. I—IV.

ამავე დროს იგი სვამს საკითხს: ჩვეულებრივი ორმოსამარხები ხომ არ ეკუთვნოდა ამ საზოგადოების რიგით წევრებს? საკითხის გადასაჭრელად საჭიროა ამ მიმართულებით საველე-არქეოლოგიური კვლევა-ძიება სათანადო მასალების დასავროვებლად.

სამარხში ცხვრის ჩონჩხის არსებობა, საზოგადოების სამეურნეო ცხოვრებაში მეცხვარეობის დიდი მნიშვნელობის მაჩვენებელია. არდასუბანს საამისო პირობებიც გააჩნია — იგი უმოკლესი ვხვებითაა დაკავშირებული თრიალეთის საზაფხულო საძოვრებთან.

შუაბრინჯაოს ხანის ქრონოლოგიურად მომდევნო ძეგლი ბაიბურთის სამაროვანი უნდა იყოს, თუმცა მისი ადგილი ბრინჯაოს ხანის მასალებში ჯერ საბოლოოდ გარკვეული არ არის⁴⁵.

გვიანბრინჯაო-ადრერკინის და რკინის ფართო ათვისების ხანის ქვემო ქართლი წარმოდგენილია შემდეგი ძირითადი ძეგლებით:

1932 და 1937 წლებში გ. ნიორაძემ დმანისთან გათხარა 15 სამარხი. ავტორი ვარაუდობს, რომ სამაროვანი ეკუთვნოდა მიწათმოქმედ, მესაქონლე ტომს კარგად განვითარებული მეურნეობით, რომელთა რელიგიურ წარმოდგენებში გაბატონებული ადგილი მზის კულტს ჰქონდა დათმობილი. გ. ნიორაძე დმანისის სამაროვანს ძვ. წ. X—IX სს-ით ათარიღებს⁴⁶.

ბ. კუფტინის აზრით, დმანისის სამაროვანის ინვენტარი შეესატყვისება ლელვარის III—IV ჯგუფის სამარხების ინვენტარს. კერამიკის, ოთხფრთიანი ქლარუნების და ბრინჯაოსტარიანი რკინის სატევრის ნატეხის საშუალებით, იგი მის ასაკს უტოლებს ლელვარის ახალგაზრდა ჯგუფის და მუსი-იერის 74-ე სამარხებს, რომლებსაც, თავის მხრივ, მიდიურ-სპარსულ და გვიანვანურ ხანას აკუთვნებს⁴⁷.

რ. აბრამიშვილი, დმანისის სამაროვანზე გათხრილ ზოგიერთ სამარხს ძვ. წ. VIII—VII სს-ის I ნახევარს აკუთვნებს⁴⁸.

გ. ავალიშვილი იზიარებს რ. აბრამიშვილის მიერ მიღებულ თარიღებს და ამ თარიღებს (ძირითადად ბრინჯაოს კონუსისებური საკინძების მიხედვით) მთელ სამაროვნისათვის ავრცელებს⁴⁹.

1936—40 წლებში ბ. კუფტინმა გათხარა რამდენიმე ძეგლი. ბეშთაშენის ციხესთან, მდ. გერიაკ-ჩაის ნაპირზე, გამოვლინდა 11 ორმოსამარხი. თეფე პისარში მოპოვებული ანალოგების მიხედვით, ავტორმა ეს ძეგლი (კერამიკით, რკინის დანით და შუბისპირით, ბრინჯაოს კონუსური და რვაწახნაგა საკინძე-

45 Б. А. Куфтин, Археологические раскопки в Триалети, გვ. 75—77.

46 Г. К. Ниорадзе, Могильник «Стеклянного завода», Проблемы истории докапиталистических обществ, № 3, М—Л., 1934, გვ. 91—99; გ. ნიორაძე, დმანისის ნეკროპოლი და მისი ზოგიერთი თავისებურება, სსმმ, XIV—V, თბ., 1947, გვ. 1—56.

47 Б. А. Куфтин, Археологические раскопки в Триалети, გვ. 49. ნაშრომში ბ. კუფტინი დმანისის სამაროვანს ფიზენაურის (Пизенаური) სახელწოდებით იხილავს.

48 რ. აბრამიშვილი, სამთავროს სამაროვანზე აღმოჩენილი გვიანი ბრინჯაოს ხანის და რკინის ფართო ათვისების ხანის ძეგლების დათარიღებისათვის, სსმმ, ტ. XIX—A და XXI—B, თბ., 1957, გვ. 134.

49 Г. Б. Авалишвили, Юго-восточная Грузия в первой половине I тысячелетия до н. э., Автореферат на соискание уч. ст. канд. ист. наук, Тб., 1970, გვ. 90.

ბით, ცილინდრული ბუნიკით და სხვა) გვიანბრინჯაოს ხანის ბოლო პერიოდით (ძვ. წ. VII ს.) დაათარიღა⁵⁰, რასაც მთლიანად იზიარებს ც. დავლიანიძე⁵¹.

ქრონოლოგიურად მას უახლოვდება მარალინ დერესის სამარხები, გათხრილი სოფ. სანთას მახლობლად. ბ. კუფტინის აზრით, მარალინ დერესის სამარხთა ინვენტარი (კერამიკა, ბრინჯაოს სარტყელი და ბეჭედი, ქვის, პასტის, მინის მძივები და სხვა) თუმცა კი განირჩევა ლელვარის სამაროვნის მასალები-საგან, მაგრამ რიგ შემთხვევაში პოულობს მათთან შეხების წერტილებს; ამავე დროს იგი უახლოვდება ა. ივანოვსკის მიერ გათხრილ № 36 სამარხის ინვენტარს. მთელ მონაპოვარს ავტორი ათარიღებს ვანის ექსპანსიის ეპოქით და უახლოვებს მალაქლუს მასალებს⁵².

1937 წელს წინაწყაროში და გუნია-ყალაში გაითხარა ორი სამაროვანი. როგორც ინვენტარით, ისე სამარხთა აღნაგობით და დაკრძალვის წესით ისინი ძალიან ჰგვანან ერთმანეთს. ბ. კუფტინი მათ ვანის სამეფო პერიოდით დათარიღებულ ძეგლებთან იხილავს⁵³, ხოლო ქართულ რეზიუმეში, რომელიც ახლავს ნაშრომის ძირითად ტექსტს, წინწყაროს სამაროვანს ძვ. წ. XI - VII სს-ით ათარიღებს⁵⁴.

რ. აბრამიშვილის აზრით, წინწყაროს სამარხთა ძირითადი ნაწილი ზოგადად ძვ. წ. VIII ს-ით და ძვ. წ. VII ს-ის I ნახევრით უნდა დათარიღდეს⁵⁵. რაც შეეხება № 6 და № 60 სამარხებს, ავტორი მათ ასაკს ძვ. წ. XII ს-ით განსაზღვრავს⁵⁶.

მ. მენაბდე ძირითადად ეთანხმება რ. აბრამიშვილის მიერ მიღებულ თარიღებს და წინწყაროს სამაროვნის მონაპოვარს ძვ. წ. XII-ს-ის მიწურულითა და ძვ. წ. VIII ს-ით შემოფარგლავს⁵⁷.

ბეშთაშენის სამაროვანს, რომელიც გამოვლინდა მდ. გერიაკ-ჩაის მარჯვენა ნაპირზე⁵⁸ რამდენიმე მკვლევარი შეეხო.

სამაროვნის გამთხრელი ბ. კუფტინი ფიქრობდა, რომ ძეგლის ქვედა ქრონოლოგიური ზღვარი ძვ. წ. XII—XI სს-თა მიჯნით უნდა განისაზღვროს⁵⁹.

ტ. ჩუბინიშვილს, ბეშთაშენის სამაროვნის მასალების მიხედვით, ისეთი შთაბეჭდილება აქვს შექმნილი, რომ მაშინ, როდესაც სამთავროს მდიდრულ სამარხებში უკვე იჩენს თავს აღმოსავლურ ქართული კულტურის ბრინჯაოს ტიპური იარაღი (აღმოსავლეთ ამიერკავკასიური ცული, მახვილები და სხვა), წალკის ზეგანზე გვიანი ბრინჯაოს ხანის ადრეულ პერიოდში შემუშავებული იარაღი ჯერ კიდევ ხმარებაში იყო⁶⁰.

50 Б. А. Куфтин, *დასახ. ნაშრ.*, გვ. 49—50, ტაბ. XVII—XVIII, სურ. 46.

51 მ. მენაბდე, ც. დავლიანიძე, *თრიალეთის სამაროვნები, კატალოგი*, I, თბ., 1968, გვ. 98—101, 117—118, ტაბ. X.

52 Б. А. Куфтин, *დასახ. ნაშრ.*, გვ. 50.

53 იქვე, გვ. 56—58.

54 იქვე, გვ. 140—141.

55 რ. აბრამიშვილი, რკინის ათვისების საკითხისათვის აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე, სსმმ, XXII—B, თბ., 1961, გვ. 368—369.

56 იქვე.

57 მ. მენაბდე, ც. დავლიანიძე, *დასახ. ნაშრ.*, გვ. 12—21.

58 Б. А. Куфтин, *დასახ. ნაშრ.*, გვ. 65.

59 იქვე, გვ. 70.

60 ტ. ჩუბინიშვილი, მცხეთის არქეოლოგიური ძეგლები, თბ., 1957, გვ. 112.

ბეშთაშენის სამარხების დათარიღების საკითხს უფრო დაწვრილებით შე-
ეხო რ. აბრამიშვილი. აქაურ სამარხებს იგი სხვადასხვა დროისად მიიჩნევს.
ყველაზე ადრეულად (ძვ. წ. XIV ს.) ვ. ჩაგულოვის მიერ შემთხვევით მოპო-
ვებულ მასალას თვლის⁶¹; № 13 სამარხი, მისი აზრით, უშუალოდ მოსდევს ე. წ.
ჩაგულოვისეულ კომპლექსს და ძვ. წ. XIV—XIII სს-თა მიჯნის ახლო ხანით
განსაზღვრავს⁶². № 18 სამარხი, ავტორის მიხედვით, № 13 სამარხზე მოგვიანო
ხანისაა და დაახლოებით ძვ. წ. XIII ს-ით ან ძვ. წ. XIII—XII სს-თა მიჯნით
თარიღდება⁶³. № 29 სამარხს, რ. აბრამიშვილი ზოგადად XIV—XII სს-ით⁶⁴,
ხოლო № 5; 8, 11, 13 და 20 სამარხებს ძვ. წ. XIII — ძვ. წ. XII სს-ის
პირველი ნახევრით განსაზღვრავს⁶⁵. დაახლოებით ამავე ხანას აკუთვნებს იგი
№ 3 და 37 სამარხებს⁶⁶.

ა. აფაქიძე⁶⁷ და ო. ჯაფარიძე⁶⁸ არ ეთანხმებიან რ. აბრამიშვილის მიერ ე. წ.
ჩაგულოვის კომპლექსისათვის მიღებულ თარიღს და საეჭვოდ ხდიან ამ მასა-
ლის კომპლექსურობას.

ბეშთაშენის სამარხების კომპლექსები კატალოგის სახით შედგენილი აქვს
გ. ნემსაძეს. რაც ძალიან აადვილებს მუშაობას ამ მასალაზე.

თრიალეთის გვიანბრინჯაოს ხანის ძეგლთა პერიოდიზაციის ცდა მოცემუ-
ლი აქვს კლოდ შეფერსაც. ავტორი ამ ძეგლებს (მარალინ-დერესი, თაქქილისა
და სხვა) იხილავს ამიერკავკასიაში გამოვლენილ რკინის ნივთების შემცველ
სხვა სამარხებთან ერთად და ზოგადად ძვ. წ. 1200—1000 წწ. ქრონოლოგიურ
ჩარჩოში ათავსებს⁶⁹; ბეშთაშენის სამაროვანს კი ძვ. წ. 1300—1100 წლებით
შემოფარგლავს⁷⁰.

1947 წელს ისტორიის ინსტიტუტის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ (ხელ-
მძღვანელი გ. გობეჯიშვილი) სოფ. ხადიკთან გათხარა 2 გორასამარხი. მონაპო-
ვარი მასალა ზოგადად დათარიღებულია ძვ. წ. XIV—XII სს-ით⁷¹.

ამავე წელს თრიალეთში განაახლა მუშაობა წალკის არქეოლოგიურმა ექს-
პედიციამ⁷², რომელმაც სხვა ძეგლებთან ერთად სოფ. კუმჩში და ოზნში

61 რ. აბრამიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 307—314.

62 იქვე, გვ. 316—317.

63 იქვე, გვ. 319—322.

64 იქვე, გვ. 321.

65 იქვე, გვ. 321—322.

66 იქვე.

67 ა. აფაქიძე, საქართველოს არქეოლოგიის უმნიშვნელოვანესი პრობლემა, საქარ-
თველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, № 3, თბ., 1963, გვ. 223—231.

68 ო. ჯაფარიძე, რეცენზია, როსტომ აბრამიშვილი „რკინის ათვისების საკითხისათ-
ვის აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე (ძვ. წ. XIV—VI სს),“ სსმმ, XXII, —B, თბ.,
1962, გვ. 261—265.

69 Claude F. A. Schaeffer, Stratigraphie comparée et chronologie de
l'Asie Occidentale (III et II millénaire), London, 1948, გვ. 502—503.

70 იქვე, გვ. 503—504. აღსანიშნავია, რომ ბ. კუფტინის წიგნის „Археологические рас-
копки в Триалети“ ინგლისურ რეზიუმეში, რომლითაც სარგებლობდა კლ. შეფერი, აღნიშნუ-
ლია, რომ ბეშთაშენის სამარხები რკინის ნივთებს სრულებით არ შეიცავენ. სინამდვილეში კი
რკინის ნივთებს შეიცავენ (თუ არ ჩავთვლით ე. წ. ჩაგულოვისეულ კომპლექსს) ოთხი სა-
მარხი — № 1, 13, 18 და 34.

71 ი. გძელიშვილი, ყორღანი თრიალეთში, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკა-
დემიის მოამბე, XV, № 1, თბ., 1954, გვ. 49—55.

72 Б. А. Куфтин, Археологические раскопки 1947 года..., გვ. 6.

გამოავლინა გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის ქვისფილებიანი ორმოსამარხები⁷³.

1958 წ. რ. აბრამიშვილმა წოფში გათხარა 40-მდე სამარხი, რომლებშიც გამოჰყო სამი ტიპის (მიწაყრილიანი, ქვაყრილიანი და ქვისფილებიანი) ორმოსამარხი. მათ შორის ყველაზე უძველესად ქვისფენილებიანი ორმოსამარხები მიიჩნია. ავტორის ვარაუდით, სამაროვანი ექცევა ძვ. წ. XIII—V სს-თა ჩარჩოში⁷⁴.

ი. გძელიშვილმა 1959 წელს ქვემო ბოლნისში გათხარა ნამოსახლარის მცირე ნაწილი, სადაც რკინის გამოსადნობი ქურები აღმოჩნდა. ავტორი ამ ძეგლს ძვ. წ. XIII—VII სს-ის ფარგლებში აქცევს⁷⁵. უნდა აღინიშნოს, რომ ამ თარიღის ქვედა ქრონოლოგიურ ზღვარს სხვა მკვლევარები არ იზიარებენ—უფრო ახალგაზრდად მიიჩნევენ.

1961 წელს თეთრი წყაროს მახლობლად გ. გობეჯიშვილმა გათხარა ერთი გაძარცული ქვაყრილიანი № 4 გორასამარხი⁷⁶. შემორჩენილი მასალით (კერამიკა, ბრინჯაოს ოვალური სპიდი, სარდიონის ნაპობი და სხვა მძივები) ეს ძეგლი გვიანბრინჯაოს ხანის ადრეულ საფეხურს უნდა განეკუთვნოს.

1964 წელს სოფ. გორაში (ბოლნისის რ-ნი) შემთხვევით აღმოჩნდა აღმოსავლეთ ამიერკავკასიური ტიპის ბრინჯაოს ცულები, თავებგახსნილი მასიური რგოლები და სხვა მასალა, რომელიც ძვ. წ. II—I ათასწლეულთა მიჯნითაა დათარიღებული⁷⁷.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის და საქართველოს ხელოვნების მუზეუმის გაერთიანებულმა ექსპედიციამ 1964 წ. (ხელმძღვანელი ო. ჯაფარიძე) სოფ. ვანთიადთან გამოიკვლია ძვ. წ. VII—VI სს-ის 7 სამარხი⁷⁸. 1966 წელს კი ამავე ადგილას შემთხვევით აღმოჩნდა მასალა, რომელსაც ძვ. წ. IX—VIII სს. „მელითონე ხელოსნის“ სამარხს მიაკუთვნებენ⁷⁹.

ერთი ჩაშვებული სამარხი აღმოჩნდა ზურტაკეტის № 7 გორასამარხის ყრილში. თიხის ქურჭლის, ბრინჯაოს სარტყლისა და სატევრის მიხედვით ო. ჯაფარიძე მას ზოგადად გვიანბრინჯაოს ხანას აკუთვნებს⁸⁰.

უშუალოდ მომიჯნავე ტერიტორიაზე, რომელიც გეოგრაფიულად ქვემო ქართლის ნაწილს წარმოადგენს, უნდა აღინიშნოს 1954—1961 წლებში ხოვლეში, ნ. ბერძენიშვილის საერთო ხელმძღვანელობით ჩატარებული გორანამო-

73 ი ქ ვ ე. გვ. 7, 10, 11. ტაბ. V—VIII.

74 რ. ა ბ რ ა მ ი შ ვ ი ლ ი, წოფის სამაროვანი, თბ., 1959, ხელნაწერი.

75 И. А. Гзелишвили, Железоплавильное производство в Древней Грузии, Тб., 1964, გვ. 31—38.

76 გ. გობეჯიშვილი, თეთრი წყაროს 1961 წლის არქეოლოგიური ექსპედიციის საველე მუშაობის ანგარიში, თბ., 1962, ხელნაწერი.

77 კ. კვიციანიძე, ო. ლამბაშიძე, არქეოლოგიური მონაპოვარი სოფ. გორადან, XIV სამეცნიერო სესია მიძღვნილი 1964 წლის საველე-არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგებისადმი, თბ., 1965, გვ. 24—25.

78 გ. ავალიშვილი, ო. სანებლიძე, არქეოლოგიური გათხრები ქვემო ქართლში, მაცნე, № 4, თბ., 1967, გვ. 232—243.

79 გ. ავალიშვილი, მელითონეთა ძველი კერა ქვემო ქართლში, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, № 2, თბ., 1968, გვ. 505—509.

80 ო. ჯაფარიძე, არქეოლოგიური გათხრები თრიალეთში, თბ., 1969, გვ. 50.

სახლარისა და გვიანბრინჯაოს ხანის სამაროვნის⁸¹ გათხრები. ხოვლეგორა შეიცავს ურთიერთმონაცვლე 8 სამშენებლო პერიოდს: იგი დასახლებული იყო დროის ფართო მონაკვეთის განმავლობაში — გვიანბრინჯაოს ხანის ადრეული ეტაპიდან მოკიდებული ვიდრე ძვ. წ. IV საუკუნემდე⁸².

1964—1965 წლებში ქარელის რ-ნ სოფ. ზღუდერში (მდ. ძამის ხეობა) გ. ნემსაძემ გათხარა გვიანბრინჯაო-რკინის ხანის 10 ორმოსამარხი და 6 გორასამარხი⁸³.

ქვემო ქართლში თუ მეტ-ნაკლები სისრულითაა გამოვლენილი გვიანბრინჯაოს, ადრერკინის და რკინის ფართო ათვისების ხანის სამაროვნები და ცალკეული სამარხები, სამაგიეროდ მათი ნასახლარ — ნასოფლარები თითქმის შეუსწავლელია. იმხანად არსებულ დასახლებათა შესახებ შეიძლება ვიქონიოთ მხოლოდ ბუნდოვანი წარმოდგენა დმანისის კონცხთან⁸⁴ და ფოლადაურის ხეობაში⁸⁵ დადასტურებული ძეგლების მიხედვით. მართალია ქვემო ქართლის ისტორიულ-არქეოლოგიურმა ექსპედიციამ, თეთრი წყაროსა და ალგეთის ხეობის არქეოლოგიურმა ექსპედიციებმა 1948—1968 წლებში მიაკვლია არა ერთ გორა-ნამოსახლარს ირაგაში, იფნარში, ჩხიკვაში, ფარცხისთან, მადნის-ჭალასთან და სხვაგან, სადაც სხვა ფენებთან ერთად ზედაპირულად შეინიშნება გვიანბრინჯაოს ხანის კულტურული ფენები, მაგრამ ისინი ჯერ გაუთხრელია.

მომდევნო ხანა ქვემო ქართლის ტერიტორიაზე ცნობილია შემდეგი ძეგლებით.

1924 წელს ლ. მელიქსეთბეგმა მანგლისთან გათხარა ქვისსამარხები, რომლებიც გვიანშუასაუკუნეების ხანისად მიიჩნია⁸⁶. აღნიშნული ძეგლი გადაათარიდა კ. კვიციანაძემ და იგი ძვ. წ. VI—IV სს-ს მიაკუთვნა⁸⁷.

⁸¹ ტ. ჩუბინიშვილი, ო. დამბაშიძე, ხოვლეს სამაროვანი, ისტორიის ინსტიტუტის წყარომცოდნეობისა და ისტორიული გეოგრაფიის განყოფილების II სამეცნიერო სესია, თბ., 1964, გვ. 14—15.

⁸² დ. მუსხელიშვილი, ხოვლეგორის განათხარი არქეოლოგიური მასალა, წყარომცოდნეობისა და ისტორიული გეოგრაფიის განყოფილების II სამეცნიერო სესია, თბ., 1964, გვ. 5—8; მისივე, ხოვლეს არქეოლოგიური ექსპედიციის განათხარი მასალა, თბ., 1966, ხელნაწერი; გ. ცქიტიშვილი, ხოვლეგორელთა საშინაო ყოფა და მეურნეობა, წყარომცოდნეობისა და ისტორიული გეოგრაფიის განყოფილების II სამეცნიერო სესია, თბ., 1964, გვ. 9—11; კ. მელიქსეთბეგი, მშენებლობის ხელოვნება ძველ ხოვლეში განათხარი მასალების მიხედვით, წყარომცოდნეობისა და ისტორიული გეოგრაფიის განყოფილების II სამეცნიერო სესია, თბ., 1964, გვ. 12; დ. ხახუტაიშვილი, ხელოსნური წარმოება ხოვლეს განათხარი მასალის მიხედვით, წყარომცოდნეობისა და ისტორიული გეოგრაფიის განყოფილების II სამეცნიერო სესია, თბ., 1963, გვ. 13—14.

⁸³ გ. ნემსაძე, ურბნისის ისტორიულ-არქეოლოგიური ექსპედიციის ზღუდრის რაზმის 1964—1965 წწ. საველე მუშაობის წინასწარი ანგარიში, საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის XIII სამეცნიერო სესია, თბ., 1965, გვ. 3—4; მისივე, ზღუდრის არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ 1964—1966 წწ. ჩატარებული მუშაობის შედეგები, საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის არქეოლოგიური ექსპედიციების ანგარიშები, თბ., 1969, გვ. 53-54.

⁸⁴ საქართველოს არქეოლოგია, თბ., 1959, გვ. 157.

⁸⁵ იქვე, გვ. 160; ო. ტყეშელაშვილი, ფოლადაურის ხეობა, თბ., 1969, გვ. 14.

⁸⁶ ლ. მელიქსეთბეგი, მანგლისის ნეკროპოლი, ჩენი მეცნიერება, თბ., 1924.

⁸⁷ კ. კვიციანაძე, ქვემო ქართლის ადრეანტიკური ხანის კულტურის ძეგლები, თბ., 1970, ხელნაწერი.

1939 წელს ბეშთაშენთან, მდ. ბეშკევე-სუს მარჯვენა ნაპირზე ბ. კუფტინმა შეისწავლა ადრეაქემენიდური ხანის სამაროვანი⁸⁸.

წინწყაროს მახლობლად, მდ. ალგეთის ნაპირას 1940 წელს შემთხვევით აღმოჩნდა მდიდრული სამარხის კომპლექსი, რომელიც ბ. კუფტინმა თავისი ასაკით ბეშთაშენის ხსენებულ სამაროვანს დაუახლოვა და ძვ. წ. V ს-ით დაათარილა⁸⁹.

1948, 1949 და 1954 წლებში ქვემო ქართლის ისტორიულ-არქეოლოგიურმა ექსპედიციამ აბელიაში და შავსაყდარაში გამოავლინა სამაროვნები, რომლებიც გ. ლომთათიძემ ძვ. წ. V—III სს-ით დაათარილა⁹⁰. 1964 წელს აბელიაში ჩატარებული დამატებითი სამუშაოების შედეგად, კ. კვიციანიძემ მათი ასაკი ერთი საუკუნით სიღრმეში გადაწია.⁹¹

ქვემო ბოლნისში, იმავე ადგილას, სადაც გამოვლინდა ნამოსახლარი და რკინის გამოსადნობი ქურები, ი. გძელიშვილმა გათხარა VI—IV სს-ის პატარა ზომის 21 ქვისსამარხი⁹².

ფოლადაურის ხეობაში, შორის ნასოფლართან, 1958—59 წლებში შესწავლილი სამაროვანი ო. ტყეშელაშვილმა ძვ. წ. VI—V სს-ს მიაკუთვნა⁹³.

1956 წელს თეთრწყაროში შემთხვევით აღმოჩნდა 3 ქვისსამარხი და 1 ქვევრსამარხი. ა. ბოხოჩაძემ მონაპოვარი ძვ. წ. VI—IV სს-ით დაათარილა⁹⁴.

1965—1966 წლებში სოფ. ასურეთთან, „სამაჩვეთში“, შესწავლილ იქნა ადრეანტიკური ხანის სამაროვანი⁹⁵. 1966 წლის გათხრებმა არუხლოს გეოი-თეფზე დაამოწმა დაახლოებით ამავე ხანის კულტურული ფენა⁹⁶.

სოფ. სანთას მახლობლად, ნერონ-დერესში, აღმოჩნდა ძვ. წ. V—IV სს-ის სამაროვანი, რომლის ნაწილი მოქცეული იყო მოგვიანო ხანის „ციკლოპური“ ციხე-სიმაგრის კედლის ქვეშ⁹⁷.

ადრეანტიკური ხანის სამარხები გამოვლენილია არდასუბანშიც, ბოგვისხევის მარჯვენა ნაპირზე⁹⁸. გაითხარა 4 სამარხი:

88 Б. А. Куфтин, Археологические раскопки в Триалети, გვ. 41—48, ტაბ. XIII—XVIII, სურ. 38—40, 43; მ. მენაბდე, ც. დავლიანიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 98—118.

89 Б. А. Куфтин, დასახ. ნაშრ., გვ. 34—41.

90 გ. ლომთათიძე, არქეოლოგიური კვლევა-ძიება ქვემო ქართლში 1948, 1949 და 1954 წლებში, ხელნაწერი.

91 კ. კვიციანიძე, ზ. შატბერაშვილი, 1964 წლის ალგეთის ხეობის არქეოლოგიური ექსპედიციის II და III უბნის გათხრების მოკლე ანგარიში, XIV სამეცნიერო სესია მიძღვნილი 1964 წლის საველე-არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგებისადმი, თბ., 1965, გვ. 28—31.

92 И. А. Гзелишвили, დასახ. ნაშრ., გვ. 31—38.

93 ო. ტყეშელაშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 14.

94 ა. ბოხოჩაძე, ადრეანტიკური ხანის სამარხები თეთრი წყაროს მახლობლად, მსკა, III, თბ., 1963, გვ. 27—38.

95 კ. კვიციანიძე, ასურეთში ჩატარებული არქეოლოგიური დაზვერვების ანგარიში, XV სამეცნიერო სესია მიძღვნილი 1965 წლის საველე-არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგებისადმი, თბ., 1966, გვ. 17—18; მისივე, 1966 წ. აღმოჩენილი ადრეანტიკური ხანის ძეგლები არუხლოს „გეოი-თეფესა“ და „სამაჩვეთის“ სამაროვანზე, XVI სამეცნიერო სესია მიძღვნილი საველე-არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგებისადმი, თბ., 1967, გვ. 64—66.

96 კ. კვიციანიძე, დასახ. ნაშრ.

97 Б. А. Куфтин, Археологические раскопки в Триалети, გვ. 30—34.

98 ნ. თუშიშვილი, ბოგვისხევის ადრეანტიკური ხანის სამაროვანი, მაცნე, № 3, თბ., 1970, გვ. 127—140, სურ. 1—9.

№ 1 ქვის სამარხი დანგრეული დაგვხვდა. ინვენტარი: თიხის ფილა, ჯამი და ტუჩიანი ღოჭი; რკინის მოხრილი დანის, სატევრის და სამაჯურების ნატეხები; ვერცხლის ბეჭედი ოქროფერილ ფარაკზე მზის გამოსახულებით; ოქროს 2 თავებგახვრეტილი ყურსაკიდი; სარდიონის და პასტის მძივები.

№ 2 ქვის სამარხი (კენოტაფი). ინვენტარი: ვერცხლის ბეჭედი, რომელიც გამოსახავს კუდზე თავგადადებულ გველს; ბრინჯაოს 2 საყურე და 3 სამაჯური; რკინის მოხრილი დანა.

№ 3 ქვის სამარხი მდებარეობდა უშუალოდ № 1 სამარხის ქვეშ. მიცვალებული დაკრძალული იყო მარჯვენა გვერდზე, ხელფეხმოკეცილად. თავით N. ინვენტარი: თიხის ფილა, ჯამი და ტუჩიანი ღოჭი; ბრინჯაოს რკინის-ენიანი ზარი; ბრინჯაოს ბალთა, რომელიც წარმოადგენს ცხოველის სტილიზებულ გამოსახულებას; რკინის მოხრილი დანა და შუბის პირის ნატეხები; სარდიონის მძივები.

№ 4 ორ მოსამარხი მდებარეობდა № 2 სამარხის გვერდით და, როგორც ჩანს, მასთანვე იყო დაკავშირებული. მასში დასაფლავებული იყო ცხენი, თავით W. ინვენტარი: რკინის ორწილად ლაგამი საყბურებითურთ; ცხენის აკაზმულობის ბრინჯაოს 4 ბალთა და 1 რგოლი.

სტრატეგრაფიული მონაცემებით და პარალელური მასალით № 1, 2 და 4 სამარხები თარიღდება ძვ. წ. V ს-ით, № 3 სამარხი — ძვ. წ. VI ს-ით.

მონაპოვარი მასალის ანალიზი გვიჩვენებს, რომ აქ მოსახლე ხალხის რწმენაში გარკვეული ადგილი ეკავა მზისა და გველის კულტს.

სამაროვანი მნიშვნელოვანია იმით, რომ ამ ხანის ძეგლები ნაკლებად არის შესწავლილი. არქეოლოგიური მასალა საქართველოს ამ თემში მცხოვრებთ დიდად დაწინაურებულად გვისახავს. უკვე ძვ. წ. VI საუკუნიდან მაინც აქ ეყრება საფუძველი განვითარებულ საქალაქო ცხოვრებას და კლასობრივი სტრუქტურის მქონე საზოგადოება ყალიბდება. თუ შევადარებთ არდასუბნის სამარხეულ მასალას ე. წ. ახალგორის განძსა და ალგეთის წინწყაროს მდიდრული სამარხის ინვენტარს, ერთის მხრივ, და აბელიას შედარებით ღარიბულ სამაროვანს, მეორეს მხრივ, უფრო თვალსაჩინო გახდება იმდროინდელ აღმოსავლურ ქართულ საზოგადოებაში კლასობრივი და ქონებრივი დიფერენციაციის დონე. ეს არის ხანა საქართველოში ნივთიერი კულტურის სწრაფი განვითარებისა რკინის წარმოების და სოფლის მეურნეობის სხვადასხვა დარგების აყვავების ბაზაზე, ქონებრივი და უფლებრივი თანასწორობის მოსპობისა და სახელმწიფოს წარმოშობისა, საქალაქო მეურნეობის განვითარებისა და საგარეო ურთიერთობის ქსელის გაფართოებისა. ქვეყნის ასე დაწინაურებული ცხოვრების უფრო მკაფიოდ წარმოდგენის საქმეში მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს არდასუბანში მოპოვებულ მასალებს.


ამავე თვალსაზრისითაა საინტერესო ალგეთის ხეობის 1964 წლის არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ ნახიდრებისქალაში, იმავე ადგილას, სადაც ადრე-ბრინჯაოს ხანის № 3 გორისსამარხი გაითხარა, I ათასწლეულის II ნახევრის საცხოვრებელი ნაგებობის გამოვლენა⁹⁹ (სურ. A).

⁹⁹ ნ. თუ შ ი შ ვ ი ლ ი, ალგეთის ხეობის 1964 წლის არქეოლოგიური ექსპედიციის საველე მუშაობის ანგარიში, XIV სამეცნიერო სესია მიძღვნილი 1964 წლის საველე-არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგებისადმი, თბ., 1965, გვ. 25—28; კ. კ ვ ი ე ი ნ ა ძ ე, ზ. შ ა ტ ბ ე რ ა შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 28—31.

უშუალოდ მომდევნო ხანის ძეგლები ჩვენთვის საინტერესო მხარეში ძალიან სუსტადაა შესწავლილი. ესენია წალკის არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ 1936—1937 წლებში გათხრილი თრიალეთის ზოგიერთ გორასამარხში ჩაშვებული სამარხები და მანგლისთან ნაპოვნი ცხოველთა გამოსახულებიანი ბრინჯაოს ბალთები, რომლებიც მიკუთვნებულია რომაული და ელინისტური ხანისათვის¹⁰⁰.

სოფ. გერიაკთან¹⁰¹, სანთასთან და მანგლის-ბარმაქსიზის გზაზე გათხრილი მოგროძო ქვისსამარხები, კვად მეფის მონეტით, რკინის იარაღით და სხვადასხვა სამკაულებით. ბ. კუფტინმა სასანურ ხანას (III—VII სს.) მიაკუთვნა¹⁰².

რაც შეეხება ქვემო ქართლის ფეოდალური ხანის მიწისზედა თუ მიწის-ქვეშა ძეგლებს — ნამოსახლარების, ნასოფლარების, სამლოცველო ნაგებობე-



სურ. A

ბის, ტაძრების, სამაროვნების, რკინის გამოსადნობი ქურების და სხვათა სახით — ისინი არაერთ მეცნიერს (ივ. ჯავახიშვილი, ე. თაყაიშვილი, გ. ჩუბინაშვილი, ლ. მუსხელიშვილი, ნ. ბერძენიშვილი, შ. ამირანაშვილი, ა. აფაქიძე, ვ. ლომთათიძე, მ. ხიდაშელი, ლ. რჩეულიშვილი, რ. შმერლინგი, ი. გძელიშვილი, ნ. უგრელიძე, ა. ბოხოჩაძე, ჯ. ამირანაშვილი, გ. ნასიძე და სხვ.) უქცევია კვლევა-ძიების საგნად¹⁰³.

¹⁰⁰ Б. А. Куфтин. დასახ. ნაშრ., გვ. 24-30.

¹⁰¹ Е. Такайшвили, ОАК за 1896 г., СПб, 1898, გვ. 110—112.

¹⁰² Б. А. Куфтин. დასახ. ნაშრ., გვ. 20—24.

¹⁰³ ლ. მუსხელიშვილი, დმანისი, კრებული ივ. ჯავახიშვილის რედაქციით, „შოთა რუსთაველის ეპოქის მატერიალური კულტურა“, თბ., 1938; მისივე, არქეოლოგიური ექსპედიციები, თბ., 1941; ლ. მუსხელიშვილი, მ. ხიდაშელი, ვ. ჯაფარიძე, გუდარების პირველი და მეორე არქეოლოგიური (1938—1939) კამპანიის ანგარიში, თბ., 1954; Е. Такайшвили, ИКОМАО, вып. I, Тифлис, 1904, გვ. 26—39; Г. Н. Чубинишвили, Болнис, ენიშის მოამბე, IX, თბ., 1940; გ. ლომთათიძე, არქეოლოგიური გათხრა თბილისში 1948 წ. ზამთარში, მსკა, I, თბ., 1955, გვ. 119; ი. გძელიშვილი, ნასოფლარებისა და რკინის ძველი მეტალურგიის ნაშთების შესწავლისათვის საქართველოში, მაცნე, 6, თბ., 1968, გვ. 256—264.; И. А. Гзелишвили, დასახ. ნაშრ., ვ. ჯაფარიძე,

ქვემო ქართლის წარსული ისწავლება როგორც ისტორიული გეოგრაფიის თვალსაზრისით¹⁰⁴, ისე წერილობითი წყაროების მიხედვით¹⁰⁵.

ამ მხარის კომპლექსური შესწავლის მიზნით დიდი და ნაყოფიერი სამუშაო აქვს ჩატარებული, ზემოთ არაერთხელ დასახელებულ, ქვემო ქართლის ისტორიულ-არქეოლოგიურ ექსპედიციას (ხელმძღვანელი ნ. ბერძენიშვილი, არქეოლოგიური ჯგუფის უფროსი გ. ლომთათიძე, არქიტექტორი ი. ციციშვილი), რომელმაც 1948, 1949, 1954¹⁰⁶ და შემდგომ¹⁰⁷ წლებში წარმოებული კვლევა-ძიების შედეგად მიაკვლია და გამოაველინა არაერთი ისტორიულ-არქეოლოგიური ძეგლი და შეადგინა აღნიშნული რაიონის ისტორიულ-არქეოლოგიური რუკა.

ნაქალაქარ დმანისის არქეოლოგიური შესწავლა, სმმ, XXVIII—B, თბ., 1969, გვ. 53—79; ნ. უგრელიძე, ადრეულ შუასაუკუნეთა მინის წარმოება ორბეთში, თბ., 1969, ხელნაწერი; ჯ. ამირანაშვილი, ადრეფეოდალური ხანის ქართული არქიტექტურისა და რელიეფური ქანდაკების ძეგლები, თბ., 1968; და სხვ. აღნიშნული ხანის ძეგლთა შესახებ არსებობს დიდძალი ლიტერატურა, რომელსაც აქ არ ვასახელებთ: ისინი მითითებულია ზემოჩამოთვლილ ნაშრომებში.

104 დ. ბერძენიშვილი, ბოლნისის ისტორიული გეოგრაფიის საკითხები, საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის კრებული, II, თბ., 1964; თ. თოდრია, ალვეთის ხეობის ისტორიული გეოგრაფიიდან, ახალგაზრდა მეცნიერ მუშაკთა და ასპირანტთა XIV სამეცნიერო კონფერენცია, თბ., 1964; მისივე, მანგლისის ხევი, ძეგლის მეგობარი, № 21, თბ., 1970.

105 იას. ლორთქიფანიძე, ქვემო ქართლი, I—II, თბ., მისივე, ქვემო ქართლი, III—IV, თბ., 1938; ვ. ჯამბურია, ქართული ფეოდალური ურთიერთობის ისტორიიდან, თბ., 1955.

106 აღნიშნული ექსპედიციის მიერ მიღებული შედეგები სამწუხაროდ ჯერ არ გამოქვეყნებულა.

107 დ. მუსხელიშვილი, ქვემო ქართლის ისტორიულ-გეოგრაფიული ექსპედიციის საველე სამუშაოთა (1956—1958 წწ.) შედეგები, საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის კრებული, I, თბ., 1960, გვ. 23—45; გ. გრიგოლია, თ. ტატიშვილი, ქვემო ქართლის უძველესი ძეგლები, საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის კრებული, I, თბ., 1960, გვ. 63—80; გ. ცქიტიშვილი, წოფი (ისტორიულ-გეოგრაფიული ნარკვევები), საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის კრებული, I, თბ., 1960, გვ. 83—94; დ. მუსხელიშვილი, აღჯაღალა-გაგის ციხე, საქართველოს ისტორიული გეოგრაფია, I, თბ., 1960, გვ. 114—140.

თ ა ვ ი 1

მადნისქალის სამაროვანი

(ძიგლის მახასიათებელი)

მადნისქალა მდ. ალგეთის მარცხენა ნაპირზე წარმოქმნილი, საკმაოდ ფართოდ გაშლილი ტერასაა. მას უკავია დაახლოებით 7 ჰექტარი ფართობი და სამი მხრიდან — ჩრდილოეთიდან, დასავლეთიდან და სამხრეთიდან — შემოფარგლულია მდინარის კალაპოტით. ალგეთის მიღმა ტყიანი ნაპირი ფლატეა და საკმაოდ მიუვალი. აღმოსავლეთიდან ქალას აკრავს, აგრეთვე, ტყით შემოსილი ჭერმის მთა (ტაბ. I)¹.

ქარხნის მშენებლობამდე ეს მიწები იხვნებოდა, მაგრამ ადგილობრივ მოსახლეობას მადნისქალაში 1963 წლამდე რაიმე ძველი ნაშთის აღმოჩენის ფაქტი არ ახსოვს. ეს იმით უნდა აიხსნას, რომ სამარხები დედამიწის ზედაპირიდან საკმაოდ ღრმადაა მოქცეული (0,50—1,30 მ.) მთიდან ჩამორეცხილი მიწის ქვეშ. როგორც ჩანს, მადნისქალა თანამედროვე გეოლოგიური ეპოქის I ნახევარში გათავისუფლდა ალგეთის წამლეკავი მოქმედებისაგან, რის შემდეგ დაიწყო ტერასის დალექვა ჭერმის მთიდან ჩამორეცხილი მიწით. ამჟამად სამაროვნით დაკავებული ტერიტორიის ზედაპირი თითქმის სწორია, თუ მხედველობაში არ მივიღებთ მთის კალთიდან მდინარის ნაპირისაკენ მიმართულ მცირე დაქანებას.

მდ. ალგეთის მიერ ჩაჭრილ ნაპირში კარგად ჩანს ტერასის სტრატეგრაფია, სადაც მკაფიოდ შეინიშნება ურთიერთმონაცვლე 6 ფენა:

1. ბალახის საფარით შემოსილი კორდიანი ფენა,
2. შავი ფერის ჰუმუსური ფენა,
3. დელუვიური წარმოშობის წაბლისფერი ნიადაგი, თიხანარევი,
4. ალუვიური ქვიშნარი,
5. ალუვიური ღორღნარევი ფენა,
6. კირქვის² კლდოვანი დედაქანი.

ფენათა ამგვარი მონაცვლეობა დაადასტურა ტერასაზე ამოღებულმა შურფებმაც.

1963—64 წლებში ჩატარებული საველე მუშაობისას მადნისქალის სამაროვნის შესწავლის და მისი გავრცელების ფარგლების დასადგენად ამოღებულ იქნა რ თხრილი და ამდენივე შურფი. ნაშრომში ქვემოთ აღწერილი სამარხები განხილულია თხრილების მიხედვით. რაც შეეხება სამარხთა ნომრების რიგს, ისინი დალაგებულია მათი გახსნის დროის შესაბამისად.


¹ I ტაბულის № 1 სურათზე რომელიც ციფრებით აღნიშნულია თხრილების განლაგება.

² კირქვებში, ყველა შემთხვევაში, იგულისხმება ლითოგრაფიული ქვა, რომელიც მის ნაირსახეობას წარმოადგენს.

I თბრილი (სურ. 1; ტაბ. II).

სამუშაოები დაიწყო 1963 წელს. თბრილი, რომელმაც თითქმის მდინარის ნაპირამდე მიაღწია, ამოღებულ იქნა ქარხნის მთავარი საამქროს სამხრეთით. თავდაპირველად მისი საერთო ფართობი $30,0 \times 20,0$ მ უდრიდა და დამსრობილი იყო N—S. ამ წელს ექსპედიციამ შესწავლა 13 სამარხი (№ 3—15) და გაწმინდა ერთი — I გორასამარხის ქვაყრილი.

1964 წელს თბრილი გაფართოვდა W და S. დამთავრდა I გორასამარხის შესწავლა და გაითხარა კიდევ სამი (№ 38—40) სამარხი.



სურ. 1


სამარხების სასურავის ზედა დონე მიწის ზედაპირიდან დაშორებული იყო $0,7—1,2$ მ-ით. მათი სიღრმე დამოკიდებულია რელიეფზე.

რაც შეეხება I გორასამარხის ქვაყრილს, მისი უმაღლესი წერტილი მიწის ზედაპირის დღევანდელ დონეზე იყო.

მე-3 სამარხი მდებარეობდა თბრილის NO კუთხეში (სურ. 1; ტაბ. II_{1,2}). იგი შემოფარგლული იყო ცალპირად დალაგებული რიყის ქვებით ($d=5,50$ მ; კედლის სისქე — $0,50$ მ; კედლის $h=0,30$ მ). წრის NO ნაწილი ქვების ორისამი რიგისაგან შედგებოდა. ჩრდილოეთ ნაწილში იგი წყდებოდა და იქმნებო-

და 1.70 მ სიგანის ცარიელი არე. ასეთივე (0,70 მ სიგანის) წყვეტილი წრის მოპირდაპირე მხარესაც იყო. SO და S ნაწილში რკალი ქმნიდა ორ ბლაგვ კუთხეს (ტაბ. II₂).

წრეში მოთავსებული სამარხი წარმოადგენდა ოთხკუთხა ორმოს, რომლის ნაპირებს მიუყვებოდა პორიზონტალურად დაწყობილი ხის ძელების ნაშთი (სურ. 2; ტაბ. II₂).



სურ. 2.

სამარხი გადახურული იყო კირქვის ორი დიდი ფილაქვით (1,90×1,90), რომელთაც ზემოდან მესამე, შედარებით პატარა ქვა ედო³. სახურავს, მიწის 0,4 მ სისქის ფენის შემდეგ, რიყის ქვები ეყარა (h=0,50 მ), რომელიც აღწევდა წრიული წყობის დონეს.

NW—SO დამხრობილ სამარხში (1,60×0,80×0,90მ) დაკრძალული მიცვალებული (ქალი)⁴ იწვა მარჯვენა გვერდზე ძლიერ ხელფეხმოკეცილად. სამარხის NW ნაწილში მწკრივად ეწყო რიყის 4 ბრტყელი ქვა. აქედან ერთი მიცვალებულს თავქვეშ ჰქონდა ამოღებული.

სამარხის NW კედლის გასწვრივ კიდევ სამი ქვა იდო; ერთი ქვა N ნაწილშიც იყო. ინვენტარი:

1. ჯ ა შ ი (№ 17)⁵, არათანაბრად გამომწვარი; შავ-ლევა ლაქებით, ზედაპირგაპრიალეებული (1 ჯგუფი, 5—გ ქვეტიპი)⁶. ნაკეთებია სამეთუნეო მორგვზე

³ ლითოგრაფიული ქვა ვერ იტანს დაბალ ტემპერატურას და მინუს 20° შემდეგ სკდება. ამიტომ თითქმის ყველა შემთხვევაში ისინი დამსკდარ-დაბზარული იყო. ნაშრომში ჩვენ აღნიშნული გვაქვს ფილების ის რაოდენობა, რომელიც იმთავითვე უნდა ყოფილიყო გამოყენებული.

⁴ მიცვალებულის სქესი და ასაკი განსაზღვრა ჩვენივე ინსტიტუტის თანამშრომელმა, ანთროპოლოგმა ე. ჯავახიშვილმა.

⁵ ფრჩხილებში მოცემულია მასალის საინვენტარო ნომრები; ტაბულაზე მასალა იმავე ნომრებით არის აღნიშნული. მადნისქალის სამაროვანზე მოპოვებული მთელი მასალა გამოღენილია თეთრი წყაროს მუზეუმში.

⁶ მასალის დეტალური აღწერილობა იხ. ქვემოთ, ტიპოლოგიურ-ქრონოლოგიური კლასიფიკაციის დროს.


წვრილმარცვლოვანი თიხისაგან. კეცი მცირე რაოდენობით შეიცავს ქვიშის წვრილ მარცვლებს. აღმოჩნდა მიცვალებულის ფეხებთან (ტაბ. XXV).

2. სადღვებელი (№ 16), შავი ზედაპირგაპრიალებული (III ჯგუფი, მე-3 ტიპი), სუსტად გამომწვარი (დაიშალა). ნაკეთებია მორგვზე, საკმაოდ მსხვილმარცვლოვანი თიხისაგან. კეცი აგურისფერია. აღმოჩნდა მიცვალებულის ფეხებთან.

3. თავხვია საკინძი (№ 18), ბრინჯაოსი, ოთხწახნაგაღეროიანი. აღმოჩნდა მიცვალებულის ყელთან.

მე-4 ქვისსამარხი მდებარეობდა მე-3 სამარხის W 0,5 მ მანძილზე (სურ. 1; ტაბ. II₁). მის ირგვლივ შემოწყობილი ქვების წრის ($d=5,0$ მ) W ნაწილში დატოვებული იყო 0,80 მ სივანის ცარიელი არე. სამარხი გადახურული იყო კირქვის 5 ფილით. რომლებსაც ირგვლივ შემოწყობილი ჰქონდა მოგრძო ფილაქვები, რაც სახურავს გეგმაში ოვალურს ხდიდა ($3,10 \times 2,60$ მ). ზემოდან მცირეოდენი რიყის ქვები ეყარა. სახურავი, წრესთან შედარებით, W ნაწილში 0,10 მ დაბლა მდებარეობდა, O ნაწილში კი — 0,20 მ მაღლა.

O—W დამხრობილ (უმნიშვნელოდ N გადახრილ), კირქვის ფილებით შეკრულ სამარხში ($1,50 \times 0,80 \times 0,75$ მ) მიცვალებული (ქალი) იწვა მარცხენა გვერდზე. ხელფეხმოკეცილად, თავით W. სახის წინ გაწვდილ, იდაყვებში მოხრილ ხელებში ჯამი ეკავა. მარჯვენა მხრის ძვალს აჩნდა მოტეხილობის კვალი (ტაბ. III₁). ინვენტარი (სურ. 3):



სურ. 3

1. ქოთანი (№ 19), მოყვითალო, ნაცრისფერლაქებიანი (II ჯგუფი, 1 ტიპი). ნაკეთებია მორგვზე, ფოროვანი, ქვიშანარევი თიხისაგან. აღმოჩნდა მიცვალებულის ფეხებთან.

2. ჯამი (№ 20), ნაცრისფერი, შავლაქებიანი, ზედაპირგაპრიალებული (I ჯგუფი, 5—გ ქვეტიპი). ნაკეთებია სამეთუნეო მორგვზე შედარებით წვრილმარცვლოვანი თიხისაგან, რომელშიც შერეულია ქვიშისა და ობსიდიანის წვრილი მარცვლები.

3. საყურე (№ 22) ბრინჯაოსი, თავებგახსნილი. აღმოჩნდა მიცვალებულის თავის ქალასთან.

4. თავხვია საკინძები (№ 23), ბრინჯაოსი, ოთხწახნაგაიანი, 4 ცალი. აღმოჩნდა მიცვალებულის ყელთან და გულმკერდის არეში.

5. მძივები (№ 21) სარდიონის, ნაპობი.

მე-5 ქვისსამარხი მდებარეობდა მე-4 სამარხის NW 0,40 მ მანძილზე (სურ. 1; ტაბ. II₁). მის ირგვლივ შემოწყობილი ქვების წრე ($d=3,5-4,0$) SW

ნაწილში 0,90 მ სიგანეზე იყო გახსნილი და ისეთი შთაბეჭდილება იქმნებოდა, თითქოს „შესასვლელით“ უკავშირდებოდა მე-6 სამარხის წრეს. მე-5 სამარხის წრის W ნაწილი დაზიანებული იყო მე-9 სამარხის მიერ.

სამარხი გადახურული იყო ორი ფილით (1,70×1,90 მ), რომელთაგან ერთი (სამხრეთით მდებარე) საერთოდ სცილდებოდა სამარხის ფარგლებს. სახურავი მდებარეობდა წრის დონიდან 0,40—0,50 მ სიღრმეზე. SWW—NOO დამხრობილ კირქვის ფილებით შეკრულ სამარხში (1,30×0,5×0,60 მ) მიცვალებული (ქალი) დასვენებული იყო მარცხენა გვერდზე. ხელფეხმოკეცილად, თავით NOO (ტაბ. III₂). ინვენტარი:

1. ხ ე ლ ა დ ა (№ 25), ლეგა მონაცრისფრო, არათანაბრად გამომწვარი. ზედაპირგაპრიანებული (I ჯგუფი, მე-3 ტიპი). ნაკეთებია მორგვზე; თისა ფოროვანია და მცირე რაოდენობით ურევია ქვიშისა და ობსიდიანის წვრილი მარცვლები. აღმოჩნდა მიცვალებულის მუხლებთან (ტაბ. XXI).


2. თ ა ვ ხ ვ ი ა ს ა კ ი ნ ძ ი (№ 27), ბრინჯაოსი, მრგვალღეროიანი. აღმოჩნდა მიცვალებულის თავის ქალასთან.

3. ს ა ყ უ რ ე ე ბ ი (№ 29, 30), ბრინჯაოსი, თავებგახსნილი, 2 ცალი. აღმოჩნდა მიცვალებულის თავის ქალასთან.

4. მ ძ ი ვ ი (№ 28), ბრინჯაოსი, დაბალცილინდრული. აღმოჩნდა მიცვალებულის ყელთან.

5. მ ძ ი ვ ე ბ ი (№ 26), სარდიონის, ნაპობი, 72 ცალი. აღმოჩნდა მიცვალებულის ყელთან.

მე-6 ქვისსამარხი მდებარეობდა მე-5 სამარხის SW (სურ. 1). მის ირგვლივ შემოწყობილი ქვების წრე (d=4,50 მ) NO ნაწილში იყო გახსნილი. 8 ფილაქვით გადახურულ სამარხის სახურავს გეგმაში ოვალური გარშემოხაზულობა პკონდა (2,15×1,70 მ). ზემოდან, 0,40 მ სისქის მიწის ფენის შემდეგ, რიყის ქვები ეყარა. ქვაყრილის ზედაპირი წრის დონეზე მდებარეობდა.



სურ. 4

მცირეოდენი გადახრით, W—O დამხრობილ კირქვის ფილებით შეკრულ სამარხში (1,45×0,55×0,60 მ) მიცვალებული ესვენა მარცხენა გვერდზე. ხელფეხმოკეცილად, თავით O. ინვენტარი (სურ. 4):


1. დერგი (№ 31), მოშავო-მოყავისფრო, ზედაპირგაპრიალებული, სუსტად გამომწვარი (III ჯგუფი, მე-2 ტიპი). ნაკეთებია მორგვზე საკმაოდ წვრილმარცვლოვანი თიხისაგან. კეცი აგურისფერია, შუაში შავი შრით. აღმოჩნდა მიცვალებულის ფეხებთან.

2. საკინძი (№ 33), ბრინჯაოსი, მრგვალოთავიანი. პატინაზე შეინიშნება საკმაოდ წმინდა ქსოვილის ანაბეჭდი. აღმოჩნდა მიცვალებულის ყელთან.

3. თავხვია საკინძები (№ 34), ბრინჯაოსი, ოთხწახნავიანი, 4 ცალი. აღმოჩნდა მიცვალებულის ყელთან და გულმკერდის არეში.

4. მძივები (№ 32), სარდიონის, მრგვალ-ბრტყელი და ნაპობი, 40 ცალი. აღმოჩნდა მიცვალებულის მარცხენა მაჯასთან.

მე-7 ქვისსამარხი მდებარეობდა მე-6 სამარხის SO 2,70 მ მანძილზე (სურ. 1: ტაბ. II₁). მის ირგვლივ შემოწყობილი ქვების წრის დ 4,50 მ უდრიდა. გეგმაში ოთხკუთხა მოყვანილობის კირქვის ფილების სახურავს (1,85×1,25 მ) შემოწყობილი ჰქონდა რიყის ქვები: ზემოდან 0,20 მ სისქის მიწის ფენის შემდეგ, რიყის ქვები ეყარა (1,00×0,40 მ). ქვაყრილი მდებარეობდა წრის დონეზე. SO—NW დამხრობილ კირქვის ფილებით შეკრულ სამარხში (1,55×0,75×0,80 მ) მიცვალებული (ქალი) ესვენა მარცხენა გვერდზე, ხელფეხმოკეცილად, თავით SO. ინვენტარი (სურ. 5):



სურ. 5

1. სადღვებელი (№ 35), ნაცრისფერი, მურა ლაქებით, ზედაპირგაპრიალებული (III ჯგუფი მე-3 ტიპი). ნაკეთებია მორგვზე, წვრილმარცვლოვანი, სილანარევი თიხისაგან. კეცი ნაცრისფერია. აღმოჩნდა მიცვალებულის ფეხებთან.

2. ჯამი (№ 36), ნაცრისფერი, არათანაბრად გამომწვარი (I ჯგუფი 5—ბ ქვეტიპი). ნაკეთებია მორგვზე, წვრილმარცვლოვანი თიხისაგან. აღმოჩნდა მიცვალებულის მუხლებთან.

3. თავხვია საკინძი (№ 37), ბრინჯაოსი, ოთხწახნავიანი. პატინით დაფარულ ზედაპირზე შეინიშნება წმინდა ქსოვილის ანაბეჭდი. აღმოჩნდა მიცვალებულის ყელთან.

4. მძივები (№ 38), სარდიონის, 23 ცალი; სფერული, შინდისებური და ნაპობი. აღმოჩნდა მიცვალებულის ყელთან.


მე-8 ორმოსამარხი აღმოსავლეთით ესაზღვრებოდა მე-7 სამარხს, ჩრდილოეთით — მეექვსეს (სურ. 1; ტაბ. II₁). სამარხის ირგვლივ შემოწყობილი ქვების წრის დიამეტრი საშუალოდ 4,50 მ უდრიდა. კირქვის ფილების სახურავს (2,70×1,90 მ), რომელიც სამარხში ჩაწოლილი დაგვხვდა, 0,30 მ სისქის მიწის ფენის შემდეგ, ქვაყრილი ფარავდა, რომელიც მდებარეობდა წრის დონეზე. SW—NO დამხრობილ ოვალურ ორმოში (1,50×0,80×0,90 მ) მიცვალებული (ქალი) ესვენა მარცხენა გვერდზე, ხელფეხმოკეცილად, თავით NO (ტაბ. IV₁). ინვენტარი (სურ. 6):

1. ქვაბ-ქოთანა (№ 39), ლეგანაკრისფერი, არათანაბრად გამომწვარი, ზედაპირგაპრიალეებული (II ჯგუფი მე-3 ტიპი). ნაკეთებია მორგვზე, საკმაოდ წვრილმარცვლოვანი თიხისაგან. იდგა მიცვალებულის ფეხებთან.


2. კოჭობი (№ 40), ლეგა, მორგვზე ნაკეთები მსხვილმარცვლოვანი თიხისაგან (I ჯგუფი, 4—ა ქვეტიპი). აღმოჩნდა მიცვალებულის მარჯვენა იდაყვის ქვეშ.

3. თავხვია საკინძი (№ 41), ბრინჯაოსი, მრგვალფეროიანი. აღმოჩნდა მიცვალებულის მარჯვენა ხელის მტევანთან.

მე-9 ორმოსამარხი მდებარეობდა მე-5 სამარხის W 1,30 მ მანძილზე (სურ. 1, ტაბ. II₁). გარეგნულად არ ემსგავსებოდა ზემოთ აღწერილ სამარხებს: გადახურული იყო ორი ფილაქით (2,10×1,80 მ), რომელთა ნაპირებს სამი მხრიდან რიყის ქვები შემოუყვებოდა (ტაბ. IV₂). აღნიშნული სამარხის მიერ დაზიანებული იყო მე-5 სამარხის წრე. O—W დამხრობილ ოთხკუთხა ორმოში (0,95×0,45×1,35 მ) ჩონჩხის ძვლები ცუდად შემოინახა. მის NW კუთხეში ბავშვის რამდენიმე სარძევე კბილი აღმოჩნდა. ინვენტარი (სურ. 7):



სურ. 6



სურ. 7

1. საწვივე რგოლები (№ 42) ბრინჯაოსი, 2 ცალი, ადგილმდებარეობის მიხედვით წვივის ძვლებზე უნდა ყოფილიყო გაკეთებული.

2. საყურე (№ 44) ბრინჯაოსი, თავებგახსნილი. აღმოჩნდა თავის ქალის არეში.


3. მძივები (№ 43) პასტისა, ცილინდრული, 15—შავია, 40—თეთრი. ერთი ნაპობი მძივი ვარდისფერი სარდიონისაა.

მე-10 ქვისსამარხი (კენოტაფი) მდებარეობდა მე-7 სამარხის S (სურ. 1; ტაბ. 11₁). მის ირგვლივ შემოწყობილი ქვების წრე ($d=4,60$ მ) SW ნაწილში 0,50 მ სიგანეზე იყო გახსნილი. სამარხი გადახურული იყო 3 ფილაქვით ($3,00 \times 2,10$ მ), რომლებსაც 0,30 მ მიწის ფენის შემდეგ რიყის ქვები ეყარა. ქვაყრილი მდებარეობდა წრის დონეზე. O—W (ოდნავ N გადახრით) დამხრობილ. კირქვის ფილებით კოხტად შეკრულ სამარხში ($1,30 \times 0,90 \times 0,85$) ჩონჩხი არ იყო. ქვაყრილსა და სახურავს შორის დაყრილ მიწის 0,50 მ სისქის ფენაში თიხის ორი ქურჭელი იყო ჩალეწილი. ინვენტარი (სურ. 8):

1. **ჯ ა მ ი** (№ 45), მოყავისფრო, არათანაბრად გამომწვარი (I ჯგუფი, 5—ბ ქვეტიპი). ნაკეთებია ხელით, ფოროვანი თიხისაგან. აღმოჩნდა სამარხის სახურავზე.

2. **დ ე რ გ ი** (№ 46), მუქი ნაცრისფერი, არათანაბრად გამომწვარი, ზედაპირგაპრიალებული (III ჯგუფი, 1—ა ქვეტიპი). ნაკეთებია მორგვზე წვრილმარცვლოვანი თიხისაგან. კეცი ნაცრისფერია. აღმოჩნდა სამარხის სახურავზე.

3. **თ ა ე ხ ვ ი ა ს ა კ ი ნ ძ ი** (№ 47), ბრინჯაოსი, ოთხწახნავიანი. აღმოჩნდა სამარხის SW კუთხეში.



მე 11 ქვისსამარხი მდებარეობდა მე-10 სამარხის აღმოსავლეთით (სურ. 1; ტაბ. 11₁). მის ირგვლივ შემოწყობილი წრე ($d=4,70$ მ) შედგებოდა რიყის ქვების რამდენიმე რიგისაგან. კირქვის ფილებისაგან შედგენილ, გეგმაში ოვალურ სახურავს რიყის მოზრდილი ქვები ჰქონდა შემოწყობილი ($2,60 \times 1,80$); ზემოდან მიწის 0,4 მ სისქის ფენის შემდეგ, ქვაყრილი ($d=1,00$ მ) ფარავდა, რომელიც წრის დონეზე მდებარეობდა. S—N დამხრობილ, კირქვის ფილებით შეკრულ სამარხში ($1,00 \times 0,70 \times 0,70$ მ) დასვენებული იყო ბავშვი, მარჯვენა გვერდზე, ხელფეხმოკეცილად, თავით N (ტაბ. V₁). სამარხის NO კუთხეში იდო ბურვაკის (რამდენიმე ინდივიდის) ფეხების ძვლების⁷ გროვა (№ 50). ინვენტარი (სურ. 9):



სურ. 8

1. **ჯ ა მ ი** (№ 49), მოყავისფრო, არათანაბრად გამომწვარი, ზედაპირგაპრიალებული (I ჯგუფი, 5-გ ქვეტიპი). ნაკეთებია ხელით, მსხვილმარცვლოვანი თიხისაგან. კეცი მოყავისფერია. აღმოჩნდა მიცვალებულის ხელებთან.


2. **დ ე რ გ ი** (№ 48), შავი, ღია ფერის ლაქებით, ზედაპირგაპრიალებული, არათანაბრად გამომწვარი (III ჯგუფი, 1—ა ქვეტიპი). ნაკეთებია მორგვზე წვრილმარცვლოვანი, ფოროვანი თიხისაგან. კეცი აგურისფერია. იდგა მიცვალებულის ფეხებთან.

3. **ს ა მ ა ჯ უ რ ი** (№ 51) ბრინჯაოსი, ბოლოებგადმოხვეული. მიცვალებულს ეკეთა მარცხენა ხელის მაჯაზე.

⁷ ოსტეოლოგიური მასალა განსაზღვრა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პალეოანთროპოლოგიის ინსტიტუტის უფროსმა მეცნიერმა თანაშრომელმა აბესალომ ვეკუამ.


4. მძივები (№ 52), ბრინჯაოსი, დაბალცილინდრული, 3 ცალი. აღმოჩნდა მიცვალებულის ყელთან.

5. მძივები (№ 53), სარდიონის, ნაპობი, 49 ცალი. დაფანტული იყო მიცვალებულის გულმკერდის და ყელის არეში.



სურ. 9

მე-12 ორსამარხი მდებარეობდა მე-11 სამარხის NO 0,50 მ მანძილზე (სურ. 1, ტაბ. II₁). მის ირგვლივ შემოვლებულ ქვების წყობას გეგმაში ოვალური მოყვანილობა ჰქონდა ($d=5,30 \times 4,40$ მ); დამხრობილი იყო S—N; გა-



სამარხი 12


0 5 20

სურ. 10

დახურული იყო 4 ფილაქვით; ზემოდან, მიწის 0,40 მ სისქის მიწის ფენის შემდეგ ქვაყრილი ფარავდა. NW—SO დამხრობილ ოვალურ ორმოში ($1,30 \times$

0,70×0,75 მ) მიცვალებული (ქალი) იწვა მარცხენა გვერდზე ძლიერ ხელფეხ-
მოკეცილად, თავით NW (სურ. 10). ინვენტარი (სურ. 11):

1. დერგი (№ 54), ღია ყავისფერი, კარვად გამომწვარი, ზედაპირგაპ-
რიალებული (III ჯგუფი, მე-2 ტიპი). ნაკეთებია მორგვზე შედარებით
მსხვილმარცვლოვანი თიხისაგან. კეცი მონაცრისფრო—მოყავისფროა. იდგა
მიცვალებულის ფეხებთან; ძირში ამოდებული ჰქონდა რიყის ქვები.



სურ. 11

2. ჯამი (№ 55) ღია წაბლისფერი, ზედაპირგაპრიალებული, სუსტად გა-
მომწვარი (I ჯგუფი, 5—ბ ქვეტიპი). ნაკეთებია მორგვზე მსხვილმარცვლოვანი
თიხისაგან. კეცი მოვარდისფრო—მოყავისფროა. იდგა მიცვალებულის ხელე-
ბთან.

3. ტოლჩა (№ 56), მოაგურისფრო, შავი ლაქებით (I ჯგუფი, 4—ა ქვე-
ტიპი). ნაკეთებია ხელით, ძალიან უხეშად, მსხვილმარცვლოვანი თიხისაგან.
კეცში შერეული აქვს ქვიშა და წვრილი კენჭები. იდგა მიცვალებულის სახის
წინ.

4. მძივები (№ 57) სარდიონის, ნაპობი, 52 ცალი. დაბნეული იყო მი-
ცვალებულის ყელის და გულმკერდის არეში.

მე-13 ქვისსამარხი მდებარეობდა თბილისის NW კუთხეში (სურ. 1; ტაბ.
II₁). გადახურვით (2,50×1,60 მ) ჰგავდა მეცხრე სამარხს. SW—NO დამხრო-
ბილ. კირქვის ფილებით შეკრულ სამარხში (1,35×0,80×0,70 მ) დასვენებული
ბავშვი იწვა მარცხენა გვერდზე, ხელფეხმოკეცილად, თავით NO. თავქვეშ ამო-
დებული ჰქონდა ქვა. სამარხის კედლის ძირში მწკრივად ეწყო რიყის 4 ქვა.
ინვენტარი:

1. დერგი (№ 58), ნაცრისფერი, არათანაბრად გამომწვარი (III ჯგუ-
ფი, მე-2 ქვეტიპი). ნაკეთებია მორგვზე წვრილმარცვლოვანი თიხისაგან. კე-
ცი ნაცრისფერია. იდგა მიცვალებულის ფეხებთან (ტაბ. XXX).

2, თავხვია საკინძეები (№ 61), ბრინჯაოსი, ოთხწახნაგიანი, 4 ცა-
ლი. ერთი საკინძი აღმოჩნდა მიცვალებულის კეფასთან. დანარჩენი 3 ყელის
არეში.

3. მძივები (№ 59), სარდიონის, 31 ცალი; სფერული, მრგვალ-ბრტყე-
ლი, დაბალცილინდრული და ნაპობი. აღმოჩნდა მიცვალებულის ყელთან და
გულმკერდთან.


4. მძივები (№ 60), პასტისა, ცილინდრული, 48 ცალი. ორი შავია, დანარჩენი თეთრი. აღმოჩნდა მიცვალებულის გულმკერდის არეში.

მე-14 ქვისსამარხი მდებარეობდა მე-5 სამარხის სამხრეთით (სურ. 1; ტაბ. II₁). მის ირგვლივ შემოწყობილი ქვების წრე ($d=3,50-4,00$ მ) დაზიანებული იყო IV, V და VI სამარხების მიერ (ტაბ. VI). მაშასადამე, მე-14 სამარხი მათზე აღრე აუგიათ. ხელუხლებელი იყო ქვების წრის მხოლოდ SSW ნაწილი. სამარხი გადახურული იყო კირქვის 2 ფილაქვით ($1,75 \times 0,9$ მ), რომელიც წრესთან შედარებით 0,5 მ სიღრმეზე მდებარეობდა. SW—NO დამხრობილ, კირქვის ფილებით შეკრულ სამარხში ($1,50 \times 0,60 \times 0,70$ მ) მიცვალებული (ქალი) იწვა მარცხენა გვერდზე, ხელფეხმოკეცილად, თავით NO. ინვენტარი:

1. ქვაბ-ქოთანა (№ 62), ნაცრისფერი, ზედაპირგაპრიალეებული (II ჯგუფი, მე-3 ტიპი). ნაკეთებია მორგვზე, საკმაოდ წვრილმარცვლოვანი თიხისაგან, რომელშიაც შერეულია ქვიშის და დაფხვნილი ობსიდიანის წვრილი მარცვლები. კეცი ნაცრისფერია. აღმოჩნდა მიცვალებულის ფეხებთან (ტაბ. XXVII).

2. მძივები (№ 63), სარდიონის, ნაპობი, 23 ცალი. აღმოჩნდა მიცვალებულის ყელთან.

მე-15 ორმოსამარხი მდებარეობდა მე-12 სამარხის SO 2,00 მ მანძილზე (სურ. 1; ტაბ. II₁, V₂). მის ირგვლივ შემოწყობილი წრე ($d=5,50$) ქვების ორი




სურ. 12

რივისაგან შედგებოდა. სამარხი გადახურული იყო კირქვის ორი დიდი ფილით ($3,50 \times 1,80$ მ), რომელთაც 0,45 მ სისქის მიწის ფენის შემდეგ რიყის ქვები ეყარა. O—W დამხრობილ ოთხკუთხა ორმოს ($1,90 \times 0,95 \times 0,90$ მ) ყოველკუთხეში თითო მოზრდილი ქვა იდო. მიცვალებული ესვენა მარცხენა გვერდზე, ხელფეხმოკეცილი, თავით W (სურ. 12). ინვენტარი (სურ. 13):

1. დერგო (№ 64), ლეგა, მურა ლაქებით, ზედაპირგაპრიალეებული, არათანაბრად გამოშფვარი, თხელკედლიანი (III ჯგუფი, 1—ა ქვეტიპი). ნაკე-
3. ნ. თუშიშვილი

თებია მორგვზე წვრილმარცვლოვანი, სილანარევი თიხისაგან. კეცი ნაცრისფერია. იღვა მიცვალებულის ფეხებთან. ძირში შედგმული ჰქონდა რამდენიმე ქვა.



სურ. 13

2. ჯამი (№ 65). შავი, ზედაპირგაპრიალებული (I გუფი, 5-გ ქვეტიპი). ნაკეთებია მორგვზე, საკმაოდ წვრილმარცვლოვანი, ქვიშანარევი თიხისაგან. კეცი შავია. იღვა მიცვალებულის კეფასთან.

38-ე სამარხი მდებარეობდა I გორასამარხის S 0,5 მ მანძილზე (ტაბ. VII₁). ჩრდილოეთიდან ფარგლავდა NO—N—NW მიმართული, რკალური მოყვანილობის ფართო ქვაფენილი (l=12,0 მ; სიგანე 2,00 მ). თვით სამარხი მდინარის მიერ იყო წალეკილი. რკალს შიგნით აღმოჩნდა:

1. ჯამის (№ 156) 4 ნატეხი, მუქი ნაცრისფერი, ზედაპირგაპრიალებული (I ჯგუფი, 5-ე ქვეტიპი). თიხა მსხვილმარცვლოვანია, კეცი — შავი.

2. ჯამის (№ 157) 3 ნატეხი, შავი, ზედაპირგაპრიალებული, სუსტად გამომწვარი (I ჯგუფი, 5—გ ქვეტიპი), მსხვილმარცვლოვანი თიხისა.

3. ჯამის (№ 158) 2 ნატეხი, მურა ფერის, ზედაპირგაპრიალებული, მსხვილმარცვლოვანი თიხისა (I ჯგუფი, 5—გ ქვეტიპი).

4. ქოთნის (№ 159) ნატეხი, შავპრიალა ზედაპირით, მსხვილმარცვლოვანი თიხისა.


5. თიხის სხვადასხვა ჭურჭლის ნატეხები (№ 160—163).

39-ე ორმოსამარხი მდებარეობდა I გორასამარხის ჩრდილოეთით 2,70 მ მანძილზე. იგი ჩრდილოეთიდან შემოფარგლული იყო ახალმთვარისებური მოყვანილობის რიყის ქვების ცალპირი წყობით (l=6,50 მ; სიგანე შუაში=1,30 მ; სიგანე ნაპირებში=0,30—0,40 მ). დასაკრძალავი ორმო, რომელიც გადახურული იყო კირქვის 5 ფილაქვით (1,8×1,80 მ), მოთავსებული იყო ახალმთვარისებური წყობის S 3,50 მ მანძილზე (ტაბ. VII₂). სახურავს ზემოდან მაწის 0,50 მ ფენის შემდეგ რიყის ქვები ეყარა (0,8×0,55 მ). ქვაყრილი მდებარეობდა ახალმთვარისებური წყობის დონეზე. NW—SO დამხრობილი ოვალურ ორმოში (1,60×0,90×0,80 მ) მიცვალებული (ქალი) ესვენა მარცხენა გვერდზე. ხელფეხმოკეცილად, თავით NW (ტაბ. XIII₁). ინვენტარი (სურ. 14):

1. ქოთანი (№ 164), შავი, ზედაპირგაპრიალებული, კარგად გამომწვარი (II ჯგუფი, მე-4 ტიპი). ნაკეთებია მორგვზე საკმაოდ წვრილმარცვლოვანი თიხისაგან. კეცი აგურისფერია შუაში მონაცრისფრო შრით. იღვა მიცვალებულის კეფასთან.

2. ქვაბ-ქოთანა (№ 165), შავი, ზედაპირგაპრიალებული, სუსტად გამომწვარი (II ჯგუფი, მე-2 ტიპი), ნაკეთებია მორგვზე მსხვილმარცვლოვანი ქვიშანარევი თიხისაგან. კეცი ნაცრისფერია. აღმოჩნდა მიცვალებულის თავის ქალასთან.

3. ჯ ა მ ი (№ 166), ზედაპირგაპრიალებული, სუსტად გამომწვარი (I ჯგუფი, 5—დ ქვეტიპი). ნაკეთებია მორგვზე შედარებით მსხვილმარცვლოვანი თიხისაგან, რომელსაც მცირე რაოდენობით შერეული აქვს ქვიშა და დაფხვნილი ობსიდიანი. კეცი ლეგა ფერისაა. აღმოჩნდა მიცვალებულის ხელებთან.



სურ. 14

4. სა დ ღ ვ ე ბ ლ ი ს (№ 167) ნატეხები, შავი, ზედაპირგაპრიალებული, მსხვილმარცვლოვანი, ქვიშანარევი თიხისა (III ჯგუფი, მე-3 ტიპი). კეცი შავია. აღმოჩნდა მიცვალებულის ფეხებთან.

5. თ ა ვ ხ ვ ი ა ს ა კ ი ნ ძ ე ე ბ ი (№ 169) ბრინჯაოსი, ოთხწახნაგოვანი, 4 ცალი. აღმოჩნდა მიცვალებულის გულმკერდის არეში.

6. მ ი ლ ა კ ი (№ 170) ბრინჯაოსი, აღმოჩნდა მიცვალებულის გულმკერდის არეში.

7. ხ ვ ი ა (№ 171) ბრინჯაოსი. აღმოჩნდა მიცვალებულის თავის ქალასთან.

8. ს ა მ ა ჯ უ რ ი ს (№ 168) ნატეხები, კალისა, მრგვალღეროიანი. აღმოჩნდა მიცვალებულის ქვედა ყბასთან.

9. ს ა კ ი დ ე ბ ი (№ 172—ა, ბ, გ) ანტიმონის, 3 ცალი. წარმოადგენენ აღმოსავლეთ ამიერკავკასიური ტიპის ცულის მინიატურულ გამოსახულებას.

10. მ ძ ი ვ ე ბ ი (№ 174) ანტიმონის, 4 ცალი.

11. მ ძ ი ვ ე ბ ი (№ 173) სარდიონის: სფერული, მრგვალ-ბრტყელი, ვაშლისებური, ცილინდრული, ბიკონუსური და ნაპობი — სულ 94 ცალი.

12. მ ძ ი ვ ე ბ ი (№ 175), თეთრი პასტის, ცილინდრული, 9 ცალი.

ყველა მძივი აღმოჩნდა მიცვალებულის გულმკერდის არეში.

39-ე სამარხის დასავლეთით 1,0 მანძილზე, საგანგებოდ შერჩეული რიყის მოვარდისფრო ქვებით მოვებული იყო ოთხკუთხა მოყვანილობის პატარა (0,80×0,60 მ) სამსხვერპლო(?) მოედანი (ტაბ. VIII₂).


მე-10 სამარხი. სამარხს პირობითად ვუწოდებთ, რადგანაც ნივთები ჯგუფად იყო თავმოყრილი მიწაში, 39-ე სამარხსა და მის ახალმოვარდისებურ ქვების წყობას შორის, ზედაპირიდან 0,80 მ სიღრმეზე. ესენია (სურ. 15):

1. სამაჯურები (№ 176), ბრინჯაოსი, ბრტყელი, 2 ცალი.

2. საყურეები (№ 177—178), ბრინჯაოსი 2 ცალი.

3. ქინძისთავი (№ 179), ბრინჯაოსი, ღეროვანხვრეტის.

4. ობსიდიანის ნატეხები (№ 181). ერთ მათგანს ეტყობა ხმარების კვალი.



სურ. 15

I გორასამარხი მდებარეობდა თბილისის სამხრეთ ნაწილში (სურ. 1; ტაბ. II₁). გეგმაში წრითული ქვაყრილი ($d=13,00$ მ) ფუძიდან ცენტრისაკენ თანდათან მალლდება ($h=1,10$ მ). ყრილის სამხრეთ სექტორში იყო სეგმენტური მოყვანილობის ქვებისაგან თავისუფალი არე ($l=3,56$ მ; სიგანე— $2,0$ მ). ზვინულიდან წვრილი ქვების ალაგების შემდეგ თვალნათლივ გამოისახა დიდი ქვებით შედგენილი ორი წრე. ერთი შემოუყვებოდა გორასამარხის ქვაყრილის ფუძეს ($d=13,0$); მეორე ($d=8,0$ მ), უფრო კარგად დაწყობილი, 50 ქვისაგან შედგენილი წრე, მოთავსებული იყო პირველის შიგნით. იგი ფუძის ირგვლივ შემოწყობილ წრესთან შედარებით 0,30 მ-ით მაღლა მდებარეობდა.

ზვინულის ქვეშ აღმოჩნდა სამი სამარხი: ორი — ცენტრალურ ნაწილში; მესამე კი მოთავსებული იყო კრომლევებს შორის, გორასამარხის SW ნაწილში (ტაბ. IX).

№ 1 ორმოსამარხი (ძირითადი) გადახურული იყო კირქვის ფილებით (ტაბ. IX), რომლებიც გადადებული იყო ორმოს ირგვლივ შემოყობულ რიყის ქვებზე ($3,50 \times 2,00$ მ). SO—NW დამხრობილ ოვალურ ორმოში ($2,00 \times 1,35 \times 1,00$ მ) დაკრძალული მიცვალებული იწვა მარცხენა გვერდზე, ხელფეხმოკეცილი, თავით SO. სამარხში სახურავის ჩაწოლის გამო ჩონჩხი და ინვენტარი ძლიერ დაზიანებული დაგვხვდა (ტაბ. X₁). პრეპარაციის პროცესში მცირეოდენი რაოდენობით გვხვდებოდა ნახშირის წვრილი ნატეხები. ინვენტარი (სურ. 16):

1. სადღვებელი (№ 183), შავი, ზედაპირგაპრიალებული, არათანაბრად გამომწვარი (III ჯგუფი, მე-3 ტიპი). ნაკეთებია მორგვზე მსხვილმარცვლოვანი თიხისაგან. კეცი ზოგან შავია, ზოგან — მოყავისფრო. აღმოჩნდა სამარხის SO ნაწილში.


2. ქვაბ-ქოთანა (№ 184), მუქი ნაცრისფერი, ზედაპირგაპრიალებული; შიგნიდან მოწაბლისფროა (II ჯგუფი, მე-2 ტიპი). ნაკეთებია მორგვზე შედა-

რებით წვრილმარცვლიანი თიხისაგან. კეცი აგურისფერია. აღმოჩნდა სადღვე-
ბელთან.

3. ფირფიტები (№ 185), ბრინჯაოსი, გაურკვეველი დანიშნულების,
2 ცალი. აღმოჩნდა სამარხის ზედა დონეზე, ჩონჩხის გამოჩენამდე.

4. ვარდულები (№ 186) ბრინჯაოსი, 2 ცალი; ერთი აღმოჩნდა სამარ-
ხის O ნაწილში, მეორე—W ნაწილში.

5. ობსიდიანის (№ 187) ორი ანატკეცი. აღმოჩნდა სამარხის O ნა-
წილში.



სურ. 16

№ 2 სამარხი. სამარხს პირობითად ვუწოდებთ, რადგანაც გარეგნულად
ჰგავდა მას: იგი უფრო სამსხვერპლოა. მდებარეობდა № 1 სამარხის W. გადა-
ხურული იყო კირქვის რამდენიმე ფილით, რომელთა ქვემოთ, 0,40 მ სიღრ-
მეზე, კამერა ქვებით იყო ამოვსებული. ქვაყრილის ქვეშ კი 0,20 მ სისქის
მიწის ფენა დაუყვებოდა. იატაკის დიდი ნაწილი ქვებით იყო მოგებული.
O—W დამსრობილ ამ ნაგებობაში (1,15×0,90×0,70 მ) ჩონჩხი არ აღმოჩე-
ნილა. საინტერესოა, რომ კამერის NW ნაწილში, მის ზედა დონეზე, უშუა-
ლოდ გადამხურავ ფილებს ქვემოთ თიხის 3 ჭურჭელი იდგა (ტაბ. X₂). ესე-
ნია (სურ. 17):


1. ბაღია (№ 188), მოვარდისფრო, ხელით ნაკეთები, სუსტად გამომ-
წვარი თიხისა. კეცი მოვარდისფერია (I ჯგუფი, მე-8 ტიპი).

2. ქოთანი (№ 189), შავი, ზედაპირგაპრიალეებული, თხელკედლიანი,
სუსტად გამომწვარი (დაიშალა). კეცი აგურისფერია (II ჯგუფი, მე-4 ტიპი).

3. ქოთანი (№ 190), პირმოყრილი, ღია წაბლისფერი, ზედაპირგაპრი-
ალეებული (II ჯგუფი, მე-5 ტიპი). ნაკეთებია მორგვე ქვიშანარევი თიხისა-
გან. კეცი ღია წაბლისფერია.

4. ობსიდიანის სამფერდა ლამელა (№ 191) და რამდენიმე ნა-
ტეხი.

№ 3 ქვისსამარხი მოთავსებული იყო კრომლესებს შორის, გორასამარხის
SSW ნაწილში (ტაბ. IX). ნაგები იყო კირქვის ფილაქვებით (0,80×0,60×
0,50 მ). S—N დამსრობილი კამერა სრულიად ცარიელი იყო.



სურ. 17


გორასამარხის ფუძის ირგვლივ შემოვლებულ ქვების წყობაში აღმოჩნდა ორმხრივ კონუსურად ამოღარული ბაზალტის ერთი კვერცხისებური ქვა (№ 192). როგორც ჩანს, მისი გახვრეტა ვერ დაუმთავრებიათ.

II თხრილი (სურ. 18; ტაბ. XI)

ქერმის მთის SW კალთის ძირში მშენებლებმა დააზიანეს რამდენიმე სამარხი. ამ ადგილას ექსპედიციამ 1963 წელს გამოიკვლია ორი (№ 1 და 2) სამარხი (ტაბ. XI₂), დანარჩენი 9 სამარხის (№ 16—24) შესწავლა 1964 წელს დასრულდა.


თხრილის სიგრძე O—W ღერძზე 18,0 მ უდრიდა, სიგანე —14,0 მეტრს. სამარხების სახურავის დონე მიწის ზედაპირიდან 0,30—0,70 მმ-ით განისაზღვრებოდა, რაც დამოკიდებული იყო იმაზე, თუ მთის ფერდობის რომელ ადგილას ლაგდებოდნენ ისინი: კალთის ზედა, შედარებით დაქანებულ ნაწილში — ზერელედ, ქვემოთ კი უფრო ღრმად.

პირველი ორმოსამარხი მდებარეობდა თხრილის NW ნაწილში (სურ. 18; ტაბ. XII₂). კირქვის 4 ფილით გადახურული (2,35×1,60 მ) ოვალური ორმო (1,70×1,15×0,85 მ) დამხრობილი იყო SW—NO ღერძზე. მიცვალებული



სურ. 18

(ქალი) იწვა მარცხენა გვერდზე, ხელფეხმოკეცილი, თავით SO. იატაკის N კუთხეში რიყის რამდენიმე ქვა იღო (ტაბ. XII₁). ინვენტარი (სურ. 19):



სურ. 19

1. დოქი (№1). მოშავო-მოყავისფრო, ზედაპირგაპრიალეებული (I ჯგუფი, 1 ტიპი). ნაკეთებია მორვზე, წვრილმარცვლოვანი თიხისაგან. კარგადაა გამომწვარი; კეცი აგურისფერია. აღმოჩნდა მიცვალებულის ფეხებთან.

2. ტოლჩა (№ 2), მოყვითალო, მურა ლაქებით, არათანაბრად გამომწვარი (I ჯგუფი, 4-ა ქვეტიპი). ნაკეთებია ხელით, საკმაოდ უხეშად, მსხვილმარცვლოვანი თიხისაგან. კეცი მოყვითალოა. აღმოჩნდა მიცვალებულის ზურგთან.

3. ჯამი (№ 3), ნაცრისფერი, მოყვითალო და მურა ლაქებით, არათანაბრად გამომწვარი, ზედაპირგაპრიალეებული (I ჯგუფი, 5-ა ქვეტიპი). ნაკეთებია ხელით ქვიშანარევი თიხისაგან. კეცი ღია ნაცრისფერია. აღმოჩნდა მიცვალებულის ხელეში.

4. თასი (№ 4), მუქი წაბლისფერი, სუსტად გამომწვარი, ზედაპირგაპრიალეებული (I ჯგუფი, მე-7 ტიპი). ნაკეთებია ხელით. წვრილმარცვლოვანი, ქვიშანარევი თიხისაგან. აღმოჩნდა მიცვალებულის კეფასთან.

5. ჭურჭლის (№ 8) ნატეხები, მოვარდისფრო, მსხვილმარცვლოვანი თიხისა. აღმოჩნდა სამარხის NO კუთხეში; ზედ ეწყო მსხვილფეხა რქოსანი საქონლის (ძროხის) ძვლები.

6. თავხვია საკინძები (№ 6), ბრინჯაოსი. ორი მრგვალღეროიანი, დანარჩენი ორი — ოთხწახნაგიანი. ყველა მათგანზე შეინიშნება ქსოვილის ანაბეჭდები. აღმოჩნდა მიცვალებულის კეფასთან და გულმკერდის არეში.


7. მძივეები (№ 5), სარდიონის, დაბალცილინდრული და ნაპობი, 157 ცალი. მძივების ერთი ნაწილი ასხმული იყო მსხვილ ძაფზე და სამაჯურებად ეკეთა მიცვალებულს ორივე მაჯაზე.

8. ობსიდიანის (№ 9) რამდენიმე ანატკეცი, ჩნდებოდა სამარხის სხვადასხვა დონეზე.

9. ძვლები (№ 7) მსხვილფეხა რქოსანი საქონლისა.

მე-2 ორმოსამარხი მდებარეობდა I სამარხის სამხრეთით 4 მ მანძილზე და აღნაგობით მასვე ემსგავსებოდა (ტაბ. XI₂). სახურავზე მიმობნეული იყო თიხის ჭურჭლის და ობსიდიანის ნატეხები.

SW—NO დამხრობილ ორმოში (1,30×0,85×0,85 მ), ცუდად შემორჩენილი ჩონჩხის მიხედვით, ზრდადაუსრულებელი მიცვალებული ესვენა მარცხენა გვერდზე, ხელფეხმოკეცილად, თავით NO. ინვენტარი (სურ. 20):



სურ. 20

1. ჯამი (№ 10), ნაცრისფერი, ზედაპირგაპრიალეებული I ჯგუფი, 5-ბ ქვეტიპი). ნაკეთებია მორგვზე წვრილმარცვლოვანი თიხისაგან. აღმოჩნდა მიცვალებულის თავის ქალასთან.

2. თავხვია საკინძები (№ 12, 13) ბრინჯაოსი, მრგვალღეროიანი, 2 ცალი. აღმოჩნდა მიცვალებულის გულმკერდის არეში.


3. მძივეები (№ 11), სარდიონის, ნაპობი, 16 ცალი. აღმოჩნდა მიცვალებულის გულმკერდის არეში.

4. ობსიდიანის (№ 14) კაჭრები და ანატკეც-ანამტვრევები, 14 ცალი. აღმოჩნდა სამარხის სახურავზე.


მე-2 ორმოსამარხის SW 3,5 მ მანძილზე, მიწის ზედაპირიდან 0,60 მ სიღრმეზე გამოვლენილ იქნა რკალისებური მოყვანილობის ქვების წყობა. იგი მიიმართებოდა S—NW ($l=7,0$ მ; საშუალო სიგანე—0,5 მ). შუა ნაწილში რკალი ოდნავ ფართოვდებოდა. აღნიშნული ქვების წყობის SW მოთავსებული იყო და ორი (№ 16 და 17) სამარხი (ტაბ. XII₂).

მე-16 ქვისსამარხი (სურ. 18; ტაბ. XI₁) დაზიანებული იყო: აკლდა სახურავი და NO და SO გვერდების კედლები, SW—NO დამხრობილ სამარხში ($0,85 \times 0,60 \times 0,50$ მ) ჩონჩხის შემორჩენილი ძვლების მიხედვით, ესვენა ბავშვი. ინვენტარი (სურ. 21).


1. ტოლჩა (№ 75), ნაცრისფერი, ზედაპირგაპრიალეებული (I ჯგუფი, 4—ბ ქვეტიპი). ნაკეთებია მორგვზე, მსხვილმარცვლოვანი ქვიშანარევი თიხისაგან. კეცი მუქი ნაცრისფერია. აღმოჩნდა სამარხის O კუთხეში.



2. ჯამის (№ 76) ნატეხი, მოწაბლისფრო, ზედაპირგაპრიალეებული, თხელკედლიანი (I ჯგუფი, 5—დ ქვეტიპი). ნაკეთებია მორგვზე საკმაოდ წვრილმარცვლოვანი თიხისაგან. კეცი მონაცრისფროა.



3. მძივები (№ 77) სარდიონის, ნაპობი, 93 ცალი. დაბნეული იყო სამარხის მთელ ფართობზე.



4. ეშვი (№ 78) გარეული ღორისა, გახვრეტილი. აქვე იყო წვრილფეხა საქონლის ძვლებიც.

მე-17 ქვისსამარხი (სურ. 18; ტაბ. XI₁, XII₂). ესეც დაზიანებული იყო. აკლდა სახურავი და S და O კედლების ფილაქვები. W—O (ოდნავ W გადახრით) დამხრობილ სამარხში ($1,15 \times 0,70 \times 0,45$ მ), ჩონჩხის შერჩენილი ძვლების მიხედვით, დაკრძალული ბავშვი იწვა მარჯვენა გვერდზე, ხელფეხმოკეცილად, თავით O. ინვენტარი:

1. საკიდი (№ 79; ტაბ. XXXI), ანტიმონის, აღმოჩნდა მიცვალებულის თავის ქალის ქვეშ.

2. მძივები (№ 80), 33 ცალი—ვარდისფერი სარდიონის, ნაპობი. 3 ცალი—მინისებური პასტის, მრგვალი-ბრტყელი.



მე-18 ქვისსამარხი. მდებარეობდა მე-16 სამარხის NNW 8 მ მანძილზე (სურ. 18; ტაბ. XI; XII₂). გეგმაში თითქმის კვადრატულ სამარხს ($0,85 \times 0,74 \times 0,50$ მ) სახურავი აკლდა. ჩრდილოეთიდან მას ზღუდავდა O—W მიმართული ქვაყრილი ($l=3,70$ მ; სიგანე=0,35—0,80 მ), რომელიც მდებარეობდა სამარხის ზედა ნაწილის დონეზე. ჩონჩხის შემორჩენილი ძვლების მიხედვით სამარხში დაკრძალული იყო ბავშვი. ინვენტარი:

1. ტოლჩა (№ 81), აგურისფერი, მურა ლაქებით, არათანაბრად გამომწვარი (I ჯგუფი, 4-ა ქვეტიპი). ნაკეთებია ხელით, საკმაოდ უხეშად, ქვიშანარევი თიხისაგან. კეცი აგურისფერია. აღმოჩნდა სამარხის SW კუთხეში.

2. ტოლჩა (№ 82), აგურისფერი, სუსტად გამომწვარი (I ჯგუფი, 4-ა ქვეტიპი). ნაკეთებია ხელით, მსხვილმარცვლოვანი, ქვიშანარევი თიხისაგან. კეცი ვარდისფერია. აღმოჩნდა სამარხის SW კუთხეში.

სურ. 21

მე-19 ქვისსამარხი მდებარეობდა მე-18 სამარხის O 0,7 მ მანძილზე. იგი ემიჯნებოდა მე-18 სამარხის ქვაყრილის O ნაპირს (სურ. 18; XI₁). გადახურული იყო კირქვის 8 ფილით (2,10×1,30 მ), რომელთაც ზემოდან, გარდიგარდმო ედო მეოთხე ფილაქვა. SW—NO დამხრობილ კირქვის ფილებით შეკრულ სამარხში (1,15×0,75×0,73 მ) მიცვალებული (ბავშვი) იწვა მარცხენა გვერდზე, ხელფეხმოკეცილად. თავის ქალას პირვანდელი მდგომარეობა შეცვლილი ჰქონდა — გადავორებული იყო ფეხებისაკენ. ინვენტარი (სურ. 22):







სურ. 22

1. საღღვებელი (№ 83), ნაცრისფერი, ზედაპირხაოიანი, კარგად გამოშვარი, თხელკედლიანი (III ჯგუფი, მე-3 ტიპი). ნაკეთებია მორგვზე ქვიშანარევ თიხისაგან. კეცი ნაცრისფერია. აღმოჩნდა მიცვალებულის ფეხებთან.

2. მძივები (№ 84); 2 ცალი — თეთრი პასტის ცილინდრული; 11 ცალი — მინისებური პასტის, ვარდისფერი და ყვითელი. აღმოჩნდა მიცვალებულის გულმკერდის არეში.

№ 20, 21, 22 და 23 სამარხები გადახურული იყო კირქვის ფილების ერთი მთლიანი სისტემით (ტაბ. XI₁) გადახურვას 3,80×1,10 მ ფართობი ეკავა.

მე-20 ქვისსამარხი მდებარეობდა მე-18 სამარხის S 1,6 მ მანძილზე. O—W დამხრობილ კირქვის ფილებით შეკრულ კამერაში (1,30×0,60×0,70 მ) მიცვალებული



სურ. 23

(მოზარდი) ესვენა მარჯვენა გვერდზე, ხელფეხმოკეცილად, თავით O (სურ. 18; ტაბ. XIII₁). ინვენტარი (სურ. 23):

1. სადღვებელი (№ 85), წაბლისფერი, ზედაპირგაპრიალებული (II ჯგუფი, მე-3 ტიპი). ნაკეთებია მორგვზე ქვიშანარევი თიხისაგან. კეცი ვარდისფერია. აღმოჩნდა მიცვალებულის ფეხებთან.


2. ჯამი (№ 86; ტაბ. XXV), ნაცრისფერი, შავი ლაქებით, ზედაპირგაპრიალებული (I ჯგუფი, 5-დ ქვეტიპი). ნაკეთებია მორგვზე მსხვილმარცვლოვანი თიხისაგან. აღმოჩნდა მიცვალებულის მენჯის ძვალთან.

3. სამაჯურები (№ 87; ტაბ. XXXII), ბრინჯაოსი, 3 ცალი. 2 სამაჯური, ადგილმდებარეობის მიხედვით, მიცვალებულს ეკეთა ხელებზე. მესამე წვივზე.

4. მძივები (№ 88), სარდიონის, ნაპობი, 111 ცალი. დაბნეული იყო სამარხის მთელ ფართობზე.

21-ე ქვისსამარხი მდებარეობდა მე-20 სამარხის SW 0,7 მანძილზე (სურ. 18). SO—NW დამხრობილ, კირქვის ფილებით შეკრულ, თითქმის კვადრატულ სამარხში (0,65×0,50×0,30 მ), ჩონჩხის ძვლებიდან შემორჩენილი იყო ბავშვის სარძევე კბილები. ინვენტარი:

1. ტოლჩა (№ 89), აგურისფერი, მურა ლაქებით (I ჯგუფი, 4-ა ქვეტიპი). ნაკეთებია ხელით, მსხვილმარცვლოვანი თიხისაგან. კეცი აგურისფერია. აღმოჩნდა სამარხის O კუთხეში.



სურ. 24.

22-ე ქვისსამარხი მდებარეობდა 21-ე სამარხის W 0,5 მ მანძილზე (სურ. 18). SO—NW დამხრობილ კირქვის ფილებით შეკრულ სამარხს თითქმის კვადრატული მოყვანილობა ჰქონდა (0,45×0,42×0,25). ჩონჩხის შემორჩენილი ძვლების მიხედვით სამარხში ბავშვი იყო დაკრძალული (სურ. 24). ინვენტარი:


1. ტოლჩა (№ 90), ნაცრისფერი, არათანაბრად გამომწვარი (I ჯგუფი, 4-ა ქვეტიპი). ნაკეთებია მორგვზე ქვიშანარევი თიხისაგან. აღმოჩნდა სამარხის S კუთხეში.

23-ე ორმოსამარხი მდებარეობდა 22-ე სამარხის W 0,5 მ მანძილზე (სურ. 18; ტაბ. XI₁). O—W დამხრობილ ოვალურ ორმოში (0,70×0,55×0,40 მ) მიცვალებული (ბავშვი) ესვენა მარცხენა გვერდზე, ხელფეხმოკეცილი, თავით W⁸. ინვენტარი:

1. ტოლჩა (№ 91), ნაცრისფერი, მურა ლაქებით, არათანაბრად გამომწვარი, სქელკედლიანი (I ჯგუფი, 4-ა ქვეტიპი). ნაკეთებია ხელით, მსხვილმარცვლოვანი თიხისაგან. კეცი შავი ფერისაა. აღმოჩნდა მიცვალებულის თავის ქალასთან.

განხილული სამარხების საერთო გადახურვის გამო, სავარაუდოა, რომ № 20, 21, 22 და 23 სამარხებში ერთდროულად დაუმარხავთ ბავშვები. შესაძლებელია, ისინი დაიღუპნენ რაიმე უბედური შემთხვევის გამო.

24-ე ორმოსამარხი მდებარეობდა მე-16 სამარხის O 6,00 მ მანძილზე (სურ. 18). გადახურული იყო კირქვის 3 ფილით. SW—NO დამხრობილ ოვალურ ორმოში (1,90×1,30×0,70 მ) ზრდადაუსრულებელი მიცვალებული ესვენა მარცხენა გვერდზე, ხელფეხმოკეცილი, თავით NO (ტაბ. XIV₁). ინვენტარი (სურ. 25):



სურ. 25

1. დერგი (№ 92), შავპრილა ზედაპირით, თხელკედლიანი (III ჯგუფი, 1-ა ქვეტიპი). ნაკეთებია მორგვზე წვრილმარცვლოვანი თიხისაგან. კეცი ვარდისფერია, შუაში შავი შრით. აღმოჩნდა მიცვალებულის ფეხებთან.

8 სამარხის ფიქსაცია არ მოხერხდა.

2. ტოლჩა (№ 93), წაბლისფერი, ზედაპირხაოიანი (I ჯგუფი, 4-ა ქვეტიპი). ნაკეთებია ხელით. კეცი ნაცრისფერია. აღმოჩნდა მიცვალებულის კალთასთან.

3. ჯამი (№ 94), ღია ნაცრისფერი, არათანაბრად გამომწვარი (I ჯგუფი, 5-ა ქვეტიპი). ნაკეთებია მორგვზე ქვიშანარევი თიხისაგან. კეცი ნაცრისფერია. აღმოჩნდა მიცვალებულის თავის ქალასთან.

4. თავხვია საკინძები (№ 95), ბრინჯაოსი, ოთხწახნაგიანი, 4 ცალი. აღმოჩნდა მიცვალებულის თავის ქალასთან.

5. მძივები (№ 96), სარდიონის. 227 ცალი: სფერული, მრგვალ-ბრტყელი, ცილინდრული და ნაპობი; 5 ცალი — ანტიმონის. აღმოჩნდა მიცვალებულის გულმკერდის არეში.

III თხრილი (ტაბ. XI; XIV₂)

1963 წლის არქეოლოგიური კამპანიის დროს, ლითოგრაფიული ქვის დამუშავებელი ქარხნის მთავარი საამქროს შენობის NW 30,0 მ მოშორებით, მადნისქალაში შემავალ საავტომობილო გზაზე, ბულდოზერმა შემთხვევით გამოავლინა ქვების წყობა. ამ ადგილას ექსპედიციამ ამოიღო N—S ღერძზე დამხრობილი თხრილი (22,0×4,0 მ) და გაწმინდა ქვაყრილის ნაწილი. იგი მდებარეობდა მიწის ზედაპირიდან 0,5 მ სიღრმეზე და მიიმართებოდა S—W ოდნავ W გადახრით. წყობის გამოვლენილი ნაწილის სიგრძე 16,3 მ უდრიდა. მისი დასავლეთი ნაპირი, ტეხილად მიმართულ აღმოსავლეთ ნაპირთან შედარებით, სწორი იყო. ამის გამო წყობის სიგანე 0,7—2,5 მ ფარგლებში მერყეობდა.

ქვების აღნიშნულ წყობას დასავლეთის მხრიდან 3,5 მ მანძილზე მეორე მსგავსი წყობა მისდევდა პარალელურად. მისი სიგანე 1,0—1,2 მ უდრიდა, ხოლო გამოვლენილი ნაწილის სიგრძე — 4,5 მ. აღნიშნული ქვაყრილის დანიშნულება ჩვენთვის გაურკვეველია. აქ მასალა არ აღმოჩენილა ქვების წყობის ალაგების შემდეგაც კი.

IV თხრილი (სურ. 26; ტაბ. I₁; XV)

გათხრები ჩატარდა 1964 წელს. IV თხრილი მდებარეობდა I თხრილის დასავლეთით 100 მ მანძილზე და სიგრძივ დამხრობილი იყო O—W ღერძზე (32,0 მ×22,0 მ). სამარხები მოქცეული იყო მიწის ზედაპირიდან 0,6—1,2 მ სიღრმეზე. გამონაკლისს წარმოადგენდა II გორასამარხი, რომლის უმაღლესი წერტილი 0,20 მ სცილდებოდა მიწის თანამედროვე ზედაპირს.


II გორასამარხი მდებარეობდა თხრილის W ნაწილში (სურ. 26; ტაბ. XV). ვეგმაში წრიული (d=12,0—13,0 მ) მოყვანილობის ქვების ზვინული ფუძიდან ცენტრისაკენ თანდათან მალღდებოდა; სიმაღლეთა სხვაობა 1,10 მ უდრიდა. გორასამარხს იმთავითვე ქვების წრე ჰქონდა შემოწყობილი, რომელმაც ჩვენამდე დაზიანებული სახით მოაღწია.

ქვაყრილის ქვეშ აღმოჩნდა სამარხი (№ 3), რომლის სახურავზე მოთავსებული იყო მასთან დაკავშირებული კიდევ ორი (№ 1 და № 2) სამარხი (ტაბ. XVI).

I ქვისსამარხი მდებარეობდა ძირითადი — № 3 სამარხის სახურავის სამხრეთ ნაწილზე (ტაბ. XVI). გადახურული იყო კირქვის რამდენიმე ფილით. SW—NO დამხრობილი თითქმის კვადრატული კამერის (0,60×0,50×0,25 მ)

კედლები თითო ფილაქვისაგან შედგებოდა. მასში ჩონჩხის არავითარი ნაშთი არ იყო.

სამარხის N კუთხეში იდგა ერთი პატარა, ღია ნაცრისფერი, ზედაპირგაპრიალეებული სადღვებელი (№ 205; სურ. 27). ნაკეთებია ხელით მსხვილმარცვლოვანი, ცუდად დამუშავებული თიხისაგან. კეცი წაბლისფერია (III ჯგუფი, მე-3 ტიპი).



სურ. 26

II სამარხი მდებარეობდა I სამარხის NW. გამოიყურებოდა შემდეგნაირად: ძირითადი სამარხის სახურავზე იყო ბრტყელი ქვა, რომელზედაც მიცვალებულნი იწვა ძლიერ მოხრილი, თავით SW. უშუალოდ ჩონჩხს რიყის ქვები ეყარა და გადახურული იყო კირქვის ერთი მომრგვალებული ფილით. სამარხის ფართობი $0,80 \times 0,60 \times 0,50$ მ შეადგენდა. ჩონჩხის ძვლები ქვებთან ერთად იყო არეული, თავის ქალა — დამსხვრეული: იქმნებოდა მიცვალებულის ჩაქოლვის სრული შთაბეჭდილება (ტაბ. XVI).

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ გორასამარხის ქვაყრილის S ნაწილში აღმოჩნდა ადამიანის ერთი თავის ქალა, რომელსაც არ ახლდა არავითარი ნივთი.


III ორმოსამარხი (ძირითადი) მდებარეობდა გორასამარხის ცენტრალურ ნაწილში (ტაბ. XVI). გადახურული იყო კირქვის ორი დიდი ფილაქვით ($1,80 \times 1,20$ მ), რომელზედაც მოთავსებული იყო შემოხსენებული I და II სამარხები. S—N დამხრობილ ოთხკუთხა ორმოში ($1,70 \times 1,25 \times 0,75$ მ) მიცვალებული (კაცი) იწვა მარჯვენა გვერდზე, ხელფეხმოკეცილი, თავით N (ტაბ. XVII₁). ინვენტარი (სურ. 27):

1. სადღვებელი (№ 193), ნაცრისფერი, მურა ლაქებით, ზედაპირგაპრიალეებული, კარგად გამომწვარი (III ჯგუფი, მე-3 ტიპი). ნაკეთებია მორგე-

ზე ქვიშანარევი თიხისაგან. კეცი ნაცრისფერია. აღმოჩნდა მიცვალებულის ფეხებთან.

2. ქოთანი (№ 194), პირმოყრილი, წაბლისფერი, ზედაპირგაპრიალებული (II ჯგუფი, მე-5 ტიპი). ნაკეთებია მორგვზე წვრილმარცვლოვანი თიხისაგან: კეცი წაბლისფერია. აღმოჩნდა მიცვალებულის ბარძაყის და წვივის ძვლებს შორის.

3. ქვაბ-ქოთანი (№ 195), შავი, ზედაპირგაპრიალებული, არათანაბრად გამომწვარი, თხელკედლიანი (II ჯგუფი, მე-2 ტიპი). ნაკეთებია მორგვზე წვრილმარცვლოვანი თიხისაგან. კეცი შავია. აღმოჩნდა მიცვალებულის კეფასთან.



სურ. 27

4. ტოლჩა (№ 196), წაბლისფერი, ზედაპირგაპრიალებული, სუსტად გამომწვარი (I ჯგუფი, 4-ა ქვეტიპი). ნაკეთებია ხელით ცუდად დამუშავებული თიხისაგან. კეცი წაბლისფერია. იღვა პირმოყრილი ქოთნის გვერდით.

5. ჯამი (№ 197), მოვარდისფრო, მურა ლაქებით, არათანაბრად გამომწვარი (I ჯგუფი, 5-ა ქვეტიპი). ნაკეთებია მორგვზე ქვიშანარევი თიხისაგან. კეცი მოვარდისფერია, შუაში ნაცრისფერი შრით. იღვა სადღვებელზე.

6. ჯამი (№ 198), შავი, ზედაპირგაპრიალებული, არათანაბრად გამომწვარი (I ჯგუფი, 5-დ ქვეტიპი). ნაკეთებია მორგვზე ქვიშანარევი თიხისაგან. კეცი შავია. აღმოჩნდა მიცვალებულის ხელებთან.

7. შუბისპირი (№ 199), ბრინჯაოსი, მასრაგახსნილი. აღმოჩნდა მიცვალებულის ხელებთან.

8. სატევი (№ 200), ბრინჯაოსი, ბრტყელი. აღმოჩნდა მიცვალებულის წელთან.


9. სატევარი (№ 201), ბრინჯაოსი, ბრტყელი. აღმოჩნდა მიცვალებულის წელთან.

10. ქინძისთავი (№ 202, 203), ბრინჯაოსი, ღეროგახვრეტული, სოკოსებურთავიანი, 2 ცალი. აღმოჩნდა მიცვალებულის გულმკერდის არეში.

11. ჩქიფი (№ 204), ბრინჯაოსი. აღმოჩნდა მიცვალებულის წელთან.

26-ე ორმოსამარხი მდებარეობდა II გორასამარხის აღმოსავლეთით. მის ირგვლივ შემოწყობილი ქვების წრე ($d=5.0$ მ) ესაზღვრებოდა გორასამარხის ქვაყრილს. წრის N ნაწილი რიყის ქვების რამდენიმე რიგისაგან იყო შედგენილი. აქ რკალი ფართოვდებოდა: S ნაწილში წრე 2,60 მ სიგანეზე იყო გახსნილი: გვერდში მას ნალისებური მოყვანილობა ჰქონდა (სურ., 26; ტაბ. XV). 26-ე სამარხის ქვების წრის მიერ დაზიანებული იყო 29-ე სამარხის ქვების წრე.

SW—NO დამხრობილი ოთხკუთხა ორმო ($1.85 \times 0.90 \times 0.85$ მ) გადახურული იყო კირქვის სამი ფილაქვით (2.00×1.10 მ; ტაბ. XVII₂). მიცვალებული (მამაკაცი) იწვა მარჯვენა გვერდზე, ძლიერ მოკეცილი, თავით NO. თავის ქალა დაზიანებული ჰქონდა. სამარხის S და N ნაწილში უსისტემოდ ეწყო რიყის რამდენიმე ქვა. მიცვალებულის ფეხებთან წვრილფეხა საქონლის (ცხვარიან თხა) რამდენიმე ნეკნი და ლულოვანი ძვალი (№ 105) აღმოჩნდა. ინვენტარი (სურ. 28):



სურ. 28

ნახული ძვლების მიხედვით, მიცვალებული დასაფლავებული იყო მარჯვენა გვერდზე, ხელფეხმოკეცილად, თავით NO. ინვენტარი (სურ. 29):

1. დერგე (№ 101), ნაცრისფერი, კარგად გამომწვარი, მორგვზე ნაკეთები შედარებით წვრილმარცვლოვანი თიხისაგან (III ჯგუფი, მე-2 ტიპი). კეცი ნაცრისფერია. იდგა მიცვალებულის ფეხებთან.

2. ჯამი (№ 102), ვარდისფერი, არათანაბრად გამომწვარი, ნაკლული (I ჯგუფი, 5-ე ქვეტიპი). ნაკეთებია მორგვზე ქვიშანარევი თიხისაგან. კეცი ვარდისფერია. იდგა მიცვალებულის ხელებთან.

3. ჩქიფი (№ 103), ბრინჯაოსი. აღმოჩნდა მიცვალებულის წელთან.


4. ქინძისთავი (№ 104), ბრინჯაოსი, მრგვალთავიანი. აღმოჩნდა მიცვალებულის თავის ქალასთან.

27-ე ორმოსამარხი მდებარეობდა 26-ე სამარხის SW 2,50 მ მანძილზე (სურ. 26; ტაბ. XV). SW—NO დამხრობილი ოთხკუთხა ორმო ($1.05 \times 0.70 \times 0.70$ მ) გადახურული იყო კირქვის ორი ფილით (1.35×0.80 მ). ჩონჩხის შემო-

1. ტოლჩა (№ 106), ნაცრისფერი, კარგად გამომწვარი (I ჯგუფი, 4-ბ ქვეტიპი). ნაკეთებია მორგვზე ქვიშანარევი თიხისაგან. კეცი აგურისფერია. აღმოჩნდა მიცვალებულის თავის ქალასთან.

2. ჯამი (№ 107), მოყვითალო, არათანაბრად გამომწვარი, ნაკლული (I ჯგუფი, 5-ე ქვეტიპი). ნაკეთებია მორგვზე შედარებით წვრილმარცვლოვანი, სილანარევი თიხისაგან. კეცი ნაცრისფერია. აღმოჩნდა თავის ქალასთან.

3. სატევარი (№ 108), ბრინჯაოსი, ბრტყელი. ადგილმდებარეობის მიხედვით მიცვალებულს წელზე ჰქონდა გაკეთებული.




სურ. 29

4. ქინძისთავი (№ 109), ბრინჯაოსი, მრგვალთავიანი. აღმოჩნდა სატევრის ქვეშ.

5. ქინძისთავი (№ 110), ბრინჯაოსი, ბრტყელთავიანი. იღო სატევარზე.

6. მძივები (№ 111), 44 ცალი — სარდიონის, ნაპობი, სფერული მრგვალ-ბრტყელი და დაბალცილინდრული; 6 ცალი — მწვანე მინისებური პასტის, სფერული; 1 ცალი — ცისფერი მინისებური პასტის, სფერული; 7 ცალი — მოწითალო მინის, სფერული და კასრისებური. მძივები აღმოჩნდა მიცვალებულის თავის ქალის არეში.

28-ე ორმოსამარხი მდებარეობდა 27-ე სამარხის აღმოსავლეთით 2,20 მ მანძილზე (სურ. 26; ტაბ. XV). გადახურული იყო კირქვის ორი ფილით, რომლებსაც მიწის თხელი ფენის შემდეგ 0,35 მ სისქის ქვაყრილი ედო. სახურავს (1,90×1,35 მ) სამი მხრიდან (გარდა S ნაწილისა) შემოწყობილი ჰქონდა რიყის მოზრდილი ქვები. SW—NO დამხრობილ ოვალურ ორმოში (1,40×0,85×1,10 მ) მიცვალებული დასვენებული იყო მარცხენა გვერდზე, ძლიერ ხელფეხმოკეცილად თავით NO. მუხლებთან ედო ერთი რიყის ქვა. ინვენტარი (სურ. 30):



სურ. 30

1. კოკა (№ 112), ნაცრისფერი, არათანაბრად გამომწვარი, შედამირგაპრიალებული, ნაკლული (1 ჯგუფი, მე-2 ტიპი). ნაკეთებია მორგვზე წვრილმარცვლოვანი, სილანარევი თიხისაგან. კეცი ვარდისფერია. აღმოჩნდა მიცვალებულის ფეხებთან.

2. ქინძის თავი (№ 113), ბრინჯაოსი, სოკოსებურთავიანი. აღმოჩნდა მიცვალებულის გულმკერდის არეში.

3. მძივები (№ 114): 60 ცალი სარდონის, — სფერული, მრგვალ-ბრტყელი, ცილინდრული; 5 ცალი — ანტიმონის, ნაპირებდაკეცილი. მძივები აღმოჩნდა მიცვალებულის ყელის და გულმკერდის არეში.

28-ე ქვისსამარხი მდებარეობდა 28-ე სამარხის აღმოსავლეთით 1,0 მ მანძილზე (სურ. 26). იგი გამოირჩეოდა პატარა ზომით (0,30 ×


0,25×0,18 მ). NNO—SSW დამხრობილი, კირქვის ფილებით შეკრული კამერა სრულიად ცარიელი იყო.

29-ე ორმოსამარხი მდებარეობდა 26-ე სამარხის აღმოსავლეთით. მის ირგვლივ შემოწყობილი წრის გარე და შიდა მხარე შედგენილი იყო დიდი ზომის ქვებით, რომელთა შორის დარჩენილი სივრცე ამოვსებული იყო შედარებით წვრილი ქვებით (სურ. 26; ტაბ. XV). წრის კედელი არათანაბარი სიგანისა იყო (0,80—1,60 მ.). მისი W ნაწილი დარღვეული იყო 26-ე სამარხის მიერ, ხოლო SO ნაწილი კი — 30-ე სამარხის მიერ. აღნიშნული გარემოებით დგინდება, რომ 29-ე სამარხი 26-ე და 30-ე სამარხებზე ადრეა აგებული.

ქვების წრის გარე და შიდა დიამეტრი NO—SW ღერძზე, შესაბამისად, 5,40 მ და 3,30 მ უდრიდა.

კირქვის ფილებით შედგენილ სამარხის სახურავს (2,20×1,20 მ) 0,40 მ სისქის მიწის ფენის შემდეგ რიყის ქვები ეყარა. S—W დამხრობილ ოთხკუთხედიან ორმოში (1,40×0,90×0,90 მ) ჩავარდნილმა სახურავმა ჩონჩხი ძლიერ დააზიანა. სამარხი უინვენტარო იყო.

30-ე ქვისსამარხი მდებარეობდა 29-ე სამარხის SO. უკვე აღინიშნა, რომ მის ირგვლივ შემოწყობილმა ქვების წრემ დააზიანა 29-ე სამარხის წრე. გარდა ამისა, იგი წრის O ნაწილით შეჭრილი იყო 31-ე სამარხის წრეში (სურ. 26: ტაბ. XV). მისი წრის საკმაოდ განიერი (2,10 მ აღწევდა) კედლის გარე ($d=8,50$ მ) და შიდა ($d=4,50$ მ) მხარე შედგენილია რიყის მოზრდილი ქვებით; მათ შორის მოქცეული სივრცე შედარებით წვრილი ქვებითაა ამოვსებული. S—W დამხრობილ კირქვის ფილებით შეკრულ სამარხში (1,50×0,90×0,90 მ) მიცვალებული დაუსვენებიათ ძლიერ ხელფეხმოკეცილი. სამარხის N ნაწილი 0,15 მ სიმაღლეზე გადატიხრული იყო რიყის 2 გრძელი ქვით, რომელთა სიგანე 0,17 მ აღწევდა. ეს ტიხარი გადებული იყო სამარხის O კედლიდან W კედლამდე. მიცვალებულის ძლიერ დაზიანებული თავის ქალა იყო ამ ტიხარსა და სამარხის NO კუთხეს შორის (ტაბ. XVIIII). ინვენტარი (სურ. 31):



სურ. 31

1. ო რ ყ უ რ ა დ ე რ გ ი (№ 115), მუქი ნაცრისფერი, ზედაპირგაპრიალებული (III ჯგუფი, მე-2 ტიპი). ნაკეთებია მორგვზე ქვიშანარევი თიხისაგან. კეცი ნაცრისფერია. აღმოჩნდა მიცვალებულის ფეხებთან.

2. ხ ე ლ ა დ ა (№ 116), ნაცრისფერი, მურა ლაქებით (I ჯგუფი; მე-3 ტიპი).


3. ჯ ა მ ი (№ 117), წაბლისფერი მურა ლაქებით, ზედაპირგაპრიალებული, სუსტად გამომწვარი (I ჯგუფი, 5-ბ ქვეტიპი), ნაკეთებია მორგვზე წვრილმარცვლოვანი თიხისაგან. კეცი აგურისფერია. აღმოჩნდა სამარხის NW კუთხეში.

4. ს ა ტ ე ვ ა რ ი (№ 118), ბრინჯაოსი, ბრტყელი. აღმოჩნდა მიცვალებულის წელთან.

5. ქ ი ნ ძ ი ს თ ა ვ ი (№ 119), ბრინჯაოსი, ბრტყელთავეიანი. იღო სატევარზე.

6. მ ი ლ ა კ ი (№ 120), ბრინჯაოსი. აღმოჩნდა სატევართან.

31-ე ორმოსამარხი მდებარეობდა 30-ე სამარხის NO. მის ირგვლივ შე-
მოწყობილი ქვების წრის SW ნაწილი, როგორც ითქვა, 30-ე სამარხმა დააზი-
ანა წრის გარე ($d=6,50$ მ) და შიდა მხარე შედგენილია რიყის დიდი ქვებით;
მათ შორის დარჩენილი სივრცე ამოვსებულია შედარებით წვრილი ქვებით
(სურ. 26; ტაბ. XV). წრის კედლის სიგანე $=1,0-1,5$ მ. სამარხი გადახურული
იყო კირქვის დიდი ფილით ($1,75 \times 1,00$ მ), რომელსაც $0,30$ მ სისქის მიწის
ფენის შემდეგ რიყის ქვები ეყარა. NO—NW დამხრობილ ოთხკუთხა ორმოში
($1,50 \times 0,80 \times 1,10$ მ) მიცვალებული (მამაკაცი) იწვა მარჯვენა გვერდზე, ხელ-
ფეხმოკეცილად, თავით NW (ტაბ. XVIII₂). ორმოს ძირზე N ნაწილში, რიყის
მოზრდილი ქვა იყო. ინვენტარი (სურ. 32):



სურ. 32

1. ო რ ყ უ რ ა დ ე რ გ ი (№ 121), ვარდისფერი, ნაკლული (III ჯგუფი, მე-2 ტიპი). ნაკეთებია მორგვზე. ცეცხლში მეორედ მოხვედრის შედეგად დე-
ფორმაცია განიცადა. აღმოჩნდა მიცვალებულის ფეხებთან.

2. ტ ო ლ ჩ ა (№ 122), მოვარდისფრო — მოწაბლისფრო, არათანაბრად გა-
მომწვარი, ზედაპირხაოიანი, ნაკლული (I ჯგუფი, 4-ა ქვეტიპი). ნაკეთებია ხე-
ლით შედარებით წვრილმარცვლოვანი სილანარევი თიხისაგან. კეცი ვარდის-
ფერია, შუაში შავი შრით. აღმოჩნდა მიცვალებულის კეფასთან.

3. ჯ ა მ ი (№ 123), ღია წაბლისფერი, არათანაბრად გამომწვარი, ზედაპირ-
ხაოიანი (I ჯგუფი, 5-ა ქვეტიპი). ნაკეთებია მორგვზე მსხვილმარცვლოვანი თი-
ხისაგან. კეცი ყავისფერია. აღმოჩნდა მიცვალებულის ხელის მტევანთან.


4. ს ა ტ ე ვ ა რ ი (№ 124), ბრინჯაოსი, აღმოჩნდა მიცვალებულის წელთან.

5. ქ ი ნ ძ ი ს თ ა ვ ი (№ 125), ბრინჯაოსი, მრგვალთავიანი. აღმოჩნდა მიც-
ვალებულის ხელებთან.

32-ე ქვისსამარხი მდებარეობდა II გორასამარხის NNO და თავისი ქვე-
ბის წრით ($d=5,50-6,0$ მ) ესაზღვრებოდა გორასამარხის ყრილს (სურ. 26;
ტაბ. XV). ქვების რამდენიმე რიგისაგან შედგენილი წრის კედლის სიგანე
 $1,0-1,5$ მ უდრიდა. კირქვის გადახურავ ფილებს რიყის ქვები ჰქონდა შემო-
წყობილი. SSW—NNO დამხრობილ, კირქვის ფილებით შეკრულ სამარხში

(1,45×0,80×0,055 მ) მიცვალებული (ქალი) დასვენებული იყო მარცხენა გვერდზე, ხელფეხმოკეცილად, თავით NNO (ტაბ. XIX₁). ინვენტარი (სურ 33):

1. ო რ ყ უ რ ა დ ე რ გ ი (№ 126), მოყვითალო, არათანაბრად გამომწვარი, ზედაპირგაპრიალელებული (III ჯგუფი, მე-2 ტიპი); ნაკეთებია მორგვზე მსხვილ-მარცვლოვანი თიხისაგან. კეცი ვარდისფერია. აღმოჩნდა მიცვალებულის ფეხებთან.



სურ. 33

2. ტ ო ლ ჩ ა (№ 127), მოყავისფრო, სუსტად გამომწვარი, ზედაპირხაოიანი, ნაკლული (I ჯგუფი, 4-ა ქვეტიპი). ნაკეთებია ხელით საკმაოდ უხეშად, მსხვილმარცვლოვანი, ქვიშანარევი თიხისაგან. კეცი ნაცრისფერია. იდგა დერვის გვერდით.

3. ჯ ა მ ი (№ 130), ნაცრისფერი, ზედაპირგაპრიალელებული (I ჯგუფი, 5-ა ქვეტიპი). ნაკეთებია მორგვზე მსხვილმარცვლოვანი თიხისაგან. კეცი ნაცრისფერია. იდგა ტოლჩის გვერდით.

4. ჯ ა მ ი (№ 129), ნაცრისფერი, მურა ლაქებით, ზედაპირხაოიანი (I ჯგუფი, 5-ა ქვეტიპი). ნაკეთებია მორგვზე მსხვილმარცვლოვანი, ქვიშანარევი თიხისაგან. იდგა მიცვალებულის სახის წინ.

5. ჯ ა მ ი (№ 128), შავპრიალა, სუსტად გამომწვარი (I ჯგუფი, 5-ე ქვეტიპი). ნაკეთებია მორგვზე წვრილმარცვლოვანი თიხისაგან. კეცი წაბლისფერია. იდგა მიცვალებულის ხელებთან.

6. თ ა ვ ხ ვ ი ა ს ა კ ი ნ ძ ე ბ ი (№ 131), ბრინჯაოსი, ოთხწახნაგა, 4 ცალი. აღმოჩნდა მიცვალებულის ყელთან და გულმკერდის არეში.

7. მ ძ ი ვ ე ბ ი (№ 132), სარდიონის, მრგვალ-ბრტყელი და ნაპობი, 5 ცალი. აღმოჩნდა მიცვალებულის თავის ქალის არეში.

33-ე ქვისსამარხი მდებარეობდა II გორასამარხის W (სურ. 26). მისი სახურავი ჩალეწილი იყო გორასამარხის ზვინულიდან გადმოგორებული ქვებით. კირქვის ფილების სახურავმა კი, თავის მხრივ, დააზიანა ჩონჩხი და ინვენტარიც. SW—NO დამხრობილ, კირქვის ფილებით შეკრულ სამარხში (1,45×0,70×0,90), შემორჩენილი ძვლების მიხედვით, მიცვალებული ესვენა მარცხენა გვერდზე, თავით NO. ინვენტარი:

1. ტოლია (№ 133), მოყავისფრო, არათანაბრად გამომწვარი, ზედაპირ-ხოიანი (I ჯგუფი, 4-ა ქვეტიპი). ნაკეთებია ხელით, საკმაოდ უხეშად, მსხვილ-მარცვლოვანი თიხისაგან კეცი ვარდისფერია. აღმოჩნდა სამარხის NO კედლის ძირში.

2. ჯამის (№ 134) ორი ნატეხი, ნაცრისფერი, სუსტად გამომწვარი (I ჯგუფი, 5-ა ქვეტიპი).

3. დერგის (№ 135) ნატეხები, ნაცრისფერი (III ჯგუფი, 1-ა ქვეტიპი).

4. თავხვია საკინძები (№ 136), ბრინჯაოსი, ოთხწახნაგა, 3 ცალი. აღმოჩნდა მიცვალებულის გულმკერდთან.

5. მძივეები (№ 147): 90 ცალი — სარდიონის, ნაპობი; 1 ცალი — თეთრი პასტის. მრგვალ-ბრტყელი. მძივეები გაფანტული იყო სამარხის მთელ ფართობზე.

34-ე ორმოსამარხი ერთგვარად უკავშირდება II გორასამარხს, რომელიც ქვაყრილის დასავლეთი ნაწილით ნაწილობრივ ფარავდა მას (სურ. 26). გადახურული იყო კირქვის ფილებით. SW—NO დამხრობილ ორმოს ($1,10 \times 0,75 \times 0,70$ მ) ჩრდილო კედლად კირქვის მოზრდილი ფილაქვა ჰქონდა გამოყენებული: როგორც ჩანს, მას უნდა დაეცვა კედელი ჩამოშლისაგან, რადგანაც ზედ აწებოდა გორასამარხის ყრილი. საფიქრებელია, რომ 34-ე სამარხი და II გორასამარხი ერთდროულად იყო აგებული. მიცვალებული (მამაკაცი) იწვა მარჯვენა გვერდზე, ძლიერ ხელფეხმოკეცილი, თავით NO. მას ინვენტარი არ ახლდა (ტაბ. XIX₂).

34-ე სამარხის NO 0,8 მ მანძილზე, გორასამარხის ყრილში 0,60 მ სიღრმეზე აღმოჩნდა, ადრე უკვე ხსენებული, ადამიანის ერთი თავის ქალა.

35-ე ქვისსამარხი (სურ. 26; ტაბ. XV) მდებარეობდა II გორასამარხის NO. მის ირგვლივ შემოწყობილი ქვების წრის შიდა და გარე მხარე შედგენილი იყო რიყის მოზრდილი ქვებით, რომელთა შორის დარჩენილი სივრცე შედარებით წვრილი ქვებით ამოუვსიათ. წრის გარე დიამეტრი S—N ხაზზე 6,50 მ უდრიდა, W—O ხაზზე — 7,30 მეტრს; შიდა დიამეტრი შესაბამისად 4,40 და 4,10 მეტრს, წრის კედლის არათანაბარი სივანე (0,90 2,10 მ) შეპირობებულია ამ უბანზე სამარხთა მჭიდრო განლაგებით: 35-ე სამარხის ქვების წრის მიერ დარღვეული იყო გორასამარხის ქვაყრილის NO ნაწილი; S ნაწილი კი შექრილი იყო 26-ე სამარხის ქვების წრეში. თავის მხრივ, 35-ე სამარხის წრის NW ნაწილი დაზიანებული იყო 32-ე სამარხის მიერ. აქედან ჩანს, რომ 35-ე სამარხი II გორასამარხსა და 26-ე ორმოსამარხზე გვიან აუგიათ; 32-ე სამარხი კი 35-ე სამარხის შემდეგ გაუმართავთ.


განსახილველი სამარხი გადახურული იყო კირქვის ფილებით, რომლებსაც რიყის ქვები ჰქონდა შემოწყობილი; ზემოდან 0,40 მ სისქის მიწის ფენის შემდეგ ქვები ეყარა. SSW—NNO დამხრობილ სამარხში ($1,20 \times 0,60 \times 0,85$) მიცვალებული (კაცი) იწვა მარჯვენა გვერდზე, ხელფეხმოკეცილად, თავით NNO. ინვენტარი (სურ. 34):

1. სადღვებელი (№ 138), მუქი ნაცრისფერი, ზედაპირხოიანი (III ჯგუფი მე-3 ტიპი). ნაკეთებია მორგვზე, ქვიშანარევი, ფოროვანი თიხისაგან. კეცი მურა ფერისაა. იღვა მიცვალებულის მუხლებთან.

2. ქოთანის (№ 139), მოვარდისფრო-მონაცრისფრო, ზედაპირგაპრიალე-ბული (II ჯგუფი, 1 ტიპი), ნაკეთებია მორგვზე შედარებით მსხვილმარცვ-

ლოვანი თიხისაგან. კეცი ვარდისფერია, შუაში მუქი ნაცრისფერი შრით. იღვა მიცვალებულის ზურგთან.

3. ქოთანი (№ 140), შავპრიალა, ნაკლული (II ჯგუფი, 1 ტიპი). ნაკეთებია მორგვზე. კეცში შეინიშნება დაფხვნილი ობსიდიანის და ქვიშის წვრილი მარცვლები. აღმოჩნდა მიცვალებულის ფეხებთან.



სურ. 34

4. ჯამი (№ 141), შავლევა, ზედაპირგაპრიალებული (I ჯგუფი, 5-ე ქვეტიპი). ნაკეთებია მორგვზე ქვიშანარევი თიხისაგან, კეცი ნაცრისფერია. აღმოჩნდა მიცვალებულის კეფასთან — იღვა ტოლჩაზე.

5. ტოლჩა (№ 142), მოყვითალო, არათანაბრად გამომწვარი, ზედაპირხაოიანი (I ჯგუფი, 4-ა ქვეტიპი). ნაკეთებია ხელით, საკმაოდ უხეშად, მსხვილმარცვლოვანი თიხისაგან, კეცი მოყვითალოა.

6. ლანგარი (№ 143), ნაცრისფერი, კარგად გამომწვარი (I ჯგუფი, მე-6 ტიპი). ნაკეთებია მორგვზე. თიხას ურევია დაფხვნილი ობსიდიანის და ქვიშის წვრილი მარცვლები. კეცი ნაცრისფერია. აღმოჩნდა მიცვალებულის ხელებთან.

7. ჯამი (№ 144), მუქი ნაცრისფერი, სუსტად გამომწვარი, ნაკლული (I ჯგუფი, 5-ა ქვეტიპი). ნაკეთებია მორგვზე, მსხვილმარცვლოვანი თიხისაგან. კეცი ნაცრისფერია, შუაში ვარდისფერი შრით. იღვა მიცვალებულის ზურგთან.

8. ჯამი (№ 145), შავპრიალა, სუსტად გამომწვარი (I ჯგუფი, 5-ა ქვეტიპი). ნაკეთებია მორგვზე, ქვიშანარევი თიხისაგან. კეცი მოვარდისფერია. აღმოჩნდა ლანგარის ქვეშ.

9. შუბისპირი (№ 146), ბრინჯაოსი, მასრაგახსნილი. აღმოჩნდა სამარხის S კედლის ძირში.

10. სატევარი (№ 147), ბრინჯაოსი. აღმოჩნდა მიცვალებულის მარცხენა ბარძაყის ძვალთან.



11. ქინძისთავი (№ 148), ბრტყელთავიანი. აღმოჩნდა მიცვალებულის ყელთან.

12. მძივეები (№ 149), სარდიონის, მრგვალ-ბრტყელი, 10 ცალი. აღმოჩნდა მიცვალებულის თავის ქალის არეში.

V თხრილი (ტაბ. I)

თხრილს (6,00×3,00 მ) დაზვერვითი ხასიათი ჰქონდა. იგი ამოღებულ იქნა 1964 წელს სამაროვნის გავრცელების დასაღგენად. მდებარეობდა მალაზიის შენობის ჩრდილოეთით 40,0 მ მანძილზე. აქ, მიწის ზედაპირიდან 0,50 მ სიღრმეზე ორი სამარხი აღმოჩნდა:

36-ე ქვისსამარხი გადახურული იყო კირქვის ფილებით. S—W (ოდნავ O გადახრილ) დამხრობილ სამარხში (0,90×0,60×0,60 მ), ცუდად დაცული ჩონჩხის მიხედვით, მიცვალებული იწვა მარცხენა გვერდზე, ხელფეხმოკეცილად, თავით N-ინვენტარი (სურ. 35):



სურ. 35

1. დერგი. (III ჯგუფი, 1-ა ქვეტიპი), სუსტად გამომწვარი (დაშლილი დაგვხვდა).

2. ჯამი (№ 150), შავპრიალა, სუსტად გამომწვარი (I ჯგუფი, 5-გ ქვეტიპი). ნაკეთებია მორგვზე, ქვიშანარევი თიხისაგან. კეცი მოწაბლისფროა. აღმოჩნდა მიცვალებულის კეფასთან.

3. სასაფეთქლერგოლები (№ 151), ბრინჯაოსი, 2 ცალი.

4. თავხვია საკინძი (№ 152), ბრინჯაოსი, ოთხწახნაგა. აღმოჩნდა მიცვალებულის ყელთან.

5. მძივეები (№ 153), სარდიონის, მრგვალ-ბრტყელი, ვაშლისებური, ბიკონუსური, ნაპობი — 11 ცალი. აღმოჩნდა მიცვალებულის ყელთან.


37-ე ორმოსამარხი მდებარეობდა 36-ე სამარხის N 1,20 მ მანძილზე. S—N დამხრობილი ორმო გადახურული იყო კირქვის ფილებით. ჩონჩხი ცუდად შემოინახა. სამარხის N ნაწილში მხოლოდ თავის ქალის ნაშთი შემორჩა. ინვენტარი:

1. მძივეები (№ 154) სარდიონის, 14 ცალი.
2. ობსიდიანის (№ 155) ორი ნატეხი.

VI თხრილი (ტაბ. I).

თხრილი (10,0×3,0 მ) ატარებდა სადაზვერვო ხასიათს. იგი ამოღებულ იქნა 1964 წელს ქარხნის ღირექციის შენობის NW 15,0 მ მანძილზე. მიწის ზედაპირიდან 1,0 მ სიღრმეზე აღმოჩნდა ერთი სამარხი:

25-ე ორმოსამარხი გადახურული იყო კირქვის სამი ფილით. SW—NO დამხრობილ ოვალურ ორმოში (1,50×0,85×0,70 მ) მიცვალებული (ქალი) იწვა მარცხენა გვერდზე, ძლიერ ხელფეხმოკეცილად, თავით NO. ინვენტარი (სურ. 36):



სურ. 36

1. დერგო (№ 98), შავპრიალა, სუსტად გამომწვარი (III ჯგუფი, 1-ბ ქვეტიპი). ნაკეთებია მორგვზე, ქვიშანარევი თიხისაგან. კეცი შავი ფერისაა. იდგა მიცვალებულის ფეხებთან.
2. ჯამი (№ 100), მოვარდისფრო, არათანაბრად გამომწვარი (I ჯგუფი, 5-ა ქვეტიპი). ნაკეთებია ხელით, ფოროვანი თიხისაგან. კეცი ვარდისფერია. იდგა მიცვალებულის ხელებთან.
3. ტოლჩა (№ 97), ვარდისფერი, მურა ლაქებით, არათანაბრად გამომწვარი (I ჯგუფი, 4-ა ქვეტიპი). ნაკეთებია მორგვზე საკმაოდ მსხვილმარცვლოვანი თიხისაგან. აღმოჩნდა მიცვალებულის მუხლებთან.
4. ტოლჩა (№ 99), მოვარდისფრო-მოწაბლისფრო, არათანაბრად გამომწვარი (I ჯგუფი, 4-ა ქვეტიპი). ნაკეთებია ხელით. ჩადგმული იყო № 97 ტოლჩაში.

შემთხვევით მოპოვებული მასალა

1963 წელს, ლითოგრაფიულ ქარხნის მშენებლობაზე მომუშავე ათისტავბა დ. ნუცუბიძემ, ექსპედიციას გადასცა თიხის რამდენიმე ჭურჭელი, რომელიც შემთხვევით აღმოაჩინა მადნისკალის ტერიტორიაზე. მისი გადმოცემით ეს მასალა სამარხული წარმოშობისაა.

1. ცალყურა ქოთანი (№ 66; ტაბ. XVII), შავლეგა (II ჯგუფი, მე-4 ტიპი). ნაკეთებია მორგვზე ქვიშანარევი თიხისაგან. კეცი ლეგა ფერისაა.
2. ჯამი (№ 67; ტაბ. XXV), შეპრილა (I ჯგუფი, 5-ა ქვეტიპი), ნაკეთებია მორგვზე ქვიშანარევი თიხისაგან. კეცი მუქი ნაცრისფერია.
3. დერგი (№ 68; ტაბ. XXIX), ღია ნაცრისფერი, არათანაბრად გამომწვარი, ზედაპირგაპრიალეებული (III ჯგუფი, 1-ბ ქვეტიპი), ნაკეთებია მორგვზე ქვიშანარევი თიხისაგან.
4. ორყურა ქვაბ-ქოთანი (№ 69; ტაბ. XXVII), ლეგა, მურა ლაქებით, ზედაპირგაპრიალეებული (II ჯგუფი, მე-3 ტიპი). ნაკეთებია მორგვზე წვრილმარცვლოვანი თიხისაგან. კეცი ლეგა ფერისაა.
5. ორყურა ქვაბ-ქოთანი (№ 70; ტაბ. XXVII), ღია ნაცრისფერი, ზედაპირგაპრიალეებული (II ჯგუფი მე-3 ტიპი). ნაკეთებია მორგვზე წვრილმარცვლოვანი თიხისაგან. კეცი ნაცრისფერია.
6. ჯამი (№ 71; ტაბ. XXIV), შეპრილა (I ჯგუფი, 5-ა ქვეტიპი). ნაკეთებია მორგვზე, ქვიშანარევი თიხისაგან. კეცი შავი ფერისაა.

თ ა ვ ი II

სამარხთა აღნაგობა და დაკრძალვის წესი

მადნისკალის სამაროვანი საინტერესო და თავისებური ძეგლია. იგი მნიშვნელოვანია იმით, რომ აქ ერთ ფენაში თავმოყრილია თითქმის თანაღროული და, რაც მთავარია, გაუძარცვავი — უმეტეს შემთხვევაში კარგად შემონახული რამდენიმე ტიპის სამარხი ნაგებობა.

ორმოსამარხები (10 სამარხია გათხრილი) მოყვანილობით ორი სახისაა: ერთი — გეგმაში კუთხეებმომრგვალებულ მოგრძო ოთხკუთხედს წარმოადგებს (№ 2, 9, 24, 25, 27; ტაბ. III₂, VIII₁, XVIII₂); მეორე — ოვალურია (№ 1, 23, 28, 34, 37; ტაბ. IV₁, XI, XII₁, XIV). ყველა ისინი იხურებოდა კირქვის ორიდან ოთხამდე ფილით. სამარხთა ერთ წყებას (№ 1, 2, 24, 25, 27, 37) ზემოდან მხოლოდ მიწის ყრილი ფარავდა; მეორეს (№ 9, 23, 28, 34), — 0,3—0,5 მ სისქის მიწის ფენის შემდეგ ჰქონდა ქვაყრილიც (ტაბ. II₁, IV₂, VIII₂, XI, XV, XX₂), რომლის დიამეტრი 1,5 მ არ აღემატებოდა. ჩვეულებრივ იგი იყო უფორმო (იმთავითვე დაზვიანული; დროთა განმავლობაში დეფორმაცია განიცადა), ხშირად წაგრძელებული და ყოველთვის არ სცილდებოდა სახურავის ფარგლებს.

ორმოს ზომა 1,1—1,9×0,7—1,5×0,7—1,35 მ უდრის; სახურავის ფართობისა კი 1,35—3,50×0,9—1,9 მეტრს.

ბავშვებისათვის განკუთვნილი ორმოსამარხები, ცხადია, შედარებით პატარებია (0,95—1,30×0,45—0,85×0,40—1,35 მ).

აღნიშნულ ორმოსამარხთა მსგავსი სამარხები საერთოდ დამახასიათებელია გვიანი ბრინჯაოს ხანისათვის (სამთავრო¹, კასპი², ნარეკვაი³, ხოვლე⁴,

1 ალ. კალანდაძე, სამარხთა აღნაგობა და დაკრძალვის წესი სამთავროს უძველეს სამაროვანზე. სადისერტაციო ნაშრომი, ხელნაწერი, თბ., 1947, გვ. 71—76.

2 მ. ბარამიძე, კასპის სამაროვანი. მასალები საქართველოს და კავკასიის არქეოლოგიისათვის, ტ. IV, თბ., 1965, გვ. 34.

3 ნ. ოქროპირიძე, ნარეკვის სამაროვანი, აკად. ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის ინსტიტუტის შრომები, ტ. VII, თბ., 1963, გვ. 292—292.

4 ტ. ჩუბინიშვილი, ო. დამბაშიძე, ხოვლეგორას სამაროვანი, ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის ინსტიტუტის წარმომცოდნეობისა და ისტორიული გეოგრაფიის განყოფილების II სამეცნიერო სესია, მოხსენებათა ანოტაციები, თბ., 1964, გვ. 14—15.

ქვასათალი⁵, ღრმა-ლეღე⁶, გულგულა⁷, წოფი⁸, ბეშთაშენი⁹ და სხვა). მაგრამ ზემოჩამოთვლილ ძეგლებზე, მკვლევართა აზრით, სამარხთა გადასახურავად ხის მასალა გამოყენებული¹⁰. მადნისქალაში კი ფილაქვები.

აღნიშნული მდგომარეობა შესაძლებელია გამოწვეული იმით, რომ მადნისქალაში ადგილზევეა წარმოდგენილი ამ ქვების გამოშვლებული უხვი ბუნებრივი გამოსავლები და, თანაც, ქანები ატმოსფერული ზემოქმედების შედეგად თხელ ფენებად ისეა დამსკდარ-დაბზარული, რომ მათი მოპოვება თითქმის არავითარ სიძნელეს არ წარმოადგენს. ამიტომ იქაური მოსახლეობისათვის სამარხთა გადასახურავად თითქმის გამზადებული ქვის ფილების გამოყენება უფრო ადვილი უნდა ყოფილიყო, ვიდრე ხის მასალის დამუშავება.

ქვემო ქართლში, ფილაქვებით გადახურული გვიანბრინჯაოს ხანის ორმოსამარხები დამოწმებულია თრიალეთში (ბაიბურთი, ბეშთაშენი)¹¹ და წოფში¹². საინტერესოა, რომ ბაიბურთის და ბეშთაშენის ზოგიერთი სამარხის მსგავსად¹³, მადნისქალაშიც (აქ ეს ეხება არა მარტო ორმოსამარხებს, არამედ ქვისსამარხებსაც) ზოგი მათგანი (№ 3, 4, 8, 19, 21) გადახურული იყო რამდენიმე ფილით, რომლებსაც ზემოდან, გარდიგარდმო ეღო კიდეც თითო ფილაქვა.

აღმოსავლეთ საქართველოში, გვიანბრინჯაოს ხანის ადრეული ეტაპის ქვისფილებიანი ორმოსამარხები ჯერჯერობით დამოწმებულია მხოლოდ ქვემო ქართლში. დასავლეთ საქართველოში უფრო გვიან ისინი გვხვდება ბრილის სამაროვანზე¹⁴.

მართალია, ქვის ფილებით გადახურული ორმოსამარხები შიდა ქართლიდანაც არის ცნობილი (სამთავრო¹⁵, კასპის № 10, 12, 17¹⁶, გოსტიბეს № 2¹⁷

⁵ თ. ჯ ა ფ ა რ ი ძ ე, მასალები გვიანბრინჯაოს ხანის არქეოლოგიისათვის შიდა ქართლიდან, მასალები საქართველოს მატერიალური კულტურის ისტორიისათვის, თბ., 1966, გვ. 13—14.

⁶ დ. ქ ო რ ი ძ ე, თბილისის არქეოლოგიური ძეგლები, თბ., 1953, გვ. 10.

⁷ კ. ფ ი ც ხ ე ლ ა უ რ ი, გვიანი ბრინჯაოს ხანის სამაროვანი სოფ. გულგულიდან, მასალები საქართველოს და კავკასიის არქეოლოგიისათვის, II, თბ., 1959, გვ. 140.

⁸ რ. ა ბ რ ა მ ი შ ვ ი ლ ი, წოფის სამაროვანი (1958 წ. გათხრების შედეგები), თბ., 1959, ხელნაწერი.

⁹ Б. А. Куфтин, Археологические раскопки в Триалети, I, თბ., 1941, გვ. 65—66.

¹⁰ გ. ნ ი ო რ ა ძ ე, „ზემოაქალის სამარე“, სსმმ, ტ. VI, თბ., 1931, გვ. 140—147; ალ. კ ა ლ ა ნ დ ა ძ ე, დასახ. ნაშრ., დ. ქ ო რ ი ძ ე, დასახ. ნაშრ., გვ. 112—114; მ. ბ ა რ ა მ ი ძ ე, შიდა ქართლი გვიანბრინჯაო — ადრერკინის ხანაში, სადისერტაციო ნაშრომი, ხელნაწერი, თბ., 1966, გვ. 104; ნ. თ ქ რ ო პ ი რ ი ძ ე, დასახ. ნაშრ., გვ. 191.

¹¹ Б. А. Куфтин, დასახ. ნაშრ., გვ. 75—76, ტაბ. LV.

¹² რ. ა ბ რ ა მ ი შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრ.; მისივე, წოფის სამაროვანი, საქართველოში 1958 წ. წარმოებული საველე-არქეოლოგიური კვლევა-ძიებისადმი მიძღვნილი სამეცნიერო სესია, მოხსენებათა თეზისები, თბ., 1959, გვ. 17—18.

¹³ Б. А. Куфтин, დასახ. ნაშრომი, გვ. 75—76.

¹⁴ გ. გ ო ბ ე ჯ ი შ ვ ი ლ ი, ბრილის სამაროვნის არქეოლოგიური გათხრების წინასწარი ანგარიშები, ხელნაწერი, ინახება არქეოლოგიის სექტორში.

¹⁵ გ. ლ ო მ თ ა თ ი ძ ე, მცხეთა-სამთავროს არქეოლოგიური ექსპედიციის ჩრდ. ჯგუფის 1940 წ. მუშაობის წინასწარი მოკლე ანგარიში, ხელნაწერი, თბ., 1943; ალ. კ ა ლ ა ნ დ ა ძ ე, დასახ. ნაშრ., გვ. 78—89; Г. А. Ломтатидзе, Археологические раскопки в Мухета, Тб., 1955, გვ. 48—53.

¹⁶ მ. ბ ა რ ა მ ი ძ ე, დასახ. ნაშრ., გვ. 104—106.

¹⁷ ტ. ჩ უ ბ ი ნ ი შ ვ ი ლ ი, გოსტიბეს ხეობის არქეოლოგიური ძეგლები, სსმმ, ტ. XVI—B, თბ., 1950, გვ. 17.

სამარხები), მაგრამ აქ ისინი გვიანბრინჯაოს ხანის ადრეულ ეტაპზე არ ჩანან.

ქვისფილებით გადახურვა სამთავროში პირველად შემოდის დაახლოებით ძვ. წ. XI—X სს-ში, ხოლო მოგვიანებით უფრო მეტად ვრცელდება¹⁸. მათ გამოჩენას ალ. კალანდაძე რკინის ხელსაწყო-იარაღების შემოდებას უკავშირებს¹⁹.

ანალოგიური სურათია კასპის სამაროვანზეც. აქ შესწავლილ 21 ორმოსამარხიდან, ფილაქვებით გადახურული იყო სამი²⁰. აქედან ორი — ადრეული რკინის ხანის მასალას შეიცავს²¹. მესამე, № 17 ორმოსამარხი, დათარიღებულია ძვ. წ. XIII—XII საუკუნეებით²². მაგრამ იმის მტკიცება, რომ ეს უკანასკნელი მაინცდამაინც აღნიშნულ საუკუნეებს განეკუთვნება, ჩვენი აზრით, ინვენტარის მიხედვით ძნელდება. აქ თიხის მხოლოდ 3 ჭურჭელია (2 ქოთანი და დერგი)²³, რომელთა ფორმები გვიანი ბრინჯაოს ხანის მთელ მანძილზე გვხვდება.

ქვემო ქართლში, შიდა ქართლისაგან განსხვავებით, ქვისფილებით დახურული ორმოსამარხები რკინის გამოჩენამდეც არსებობდნენ (ბაიბურთი, მადნისქალა და წოფის № 1, 3, 4, 5 სამარხები²⁴). აქედან გამომდინარე, სადღესოდ არსებული მასალების მიხედვით უნდა ვივარაუდოთ, რომ სამარხთა გადახურვის ეს წესი ქვემო ქართლში ადრევე გამოუყენებიათ, უფრო გვიან აქედან შიდა ქართლშიც შესულა და ფართოდ გავრცელდებულა.

ქვისსამარხები (11 სამარხი გაითხარა) ნაგებია კირქვის ბრტყელი ფილებით. როგორც წესი გეგმაში სწორკუთხა მოყვანილობა აქვთ (0,9—1,55 × 0,6—0,9 × 0,6—0,9 მ). გრძივი გვერდები მეტწილად შედგენილია ორიდან-ოთხამდე, განივი კი ერთი-ორი ფილით (ტაბ. III₁, V₁, VI, XIII, XVII₁, XIX₁), თუმცა ამ მხრივ გადახვევის მაგალითებიც არის. ერთმანეთზე გადასული გვერდების ნაპირები მყარად არ არის შეკრული, რის გამო, მიწის მოცილების შემდეგ, კედლები ადვილად გადაწვებოდა. შიგნით მათი გადაწოლის თავიდან ასაცილებლად თითოეული კედელი მიყრდნობილია მის მიმართ სწორი კუთხით მდგარ ერთ-ერთი კედლის ნაპირზე (ტაბ. XIII₂; სურ. 24). ზოგი სამარხის კედლებში ან კუთხეებში დარჩენილი ნაპრალები ამოვსებულია ნატეხი და რიყის ქვებით.

ქვისსამარხების კეთების დროს ითხრებოდა შესაფერისი ზომა-მოყვანილობის ორმო, რომელშიც, ხსენებული წესით იდგმებოდა სამარხი. ორმოსა და სამარხის კედლებს შორის დარჩენილი ადგილი ივსებოდა დატკეპნილი მიწით, რომელიც არ აძლევდა კედელს გარეთ გადაწოლის საშუალებას. მეტი სიმტკიცისათვის, ძირში, ზოგიერთ მათგანს, წოფის²⁵, შაითან-დაღის²⁶, ხორო-

¹⁸ ალ. კალანდაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 164; გ. ლომთათიძე, დასახ. ნაშრ.; დ. ქორიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 112.

¹⁹ ალ. კალანდაძე, დასახ. ნაშრ.; საქართველოს არქეოლოგია, გვ. 164.

²⁰ მ. ბარამიძე, კასპის სამაროვანი, გვ. 32—34; სამარხები № 10, 12, 17.

²¹ იქვე, გვ. 33.

²² იქვე, გვ. 64.

²³ იქვე, გვ. 34.

²⁴ რ. აბრამიშვილი, წოფის სამაროვანი.

²⁵ რ. აბრამიშვილი, დასახ. ნაშრომი.

²⁶ J. de Morgan, Mission scientifique au Caucase, t. I, Paris, 1889, გვ. 55, სურ. 7, 25.

ჩოის²⁷ და სხვა სამარხების მსგავსად, დამატებით კიდევ რამდენიმე ქვას უწყობდნენ.

ქვისსამარხების იატაკი მიწატკეპნილია, გადახურულია 2—4 ფილაქვით. ბავშვების სამარხები მცირე ზომისაა (0,45—1,35×0,42—0,80×0,25—0,70 მ). ზოგიერთი მათგანი გეგმაში თითქმის კვადრატულია (№ 18, 21, 22; ტაბ. XIII₂); ასეთ შემთხვევაში მათი გვერდები თითო ფილისაგან შედგება.

ქვისსამარხები ჩვეულებრივ მიწაყრილიანია (№ 19—22, 25, 36); ქვაყრილიანი მხოლოდ 33-ე სამარხი იყო. ისინი გადახურული იყო ორმოსამარხების მაგვარად, ამიტომ სახურავის ახდამდე, საველე მუშაობის დროს, წინასწარ შეუქმლებელი ხდებოდა სამარხთა ტიპის განსაზღვრა.

გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანაში, აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე ქვისსამარხები გავრცელებული ჩანს ქვემო ქართლში (ბეშთაშენი²⁸, წოფი²⁹, დმანისი³⁰, წინწყარო³¹, გუნიაყალა³²). ამ პერიოდის შიდა ქართლში მსგავსი სამარხები ძალიან იშვიათია. მხოლოდ სამთავროს სამაროვანზეა გათხრილი ამ ტიპის ორი სამარხი, რომელიც ტ. ჩუბინიშვილის მიერ შუაბრინჯაოდან გვიანბრინჯაოს ხანაზე გარდამავალი საფეხურითაა დათარიღებული³³.

გვიანბრინჯაოს ხანის ქვისსამარხები დასავლეთ საქართველოში ბრილის სამაროვანზე გამოვლინდა³⁴.

ჩრდილო კავკასიაში ისინი ცნობილია მისი ჩრდილო-აღმოსავლეთი ნაწილიდან (ბელგატოი³⁵, ღარგო³⁶, ხოროჩოი³⁷, ბუინაკსკაია³⁸, ნიენი ჯენგუტაი³⁹, ურმა⁴⁰, კაიაკენტი⁴¹, მამაი-კუტანი⁴², ბერკეი⁴³, მაჯალისი⁴⁴).

სადღეისოდ შესწავლილი ძეგლები გვიჩვენებენ, რომ აღნიშნულ ხანაში მიცვალებულთა ქვისსამარხებში დაკრძალვა ჩრდილო-აღმოსავლეთ კავკასიის გარდა, უმთავრესად სამხრეთ-აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში (გიუზალდარი⁴⁵,

27 А. П. Круглов, Северо-восточный Кавказ во II-I тысячелетиях до н. э., МИА, 1958, вып. 68, გვ. 132, სურ. 58₂.

28 Б. А. Куфтин, დასახ. ნაშრ., გვ. 65—66.

29 რ. აბრამიშვილი, დასახ. ნაშრ.

30 გ. ნიორაძე, დმანისის ნეკროპოლი და მისი ზოგიერთი თავისებურება, სსშ, XIV—V, თბ., 1947, გვ. 1—66.

31 Б. А. Куфтин, დასახ. ნაშრ., გვ. 56.

32 იქვე.

33 ტ. ჩუბინიშვილი, მცხეთის უძველესი არქეოლოგიური ძეგლები, თბ., 1947, გვ. 20—21, 44., სურ. 4, ტაბ. IX₂.

34 გ. გობეჯიშვილი, გვიანბრინჯაოს ხანის ძეგლები დასავლეთ საქართველოში, საქართველოს არქეოლოგია, თბ., 1959, გვ. 131.

35 А. П. Круглов, დასახ. ნაშრომი, გვ. 97.

36 იქვე, გვ. 100.

37 იქვე, გვ. 100—130.

38 იქვე, გვ. 140.

39 იქვე.

40 იქვე.

41 იქვე, გვ. 140—142.

42 იქვე, გვ. 42.

43 იქვე, გვ. 142—144.

44 იქვე, გვ. 144—146.

45 А. А. Ивановский, По Закавказью, МАК, VI, М., 1911, გვ. 26—27.

ქედაბეკ-ყალაქენდი⁴⁶, თაზაქენდი⁴⁷, გეხაროტი⁴⁸) და ირანის დასავლეთ ნაწილში ყოფილა გავრცელებული (ლურისტანი⁴⁹).

ქვისწრეებიანი სამარხები (ტაბ. II, III₂, V₂, XV). ქვისწრეებით შემოფარგლულია როგორც ქვისსამარხები (№ 4—7, 10, 11, 14, 30, 32, 35), ისე ორმოსამარხები (№ 8, 12, 15, 26, 29, 31). ამ ნიშნის გარდა ისინი რაიმე სხვა კონსტრუქციული სიახლით არ გამოირჩევიან. ზემოთ განხილული ორმოსამარხებისა და ქვისსამარხებისაგან მცირეოდენი განსხვავება შეინიშნება ზოგიერთი სამარხის გადახურვაში: სახურავის გარშემო დამატებით უწყობდნენ კიდევ რამდენიმე ფილას. ასეთ შემთხვევაში სახურავი ოვალურია, ან წრიული (№ 4, 6, 7, 10, 11, 30, 35; სურ. 1; ტაბ. XX₂). გარდა ამისა, ქვისწრეებიანი სამარხები უფრო კარგადაა ნაკეთები.

სამარხებზე დაზვინული ქვაყრილი ზოგჯერ თითქმის მთლიანად ავსებდა მის ირგვლივ შემოვლებულ წრეს (№ 12, 35; სურ. 1; ტაბ. II₁, XV). მეტწილად, ყრილს შედარებით მცირე ფართობი ეკავა და მასსა და წრეხაზს შორის დაყრილი იყო მიწა (№ 3, 6, 7, 8, 10, 11, 15, 28, 29, 31; სურ. 1; ტაბ. II₁, XV). სამარხების ერთი ნაწილი მიწაყრილიანია (№ 4, 5, 9, 13, 14, 26, 27, 30, 32).

ქვისწრეებიანი სამარხები იშვიათი მოვლენა არაა გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანაში. ასე მაგალითად, ბაიბურთში ქვისფილებით დახურულ ორმოსამარხებს გარს ეკვროდა 15—18 მ დიამეტრის მქონე ქვების წრე⁵⁰. ზემოთ საუბარი იყო სავსებით ასეთსავე სამარხებზე, რომლებიც ხადიკში გაითხარა. წოფის სამაროვანზე ამ ტიპის 5 ქვისსამარხი გაითხარა. მათი წრის დიამეტრი 3 მ უდრიდა⁵¹. სამთავროს სამაროვანზე ქვისწრეებით იფარგლებოდა ქვისსამარხებიც⁵² და ორმოსამარხებიც⁵³. აქ ისინი გავრცელებული იყო როგორც გვიანბრინჯაოს ხანის ადრეულ საფეხურზე⁵⁴, ისე რკინის გამოჩენისა და ფართო ათვისების ხანაშიაც⁵⁵.

46 იქვე, გვ. 85—150.

47 Л. А. Мартиросян, Армения в эпоху бронзы и раннего железа, Ер., 1964, გვ. 83.

48 იქვე, გვ. 89.

49 A. Godard, Les bronzes du Luristan, Ars Asiatica, XVII, Paris, 1931, გვ. 26.

50 Б. А. Куфтин, დასახ. ნაშრ., გვ. 75—76.

51 რ. აბრამიშვილი, დასახ. ნაშრომი.

52 ტ. ჩუბინიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 20—21, 44, სურ. 4, ტაბ. IX₂.

53 Г. А. Ломтатидзе, Археологические раскопки..., გვ. 48—53.

54 ტ. ჩუბინიშვილი, დასახ. ნაშრომი.

55 ალ. კალანდაძე, ა. ბოხოჩაძე, მცხეთა-სამთავროს 1959—1966 წლების არქეოლოგიური ექსპედიციის სავსე მუშაობის ანგარიშები, ხელნაწერი, ინახება არქეოლოგიის სექტორში.

ქვისწრეებიანი სამარხები, აღნიშნულს გარდა, გამოვლენილია სამხრეთ ოსეთში (სტირფაზი)⁵⁶, საგურამოში⁵⁷, სევანის ტბის მიდამოებში — სოფ. გიუ-ზალდარში⁵⁸ და ლქაშენთან⁵⁹, აგრეთვე ყოფ. ელიზავეტპოლის გუბერნიის⁶⁰, თაზაქენდის⁶¹, გეხაროტის⁶², ლურისტანის⁶³ და სხვა ძეგლებზე. მათ ვხვდებით დაღესტანში — ხოროჩოის⁶⁴ და გაგათლის⁶⁵ სამაროვნებზე.

როგორც ვხედავთ, მათი გავრცელების საზღვრები თითქმის ზუსტად ემთხვევა ზემოთ განხილული გვიანი ბრინჯაოს ხანის ადრეული საფეხურის ქვისსამარხების გავრცელების საზღვრებს.

მადნისქალის სამარხების ირგვლივ შემოწყობილ ქვის წრეებს სხვადასხვა ზომა-მოყვანილობა აქვთ: ქალების სამარხების წრე ქვების ერთი რიგისაგან შედგება; წრის დიამეტრი არ აღემატება 5,5 მეტრს (სურ. 1; ტაბ. II₁). მამაკაცთა სამარხების ერთი ნაწილიც ანალოგიურია (№ 26); უფრო ხშირად კი, წრის კედელი, ქვების რამდენიმე რიგისაგან შედგება (№ 29, 30, 31, 35; სურ. 26; ტაბ. XV). ზოგჯერ წრის ორივე ნაპირს დიდი ლოდები შემოუყვება; მათ შორის დარჩენილი სივრცე კი შედარებით წვრილი ქვებითაა ამოვსებული (№ 29—32, 35). ასეთი სამარხების წრის კედლის სიგანე 2 მ აღწევს, ხოლო დიამეტრი — 9 მ სცილდება. ჩვეულებრივ კი წრის კედელი 0,5—1,0 მ სიგანის ფარგლებში ექცევა.

ნაწილობრივ განსხვავებულია ბავშვების მე-9 და მე-13 სამარხები. აქ რიყის ქვები უშუალოდ სახურავი ფილების ირგვლივ ეწყობა (ტაბ. IV₂). ბავშვის მე-11 სამარხი კი სრულებით არ გამოირჩევა მოზრდილთა ქვისწრეებიან სამარხებისაგან (ტაბ. V₁).

ცალკე აღნიშნავთ ქვების წრეში მოთავსებულ მეათე ქვისსამარხს, რომელიც კენოტაფს წარმოადგენს. როგორც ადრე ითქვა, მასში ჩონჩხი საერთოდ არ იყო. მთელ ინვენტარს შეადგენს ბრინჯაოს ერთი თავხვია საკინძი. სამაგიეროდ, სახურავზე აღმოჩნდა იმთავითვე დამსხვრეული თიხის 2

56 სტირფაზში, ცარციატების კლდის მახლობლად. ბ. ტეხოვა 1963 წელს გათხარა 9 სამარხი. ყველას ქვების წრე შემოუყვებოდა. სამარხთა დიდი ნაწილი იყო ინდივიდუალური. მიცვალებულების გვამები ესვენა ხელფეხმოკეცილად, მარჯვენა ან მარცხენა გვერდზე. რამდენიმე სამარხში ორ-ორი მიცვალებული იყო. მე-5 სამარხი გამოდგა კოლექტიური, სადაც ერთმანეთში არეული იყო 10-ზე მეტი ჩონჩხი. გარდა ამისა, ერთ-ერთ სამარხს, მადნისქალის I გორასამარხის მსგავსად, 2 კრომლები შემოუყვებოდა. ბ. ტეხოვი სტირფაზის ამ სამაროვანს ძვ. წ. II და I ათასწლეულთა მიჯნის ახლო დროით ათარიღებს.

57 Е. Пчелкина, Отчет о раскопках нлиз деревни Сагурамо, სსშ, ტ. III, თბ., 1927, 130—132, სურ. 5, 8, 9. ე. პჩელინა, საგურამოს ორმოსამარხების ირგვლივ შემოწყობილ ქვების წრეებში, როგორც ჩანს, ფრ. ბაიერნის მცდარი შეხედულების ზეგავლენით, თითქოსდა სამარხების თავზე გაშენებულ, თაღოვანი გადახურვის საძირკველს ხედავდა. როგორც ცნობილია, ბაიერნის ეს კონცეფცია სამთავროში ჩატარებულმა შემდგომმა კვლევა-ძიებამ არ დაადასტურა.

58 А. А. Ивановский, По Закавказью, გვ. 26—27.

59 А. О. Мнацаканян, Лчашенские курганы, КСИМК, вып. 85, М., 1966, გვ. 60.

60 А. А. Ивановский, დასახ. ნაშრ., გვ. 165—170.

61 А. А. Мартиросян, დასახ. ნაშრ., გვ. 83, 93.

62 იქვე, გვ. 86—93.

63 А. Godard, დასახ. ნაშრომი, გვ. 28, ტაბ. VI.

64 А. П. Круглов, დასახ. ნაშრ., გვ. 54, 111—138.

65 იქვე, გვ. 55, 140.

ჭურჭელი, რომელიც იმხანად არსებული წესჩვეულების თანახმად, სათანადოდ შესრულებული რიტუალის ნარჩენები უნდა იყოს.

გაგრძელებული მოსაზრების თანახმად, ამგვარი სამარხები კეთდებოდა სხვადასხვა მიზეზით უცხოეთში დაღუპული გვარის წევრების „სულის“ მოსახმობად თუ მოსახსენებლად.

კენოტაფები გათხრილია სამთავროში⁶⁶, კასპში⁶⁷, არდასუბანში⁶⁸, მინგეჩაურში⁶⁹, ჩრდილო კავკასიაში (გატინ-კალეს სამაროვანი, პიატიგორსკის გორასამარხი)⁷⁰ და სხვა. კავკასიაში მოსახლე მთის ხალხებმა თითქმის უკანასკნელ ხანებამდე შემოინახეს ეს ადათი⁷¹.

ძელსამარხი. სამარხების შესახებ ჩვენი საუბარი არ იქნებოდა სრული, უყურადღებოდ რომ დაგვეტოვებინა მესამე სამარხის თავისებური აღნაგობა. ორმოში შემორჩენილი ნაშთებით გაირკვა, რომ იგი შიგნიდან ამოშენებული იყო თარაზულად ნაწყობი ხის ძელებით (ტაბ. II₂; სურ. 2). გეგმაში სწორკუთხა მოყვანილობის ეს ნაგებობა უთუოდ ამაგრებდა ორმოს კედლებს და იცავდა მას ჩამოშლა-ჩამონგრევისაგან.

ორმოსამარხებში ხის კონსტრუქციის გამოყენება ქვემო ქართლში სხვაგანაც შეინიშნება. ბეშთაშენის მე-40 ორმოსამარხის სამხრეთი ნაწილი, ბ. კუფტინის ჩანაწერების მიხედვით, მოგებული იყო გარდიგარდმო დაწყობილი ხის ძელებით⁷², რომლებზედაც თიხის ჭურჭელი ელაგა. აღნიშნული გარემოება გამორიცხავს სამარხში ძელების ზემოდან (ვთქვათ გადახურვისათვის საჭირო) ჩავარდნის შესაძლებლობას.

წოფის სამარხების ცენტრისაკენ ჩაწოლილ სახურავის ფილებს უფრო მცირე ფართობი ეკავა, ვიდრე ორმოს ნაპირებს. ამ ფაქტის მიხედვით, სამაროვნის გამთხრელს რ. აბრამიშვილს მიაჩნია, რომ თავდაპირველად ორმოს ნაპირებზე გადადებული იყო ხის ძელები, რომელთაც ზედ დაწყობილი ფილაქვები უნდა შეემაგრებინა⁷³. ძელების დაღობა, მისი აზრით, იწვევდა ფილების ორმოში ჩავარდნას, რადგანაც ამ უკანასკნელთ ქვემოდან გამოეცლებოდა საყრდენი⁷⁴.

66 საქართველოს არქეოლოგია, თბ., 1959, გვ. 165.

67 შ. ბარამიძე, კასპის სამაროვანი, გვ. 35.

68 ნ. თუშიშვილი, აღრეანტიკური ხანის სამარხები სოფ. არდასუბნიდან, ახალგაზრდა მეცნიერ მუშაკთა XIV სამეცნიერო კონფერენცია (მოხსენებათა შემოკლებული ტექსტები), თბ., 1969, გვ. 50.

69 Г. М. Асланов, Р. М. Вандов, Г. И. Ионе, Древний Мингечаур, Баку, 1959, გვ. 48—49.

70 В. И. Марковин, Культура племен Северного Кавказа в эпоху бронзы (II тысячелетие до н. э.), МИА, 93, М., 1960, გვ. 54, 143. სურ. 19.

71 ს. შაკალათია, მთიულეთი, თბ., 1930, გვ. 128; Б. Е. Деген-Ковалевский, Сванское селение как исторический источник, С. Э. 1936, № 4—5, გვ. 42—43; С. Гаджиева, К вопросу о тухуме и большой семье у каякентских кумыков, КСИЭ АН СССР, XIV, 1952, № 2, გვ. 126—127.

72 Б. А. Куфтин, Дневник работ Цалкинской археологической экспедиции отдела охраны памятников культуры управления по делам искусств при СНК Грузии, თბ., 1939, გვ. 33.

73 რ. აბრამიშვილი, დასახ. ნაშრომი.

74 იქვე.

აღნიშნული ვარაუდის გარდა, დასაშვებად მიგვაჩნია სხვა შესაძლებლობაც: მადნისქალის მესამე სამარხის მსგავსად, ორმოში ხის ნაგებობის არსებობა. ასეთ შემთხვევაში კამერა უფრო მცირე ფართობს დაიკავებდა და სახურავის ფილები მის ნაპირებს თავისუფლად გაწვდებოდა. რაც შეეხება ფილაქვების ცენტრისაკენ ჩაწოლას, ანალოგიურ მაგალითებს მადნისქალის არაერთ ორმოსამარხში და ქვისსამარხში წავაწყდით, მიუხედავად იმისა, რომ აქ სახურავი სცილდებოდა კიდეც სამარხის ნაპირებს. აღნიშნული გარემოება, რა თქმა უნდა, არ გამორიცხავს რ. აბრამიშვილის მიერ გამოთქმულ მოსაზრებას. მაგრამ, ამავე დროს, მადნისქალის ზემოხსენებული მაგალითებიდან ჩანს, რომ სახურავის ცენტრისაკენ ჩაწოლა შესაძლებელია იმ შემთხვევაშიც, როდესაც მისი ნაპირები უშუალოდ სამარხზეა ვადებული (ტაბ. XX₁).

სამარხთა მშენებლობისას ხის მასალას იყენებდნენ ჩრდილო კავკასიაში მოსახლე ტომებიც. ასეთი სამარხები დადასტურებულია ხოროჩოის სამაროვანზე, მაგრამ ხის ნაწილების დაღობის შედეგად აქაც ვერ მოხერხდა მათი სრული რეკონსტრუქცია: ფიქრობენ, რომ მათაც სწორკუთხა მოყვანილობა ჰქონდა⁷⁵.

მოტანილი მასალა გვაძლევს საფუძველს ზოგიერთ ორმოსამარხში იმთავითვე ხის კონსტრუქციის გამოყენება ვივარაუდოთ. ამგვარი სამარხი-ნაგებობების იშვიათი აღმოჩენები უნდა მივაწეროთ ხის სუსტ გამძლეობას. როგორც ცნობილია, ხანგრძლივი დროის განმავლობაში ხის შემონახვას ესაქიროება განსაკუთრებული პირობების შექმნა: განუწყვეტელი სისველე, ანდა იდეალური სიმშრალე, რაც ერთობ იშვიათად გვხვდება ბუნებაში.

იმის საილუსტრაციოდ, რომ სამარხების მშენებლობის დროს ხის მასალის გამოყენება ჩვენში ადრეც სცოდნიათ, დაგვეხმარება სამგორის ძვ. წ. III ათასწლეულის გორასამარხი, სადაც ქვაყრილის ქვეშ მოთავსებული იყო სწორკუთხა ფორმის ხის ძელური შენობა⁷⁶. ბედენის ადრებრინჯაოს ხანის გორასამარხში კი ბედნიერმა შემთხვევამ ხის უზარმაზარი ნაგებობა შემონახა⁷⁷. რადგანაც სამარხთა მოწყობისას ძელებს ადრეც იყენებდნენ, გვიანბრინჯაოს ხანაში მათი გამოყენება უკვე ბუნებრივად გამოიყურება⁷⁸. სავსებით ბუნებრივი იქნებოდა, თუ ძველადვე შემუშავებული ხით ხურობის წესები მემკვიდრეობით გადაეცემოდა მომდევნო თაობებს და ჩვენს დრომდე მოაღწევდა სათანადო ცვლილებებით.

მადნისქალის ორ — № 38 და 39 სამარხს, ნაცვლად ქვების სრული წრეებისა, შემოუყვებოდა ნახევარწრიული ქვაფენილი (ტაბ. VII₁) და ახალი მთვარისებური წყობა (ტაბ. VII₂).

75 А. П. Круглов, დასახ. ნაშრომი, გვ. 53, 120—125, 135, 136, 138, სურ. 38₁, 44, 45, 49, 64. სამარხები № 25, 26, 28, 29, 44 და 48.

76 საქართველოს არქეოლოგია, გვ. 92.

77 გ. გობეჯიშვილი, ბედენის აკლდამა, ძეგლის მეგობარი, № 12, თბ., 1967, გვ. 13—22.

78 ინტერესმოკლებული არაა, რომ ძელებით ნაგები სამარხები რუსეთის ტერიტორიაზე (მდ. ვოლგის, დონის და დნებრის აუზებში) იმდენად ფართოდ იყო გავრცელებული, რომ სპეციალურ ლიტერატურაში მას „срубная“ (ძვ. სამარხების) კატორა წოდეს. იხ. В. А. Городцов, Результаты археологических исследований в Изюменском уезде, харьковской губернии 1901 года, Труды двенадцатого археологического съезда в Харькове 1902 г., т. I, М., 1905, стр. 200—202, табл. X; А. П. Круглов, დასახ. ნაშრ., გვ. 52; А. В. Арциховский, Основы археологии, М., 1955, 76.

ქვების ერთი საერთო ვიწრო რკალით ჩრდილო-აღმოსავლეთიდან შემოზღუდული იყო მე-16 და მე-17 სამარხებიც (ტაბ. XII₂).

როგორც დავინახეთ, მადნისქალის სამარხების ერთ ნაწილს ახასიათებდა კამერის გარშემო, ან მის ერთ რომელიმე მხარეს განლაგებული ქვების გარკვეული წყობა — დისკოსებური, წრიული, რკალური, ან ახალმთვარისებური.

სამარხთა კეთების ამგვარი წესი შეიძლება იყოს გვიანბრინჯაოს ხანაში იქ მოსახლე ტომების იდეოლოგიის ანარეკლი და ბუნების ძალთა, კერძოდ, ციურ ღვთაებათა თაყვანისცემას უნდა უკავშირდებოდეს. ასეთ შემთხვევაში მადნისქალის სამაროვანზე გამოვლენილ ქვის რკალებში უნდა დავინახოთ ასტრალური სიმბოლოები და იმდროინდელი რწმენის კონკრეტული გამოვლინებანი (მზე, მთვარე და ვარსკვლავები)⁷⁹.

ეს ვარაუდი შეიძლება შემაგრებულ იქნას შედარებით მოგვიანო ხანის ისტორიული ცნობითაც. მაგალითად, სტრაბონი აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში მოსახლე ალბანთა რელიგიის აღწერისას ამბობს: „ღმერთებად აღიარებენ მზეს, ზევსსა და მთვარეს, გამორჩევით — მთვარეს. მისი სალოცავი არის იბერიის მახლობლად“⁸⁰.

აქ თუმცა საუბარია ალბანთა ტომზე, მაგრამ სავარაუდოა, რომ მნათობთა კულტი აღმოსავლეთ საქართველოს მოსახლეობაშიაც ყოფილიყო გავრცელებული.

⁷⁹ ციურ ღვთაებათა თაყვანისცემის საკითხს არაერთი მეცნიერი შეეხო. ეს კულტი ფართოდ იყო გავრცელებული როგორც საქართველოს მიწა-წყალზე მოსახლე ტომებში, ისე მსოფლიოს ბევრ ხალხებში. დროის მიხედვით იგი მოიცავს კაცობრიობის ისტორიის ძალიან ფართო მონაკვეთს, მათ შორის ბრინჯაოს ხანასაც. აღნიშნული საკითხის ირგვლივ დაწვრილებით იხ.: Фр. Ратцель, Народоведение, I, СПб, 1900, გვ. 464—465; მისივე, Народоведение, II, СПб, 1911, გვ. 43; Эд. Тейлор, Первобытная культура, т. I и II, СПб, 1897; Гордон Чайлд, Древнейший Восток в свете новых раскопок, М., 1956, გვ. 209; Дж. Пендлბერი, Археология Крита, М., 1957, გვ. 157; Л. Вулли, Ур Халдеев, М., 1961, გვ. 16—238; А. А. Нейхард, Происхождение креста, М., 1956, გვ. 5; В. И. Авдиев, История древнего Востока, М., 1953, გვ. 103—106; Б. Б. Пиотровский, Искусство Урарту VIII—VI вв. до н. э., Л., 1962, გვ. 82; მისივე, Ванское царство, М., 1959, გვ. 224; К. Ф. Смирнов, Работа первого Нижневолжского отряда Сталинградской экспедиции, КСИМК, 55, М., 1954, გვ. 68; А. П. Круглов, დასახ. ნაშრ., გვ. 83—85; Б. Е. Деген, Курганы в Кабаринском парке..., 263—265; В. И. Маркович, დასახ. ნაშრ., გვ. 44—46, 148; С. А. Есаян, Амулеты связаны с культом Солнца из Армении, СА, № 2, М., 1968, გვ. 255—260; В. В. Бардавелидзе, Древнейшие религиозные верования и обрядовое графическое искусство грузинских племен, Тб., 1957; Э. Церен, Библейские холмы, М., 1966; გ. ნიორაძე, დმანისის ნეკროპოლი..., გვ. 11—12; მისივე, ზემოაქალის სამარე, გვ. 156,—187; გ. გობეჯიშვილი, არქეოლოგიური გათხრები საბჭოთა საქართველოში, თბ., 1952, გვ. 59—60, 81; საქართველოს არქეოლოგია, თბ., 1959, გვ. 187; რ. აბრამიშვილი, 1960 წ. ლავოღების რაიონში არქეოლოგიური გათხრების წინასწარი ანგარიში, საქართველოში 1960 წ. ჩატარებული არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგები, თბ., 1961, გვ. 29; ნ. რეხვიაშვილი, სალოცავი „მზიერი“ (გიუნე), სსშ, XXIV—B, თბ., 1963; ვ. ბარდაველიძე, ქართველთა უძველესი სარწმუნოების ისტორიიდან (ღვთაება ბარბარ-ზაზარ), თბ., 1941; J. Déchelette, Manuel d'archéologie préhistorique celtique et gallo-romaine, II, Paris, 1910 და სხვ.

⁸⁰ თ. ყაუხჩიშვილი, სტრაბონის გეოგრაფია. ცნობები საქართველოს შესახებ, თბ., 1957, წიგნი XI, თავი IV, 7, გვ. 134.

ბული, მით უფრო, რომ ამის დამადასტურებელ საბუთებს უხვად ვნახავთ ივ. ჯავახიშვილის ნაკვლეფებში⁸¹.

აღრე უკვე აღვნიშნეთ, რომ ქვისწრეებიანი სამარხები მთლიანად იმეორებენ ჩვეულებრივი სამარხების აგებულებას. ამიტომ მადნისქალაში ტიპობრივად განსხვავებული სამი სახის სამარხი უნდა გამოვარჩიოთ: 1. ორმოსამარხი, 2. ქვისსამარხი და 3. ძელსამარხი.

პირველი და მეორე ტიპის ქვისწრეებიანი სამარხები ამავე სახის ჩვეულებრივ სამარხებზე კარგადაა ნაკეთები. ისინი გამოირჩევიან არა აღნაგობით, არამედ გარეგნული შეხედულებით.

ხოროჩოის სამაროვნის № 40 ქვისწრიან სამარხზე მიღებული იყო ორი (№ 33 და 38) ქვისსამარხი, რომლებსაც წრე არ ეკვროდა. ცენტრალურ სამარხში ესვენა მამაკაცი, პერიფერიულში — ქალი და ბავშვი⁸².

ა. კრუგლოვი ამ გარემოებას იქ მოსახლე ტომებში ისეთი ოჯახის არსებობით ხსნის, რომელშიაც მამაკაცს გაბატონებული მდგომარეობა ეკავა⁸³.

საზოგადოებრივ ცხოვრებაში მამაკაცთა მდგომარეობის უპირატესობა მადნისქალის მასალებითაც იგრძნობა. მათი სამარხები ქალების სამარხებზე მდიდრულია და უკეთ ნაკეთები. რაც შეეხება ძელებით ამოშენებულ სამარხს, მის შესახებ დამატებით ვერაფერს ვიტყვით, რადგანაც ცნობილი მიზეზით, მისი რეკონსტრუქცია ვერ მოხერხდა. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ინვენტარის მხრივ იგი საკმაოდ ღარიბია.

საერთოდ კი, ქვისწრეებიანი სამარხები, ჩვეულებრივ სამარხებზე მდიდრულია. ტერიტორიულადაც სამაროვნის საუკეთესო უბანზე — გორასამარხების გვერდით მდებარეობდნენ, მაშინ როდესაც, პერიფერიაზე ჩვეულებრივი სამარხები იყო განლაგებული. აღნიშნული გარემოება თვალნათლივ მეტყველებს, რომ იქ მოსახლე ტომებს შიგნით გრძელდებოდა გვაროვნული საზოგადოების ადრევე დაწყებული რღვევის პროცესი და მნიშვნელოვნად ღვივდებოდა ქონებრივი და სოციალური უთანასწორობა.

გორასამარხებში დაკრძალული ტომის ბელადის ან საზოგადოების დაწინაურებული პირის⁸⁴ მახლობლად, მაშასადამე, საპატიო ადგილას, ქვისწრეებიანი სამარხების შენება (მაშინ, როდესაც ჩვეულებრივი სამარხები მოშორებით — სამაროვნის განაპირას თავსდებოდა), სწორედ ასეთი დიფერენციაციის მანიშნებელია. ეს პროცესი აქ იმდენად შორსაა წასული, რომ ასახვა მან დაკრძალვის წესშიაც ჰპოვა.

სამაროვნის გეგმის განხილვისას (ტაბ. I) ყურადღებას იქცევს ერთი უჩვეულო დეტალი: I და IV თხრილებში გორასამარხების მახლობლად დაჯგუფებულია ქვისწრეებიანი სამარხები. I თხრილის სამარხებში ძირითადად ქალები აღმოჩნდა დაკრძალული⁸⁵. I გორასამარხში ჩანგრეულმა სახურავმა

⁸¹ ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, წიგნი პირველი, თბ., 1951, 33. 48—82.

⁸² А. П. Круглов, დასახ. ნაშრომა, გვ. 55.

⁸³ იქვე, 85.

⁸⁴ I გორასამარხში ქალი იყო დასაფლავებული, ამიტომ ძნელი წარმოსადგენია, რომ იგი ბელადი ყოფილიყო, რადგანაც მასალებით მამაკაცთა უპირატესი როლი მტკიცდება.

⁸⁵ აქ მხედველობაში არ ვიღებთ მე-10 სამარხს, რომელიც კენოტაფს წარმოადგენდა, 38-ე სამარხს, რომელიც დანგრეული დაგვხვდა და, აგრეთვე, № 9, 11 და 13 ბავშვთა სამარხებს. დანარჩენ 10 სამარხში ქალები იყო დასაფლავებული.

ძალიან დააზიანა ჩონჩხი, მაგრამ ინვენტარისა და მიცვალებულის მდგომარეობის მიხედვით აქაც ქალი უნდა ყოფილიყო დაკრძალული.

IV თბრილის II გორასამარხში და სხვა სამარხების უმეტესობაში მამაკაცებია დასაფლავებული. აქ მოთივსებულ 28-ე სამარხში ვერ მოხერხდა მიცვალებულის სქესის დადგენა. გამოჩვენდა წარმოადგენს 32-ე და 33-ე სამარხები. სადაც ქალები ესვენა.

ამრიგად, IV თბრილში გამოვლენილ 12 სამარხიდან, მხოლოდ ორში იყო ქალი.

II თბრილში აღმოჩენილი სამარხების დიდი ნაწილი პატარებია (№ 16—19, 21—23). ზოგიერთ მათგანში (№ 18, 21, 22) ჩონჩხის თითქმის მიწად ქცეული ნაშთი დაგვხვდა. მიუხედავად ამისა, ცალკეული ძვლებით და, განსაკუთრებით კი, იქ აღმოჩენილი სარძევე კბილებით უტყუვრად დგინდება, რომ მათში ბავშვები უმარხავთ. ამის დამადასტურებელია 23-ე სამარხში ნაპოვნი ბავშვის შედარებით კარგად შემონახული ჩონჩხი. № 2, 16—17, 19—20 და 24 სამარხებში მოხარდები დაუმარხავთ. ამ თბრილის მხოლოდ I სამარხში აღმოჩნდა ქალის ჩონჩხი.

ამრიგად, მოტანილი მონაცემები ნათელყოფენ, რომ I თბრილში ძირითადად ქალთა სამარხები იყო განლაგებული, II-ში — ბავშვებისა და მოხარდების, IV თბრილში კი მამაკაცების, რაც გვაგულისხმებინებს ქალების, მამაკაცების და ბავშვების ცალ-ცალკე დასაფლავების ერთგვარ წესს.

მიცვალებულთა დაკრძალვა სქესის და ასაკის შესაბამისად მათთვის საგანგებოდ გამოყოფილ ერთი სამაროვნის სხვადასხვა უბნებზე, დღემდე შესწავლილ ჩვენთვის ცნობილი სხვა ძეგლებში არსად არის დამოწმებული. ამ მხრივ იგი, ნაცნობი მასალის ფონზე, უნიკალურად გამოიყურება და ცოდნის დღევანდელ დონეზე განსახილველი სამაროვნის ლოკალურ თავისებურებას უნდა მივაწეროთ.

გორასამარხებს თუ არ ჩავთვლით, მდინისქალაში 40 სამარხია შესწავლილი: 16 ორმოსამარხი (აქედან 6 — ქვისწრეებიანი), 21 ქვისსამარხი (10 — ქვისწრეებიანი), ერთი ძეგლებით ამოშენებული სამარხი. ორი სამარხი იმდენად დაზიანებული იყო, რომ მათი გარკვევა ვერ მოხერხდა.

13 სამარხი ბავშვებისაა: აქედან 4 ორმოსამარხია (№ 2, 9, 23, 24) და 9 ქვისსამარხი (№ 11, 13, 16—22).

ქალის 15 სამარხიდან 7 ორმოსამარხია (№ 1, 8, 12, 15, 25, 28, 39), ამდენივე ქვისსამარხი (№ 4—7, 14, 33, 36) და ერთი (№ 3) ძეგლებით ამოშენებული სამარხი.

მამაკაცთა 8 სამარხიდან 5 ორმოსამარხია (№ 26, 27, 29, 31, 34) და 3 ქვისსამარხი (№ 30, 32, 35). დანარჩენ შემთხვევაში მიცვალებულთა სქესი ვერ გავარკვეეთ.

ამრიგად აქ თანაარსებობს ქვისსამარხებიც და ორმოსამარხებიც. საფიქრებელია, ისინი ეკუთვნოდნენ ერთსა და იმავე სამოსახლო უბანზე მცხოვრებ ხალხს. სამარხთა ამგვარი თანაარსებობა მდინისქალაში სამაროვნის მიკრო-უბნებზედაც, კერძოდ, I, II, IV და V თბრილებშია დადასტურებული.

ქვისსამარხების და ორმოსამარხების თანაარსებობის ფაქტი ბეშთაშენის სამაროვნის მიხედვით ადრეც იყო ცნობილი. ამ ძეგლის გამთხრელი, ბ. კუფტინი ფიქრობდა, რომ ორმოსამარხები ქრონოლოგიურად თითქოს წინ უსწ-

რებდა აქვე გამოვლენილ ქვისსამარხებს⁸⁶. მაგრამ თუ ვადავხედავთ მათში აღმოჩენილ სამარხეულ მასალას, ამ მოსაზრების მტკიცება ზოგიერთი სამარხის მიმართ მაინც ვაძნელდება. საამისო საშუალებას არც სტრატეგრაფიული მონაცემები ვეძლევა. ბეშთაშენის ორივე ტიპის სამარხების ინვენტარი თითქმის ერთგვაროვანია (ეს შეეხება არა მარტო კერამიკას, არამედ ლითონის ნივთებსაც და სამკაულებს) და, ამდენად, თანადროულად გამოიყურებიან. ასე მაგალითად, იქ გათხრილი ორმოციოდე სამარხიდან 25 ორმოსამარხია, 5 — ქვისსამარხი; დანარჩენი ვაურკვეველია სამარხთა რომელ ტიპს ეკუთვნის, რადგანაც ბ. კუფტინის არც დღიურში და არც საველე ჩანახაზებში საამისო ცნობები არ მოიპოვება.

ქვისსამარხებიდან ყველაზე მდიდრულია 34-ე სამარხი, სადაც აღმოჩნდა თიხის 3 ჭურჭელი, ბრინჯაოს ორი ბუნიკი, ბრინჯაოს ღეროგახვრეტილი კონუსისებური საკინძი, ბრინჯაოს ბალთა, რკინის პატარა დანა, ბრინჯაოს ოთხწახნაგა ღერო — ზედ შემორჩენილი რკინის ნაშთით და სარდიონის მრგვალ-ბრტყელი მძივები⁸⁷. ანალოგიურ, თუმცა ბევრად უფრო მდიდრულ ინვენტარს შეიცავს მე-13 და მე-18 ორმოსამარხები⁸⁸.

დანარჩენ ქვისსამარხებში ასეთი სურათია: XII-ში ბრინჯაოს ორი სადა სამაჯურია⁸⁹, XXIV-ში — ბრინჯაოს კონუსისებური საკინძი⁹⁰, XXV-ში — აგურისფერი ჭურჭლის სამი ფრაგმენტი⁹¹, XXV-ში კი თიხის ორი ჭურჭლის ნატეხები, ბრინჯაოს ბუნიკი, ბრინჯაოს ბალთა და სარდიონის მძივები — შინდისებური, მრგვალ-ბრტყელი და ბიკონუსური⁹². ყველა ამ ქვისსამარხის ინვენტარი არა თუ გამოირჩევა, არამედ დამახასიათებელია იქვე გამოვლენილი ორმოსამარხებისთვისაც.

მართალია, ბეშთაშენში თვით ორმოსამარხებს შორის (და არა მაინცადა-მაინც ორმოსამარხებსა და ქვისსამარხებს შორის) შენიშნავენ გარკვეულ ასაკობრივ სხვაობას⁹³, მაგრამ ეს სხვა საკითხია და ამჯერად ჩვენი კვლევის საგანს არ შეადგენს.

განსხვავებული აღნაგობის, მაგრამ მსგავსი ინვენტარის შემცველი სამარხების (ქვისსამარხებისა და ორმოსამარხების) თანაარსებობა, შუა ბრინჯაოს ხანიდან დაწყებული, დასავლეთ საქართველოშიაც (რაჭა) არის ცნობილი⁹⁴.

დალესტანშიც, უკვე ხსენებულ ხოროჩოის სამაროვანზე, მადნისკალის მსგავსად, თანაარსებობენ განსხვავებული სამარხები: ორმოსამარხები, ქვისსამარხები და ძელებით ნაგები სამარხებიც⁹⁵.

⁸⁶ Б. А. Куфтин, Археологические раскопки в Триалети, სამწუხაროდ ბ. კუფტინი არაფერს ამბობს იმის შესახებ, თუ რა საფუძველს ეყრდნობა მისი ეს მოსაზრება.

⁸⁷ საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ფონდები, ინვ. № 42—64/236—245.

⁸⁸ იქვე, ინვ. № 42—64/93—120 და № 42—64/133—147; აგრეთვე რ. აბრამიშვილი, რკინის ათვისების საკითხისათვის..., გვ. 316—320.

⁸⁹ საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ფონდები, ინვ. № 42—64/92.

⁹⁰ იქვე, ინვ. № 42—64/192.

⁹¹ იქვე, ინვ. № 42—64/93—94.

⁹² იქვე, ინვ. № 42—64/250.

⁹³ რ. აბრამიშვილი, რკინის ათვისების საკითხისათვის..., გვ. 310—322.

⁹⁴ გ. გობეჯიშვილი, ბრინჯაოს ქართული უძველესი ბალთები (სადისერტაციო ნაშრომი), ხელნაწერი, თბ. 1942, გვ. 106.

⁹⁵ А. П. Круглов, დასახ. ნაშრომი, გვ. 53.

ქვისსამარხებისა და ორმოსამარხების არსებობა გვიანბრინჯაოს ხანაში მოულოდნელი არც უნდა იყოს, რადგანაც ისინი აღნიშნულ ხანაზე ადრე ჩნდებიან.

ქვისსამარხები ცნობილია თეთრი წყაროს მტკვარ-არაქსის კულტურის დროინდელ ნამოსახლარიდან⁹⁶ და ამავე პერიოდის სხვა ძეგლებიდანაც (ამირანის გორა⁹⁷, კიკეთი⁹⁸, არდასუბანი⁹⁹ და სხვ.). რაქაში მათი არსებობა დამოწმებულია შუაბრინჯაოს ხანაშიაც¹⁰⁰.

რაც შეეხება ორმოსამარხებს, ისინიც, გვიანბრინჯაოს ხანაზე დიდი ხნით ადრე იყო ცნობილი. ამის შესახებ უფრო დაწვრილებით ქვემოთ გვექნება საუბარი.

გორასამარხები. ზემოთ განხილული სამარხების გვერდით, მადნისკალაში იყო გარეგნულად ერთნაირი ზომა-მოყვანილობის ორი გორასამარხი (სურ. 1, ტაბ. II₁, IX, XV₁).

ქვაყრილის ალაგების შემდეგ, პირველ მათგანს ორი კრომლეხი ჰქონდა (ტაბ. IX), მეორეს — ერთი (ტაბ. XVI₁).

პირისუფლებს ისინი შემდეგი თანმიმდევრობით უკეთებიან: ჯერ სამარხები გაუმართავთ და ისინი ქვის წრეებით შემოუფარვლავთ. ამის შემდეგ მიცვალებულები დაუკრძალავთ, გადაუხურავთ სამარხები, შეუსრულებიან სათანადო რიტუალი არსებული წესის თანახმად და, ბოლოს, გორასამარხი მოუზვინავთ. ისევე, როგორც სხვა შემთხვევაში, მასალად გამოყენებულია მდ. ალგეთის რიყედან აკრეფილი ქვა.

გორასამარხებისათვის ქვისწრეების შემოწყობა იმხანად ფართოდ ყოფილა გავრცელებული მთელ კავკასიაში.

აღმოსავლეთ საქართველოში მსგავსი წესით ნაგებია სამთავროს შუაბრინჯაოს ხანის №243 გორასამარხი¹⁰¹. დაახლოებით ამავე დროის წრიულ-ქვაყრილიანი გორასამარხები ვაითხარა სოფელ მეტეხში¹⁰². ქვების წრე შემოუყვებოდა ხადიკის გორასამარხებს¹⁰³; საყურადღებოა, რომ პირველ მათგანს, მადნისკალის I გორასამარხის შიდა კრომლეხის მსგავსად, ზვინულის ირგვლივ შემოწყობილი წრე შედგენილი ჰქონდა 50 საგანგებოდ შერჩეული დიდი ლოდისაგან (შესაძლოა 50 სიმბოლური რიცხვია). ამ წრეს სამხრეთ-აღმოსავლეთიდან და ჩრდილო-დასავლეთიდან ეკვროდა ნახევარწრისებრი ორი ქვაყრი-

96 გ. გობეჯიშვილი, თეთრი წყაროს 1956 წ. არქეოლოგიური ექსპედიციის მუშაობის ანგარიში, თბ., 1957, ხელნაწერი.

97 ტ. ჩუბინაშვილი, ამირანის გორა, თბ., 1963, გვ. 36—42, სურ. 10, ტაბ. VI, VII.

98 გ. ფხაკაძე, ქვემო ქართლის ენეოლითი, თბ., 1963, გვ. 74—75.

99 ნ. თუშიშვილი, არდასუბნის ზოგიერთი ძეგლი, ძეგლის მეგობარი, № 15, თბ., 1968, გვ. 41—45, სურათი 45-ე გვერდზე.

100 გ. გობეჯიშვილი, არქეოლოგიური გათხრები საბჭოთა საქართველოში, გვ. 57.

101 ტ. ჩუბინაშვილი, მცხეთის უძველესი..., გვ. 20, ტაბ. VII.

102 მ. ბარამიძე, 1963 წლის საველე არქეოლოგიური სამუშაოები ქ. კასპსა და მის მიდამოებში, XIII სამეცნიერო სესია მიძღვნილი 1963 წ. საველე-არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგებისადმი (ქვისა და ბრინჯაოს ხანა), თბ., 1964, გვ. 15; ზ. შატბერაშვილი, მეტეხში 1966 წ. ჩატარებული არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგები, XVI სამეცნიერო სესია მიძღვნილი 1966 წლის საველე-არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგებისადმი, თბ., 1967, გვ. 36—38.

103 ი. გძელიშვილი, ყორღანები თრიალეთში, საქ. სსრ მეცნ. აკად. მოამბე, ტ. XV, № 1, 1954, თბ., გვ. 49—55.

ლი¹⁰⁴, რომელიც ასტრალურ ნიშნადაა მიჩნეული¹⁰⁵. ხადიკის მეორე გორასამარხის ყრილის ქვეშ მოთავსებული იყო ქვისფილებიანი სამი ორმოსამარხი¹⁰⁶. ქვის წრეები შემოუყვებოდა ზურტაქეტის გორასამარხს¹⁰⁷. უკანასკნელ ხანებში ეშერში გაითხარა რამდენიმე სამარხი, რომლებსაც ირგვლივ 4—5 წრე შემოსდევდა¹⁰⁸.

გორასამარხებისათვის წრეების შემოწყობა საქართველოში გამოვლენილ კიდევ უფრო ადრეული ხანის ძეგლებშია დამოწმებული. სამგორში გამოვლენილი ე. წ. „კონრა გორის“ სამარხი ნაგებობა გარშემორტყმული იყო სხვადასხვა დონეზე მდებარე რამდენიმე კონცენტრირებული წრისებრ დაწყობილი ხის მსხვილი მორებით¹⁰⁹. მართალია, ამ ძეგლებზე წრეები შედგენილი იყო ხის მასალით და არა ქვებით, როგორც ეს ზემოთ განხილულ ძეგლებზე შეგვხვდა, მაგრამ ამ შემთხვევაში ჩვენთვის უფრო დიდი მნიშვნელობა აქვს წრიულ სარტყელს, რომლის არსებობა დასტურდება ძვ. წ. III ათასწლეულის გორასამარხებზეც, ვიდრე საამშენებლო მასალას.

გორასამარხების ირგვლივ ქვის წრეების შემოწყობა გავრცელებული იყო ჩრდილო კავკასიაშიც: ნალჩიკის პარკის ძვ. წ. II ათასწლეულის გორასამარხებს, სხვადასხვა დონეზე მდებარე ორიდან ხუთამდე ასეთი წრეები შემოსდევდა¹¹⁰. ისინი ჰქონდა პიატიგორსკის¹¹¹, დალესტნის, ე. წ. მანასის გორასამარხებს¹¹², რომლებიც ძვ. წ. II ათასწლეულის შუახანით დამისი მესამე მეოთხედით თარიღდება¹¹³, ჯემიკენტის ამავე ხანის ძეგლებს¹¹⁴, სადაც ზოგჯერ ქვის წრეები რამდენიმე რიგიდან შედგებოდა (შახ-ნასიბ-თაფა)¹¹⁵. არის შემთხვევები, როდესაც ქვების წრე გორასამარხის ფუძეზე მალა მდებარეობს¹¹⁶. კამენომოსტკოეს გორასამარხებისათვის, რომლებიც ძვ. წ. II ათასწლეულის შუა ხანებით და მისი II ნახევრით თარიღდებიან, ზვინულს ირგვლივ დიდი ქვების შემოწყობა ერთ-ერთი დამახასიათებელი ნიშანია¹¹⁷. ქ. ნალჩიკთან კი ა. წ. XIV—XVI სს. მსგავსი ძეგლებია გათხრილი¹¹⁸.

104 იქვე, გვ. 50.

105 გ. გობეჯიშვილი, 1947 წლის თრიალეთის არქეოლოგიური ექსპედიციის დიურები, ხელნაწერი, ინახება არქეოლოგიის სექტორში.

106 იქვე, გვ. 53.

107 თ. ჯაფარიძე, არქეოლოგიური გათხრები თრიალეთში, თბ., 1969, სურ. 38.

108 Г. К. Шамба, Раскопки кромлехов в с. Эшера близ Сухуми, Археологические открытия 1969 года, М., 1970, გვ. 359—360, მისივე, Новый тип мегалитической культуры в Абхазии, XIX სამეცნიერო სესია მიძღვნილი 1969 წლის საველე-არქეოლოგიური კვლევების შედეგებისადმი, თბ., 1970.

109 თ. ჯაფარიძე, ადრეული ბრინჯაოს ხანა, საქართველოს არქეოლოგია, გვ. 92.

110 Б. Е. Деген, დასახ. ნაშრ., გვ. 224—231.

111 В. И. Марковин, დასახ. ნაშრ., გვ. 54, სურ. 19.

112 К. Ф. Смирнов, Археологические исследования в Дагестане в 1948—1950 гг., КСИИМК, XIV, 1952, გვ. 86.

113 იქვე, გვ. 88.

114 А. П. Круглов, დასახ. ნაშრ., გვ. 47.

115 იქვე, გვ. 88.

116 იქვე, გვ. 48—49.

117 К. Э. Гриневич, Новые данные по археологии Кабарды, МАИ СССР, № 23, 1951, გვ. 126.

118 А. В. Мачинский, Кабардинские курганные погребения в окрестностях г. Нальчика, МИА, № 3, 1941, გვ. 317—324.

ქვისწრეებიანი გორასამარხები გამოვლენილია სომხეთშიც (ლქაშენი¹¹⁹, ნორატუსი¹²⁰, შროშ გელე¹²¹, არივანქი¹²² და სხვა).

ამრიგად, ქვისწრეებიანი გორასამარხები კავკასიაში ძვ. წ. III ათასწლეულში ჩნდება. ამიერკავკასიაში ისინი დაახლოებით ძვ. წ. VIII ს-მდე განაგრძობენ არსებობას; ჩრდილო კავკასიაში მათ საშუალო საუკუნეებშიც ვხვდებით.

აღსანიშნავია ისიც, რომ მათი გამოჩენით ამიერკავკასია რამდენადმე უსწრებს ჩრდილო კავკასიას. როგორც ჩანს, გორასამარხებისათვის წრეების შემოწყობა ციურ ღვთაებათა თაყვანისცემით იყო გამოწვეული, რაც დამახასიათებელი მოვლენა ჩანს კაცობრიობის განვითარების გარკვეული მონაკვეთისათვის¹²³.

მადნისქალის გორასამარხების ყრილის ქვეშ, როგორც ითქვა, სამ-სამი თანადროული სამარხი აღმოჩნდა. ეს სამარხები სხვადასხვაგვარად იყვნენ განლაგებული (ტაბ. IX, XVI):

I გორასამარხის დასაკრძალავი ორმოს გვერდით მდებარეობდა ორმოსამარხისმაგვარად აგებული „სამსხვერპლო“. „სამსხვერპლოს“ ზედა ნაწილში (ძირითადი სამარხის სახურავის დონეზე მდებარე) თიხის სამი ჭურჭელი იდგა (ტაბ. X₂). უფრო ქვემოთ მოქცეული, ქვებით მოგებული პატარა მოედანი, როგორც ჩანს, მსხვერპლის შეწირვისათვის იყო განკუთვნილი.

აღნიშნულ ნაგებობას ვუწოდებთ სამსხვერპლოს იმ შორეული ანალოგის მიხედვით, რომელიც დამოწმებულია ნუბიაში, ნაგ-ნაბრუკის ძვ. წ. XX—XVIII სს. სამაროვანზე¹²⁴. იქ გათხრილი სამარხები შემოფარგლულია ქვის წრეებით. აღსანიშნავია, რომ თიხის ჭურჭელს ყოველთვის არ აყოლებდნენ მიცვალებულს უშუალოდ იმ სამარხში, სადაც ასაფლავებდნენ მას. ჭურჭელს ხშირად ალაგებდნენ სამარხის გვერდით—სახურავის დონეზე მოწყობილ პატარა სამსხვერპლო მოედანზე¹²⁵.

რაც შეეხება ახლო პარალელებს, საინტერესოა, რომ ხადიკის II გორასამარხის ყრილის ქვეშ მოქცეული მესამე სამარხი, რომელშიც თიხის 6 ჭურჭელი, ცხვრის და მსხვილფეხა საქონლის ძვლები აღმოჩნდა¹²⁶, თრიალეთის 1947 წლის არქეოლოგიური ექსპედიციის ხელმძღვანელის გ. გობეჯიშვილის დაკვირვებით სამსხვერპლოს წარმოადგენს¹²⁷. ეს სამსხვერპლო მდებარეობდა

119 А. О. Мнацаканян, Раскопки курганов на побережье оз. Севан в 1956 г., СА, № 2, М., 1957, გვ. 145—147.

120 А. А. Мартиросян, დასახ. ნაშრ., გვ. 193—196.

121 იქვე, გვ. 208—210.

122 Г. А. Микаелян, Циклопические памятники Севанского бассейна, Археологические памятники Армении, вып. I, памятники эпохи бронзы (სომხურ ენაზე, რუსული რეზიუმით) Ер., 1968, ტაბ. 26.

123 И. М. Мещанинов, Кромлехи, изв. ГАИМК, т. VI, вып. 3; М. М. Иващенко, Исследование археологических памятников материальной культуры в Абхазии, Тб., 1935, გვ. 79—80, სურ. XXI.

124 А. В. Виноградов, Могильники эпохи среднего царства в районе села Курта, Древняя Нубия, М.—Л., 1964, გვ. 180—201; Н. Я. Мерперт, Раскопки могилика Наг-Набрук в 1963 г., Археология Старого и Нового света, М., 1966, გვ. 198—250.

125 Н. Я. Мерперт, დასახ. ნაშრ., გვ. 235—236.

126 ი. გბეღიშვილი, ყორღანი თრიალეთში, გვ. 53.

127 გ. გობეჯიშვილი, თრიალეთის არქეოლოგიური ექსპედიციის 1947 წ. მუშაობის დღიური.

№ 1 და № 2 სამარხების ზედაპირის დონეზე. მასში ადამიანის ძვლების არავითარი ნაშთი არ იყო. სამსხვერპლოს ძირზე დამწვარი ყვითელი თიხა და ნახშირის ნატეხები იყო მიმოფანტული.

დამოწმებული ფაქტი გარკვეულად ეხმაურება მადნისქალის I გორასამარხს, სადაც ორი სამარხი და ერთი სამსხვერპლო იყო მოწყობილი.

I გორასამარხის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში, კრომლევებს შორის, როგორც აღინიშნა, სრულიად ცარიელი. თუმცა კი დაუზიანებელი № 3 ქვისსამარხი აღმოჩნდა. ამის გამო მას კენოტაფთა რიცხვს ვერ მივაკუთვნებთ; კენოტაფები, ჩვეულებრივ, ინვენტარს შეიცავენ. № 3 სამარხი გაკეთებული უნდა იყოს იმ სამგლოვიარო წეს-ჩვეულების შესრულების დროს, რომელიც გაიმართებოდა მიცვალებულის დაკრძალვისას I გორასამარხში.

II გორასამარხის სამარხები სხვაგვარად არის განლაგებული. აქ ძირითადი სამარხის სახურავზე მდებარეობს ორი, უშუალოდ მასთან დაკავშირებული სამარხი. ამათგან განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს მეორე სამარხი, სადაც მკვეთრად მოხრილ ჩონჩხს ზემოდან რიყის ქვები ეყარა: იქმნებოდა მიცვალებულის ჩაქოლვის სრული შთაბეჭდილება. საგულისხმოა, ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს მონის, ან ტყვეობაში მყოფი პირის შეწირვის, ან „საიჭიო ცხოვრებაში“ წარჩინებული პიროვნებისათვის მსახურის გაყოლების წეს-ჩვეულებასთან. ამ ჩონჩხს არავითარი ინვენტარი არ ახლდა (ტაბ. XVI₂).

მადნისქალის II გორასამარხის ქვაყრილში, როგორც აღინიშნა, ერთი თავის ქალაც აღმოჩნდა. შესაძლებელია ეს კიდევ ერთი საბუთი იყოს იქ დაკრძალულის მიმართ განსაკუთრებული პატივის გამოხატვისა.

ეს ფაქტები მოითხოვს სათანადო ახსნას. გზადაგზა შევეცდებით ვაჩვენოთ ჩვენი დამოკიდებულება აღწერილი ფაქტების მიმართ, მაგრამ საკითხის სისრულისათვის, მიზანშეწონილად მიგვაჩნია ჯერ მოკლედ შევეხოთ მსგავს არქეოლოგიურ მოვლენებთან დაკავშირებით უკვე გამოთქმულ ზოგიერთ მოსაზრებას.

კასპის სამაროვანზე დამარხვის წესის განხილვისას, მ. ბარამიძე № 14 სამარხის უინვენტარო ჩონჩხს მონას აკუთვნებს¹²⁸. საამისოდ იგი იხილავს გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის სამარხებს, აღნიშნავს, რომ იმ დროს აღმოსავლეთ საქართველოში მიცვალებულებს ჩვეულებრივ უინვენტაროდ არ მარხავდნენ და ამ საფუძველზე მე-14 სამარხის უინვენტარო ჩონჩხს მონას აკუთვნებს¹²⁹.

ავტორის ეს მტკიცება ალბათ ემყარება მხოლოდ შიდა ქართლში დადგენილ ფაქტებს, ვინაიდან ქვემო ქართლში უინვენტარო სამარხები უკვე იყო გამოვლენილი.

მადნისქალაში ორი ასეთი სამარხია შესწავლილი: 29-ე ორმოსამარხს ქვების წრე შემოუყვებოდა და გარეგნულად არ გამოირჩეოდა იმ მდიდრული სამარხებისაგან (მაგალითად 35-ე და სხვა სამარხებისაგან), რომლებიც მის გვერდითვე მდებარეობდნენ (სურ. 26; ტაბ. XV). თუმცა იგი სრულიად უინვენტარო გამოდგა, მარტო ამით იმის ვარაუდი, რომ მასში თითქოს უუფლებო პირი ყოფილიყო დაკრძალული, არ უნდა იყოს სწორი. ასეთ შემთხვევაში ძნელი წარმოსადგენია, რომ მისთვის, უფლებრივი უპირატესობის მქონე

¹²⁸ მ. ბარამიძე, კასპის სამაროვანი, გვ. 33—35.

¹²⁹ იქვე, გვ. 34—35.

პირთა სამარხების მსგავსად, ქვების წრე შემოევლოთ და, მათ გვერდითვე მოეთავსებინათ სამაროვნის საუკეთესო ადგილას. აქ, ჩვენი აზრით, უფრო სწორია იქნება ვიგულისხმეთ უფლებრივად ერთნაირი, მაგრამ ქონებრივად განსხვავებული, უფრო ღარიბი პიროვნების დასაფლავება; უფლებრივად დაქვემდებარებულ ადამიანს განსხვავებულად მარხავდნენ. ამის დამადასტურებელია მადნისჭალის II გორასამარხის სახურავზე გამოვლენილი „ჩაქოლილის“ სამარხი და ქვემოთ მოტანილი სხვა მაგალითები.

განსხვავებული აღნაგობისაა 34-ე უინვენტარო სამარხიც¹³⁰, რომელშიც მიცვალებულის მკვეთრად მოხრილი ჩონჩხი აღმოჩნდა (ტაბ. XIX₂). მას ემატება ისიც, რომ იგი ერთგვარად უკავშირდება II გორასამარხის ყრილს, რაც საფუძველს გვაძლევს აქაც უფლებრივად დამოკიდებული პიროვნების დაკრძალვა ვივარაუდოთ.

სულთა „საიქიოს“ გატანების ჩვეულება ქვემო ქართლის ტერიტორიაზე უკვე აღრეული ბრინჯაოს ხანაშია ცნობილი. ბედენის ხის აკლდამაში დიდი პატივით დაკრძალული ბელადისათვის ჩაუყოლებიათ ორი დაქვემდებარებული, შესაძლოა ტყვედ ჩავარდნილი პირი¹³¹.

გვიანბრინჯაოს ხანაში ტომებს შორის ხშირი სამხედრო შეტაკებების შედეგად ტყვედ ჩავარდნილი ადამიანების ნაწილი კარგავდა თავის უფლებებს და საბოლოოდ მონებად ხდებოდნენ¹³².

აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში გათხრილ გორასამარხებში მონების თუ ტყვეების დასაფლავების რამდენიმე შემთხვევაა ცნობილი¹³³. სევანის ტბის რაიონში, სოფ. ადიამანთან, გორასამარხში დასაფლავებული პირის ირგვლივ უწესრიგოდ ესვენა 13 ადამიანი, რომლებიც, ბ. პიოტროვსკის აზრით, დახოცილი ტყვეები ან მონები იყვნენ¹³⁴. მსგავსი შემთხვევები დადასტურებულია მთიანი ყარაბაღის ტერიტორიაზეც. სოფ. ახმახთან გათხრილ გორასამარხში ზურგზე გაშოტილად დაკრძალული ძირითადი მიცვალებულისათვის ჩაუყოლებიათ დამჯდარ მდგომარეობაში დაკრძალული პირები: პირველ გორასამარხში სამი ასეთი ჩონჩხი იყო, მეორეში — ორი, მესამეში — რვა. ამ ჩონჩხების შესწავლის შედეგად გამოირკვა, რომ ძირითადი მიცვალებული მთელი რიგი ანთროპოლოგიური ნიშნით განსხვავდებოდა თან ჩაყოლილი პირებისაგან¹³⁵.

მადნისჭალის II გორასამარხში „ჩაქოლილის“ ჩონჩხი ვერ შევისწავლეთ მისი ძლიერი დაზიანების გამო და ამიტომ ანთროპოლოგიურ სხვაობაზე ვერაფერს ვიტყვით. მაგრამ სამარხთა ურთიერთდამოკიდებულება და მიცვალებულთა სრულიად განსხვავებული დამარხვა, უფლებრივად და ქონებრივად დაწინაურებული პირისათვის (ბელადისათვის?) დაქვემდებარებული ადამიანის

¹³⁰ სამარხთა ამგვარი ტიპი სამთავროში ჩნდება ორმოსამარხთა პერიოდის ბოლოდან. მათ აღ. კალანდაძე „ნახევარქვაყუთებს“ უწოდებს. იხ. აღ. კალანდაძე, სამარხთა აღნაგობა..., გვ. 78—80.

¹³¹ გ. გობეჯიშვილი, ახალი არქეოლოგიური აღმოჩენა თეთრი წყაროს რაიონში, XVI სამეცნიერო სესია. მიძღვნილი 1966 წლის საველე-არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგებისადმი, თბ., 1967, გვ. 35; მისივე, ბედენის აკლდამა, გვ. 21, სურ. მე-16 გვერდზე.

¹³² Б. Б. Пиотровский, Археология Закавказья, Л., 1949, გვ. 58.

¹³³ А. В. Арциховский, Основы археологии, გვ. 97.

¹³⁴ Б. Б. Пиотровский, დასახ. ნაშ., გვ. 58.

¹³⁵ იქვე.

(მონის ან ტყვის) ვაყოლების წესზე მიგვითითებს. ეს კიდევ ერთი საბუთია უკვე არსებული მოსაზრების სასარგებლოდ, რომლის მიხედვით გვიანბრინჯაოს ხანაში უკვე სავალისხმებელია ტყვე-მონები¹³⁶.

მეფეთა დაკრძალვისას ადამიანთა მსხვერპლად შეწირვა ძველი აღმოსავლეთის ზოგიერთ ხალხში იმდენად გავრცელებული იყო, რომ მათი რიცხვი, რიგ შემთხვევაში 5—6-დან 70—80-მდე აღწევდა¹³⁷.

მიუხედავად იმისა, რომ მადნისქალის სამაროვანზე არსებობს ტიპობრივად რამდენადმე განსხვავებული სამარხები, მიცვალებულთა დაკრძალვის წესში რაიმე თვალსაჩინო განსხვავება არ იგრძნობა. ყველა სამარხი ინჰუმაციურია. მიცვალებულები ესვენა ხელფეხმოკეცილად მარჯვენა (მამაკაცები) და მარცხენა (ქალები) გვერდზე. ბავშვებსაც, ალბათ, თავიანთი სქესის მიხედვით ასაფლავებდნენ. გამონაკლისს წარმოადგენს მე-3, ძელებით ამოშენებული, სამარხი, სადაც ქალი დასვენებული იყო მარჯვენა გვერდზე და, შესაძლოა, 23-ე სამარხიც, სადაც ვერ გავარკვეით მარცხენა გვერდზე დაკრძალულის სქესი.

ანალოგიური გამონაკლისები გვიანბრინჯაოს ხანის სხვა სამაროვნებზეც შეინიშნება¹³⁸.

ჩონჩხის მდებარეობა სამარხში მძინარე ადამიანის მდგომარეობას მოგვაგონებს. ფეხები, უმეტეს შემთხვევაში, მუხლებში ჰქონდათ თავისუფლად მოხრილი, ხელები — სახის წინ დაწყობილი, ზეაპყრობილი ან თავქვეშ ამოდებული. არის შემთხვევები კიდურების ძლიერად მოკეცვისა (სურ. 10). მოხრილობის სტაბილიზაციისათვის, სხვა ძეგლების მსგავსად¹³⁹, ხანდახან გამოყენებულია რიყის ქვები. მიცვალებულს თავქვეშ ზოგჯერ ქვა ჰქონდა ამოდებული (სურ. 2). ქვებს ძირში უწყობდნენ დიდი ზომის კურტკელსაც, მათთვის სიმყარის მისაცემად. ზოგიერთ სამარხში მიცვალებულს ოთხ ქვას შორის ათავსებდნენ (სურ. 12).

ცხედრის დამხრობაში რაიმე მყარი წესი არ შეინიშნება. უმეტეს შემთხვევაში მათ ასაფლავებდნენ თავით ჩრდილო-აღმოსავლეთისაკენ. ამგვარი დაკრძალვა შენიშნულია 17 სამარხში. გარდა ამისა, არის მიცვალებულთა სხვანაირი დამხრობის შემთხვევებიც, მაგალითად, თავით ჩრდილო-დასავლეთისაკენ (7 შემთხვევა), აღმოსავლეთისაკენ (5), ჩრდილოეთისაკენ (4) და დასავლეთისაკენ (2).

ქვეყნის მხარეების მიხედვით მიცვალებულთა დამხრობაში არ ჩანს რაიმე მყარი კანონზომიერება სხვაგანაც (თრიალეთი, ბაკურციხე¹⁴⁰, ლები¹⁴¹, შოშეთი¹⁴², ბრილი¹⁴³ და სხვ.).

136 გ. მელიქიშვილი, საქართველოში კლასობრივი საზოგადოებისა და სახელმწიფოს წარმოქმნის საკითხისათვის, თბ., 1955, გვ. 77; საქართველოს არქეოლოგია, გვ. 165.

137 Л. Вулпи, Ур Халдеев, გვ. 61.

138 აღ. კალანდაძე, სამარხთა აღწავლა და...; მ. ბარამიძე, შიდა ქართლი..., გვ. 103.

139 აღ. კალანდაძე, დასახ. ნაშრ.; Г. А. Ломтатидзе, დასახ. ნაშრ., გვ. 49; ნ. ოქროპირიძე, ნარეკვაის სამაროვანი, გვ. 191—192.

140 ა. აფაქიძე, ბაკურციხის არქეოლოგიური ძეგლები, თბ., 1941, საღისერტაციო ნაშრომი, ხელნაწერი, გვ. 173—184.

141 გ. გობეჯიშვილი, ბრინჯაოს უძველესი..., გვ. 44, 103; მისივე, გვიანბრინჯაოს ხანის ძეგლები..., გვ. 131.

142 იქვე.

143 იქვე.

გარდაცვალებულს თან ატანდნენ საკვებს. საგზაღს, ზოგ შემთხვევაში, პირდაპირ სამარხის იატაკზე აწყობდნენ, ზოგჯერ კი ქურჭელში ათავსებდნენ.

ყველა სამარხი ინდივიდუალურია, ე. ი. თითო ადამიანისათვის გათვალისწინებული. მათში, როგორც წესი, იდო თიხის 2-დან 8-მდე ქურჭელი. ფეხებთან, ჩვეულებრივ, მოზრდილი ქურჭელი იდგა, ხელებთან და თავთან — ჯამები, ტოლჩები და სხვა მისთ.

ქალების სამარხები ინვენტარით გამოირჩევა მამაკაცების სამარხებისაგან. თუ პირველ მათგანს ახასიათებს თიხის ქურჭელი, ბრინჯაოს თავხვია საკინძები და მძივ-სამკაულები, მეორეს — თიხის ქურჭელს გარდა, ბრინჯაოს საბრძოლო იარაღი, ლეროგახვრეტილი ქინძისთავები და სხვ. გარდა ამისა, მამაკაცთა სამარხები გამოირჩევა მეტი სიმდიდრითაც.

ეს მოვლენა სხვა ძეგლებზეც შეინიშნება, და, ამ მხრივ, მადნისქალა მხოლოდ დამატებით მასალას გვაძლევს უკვე არსებული მოსაზრების დასადასტურებლად, რომლის მიხედვით, ჩვენთვის საინტერესო ხანაში მამაკაცებს დაწინაურებული და წამყვანი მდგომარეობა ეკავათ საზოგადოების სამეურნეო და სოციალურ ცხოვრებაში¹⁴⁴. ცოტა მოგვიანებით ეს კარგად ჩანს სამთავროს III ფენაშიაც. რადგანაც იქ აღმოჩენილი ქვისსამარხები მხოლოდ მამაკაცთა განსასვენებლად იყო გამოყენებული, ქალთათვის კი არც ერთი¹⁴⁵.

მიცვალებულთა დაკრძალვის მსგავსი წესი ქვემო ქართლის¹⁴⁶ გარდა, ფართოდ იყო გავრცელებული გარკვეული დროის მანძილზე მთელ კავკასიაში. განსაკუთრებით მკაფიოდ ჩანს იგი სამთავროში, სადაც მამაკაცებს მარჯვენა გვერდზე ასაფლავებდნენ, ქალებს კი — მარცხენაზე. ამავე წესის დაცვით იქ მარხავდნენ ბავშვებსაც¹⁴⁷. ანალოგიურად მარხავდნენ მიცვალებულს შიდა ქართლის (ნარეკვავი¹⁴⁸, არმაზისხევი¹⁴⁹, თბილისი¹⁵⁰, კასპი¹⁵¹, ხოვლე¹⁵² და სხვ.) და კახეთის (გულგულა და სხვა¹⁵³) ტერიტორიაზე. სქესის მიხედვით მიცვალებულთა ამა თუ იმ გვერდზე დასაფლავება კავკასიონის ქედის მიღმა

144 საქართველოს არქეოლოგია, გვ. 164.

145 იქვე.

146 გ. ნიორაძე, დმანისის ნეკროპოლი..., გვ. 1—66; Б. А. Куфтин, Археологические раскопки в Триалети. გვ. 140—141; რ. აბრამიშვილი, წოფის სამაროვანი.

147 ალ. კალანდაძე, სამარხთა აღწავლა..., გვ. 45—47; მისივე, გვიანბრინჯაოსა და ადრეული რკინის..., საქართველოს არქეოლოგია, გვ. 165—166; გ. ლომთათიძე, ბრინჯაოს სატევრები და მახვილები სამთავროს უძველეს სამაროვანზე, სადისერტაციო ნაშრომი, თბ., 1944; Г. А. Ломтатидзе, დასახ. ნაშრ., გვ. 48—53; М. И. Ивашенко, Краткий предварительный отчет о работе южной группы Мцхетской археологической экспедиции в 1938—1936 гг., ხელნაწერი, გვ. 43; ტ. ჩუბინიშვილი, მცხეთის უძველესი..., გვ. 49.

148 ნ. ოქროპირიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 191—193.

149 ა. აფაქიძე, გ. გობეჯიშვილი, ალ. კალანდაძე, გ. ლომთათიძე, მცხეთა, ტ. I, თბ., 1955, გვ. 15, ტაბ. CXVIII₁—3.

150 დ. ქორიძე, თბილისის არქეოლოგიური ძეგლები, გვ. 110—117, 154—163.

151 მ. ბარამიძე, კასპის სამაროვანი, გვ. 34—35.

152 ტ. ჩუბინიშვილი, ო. დამბაშიძე, დასახ. ნაშრომი.

153 კ. ფიცხელაური, იორ-ალაზნის აუზის..., გვ. 43—46; მისივე, გვიანი ბრინჯაოს..., გვ. 140.

შეინიშნება ნალჩიკის¹⁵⁴, კაიაკენტ-ხოროჩოს¹⁵⁵ და სხვა სამაროვნებზე¹⁵⁶. ასევე არამყარი ჩანს ცხედართა დამხრობა შუამდინარეთშიაც, ურის მეფეთა სასაფლაოზე. ამავე დროს, აქაც ყველა რიგით სამარხში მიცვალებულები ესვენა მძინარე ადამიანის მდგომარეობაში¹⁵⁷. მიღებული მოსაზრებით, ადამიანთა მძინარე მდგომარეობაში დაკრძალვის წესჩვეულება ასახავს იმხანად არსებულ წარმოდგენებს, რომლებიც „იმ ქვეყნად“ მიცვალებულთა „საუკუნო განსვენებასთან“ უნდა ყოფილიყო დაკავშირებული.

როგორც ვხედავთ, მადნისქალაში დადასტურებული დაკრძალვის წესი მრავალ ეთნიკური ჯგუფისათვის ყოფილა დამახასიათებელი. იგი თითქმის საყოველთაოდ გავრცელებული მოვლენა იყო სხვადასხვა ხალხებში ხანგრძლივი დროის განმავლობაში.

რამდენიმე სიტყვით უნდა შევეხოთ გორასამარხების და ორმოსამარხების ურთიერთობის საკითხს.

ჯერ კიდევ 1940 წელს სამთავროს სამაროვანზე შუაბრინჯაოს ხანის გორასამარხის აღმოჩენისთანავე დადგა საკითხი მისი ორმოსამარხების კულტურასთან დაკავშირების შესახებ. ა. აფაქიძემ სათანადო ყურადღება მიაქცია სამთავროში შესწავლილ ქვისწრეებიან ორმოსამარხებს და დაასკვნა, რომ გორასამარხის ტიპის ნაგებობათა ტრადიცია თავს იჩენს ორმოსამარხებშიაც. მისი აზრით, სამთავროს გორასამარხის ტიპის სამარხი წარმოადგენს ორმოსამარხთა პროტოტიპს და, ამდენად, მათ წინამორბედად გამოიყურება¹⁵⁸.

შემდეგ ტ. ჩუბინიშვილმა სამთავროს I და II ქვაყრილიანი სამარხები დაუკავშირა იმავე ძეგლზე გამოვლენილ შუაბრინჯაოს ხანის გორასამარხს. მისი შეხედულებით, ხსენებული სამარხები წარმოადგენენ გორასამარხების უშუალო კულტურულ მემკვიდრეობებს, რომელთა აგების ჩვევები სამთავროში საუკუნეების მანძილზე მაინც არსებობდა¹⁵⁹.

ბოლოს, აღნიშნულ საკითხს შეეხო მ. ბარამიძე. შიდა ქართლის ძეგლების განხილვისას იგი გვაძლევს არსებული შეხედულების განვითარების ცდას და საკმაოდ ფართოდ გაშლილი მსჯელობის საფუძველზე ასკვნის: „...ორმოსამარხი ეს მომცრო ზომის გორასამარხია, რომელიც წარმოადგენს შუაბრინჯაოს ხანის ტრადიციაზე წარმოქმნილ ახალი ტიპის სამარხს. გვიანბრინჯაოს ხანაში გორასამარხები სრულიად აღარ გვხვდება და, როგორც ჩანს, ადგილს უთმობს ორმოსამარხებს“¹⁶⁰. ამ თვალსაზრისის გასამტკიცებლად ავტორი იშველიებს გრაკლის მახლობლად მღეშეთ-ხევში გათხრილ გორასამარხებს, რომლებიც, მისივე თქმით, შეიცავენ გვიანბრინჯაოს ხანის ტიპურ კერამიკას და ემსგავსებიან ბაიბურთის ქვისწრეებიან სამარხებში მოპოვებულ ჭურჭელს. ამის გამო მ. ბარამიძე განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს აღნიშნულ სა-

154 А. П. Круглов, Б. Б. Пиотровский, Г. В. Подгаецкий, Могильник в г. Нальчике, Материалы по археологии Кабардино-Балкарнии, МИА, № 3. М. Л., 1941, გვ. 106—107.

155 А. П. Круглов, Северо-Восточный Кавказ..., გვ. 55.

156 იქვე.

157 Л. Вулли, Ур Халдеев, გვ. 54.

158 ა. აფაქიძე, სპეკურსი სამთავრო, წაკითხული თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ისტორიის ფაკულტეტზე, ხელნაწერი, თბ., 1945, გვ. 54.

159 ტ. ჩუბინიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 44.

160 მ. ბარამიძე, შიდა ქართლი..., გვ. 108.

მარხებს და წარმოადგენს მათ, როგორც დამაკავშირებელ რგოლს შუაბრინჯაოს ხანის გორასამარხებსა და გვიანბრინჯაოს ხანის ორმოსამარხებს შორის. გორასამარხში გვიანი ბრინჯაოს ხანის ადრეული მასალის აღმოჩენა, მისი აზრით, მიგვითითებს ორმოსამარხთა კულტურის სიახლოვეზე გორასამარხთა კულტურასთან¹⁶¹.

აღძრული საკითხი, რომელიც შეეხება ორმოსამარხების მომცრო გორასამარხების აღნაგობასთან დაკავშირებას, ავტორმა მარჯვედ შეავსო ახალი ფაქტობრივი მონაცემებით¹⁶².

საკითხის გაცნობისას თანდათან მეღაღნდება ორმოსამარხთა და ორმოიან გორასამარხთა კონსტრუქციული სიახლოვე. პირველი შთაბეჭდილება, რომელიც უნებლიედ გვექმნება ამ ნაგებობათა მკვეთრი მასშტაბური სხვაობის ხარჯზე, რა თქმა უნდა, არ ნიშნავს განსხვავებულ აგებულებას. ისინი ერთმანეთისაგან გამოირჩევიან არა კონსტრუქციული არსით, არამედ იმ მნიშვნელობით და შინაარსით, რომლითაც ისაზღვრებოდა იქ დაკრძალული მიცვალებულების საზოგადოებრივი მდგომარეობა. ჩვეულებრივ ადამიანის არაეინ გაუკეთებდა ისეთ უზარმაზარ სამარხ-ნაგებობას, როგორსაც ტომის ბელადს ან რომელიმე სხვა დაწინაურებულ პირს. ასეთ ძეგლებზე დახარჯული შრომის რაოდენობა, ვფიქრობთ იმის მაჩვენებელია, თუ როგორი დამსახურება გააჩნდა საზოგადოების წინაშე იქ დაკრძალულ პირს, ანდა რა ძალაუფლების და სხვათა პატრონი იყო იგი თავის სიცოცხლეში. ამიტომ, ჩვენი აზრით, სწორედ ორმოსამარხთა არსებობას (რადგანაც მათი მშენებლობა ნაკლებ შრომატევადია), გარკვეულ დროს და გარკვეულ პირობებში უნდა წარმოეშვა მსგავსივე აღნაგობის, მაგრამ უფრო დიდი მოცულობის გორასამარხთა ტიპის ნაგებობები. ამ პირობების შექმნა დაკავშირებული უნდა იყოს საზოგადოების განვითარების იმ საფეხურთან, როდესაც ამა თუ იმ მიზეზით წინაურდობდნენ ცალკეული ადამიანები, გამოეყოფოდნენ მანამდე ერთ სოციალურ საფეხურზე მდგომ თანამემამულეებს და სათავეში ექცეოდნენ ამა თუ იმ გვარსა თუ ტომს. სიცოცხლეში დაწინაურებულ ადამიანს, სიკვდილის შემდეგაც, გვარის ან ტომის სხვა რიგით წევრებთან შედარებით, მეტ ყურადღებას დაუთმობდნენ და გამოსარჩევ განსასვენებელსაც მიუჩენდნენ.

აღნიშნული მსჯელობიდან გამომდინარე ორმოიანი გორასამარხები ორმოსამარხთა პირშეოდ უნდა მივიჩნიოთ, რადგანაც ამ უკანასკნელთა მშენებლობა ნაკლებ სირთულესთან არის დაკავშირებული. ამის გამო მათი მასიური მშენებლობა, უფრო ადვილი დასაშვებია, რასაც გორასამარხების შესახებ ვერ ვიტყვი.

რაც შეეხება მტკიცებას, თითქოს გვიანბრინჯაოს ხანაში (თუნდაც შიდა ქართლში) გორასამარხთა ადგილს, სამარხ-ნაგებობათა ახალი ტიპი — ორმოსამარხი იქერს, მის საწინააღმდეგოდ ფაქტიური მდგომარეობა მეტყველებს.

ორმოსამარხები რომ გვიანბრინჯაოს ხანაზე ადრე წარმოიშვა, ამის დამადასტურებელია არა ერთი ძეგლი. შიდა ქართლის ტერიტორიაზე ისინი თავს იჩენენ ჯერ კიდევ ადრეებრინჯაოს ხანის ძეგლებში (ქვაცხელა, ტვლეპიას წყა-

161 იქვე, გვ. 108—109.

162 იქვე.

რო¹⁶³, ხიზანანთ გორა¹⁶⁴, ძალინა¹⁶⁵ და სხვა), რომლებიც ავტორთა მიერ დათარიღებულია ძვ. წ. III ათასწლეულით. რაც შეეხება სხვა რაიონებს, დაახლოვებით ამავე ხანის ორმოსამარხები გაითხარა ცარცის გორაზე¹⁶⁶, ნაჩერქეზე¹⁶⁷ და სხვ. ჩვენში შუაბრინჯაოს ხანის ორმოსამარხები შესწავლილია დასავლეთ საქართველოში (ბრილის სამაროვანი¹⁶⁸). ისინი აღმოჩნდა აღმოსავლეთ საქართველოს მთელ რიგ ადგილებში: შიდა ქართლის ჩრდილო ნაწილში (ქულბაქები¹⁶⁹, ზღუდრის ბორცვი¹⁷⁰), კახეთში (საკობიანოს მახლობლად მდებარე სამაროვანი¹⁷¹), ქვემო ქართლში (არდასუბანი¹⁷²).

ამ მაგალითების მიხედვით საქართველოს მიწა-წყალზე მოსახლე ტომებს ორმოსამარხები აღრებრინჯაოს ხანიდან მოკიდებული მაინც უკეთებათ. ამიტომ ისინი, როგორც სამარხის ახალი ტიპი გვიანბრინჯაოს ხანაში კი არა, არამედ უფრო ადრე გაჩენილა, ხოლო მოგვიანო ხანაში ძალიან გავრცელებულა. ადრეულ და შუაბრინჯაოს ხანებში ორმოსამარხთა რიცხოვნობის სიმცირე არ უნდა იყოს იმის მაჩვენებელი, რომ მაინცდამაინც მაშინ ყალიბდებოდა სამარხის ეს ტიპი. გასათვალისწინებელია, რომ უფრო ადრეული ხანის ამ რიგის ძეგლები ჯერჯერობით ნაკლებადაა შესწავლილი და თუ რამდენიმე წლის წინათ მათი არსებობა ჩვენთვის უცნობი იყო შუაბრინჯაოს ხანაშიაც, ახლა უფრო ფართოდ გაშლილ საველე-არქეოლოგიური კვლევა-ძიების პირობებში, ამ კატეგორიის ძეგლთა რიცხვმა, მოსალოდნელია, კიდევ უფრო იმატოს და სხვაგვარი დასკვნების გამოტანა მოითხოვოს.

ვერ დავეთანხმებით იმასაც, თითქოს, გვიანბრინჯაოს ხანაში გორასამარხები სრულიად აღარ გვხვდებოდეს¹⁷³. ეს ავტორს ესაჭიროება იმის დასასაბუთებლად, თითქოს გვიანბრინჯაოს ხანაში ორმოსამარხები გორასამარხების ადგილს იკავებდნენ¹⁷⁴.

ამის საწინააღმდეგოდ მეტყველებს არაერთი არქეოლოგიური ძეგლი: გვიანბრინჯაოს ხანის გორასამარხები შესწავლილია ხადიკში¹⁷⁵, თეთრწყაროში¹⁷⁶, ულიანოვკაში¹⁷⁷, მადნისქალაში და სხვ. სამთავროში გორასამარხების

163 ალ. ჯავახიშვილი, ლ. დლონტი, ურბნისი, I, თბ., 1962, გვ. 41—43.

164 ლ. კილაშვილი, ნაქალაქარი ურბნისი, თბ., 1964, გვ. 8—12, ტაბ. V.

165 ო. ჯაფარიძე, ქართველი ტომების ისტორიისათვის ლითონის წარმოების ადრეულ საფეხურზე, თბ., 1961, გვ. 203.

166 იქვე, გვ. 131.

167 იქვე, გვ. 123.

168 გ. გობეჯიშვილი, არქეოლოგიური გათხრები..., გვ. 57.

169 ო. ჯაფარიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 21.

170 იქვე, გვ. 23.

171 კ. ფიცხელაური, შ. დედაბრიშვილი, კახეთის არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ 1965 წელს ჩატარებული საველე მუშაობის შედეგები, XV სამეცნიერო სესია მიძღვნილი 1965 წლის საველე-არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგებისადმი, თბ., 1960, გვ. 16.

172 ნ. თუშიშვილი, არდასუბნის შუაბრინჯაოს ხანის სამარხი, „მაცნე“, № 4, თბ., 1967, გვ. 225—231.

173 მ. ბარამიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 108—109.

174 იქვე.

175 ი. გძელიშვილი, დასახ. ნაშრ.

176 გ. გობეჯიშვილი, თეთრი წყაროს 1961 წლის არქეოლოგიური ექსპედიციის შედეგები, ბელნაწერი, თბ., 1962.

177 რ. აბრამიშვილი, 1960 წელს ლავოდების რაიონში..., გვ. 28—30.

აგების ტრადიცია მტკიცედ ინარჩუნებს თავის არსებობას იმ ხანაშიაც, რომელიც შუაბრინჯაოს პერიოდს უშუალოდ მოსდევს¹⁷⁸. 1969 წლის მიწურულში დილომთან გაითხარა ერთი შესანიშნავი გორასამარხი, რომელსაც რ. აბრამიშვილი წინასწარულად ძვ. წ. VIII—VII სს-ს აკუთვნებს. ჩვენთვის საინტერესო ხანაში გორასამარხები გვხვდება სომხეთშიც¹⁷⁹ და აზერბაიჯანშიც¹⁸⁰.

მადნისჭალაში სამარხ-ნაგებობათა ორივე ეს სახეობა თანაარსებობს. კახეთში ისინი თანაარსებობენ არა მარტო გვიანბრინჯაოს ხანაში, არამედ რკინის გამოჩენისა და მისი ფართო ათვისების ხანაშიც, — ალაზნის ქვემო დინებისა და ქიზიყის აღმოსავლეთ ნაწილში¹⁸¹.

ჩრდილო კავკასიაში, როგორც ადრე ითქვა, გორასამარხთა ერთი ნაწილი ა. წ. XVI—XVII საუკუნეებით არის დათარიღებული¹⁸².

ამასთან დაკავშირებით უნდა ითქვას, რომ ჩვენში გორასამარხთა აგების ტრადიცია საშუალო საუკუნეებზე გაცილებით ადრე წყვეტს თავის არსებობას, როგორც ჩანს, სადღაც რკინის ფართო ათვისების ხანის მიწურულში. თუ რა მიზეზს უნდა გამოეწვია გორასამარხების მშენებლობის მივიწყება ჩვენში, მეტად რთული საკითხია, რომელიც დამოუკიდებელ კვლევას მოითხოვს. იგი, ალბათ, დაკავშირებული უნდა ყოფილიყო იმ დიდ ძვრებთან, რომელიც მოჰყვებოდა ხოლმე ეთნიკური ჯგუფების გადაადგილებას, სოციალურ სიახლეებს, ახალ იდეოლოგიას, ტექნიკის განვითარებას და სხვ.

გარკვევით მხოლოდ იმის თქმა შეიძლება, რომ ამიერკავკასიაში გორასამარხებს აგებდნენ ძვ. წ. III ათასწლეულში. ტრადიციამ ეს ჩვევები გვიანბრინჯაოს ხანაშიაც შემოინახა და სწორედ ამ ნიადაგზე უნდა მოხდეს გვიანბრინჯაოს ხანის დაკავშირება მის წინამორბედ პერიოდთან.

დაახლოებით იგივე სურათი ჩანს ორმოსამარხთა კულტურაშიც. ამ ტიპის სამარხები ადრევე ისახება და შემდგომ პერიოდში, კერძოდ კი გვიანბრინჯაოს ხანაში ფართოდ ედება მთელ კავკასიას, მათ შორის აღმოსავლეთ საქართველოს.

ფაქტობრივი მონაცემები სწორედ იმას მეტყველებენ, რომ განხილული ტიპის სამარხი ნაგებობები ერთი მეორეს წიაღში იბადებიან, ვითარდებიან და დროის გარკვეულ მონაკვეთზე თანაარსებობენ. ეს თანაარსებობა გვიანბრინჯაოს ხანაშიაც არ წყდება, თუმცა კი გორასამარხთა რიცხვი საგრძნობლად კლებულობს, რაც სავსებით ბუნებრივია.

ამრიგად, მადნისჭალაში ერთდროულად თანაარსებობს სამარხთა რამდენიმე ტიპი: გორასამარხები, ორმოსამარხები (ჩვეულებრივი და ქვისწრეებიანი), ქვისსამარხები (ჩვეულებრივი და ქვისწრეებიანი), ძელებით ამოშენებული ქვისწრიანი სამარხი და — ორმოსამარხი, რომელსაც ერთ-ერთ კედლად ფილაქვა ჰქონდა გამოყენებული. აღნიშნული გარემოება, როგორც ჩანს, იმ სო-

178 ტ. ჩ უ ბ ი ნ ი შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 44.

179 А. О. Мнацаканян, Раскопки курганов..., გვ. 146—147; А. А. Мартиросян, დასახ. ნაშრ., გვ. 192—210.

180 А. А. Ивановский, По Закавказью, გვ. 151—165; Г. Пассек, Б. Латынин, Ходжалинский курган № 11, Изв. общ. обел. и изуч. Азербайджана, № 2, Баку, 1926, გვ. 48—66; Древний Мингечаур, გვ. 90—116.

181 კ. ფ ი ც ხ ე ლ ა უ რ ი, ორ-ალაზნის..., გვ. 45.

182 А. В. Мачинский, დასახ. ნაშრ., გვ. 317—324.

ციალური და ქონებრივი დიფერენციაციის ანარეკლია, რომელიც არსებობდა მადნისქალელთა ურთიერთობაში.

საფიქრებელია, რომ გორასამარხში ტომის ბელადები ან საზოგადოების ყველაზე უფრო დაწინაურებული წევრები იმარხებოდნენ.

ქვისწრეებიან სამარხებში, შესაძლებელია, საზოგადოების ზედა ფენის წარმომადგენლებს ასაფლავებდნენ. ამას გვაფიქრებინებს მათი განლაგება სამაროვნის საუკეთესო უბანზე და შიგ მოპოვებული ინვენტარის შედარებით სიმდიდრე. აღნაგობის მიხედვით მათ შორის გამოიყოფა სამი ტიპი: 1. ორმოსამარხი, 2. ქვისსამარხი, 3. ძელსამარხი.

ჩვეულებრივ ორმოსამარხებსა და ქვისსამარხებში საზოგადოების რიგითი წევრები უნდა ყოფილიყვნენ დაკრძალული. აღნიშნულ ვარაუდამდე მივყავართ იმასაც, რომ ისინი სამაროვნის პერიფერიაზე იყო მოთავსებული და, ჩვეულებრივ, ქვისწრეებიან სამარხებზე ლარიბულ ინვენტარს შეიცავდნენ.

ქვისწრეებიან და ჩვეულებრივი სახის სამარხებს შიგნითაც არსებობს, როგორც შედარებით მდიდრული, ისე ლარიბული და სრულიად უინვენტარო სამარხები. არ არის გამორიცხული, რომ ეს მდგომარეობა გვიჩვენებს იმ ქონებრივი უთანასწორობის განვითარებას, რომელიც სოციალურად ერთ საფეხურზე მდგომ ადამიანებში მიმდინარეობდა.

II გორასამარხის სახურავზე „ჩაქოლილი“ მიცვალებული და ზოგიერთი სხვა ზემოთ აღნიშნული გარემოება, იმხანად უფლებრივად დამოკიდებულ პირთა არსებობას უნდა მოწმობდეს.

მასალა გვიჩვენებს, რომ საზოგადოებაში მამაკაცებს უპირატესი ადგილი ეკავათ. მაგრამ, იგივე მასალა ქალების გარკვეულ რაოდენობაზეც მიგვითითებს: ქალთა დაკრძალვა დამოწმებულია გორასამარხშიც და ქვის წრეებიან ორმოსამარხშიც (რა თქმა უნდა, ჩვეულებრივ სამარხებშიაც), თუმცა მათი სამარხული ინვენტარი, ზოგიერთ გამონაკლისს გარდა, შედარებით ლარიბია. ამავე დროს, მამაკაცთა სამარხები მეტი ყურადღებითაც იგებოდა, რაც არსებითად უსვამს ხაზს ამ უკანასკნელთა უპირატეს მდგომარეობას.

მიცვალებულებს, ყოველ შემთხვევაში, ასაფლავებდნენ ერთი გარკვეული წესის თანახმად: მძინარე ადამიანის მდგომარეობაში, ქალებს — მარცხენა, მამაკაცებს მარჯვენა გვერდზე; ბავშვებსაც ანალოგიურად, ალბათ, სქესობრივი ნიშნის გათვალისწინებით.

მიცვალებულთა დაკრძალვის შემდეგ სამარხებს ქვის ფილებით ხურავდნენ. ზემოდან აყრიდნენ ან მხოლოდ მიწას, ან ჯერ მიწას და შემდეგ რიყის ქვებს. თავდაპირველად სამარხები მიწისაგან თავისუფალი უნდა ყოფილიყო. დროთა ვითარებაში ისინი ივსებოდა ნალექებთან ერთად ჩაყონილი მიწით. ხანდახან ეს პროცესი დაჩქარებულია სახურავის ჩაწოლით, რაზედაც მიუთითებს ჩავარდნილი სახურავის მიერ თიხის ქურჭელთა პირების ჩამომტვრევა.

მოსახლეობაში, როგორც ჩანს, გაბატონებული იყო ციურ ღვთაებათა — მნათობთა თაყვანისცემა. აღნიშნული რწმენის არსებობას მოწმობს სამარხების ირგვლივ, ან ერთ რომელიმე მხრიდან შემოწყობილი ქვებით შედგენილი წრეები, ნახევარმთვარისებური, დისკოსებური და რკალისებური წყობა.

მადნისქალაში, აგრეთვე, იცნობდნენ თითქმის საყოველთაოდ ფართოდ გავრცელებულ კენოტაფების აგების წესსაც.

განსახილველი სამაროვანი ჯერჯერობით ერთადერთი ძეგლია (ყოველ შემთხვევაში ჩვენთვის ცნობილი), სადაც დამოწმებულია მიცვალებულთა და-

კრძალვა სქესობრივ-ასაკობრივი ნიშნით: მამაკაცების, ქალების და ბავშვების ცალ-ცალკე, მათთვის გამოყოფილ სათანადო უბნებზე. იმის ახსნა თუ რას უნდა განეპირობებია ამ ჩვეულების ჩამოყალიბება ჩვენს ხელთ არსებული მასალებით ძალიან ძნელია. ამის გამო იძულებული ვართ დამოწმებული ფაქტი სამაროვანის ლოკალურ თავისებურებას მივაწეროთ.

მადნისქალის სამაროვანზე პირველად დადგინდა, რომ გვიანბრინჯაოს ხანის ადრეულ ეტაპზე ქვემო ქართლში ქვისსამარხისა და ორმოსამარხის გვერდით სცოდნიათ ძელსამარხის კეთებაც. აღნიშნული ფაქტი მნიშვნელოვანია იმიტაც, რომ ზოგიერთი ზემოხსენებული მოსაზრების გამო, დამოწმებული სამარხის ტიპი შემთხვევითი მოვლენა არ უნდა იყოს. ამ მიმართულებით წარმოებული შემდგომი კვლევა-ძიება უეჭველად მოგვცემს მეტ მასალას ძელსამარხთა კონსტრუქციის დასაზუსტებლად. აღნიშნულის საფუძველზე დგება საკითხი: ორმოსამარხთა ერთი ნაწილი თავის დროზე ძელებით ხომ არ იყო ამოშენებული და თუ მათ ვერ ვხვდებით, იქნებ იმიტომ. რომ ხე, თუ არა განსაკუთრებული პირობები, მიწაში სწრაფად ლპება და ქრება.

ქვემო ქართლში ქვისფილებიანი ორმოსამარხები გვიანბრინჯაოს ხანის ადრეულ ეტაპზე არსებობს. შიდა ქართლში ისინი პირველად დაახლოებით ძვ. წ. XI—X სს-ში ჩნდება. როგორც ჩანს, სამარხის აღნიშნული ტიპი შიდა ქართლში ქვემო ქართლიდან შედის.

სამარხთა მსგავსი აღნაგობა და მიცვალებულთა დაკრძალვის ზემოხსენებული წესები მარტო მადნისქალისათვის არ არის დამახასიათებელი, იგი დროის ფართო მონაკვეთზე იყო გავრცელებული მთელ კავკასიაში — მეტადრე მის აღმოსავლეთ ნაწილში და, როგორც ჩანს, ახასიათებდა არა ერთ ეთნიკურ ჯგუფს. ამავე დროს, ზოგიერთი ნიშნით იგრძნობა (რკინის ათვისების ხანამდეც — ქვისსამარხების, ქვისფილებით გადასურული ორმოსამარხების და ზემოგანხილული ზოგიერთი სხვა კომპონენტის არსებობით), რომ ეს სამაროვანი უფრო მიიწევს, — ერთის მხრივ, ქვემო ქართლის (ბაიბურთი, წოფი, ბეშთაშენი), სამხრეთ-აღმოსავლეთი ამიერკავკასიის (ქედაბეკ-კალაქენდი, გიუზალდარი, გეხაროტი, თაზაქენდი და სხვა) და, — მეორე მხრივ, ჩრდილო კავკასიის აღმოსავლეთი ნაწილის (ხოროჩოი, დარგა, კაიაკენტი, მამაი-კუტანი და სხვა) ძეგლებისაკენ.

გვიანბრინჯაოსა და ადრერკინის ხანაში ქვისსამარხები, ქვემო ქართლს გარდა, უმთავრესად გავრცელებულია ქვემო ქართლის სამხრეთით მდებარე რაიონებში. საკმაო რაოდენობითაა წარმოდგენილი ისინი ჩრდილო კავკასიის ცენტრალურ¹⁸³ და აღმოსავლეთ ნაწილშიც. შიდა ქართლში მსგავსი სამარხები ძალიან იშვიათია.

საინტერესოა, რომ ქვისსამარხების გავრცელების რაიონს ერთგვარად ემთხვევა ქვისწრებიანი სამარხების გავრცელებაც.

მასალიდან ჩანს, რომ გვიანბრინჯაოს ხანის ქვემო ქართლში არსებობს სამარხ-ნაგებობათა თითქმის ყველა ის ტიპი, რომელიც დამახასიათებელია

¹⁸³ E. И. Крупнов, Материалы по археологии Северной Осетии докобанского периода, МИА, № 23, зб. 40—70; МАК—VIII; Chantre, F., Recherches anthropologiques dans le Caucase, t. II, Paris-Lyon, 1886; Virchow Rud., Das gräberfeld von Koban in Lande der Osseten, Berlin, 1883; მისივე, über die culturgeschichtliche, stellung des Kaukasus, Berlin, 1895.

როგორც სამხრეთ-აღმოსავლეთ ამიერკავკასიისათვის, ისე შიდა ქართლისათვის. აღნიშნული ვითარება კიდევ ერთხელ მიუთითებს, რომ ქვემო ქართლი ერთ-ერთი ისეთი რაიონთაგანია, სადაც უნდა მომხდარიყო ზემოდასახელებულ რაიონებში მოსახლე ტომთა კონტაქტები, რის საწინდარი, სხვადასხვა ერთად, ქვემო ქართლის საშუალებლო გეოგრაფიულ მდებარეობაში უნდა ვეძიოთ. გარდა ამისა, ქვემო ქართლი მდიდარია საუკეთესო საძოვრებით და საგულისხმოა, რომ აქ მაშინაც თავს იყრიდნენ სხვადასხვა რაიონებიდან მოსული მესაქონლეები, რასაც არ შეეძლო გარკვეული კვალი არ დაეტოვებინა.

მაგრამ თუ შედარებით იოლად შეიძლება წარმოვიდგინოთ აღმოსავლეთ ამიერკავკასიის ტომებს შორის არსებული ურთიერთობა, რაც კარგად ჩანს სხვა არქეოლოგიური მასალების მიხედვითაც. ეს არ ითქმის ჩრდილო-აღმოსავლეთ კავკასიისთან ურთიერთობის შესახებ. მართალია, მთელი რიგი ნიშნები, რომლებიც გამოხატულია სამარხთა აღნაგობისა და მიცვალებულთა დაკრძალვის წესში, თითქოს მიუთითებენ აქ მოსახლე ტომების ურთიერთობას, მაგრამ მთლად ნათელი არ არის რა გზებით, ანდა რა საფუძველზე უნდა მომხდარიყო იგი. საქმე ისაა, რომ საშუალებლო ტერიტორიებისათვის არ არის დამახასიათებელი მსგავსი სამარხები. აღსანიშნავია ისიც, რომ, ერთი მხრივ — სამხრეთ ამიერკავკასიაში, მეორე მხრივ კი — ჩრდილო კავკასიის ცენტრალურ და აღმოსავლეთ ნაწილში მოპოვებული ამ ხანის სხვა არქეოლოგიური მასალებიც საკმაოდ განირჩევიან ერთმანეთისაგან და სხვადასხვა კულტურულ სფეროებში ექცევიან¹⁸⁴. რა თქმა უნდა, აღნიშნულ ტერიტორიებს შორისაც იყო ერთგვარი ურთიერთობა, მაგრამ ეს ურთიერთობა მასალების მიხედვით ისე მძლავრი არ ჩანს, როგორც საკუთრივ აღმოსავლეთ საქართველოს და მის სამხრეთით მდებარე რაიონებს შორის.

184 შდრ. გ. მელიქიშვილი, საქართველოს, კავკასიის და მახლობელი აღმოსავლეთის უძველესი მოსახლეობის საკითხისათვის, თბ., 1965, გვ. 202.

Handwritten notes in Georgian script, partially illegible due to fading and bleed-through from the reverse side of the page.

მოკოვებული მასალის ტიპოლოგიურ-ქრონოლოგიური კლასიფიკაცია

მადნისქალის სამაროვანზე აღმოჩენილი მრავალრიცხოვანი არქეოლოგიური მასალა შეიძლება სამ უმთავრეს ჯგუფად დაიყოს. ესენია: I — თიხის ჭურჭელი, II — იარაღ-საჭურველი და III — სამკაული. ყოველ ჯგუფში სხვადასხვა ტიპისა და ქვეტიპის გამოყოფაც ხერხდება.

§ 1 თიხის ჭურჭელი

სამარხეული მასალის უდიდეს ნაწილს თიხის ჭურჭელი წარმოადგენს.

გვიანბრინჯაოს ხანისათვის საზოგადოდ ცნობილი ფორმების ნაირსახეობა, ნაწარმის სიმრავლე, ტექნოლოგიის მაღალი დონე და ა. შ. დამახასიათებელია მადნისქალის კერამიკისათვისაც. ამ დროისათვის უკვე შემუშავებული საკმაოდ დახვეწილი ძირითადი ფორმები თითქმის ათეული საუკუნის მანძილზე განაგრძობენ თავის არსებობას, რის გამოც ძნელია გამოიყოს ისეთი ჭურჭელი, რომელიც საიმედოდ შეიძლება მიეკუთვნოს დროის რომელიმე ვიწრო მონაკვეთს.

სწრაფადმბრუნავი მორგვის ფართოდ გამოყენება, როგორც ცნობილია, საფუძველს უყრის კერამიკული პროდუქციის სერიულ წარმოებას სწორედ გვიანბრინჯაოს ხანაში. ამიტომაც თიხის ჭურჭელზე შენიშნულმა ყოველმა ახალმა ელემენტმა შესაძლოა მეტ-ნაკლები სისრულით გვიჩვენოს კერამიკული წარმოების განვითარების სურათი.

მადნისქალის კერამიკა, დამზადების ტექნიკის თვალსაზრისით ძირითადად ორი სახისაა. მისი ერთი ნაწილი სამეთუნეო მორგვზეა ნაკეთები. თიხა, უმრავლეს შემთხვევაში, ერთგვაროვანია, საკმარისად წვრილმარცვლოვანი. არის წმინდად გაცრილი თიხისაგან ნაკეთები ჭურჭელი; ზოგიერთ კეცში შეინიშნება წვრილად დაფხვნილი ქარსი და ობსიდიანი. ძლიერ დაწმენდილი ან განლექილი თიხისაგან ნაკეთები პროდუქცია აქ სრულებით არ ჩანს, მაგრამ ვინაიდან ამ ჭურჭლის ნაწილი ანგობირებულია და ზედაპირგაპრიალეებული, ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, თითქოს ისინი განლექილი თიხისაგან იყოს დამზადებული. ჭურჭელი ძირითადად ნაცრისფერია; ზოგიერთი იმდენად მუქია, რომ თითქოს შავ ფერში გადადის. მხოლოდ რამდენიმე ცალია მოვარდისფრო და მოყვითალო-მოწაბლისფრო.

კერამიკის მეორე ნაწილი ხელითაა ნაკეთები, მეტწილად ცუდად დამუშავებული თიხისაგან. რაოდენობრივად იგი შედარებით მცირერიცხოვანია: მთელი პროდუქციის დაახლოებით 20%-ს შეადგენს. მას ახასიათებს მოყვითალო

ან მოყავისფრო-მოვარდისფრო კეცი; თიხა მსხვილმარცვლოვანია, არასრულფასოვნად გამომწვარი და ამის გამო. რიგ შემთხვევაში ადვილად იშლება. ამ სახის ქურქელი, სამეთუნეო მორგვზე ნაკეთებ კერამიკისაგან განსხვავებით, თითქმის ყოველთვის მეტ-ნაკლებად ასიმეტრიულია. იშვიათად ქურქლის კეცი გამომწვარია წაბლისფრად ან მოწითალოდ, ხოლო ზედაპირი — შავად გაპრიალებული. არის წაბლისფრად გაპრიალების შემთხვევებიც.

ერთსა და იმავე ძეგლზე, სამეთუნეო მორგვზე და მის გარეშე ნაკეთები კერამიკული ნაწარმის თანაარსებობა. მეცნიერების მიერ აღრევეა შენიშნული. იმის ასახსნელად თუ რას უნდა გამოეწვია ეს გარემოება, სპეციალურ ლიტერატურაში გამოითქვა რამდენიმე ვარაუდი, რომელთა მიხედვით ქურქლის ხელით კეთება თითქოს ქალების მოვალეობაში შედიოდა და მათ დამზადებაში მორგვის გამოყენება მამაკაცების საქმე იყო¹; ანდა — ხელით ნაკეთები, უხეში ქურქელი, უმთავრესად მიცვალებულისათვის სამარხში ჩასაყოლებლად მზადდებოდა და ამიტომაც მკეთებელი მის ხარისხზე მაინცდამაინც არ ზრუნავდა².

უფრო სწორი უნდა იყოს ო. ჯაფარიძის მოსაზრება. შიდა ქართლის და თრიალეთის მასალებზე დაკვირვებით იგი ასკვნის, რომ უხეშ ქურქელს, კარგ ნაწარმთან ერთად ძირითადად პრაქტიკული, ე. ი. „საამქვეყნო“ (და არა სიმბოლური, „იმქვეყნად“ გამოსაყენებელი) დანიშნულება უნდა ჰქონოდა. ავტორის აზრით, ძნელი სავარაუდოა, რომ ე. წ. სახელდახელო ქურქელი ქირისუფლებს მხოლოდ სამარხებში ჩასაყოლებლად დაემზადებინათ³, თუმცა უკანასკნელის სავსებით გამორიცხვაც, ალბათ, არ იქნებოდა მთლიანად სწორი.

მკვლევარის ვარაუდს ამაგრებს ისიც, რომ ხსენებული ქურქელი დამოწმებულია ნამოსახლარებზეც (მაგალითად ხოვლეში⁴), რაც თავისთავად გულისხმობს მათ პრაქტიკულ გამოყენებას.

ხშირად გვხვდება როგორც სამეთუნეო მორგვზე ნაკეთები, ისე ხელით ნაძერწი ქურქელი, რომლის ზედაპირზე შეინიშნება შავი, ლეგა, მოწითალო, ან კიდევ სხვა ელფერის ლაქები. ეს ლაქები უნდა იყოს ქურქლის არათანაბრად გამოწვის, ხანგრძლივად ხმარების⁵ (სამთავრო, კასპი, ნარეკვაი, თბილისი, დვანი და სხვა⁶; ასეთი კვალი ეტყობა მადნისქალის რამდენიმე ქურქელსაც, მაგალითად, № 56, 69, 86, 97, 196, 197 და სხვა ქურქლები: იხ. ტაბ. XXI—XXX) ან ხანძარში თუ დიდ ცეცხლში მოხვედრის⁷ (მაგალითად ხოვ-

¹ А. В. Арциховский, Введение в археологию, М., 1947, გვ. 44.

² Б. Е. Деген, Курганы в Кабардинском парке..., გვ. 244; Б. А. Куфтин, Археологические раскопки в Триалети, გვ. 58; მისივე, Материалы к археологии Колхиды, ტ. I, თბ., 1949, გვ. 295; ტ. ჩუბინიშვილი, მიცვალებულის კერზე დასაფლავება სამთავროში, საქართველოს სსრ მეცნ. აკად. მოამბე, ტ. XII, № 1, 1951, გვ. 64—65; მისივე, მცხეთის უძველესი..., გვ. 68; რ. რამიშვილი, კამარახევის სამაროვანი, მსკა, ტ. II, თბ., 1959, გვ. 27.

³ ო. ჯაფარიძე, არქეოლოგიური გათხრები თრიალეთში, 1957—1958 წწ., თბ., 1960, გვ. 11—12. აღნიშნულ მოსაზრებას იზიარებენ სხვა მკვლევარებიც: იხ. მ. ბარამიძე, კასპის სამაროვანი, გვ. 36; ნ. ოქროპირიძე, ქართლი ძველი წელთაღრიცხვის მეორე და პირველი ათასწლეულის პირველ ნახევარში მუხრანის ველის არქეოლოგიური მონაცემების მიხედვით, თბ., 1966, გვ. 167—168, ხელნაწერი (სადისერტაციო ნაშრომი).

⁴ დ. მუსხელიშვილი, ხოვლეს არქეოლოგიური ექსპედიციის განათხარი მასალა 1962—1966 წწ.; ხელნაწერი, თბ., 1966.

⁵ მ. ბარამიძე, კასპის სამაროვანი, გვ. 36.

⁶ იქვე.

⁷ დ. მუსხელიშვილი, დასახ. ნაშრომი.

ლესი⁸: აგრეთვე მადნისქალის № 121 ორყურა დერგი, რომელიც იმდენად გადამწვარია, რომ დეფორმაციაც განიცადა, იხ. ტაბ. XXX) შედეგად.

მადნისქალის ზოგიერთი — მორგვზე და მის გარეშეც ნაკეთები — ჭურჭელი გამომწვარია არასრულფასოვნად. მორგვზე დამზადებული ჭურჭელი იშვიათადაა ცუდი ხარისხის (№ 92, 94, 97; ტაბ. XXI—XXX). არის შემთხვევები, როდესაც აღნიშნული ჭურჭლის კეცი მოვარდისფროა და შუაში შავი ან მონაცრისფრო შრე გაუყვება (№ 8, 15, 82, 99, 107 და სხვა.). ზოგიერთი ჭურჭელი იმდენად სუსტადაა გამომწვარი, რომ გარეცხვის დროს იშლებოდა კიდევ (№ 16, 56, 85 და სხვ.). ზანდაზან ისინი ნაკეთებია მსხვილ-მარცვლოვანი და კენჭებნარევი — ცუდად დამუშავებული თიხისაგან. მათი კეციც შედარებით სქელია. ორნამენტი ან სრულებით არ გააჩნია და თუ აქვს ძალიან ღარიბი: ესაა ჯერ კიდევ გაუმშრალებელ თიხაზე დატანილი ე. წ. ფრჩხილისეული (№ 93, 133 და სხვ.), სოლისებური (№ 89, 91, 127 და სხვა) და სხვა მარტივი კდეები (№ 40, 90, 196 და სხვ.), რომლებიც გაკეთებულია ზერელედ, უსწორმასწოროდ. ფორმებს აკლია დახვეწა, ასიმეტრიულია და საერთოდ მდარედ გამოიყურება.

აღნიშნული გარემოება გამოწვეული უნდა იყოს მათი დამზადების ტექნოლოგიური პროცესების დარღვევით, გამოწვის დაჩქარებით და, როგორც ჩანს, პირველყოფლისა ხელოსნის გამოუცდლობით.

დაბალი ხარისხის ჭურჭელი მადნისქალის კერამიკის 25—30%-ს შეადგენს. ამ რაოდენობაში უნდა ვიგულისხმოთ თვით მომხმარებლის მიერ სახელდახელოდ ნაკეთები ჭურჭელი (დაახლოებით 20%) და სათანადო სახელოსნოს ნაწარმის ნაწილიც (დაახლოებით 5—10%).

საერთოდ კი კერამიკული მასალის უმთავრესი ნაწილის მიხედვით შეიძლება დავასკვნათ, რომ მადნისქალელი ხელოსნები კარგად იყვნენ გაწაფული მეთუნეობაში. ამის საილუსტრაციოდ მრავალი ნიმუში მოგვეპოვება (მაგალითად № 1, 10, 17, 25, 48, 54, 55, 58, 66, 67, 70, 75, 83, 92, 98, 106, 112, 115, 116, 140, 141, 143, 164, 165, 190, 193, 194, 198 და სხვა, ჭურჭელი: ტაბ. XXI—XXX).

ამრიგად, მადნისქალის სამარხებში აღმოჩენილი დახვეწილი გემოვნებით ნაძერწი კერამიკა, ამ ნაწარმის მასობრივი ხასიათი (მაშინ, როდესაც ხელით ნაკეთები ბევრი ჭურჭელი იმდენად ფართოდ გავრცელებული არ ჩანს და ხშირად მარტო ამა თუ იმ ძეგლებს ახასიათებს) და მსგავსი ხელობისა და მოყვანილობის თიხის ჭურჭლის ფართოდ გავრცელება სხვა სინქრონულ სამარხებსა და ნამოსახლარებზე იმას უნდა გვიჩვენებდეს, რომ ჩვენ საქმე ვვაქვს მეთუნეობაში უაღრესად გაწაფულ და დასპეციალებულ ხელოსნების პროდუქციასთან.

მადნისქალის მთელი კერამიკა დანიშნულებისა და მოყვანილობის მიხედვით სამ ძირითად ჯგუფად იყოფა:

I სუფრის ჭურჭელი (დოქი, ხელადა, სასმისი, ტოლჩა, ჯამი და სხვ.),

II სამზარეულო კურქელი (ქოთანი, ქვაბ-ქოთანი და სხვ.),
III სამეურნეო კურქელი (დერგები, სადღვებლები და სხვ.)⁹.

I სუფრის კურქელი

მადნისქალის სამარხებში ყველაზე მრავალრიცხოვნად სუფრის კურქელია წარმოდგენილი. ამ ჯგუფში შედის: დოქები, ხელადები, სასმისები, ჯამები, ლანგრები და სხვ.

1. დოქი (№ 1; ტაბ. XXI; სურ. 19) წარმოდგენილია ერთი საკმაოდ მაღალი ($h=34,0$ სმ) კურქლით. აქვს გადმოშლილი პირი (პირის $d=12,5$ სმ), მაღალი, წელში ოდნავ გამოყვანილი ყელი (ყელის $d=8,0$ სმ), ძლიერ გამობერილი მუცელი (მუცლის $d=30,0$ სმ) და ვიწრო, ბრტყელი ძირი (ძირის $d=9,7$ სმ). მაღალი რკალური ყური ერთმანეთთან აერთებს ყელის და ძირის ზედა ნაწილებს; მის „გრეხილად“ დაღარულ ზურგს შემოდან შევრილიც ქონია გაკეთებული. მაგრამ ჩამოტყდომია. ყელის ძირს შემოუყვება მსხვილი წერტილებით დაქდებული წიწვოვანი სარტყელი. მის ქვემოთ მოთავსებულია წვერობშექცევით ერთმანეთში სოლისებურად შექრილი შავბრიალა და მუქი წაბლისფერი სამკუთხედები. ეს უკანასკნელი დასერილია დაწნევით გაპრიანებული ურთიერთგადამკვეთი შავი ზოლებით. უფრო ქვემოთ, მუცელზე შემოსდევს ორ მსუბუქ ღაროვან წრეს შორის მოთავსებული ამოკაწრული ტალღები.

მოყვანილობით მსგავსი დოქი, რომელსაც ზოომორფულშვერილიანი ყურიც აქვს, აღმოჩნდა სამთავროს 294-ე ორმოსამარხში — თიხის კიდეც 3 კურქელთან, ბრინჯაოს ფოთლისებურ სატევართან, მასრაგახსნილ შუბისპირთან და თავხვია საკინძთან ერთად¹⁰.

გრეხილყურიანი დოქები ნაპოვნია, აგრეთვე, კასპის გვიანბრინჯაოს ხანის სამარხებში¹¹ და ხოვლეგორის ადრეული საფეხურის VIII და VII ჰორიზონტებში¹².

გრეხილყურიანი დოქების ადრეულ თარიღს მხარს უჭერს ირანის აზერბაიჯანის გე-თეფეს განათხარი მასალაც¹³. ბ. ბრაუნი ფიქრობს, რომ ამ კურქელის შემცველი A პერიოდის კულტურა, ხსენებულ ბორცვზე შემოიტანა სამხრეთ რუსეთიდან (ალბათ კავკასია იგულისხმება; ნ. თ.) იქ მისულმა ტომებმა¹⁴. მისი აზრით, ეს უნდა მომხდარიყო არა უგვიანეს ძვ. წ. 1200 წლისა¹⁵ და ამ ხალხს, გზად აზერბაიჯანის ტერიტორიაც უნდა გაეფლო¹⁶. თავისთავად ცხადია, რომ გე-თეფეს გრეხილყურიანი დოქებისათვის მიღებული ზე-

⁹ ცხადია, ასეთი დაჯგუფება სავსებით პირობითია, რადგანაც ერთსა და იგივე სახის კურქელს ყოველდღიურ ცხოვრებაში შეიძლება მრავალმხრივი გამოყენებაც ჰქონდეს. ჯგუფებში გაერთიანებული ზოგიერთი კურქელი ხანდახან რამდენიმე ტიპოლოგიურ ვარიანტს იძლევა. ასეთ შემთხვევაში ისინი ცალკე ქვეტიპებად გვაქვს გამოყოფილი.

¹⁰ ტ. ჩუბინიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 29—30, 62—63, სურ. 7, ტაბ. XV⁶²⁶⁵.

¹¹ მ. ბარამიძე, კასპის სამაროვანი, გვ. 37.

¹² დ. მუსხელიშვილი, დასახ. ნაშრომი.

¹³ T. Burton Brown, Excavations in Azerbaijan, London, 1951, გვ. 158, სურ. 37, კურქელი 26, 121.

¹⁴ იქვე, გვ. 257—262, 267.

¹⁵ იქვე, გვ. 153.

¹⁶ იქვე, გვ. 257—262.

და ქრონოლოგიური საზღვარი (არა უგვიანეს ძვ. წ. XIII ს-ის დასაწყისისა) ჩვენთვის არ გამოდგება, რადგანაც, როგორც თვითონ ავტორი ამბობს, ისინი ამიერკავკასიის გავლით ყოფილა შეტანილი. ამას ემთხვევა ისიც, რომ აღმოსავლურ-ქართულ მასალებში, ისინი გვიანი ბრინჯაოს ხანის ადრეულ საფეხურზე ჩნდებიან.

ორივე ამ მონაცემებზე დაყრდნობით უკვე მტკიცედ შეიძლება ითქვას, რომ ჩვენში მათი გავრცელების თარიღი ქრონოლოგიურად ერთი საუკუნით ადრე მაინც უნდა გადავწიოთ.

საინტერესოა, რომ ჩრდილო კავკასიაში, დაახლოებით მსგავს დოქებს (ოღონდ მათი ძირი გამოყოფილია ქუსლით) ვხვდებით სარმატული კულტურის შემცველ სამარხებში¹⁷. უფრო ადრე ისინი იქ თითქოს არ ჩანან და ამიტომ საფიქრებელია, რომ ეს ფორმები იქ ამიერკავკასიიდან შევიდა.

შიდა ქართლის კერამიკული მასალის კომპლექსური შესწავლის დროს დოქების ტიპოლოგიური განვითარების საკითხს შეეხო მ. ბარამიძე. მან სწორად შენიშნა, რომ ადრეულ დოქებს ახასიათებს ბრტყელი ძირი, მაშინ როდესაც, მოგვიანებით მათ უჩნდება მეტ-ნაკლები სიმკვეთრით გამოხატული ქუსლი¹⁸.

მადნისქალის დოქისათვის დამახასიათებელი ყველა ნიშანი (მოყვანილობა, შემკობა) მიგვიითბებს, რომ ასაკობრივად იგი ადრეულ ჭურჭელთა მწკრივში უნდა ჩავაყენოთ.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სამთავროს უძველესი ორმოსამარხებისაგან განსხვავებით, სადაც დოქები მხოლოდ მამაკაცებისა და მარჯვენა გვერდზე დასაფლავებულ ბავშვთა სამარხებშია¹⁹, მადნისქალაში ქალის სამარხში შეგვხვდა.

2. კოკა (№ 112; ტაბ. XXI; სურ. 30). აქვს გაშლილი მხრები (მუცლის $d=27,5$ სმ), ქვემოთკენ შევიწროებული გვერდები და ბრტყელი ძირი (ძირის $d=9,5$ სმ). ჩანს, საკმაოდ ფართო პირი ჰქონია, თუმცა არც ყელი და არც ყური არ შემორჩა.

ყურის ქვედა ფუძე დაბოლოებულია მეტად საინტერესო რელიეფური გამოსახულებით: მთლიანად აღებული იგი ძალიან ჰგავს ფრინველის კლანჭებს, მაგრამ, ამავე დროს, მისი ცალკეული „ბრტყალი“ თითქმის ზუსტად გამოსახავს პურის თავთავს, რაც მიღწეულია ერთმანეთისაკენ მახვილი კუთხით მიმართული ირიბი ჭდეების საშუალებით. ჭურჭელზე პურის თავთავის არსებობა, იქ მოსახლე ტომებში, მარცვლეული კულტურის ბაზაზე, მიწათმოქმედების არსებობის ერთგვარი მაჩვენებელია.

საყურადღებოა, რომ აღნიშნული ჭურჭელი მიცვალებულს იმთავითვე გატეხილი ჩააყოლეს; სამარხში ნაკლული ნაწილები არ იყო.

კოკას ყელის ძირში კლაკნილი ხაზი აქვს შემოვლებული. ასეთივე ხაზი მუცელზეც შემოსდევს ოღონდ ეს უკანასკნელი მოთავსებულია ორ ღაროვან სარტყელს შორის.

ამგვარად შემკული ჭურჭელი (მხედველობაში გვაქვს პურის თავთავების და ფრინველის კლანჭის რელიეფური გამოსახულება) სხვაგან არსად გვეგუ-

17 К. Ф. Смирнов, Археологические исследования в районе Дагестанского селения Тарки, в 1948—1949 гг, МИА СССР, № 23, 1951, გვ. 263, სურ. 21₁₀ და 22₂.

18 მ. ბარამიძე, შიდა ქართლის..., გვ. 5—7.

19 ტ. ჩუბინიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 62—63.

ლება. თავის ტანის მოყვანილობით კი იგი პარალელს პოულობს კასპის²⁰ ღრმა-ღელეს²¹, ხანლარის XIV გორასამარხის²² და გვიანბრინჯაოს ხანის სხვა მასალებში.

3. ხელაღები (№ 25, 116, ტაბ. XXI; სურ. 31; 2 ცალია). აქვთ დოქებთან შედარებით პატარა ტანი ($h=18,0-20,0$ სმ), მაგრამ უფრო ფართო პირი. მაღალი რკალური ყური — ერთს (№ 25) უშუალოდ პირთან აქვს შეერთებული, მეორეს (№ 116) — პირს ქვემოთ, ყელთან. ყურის ზურგი შემკულია არამკვეთრი „გრეხილი“ ღარებით. გარდა ამისა, მას ამშვენებს ნახევარსფეროსებრი, ზემოდან დაღარული შევრილი. მხარზე შემოუყვება მსუბუქად ამოღარული სამი კონცენტრული წრე.

მეორე (№ 25). ბიკონუსურტანიანი ხელაღა სრულიად სადაა.

ანალოგიური ჭურჭელი ხასიათდება ფორმათა მრავალგვარობით და ფართოდაა გავრცელებული ამიერკავკასიის გვიანი ბრინჯაოს და ადრეკინის ხანის ძეგლებში²³.

4. აქ გაერთიანებული გვაქვს სითხის ჩასასახმელი, ტოლჩებისა და სასმისების ტიპის 18 ცალყურა ჭურჭელი, რომელიც რაოდენობრივად ერთ-ერთი გავრცელებული სახეობაა მდინისქალის სამაროვანზე (№ 2, 40, 56, 75, 81, 82, 89—91, 93, 97, 99, 106, 122, 127, 133, 142, 196; ტაბ. XXII, XXIII). მოყვანილობით მათში ორ ქვეტიპს გამოვყოფთ.

ა. ტოლჩები (გარდა № 75 და № 106-სა; ტაბ. XXII). თითქმის ყველა ნაკეთებია ხელით. განსხვავდებიან ზომით და, აქედან გამომდინარე, დანიშნულებითაც. ზოგიერთი ჭურჭელი იმდენად დიდია, რომ გარდა სასმისისა მათ, ალბათ, სხვა დანიშნულებაც ექნებოდა. მოცულობის მიხედვით შესაძლებელი იყო მათში კიდევ რამდენიმე ქვეტიპის გამოყოფა, მაგრამ ვითვალისწინებთ რა ფორმათა თითქმის სრულ თანადამთხვევას, შეგნებულად ვარიდებთ თავს ასეთ დანაწევრებას, რადგანაც იგი კიდევ უფრო გადატვირთავდა ისედაც საკმაოდ დეტალურად წარმოდგენილ ტიპოლოგიურ სურათს.

უდიდესის სიმაღლე 17,0 სმ უდრის: უმცირესია — 5,4 სმ. ძირითადად ახასიათებთ კასრისებური ტანი (№ 2, 127, 139, 196 და სხვ.), ხანდახან ძირისაკენ ოდნავ შევიწროებული (№ 89, 93, 97 და სხვ.). აქვთ მცირედ გადმოშლილი, მეტ-ნაკლებად ბაკომომრგვალებული პირი. გვერდზე შებმული, საკმაოდ უხეში მრგვალღეროიანი ყური ყოველთვის შემკულია ზოომორფული სახეებით: რქებისაებრი შევრილებით (№ 89, 90, 93), ცხოველური ყურებით (№ 56, 81, 99). ზემოდან დაჭდეული ლილვაკისებური დანაძერწით (№ 2, 196), ანდა უნაგირისებურად შუაში ჩაღრმავებული შევრილებით (№ 89,

20 მ. ბარამიძე, შიდა ქართლი..., გვ. 128, ტაბ. XXI.

21 დ. ქორიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 97—101, 104—105, სურ. 35—40.

22 E. Гуммель, Археологические очерки, Баку, 1940, გვ. 37, სურ. 14.

23 გ. გობეჯიშვილი, არქეოლოგიური გათხრები..., ტაბ. XIX; ა. აფაქიძე, გ. გობეჯიშვილი, აღ. კალან დაძე, გ. ლომთათიძე, მცხეთა, I, ტაბ. CXIX₄; ტ. ჩუბინიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 62—63, ტაბ. XV, ჭურჭელი № 4855, 3929, 953; ს. მაკალათია, დასახ. ნაშრ., გვ. 236, სურ. 18₄; კ. ფიცხელაური, გვიანი ბრინჯაოს ხანის სამაროვანი..., გვ. 143—144, ტაბ. IV₂; მ. ბარამიძე, შიდა ქართლის..., გვ. 2—5; ნ. ოქროპირიძე, ნარეკვეის სამაროვანი, ტაბ. IV₁₄; დ. მუსხელიშვილი, დასახ. ნაშრ., A. A. Ивановский, დასახ. ნაშრ., ტაბ. X₂₁ და სხვ.

91). ზოგიერთი ყურის ზურგზე შეინიშნება მკრთალი „გრეხილი“ ღარები (№ 2; სურ. 19). მხარი შემკული აქვთ მწკრივად დაწყობილი ირიბი, თარაზული, სოლისებური ან ფრჩხილისეული ჭდეებით.

მოყვანილობით ამათგან მნიშვნელოვნად განსხვავებულია ერთი მუცელწიბოიანი ტოლჩა (№ 122; ტაბ. XXII). ყური, შემორჩენილი ნაშთების მიხედვით, მას ზედა ფუძით პირთან ჰქონია შეერთებული; ქვედა ნაწილით უერთდებოდა ბიკონუსურ გვერდს.

ცალკე უნდა აღინიშნოს პატარა სასმისი ც (№ 40, ტაბ. XXII). ამასაც ყური (ჩამოტეხილია) ზედა ფუძით შეერთებული ჰქონია ბაკომომრგვალებულ პირთან. ქვედა ფუძით — მომრგვალებულ მხართან.

ბ. ტოლჩები (№ 75, 106; ტაბ. XXIII), მუცელწიბოიანი. მათ ახასიათებთ გადმოშლილი პირი და ჩაღარული ყელი. ერთი მათგანის (№ 175) რკალური ყური შემკულია კოჭისებური დანაძერწით; მეორეს (№ 106) — შერჩენილი ფრაგმენტის მიხედვით, გრეხილი ყური ჰქონდა. ჭურჭლები ნაკეთებია სამეთუნეო მორგვზე.

მეოთხე ტიპის ორივე ქვეტიპში გაერთიანებული ტოლჩები ზოგადად გვიანბრინჯაოს ხანისათვისაა დამახასიათებელი. მათ სათანადო შესადარებელი მასალაც მოეპოვებათ²⁴.

მეოთხე ტიპში გაერთიანებული ტოლჩები, როგორც ითქვა, ძირითადად ნაკეთებია ხელით, სამეთუნეო მორგვის გარეშე. ამიტომ ისინი იშვიათად იმეორებენ ზუსტად სხვა თანადროულ ძეგლებზე აღმოჩენილ ტოლჩების მოყვანილობას. ამასთან ერთად, მათი დაუსხვეწავი ფორმები გარკვევით მიგვიჩვენებენ მათ არასერიულ წარმოებაზე. ამიტომ ფიქრობენ, რომ თითოეულ მათგანს მკეთებელი უნებლიეთ აძლევდა თავისებურ, სხვებისაგან დამოუკიდებელ ფორმას²⁵.

5. მეხუთე ტიპში ვაერთიანებთ ჯამის მოყვანილობის 33 ჭურჭელს, რომელიც ყველაზე მრავალრიცხოვან ჯგუფს შეადგენს. ინისი მეტწილად დამზადებულია სამეთუნეო ჩარხზე, თუმცა საკმარისი რაოდენობით გვხვდება ჩარხის გარეშე ნაკეთებიც.

ჯამებს, როგორც ჩანს, იყენებდნენ კერძის მოსათავსებლად და საჭმლის მოსატანად სუფრასთან. იმის მიხედვით თუ რა სახის საჭმლისათვის (წვნიანი თუ მშრალი კერძი, ხილეული და ა. შ.) იყო განკუთვნილი ეს ჭურჭელი, ხელოსნები მას შესაბამის მოყვანილობას აძლევდნენ (პირგადმოშლილი, პირშეზნექილი, ღრმა, ფრიალო და სხვა). ზოგიერთი მათგანი გამოსადეგია სითხის მოსათავსებლად. შემოჩამოთვლილი ყველა ნიშნის მიხედვით, აღნიშნული კერამიკული ნაწარმი რამდენიმე ქვეტიპად გვაქვს დაყოფილი:

ა. ჯამები (3, 71, 94, 100, 123, 129, 130, 134, 144, 145, 197; ტაბ. XXIV, 12 ცალი). აქვთ სწორი. ზოგ შემთხვევაში უმნიშვნელოდ შიგნით შედრეკილი გვერდი (პირის $d=10,0-24,0$ სმ), რომელიც წიბურით გადადის ბრტყელ ძირისაკენ შევიწროებულ კალთაზე (ძირის $d=3,0-8,0$ სმ). სიმაღლე

²⁴ ტ. ჩუბინიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 64—65. სურ. 55524, 64721; რ. აბრამიშვილი, რკინის ათვისების საკითხისათვის აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე (ავ. წ. XIV—VI სს.), სმმ, ტ. XXII-B, თბ., 1961, ტაბ. XII₁₀; მ. ბარამიძე, დასახ. ნაშრომი; დ. მუსხელიშვილი, დასახ. ნაშრომი და სხვ.

²⁵ მ. ბარამიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 14.

უდრის 5,0—7,5 სმ. გვერდზე შემოუყვებათ ერთიდან ოთხამდე ამოდარული წრე. სხვაგვარი ორნამენტი მათზე სრულებით არ გვხვდება.

მსგავსი ტურქული აღმოჩენილია სამთავროში²⁶, კასპში²⁷, ღრმალელეში²⁸, ნავთლელში²⁹, არტიკში³⁰ და სხვ.

შიდა ქართლის გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის კერამიკული ნაწარმის განხილვისას მ. ბარამიძე აღნიშნავს, რომ ამ ტიპის ჯამების არსებობა გვიანბრინჯაო II³¹ — გვიანვანურ პერიოდებს შორის თავსდება, თუმცა იქვე დასძენს, რომ გამონაკლისის სახით ერთი ასეთი ტურქული სამთავროს უძველეს ორმოსამარხშიც ყოფილა³².

თუ სამთავროს უძველეს ორმოსამარხებში მსგავსი ტიპის ჯამები იშვიათობაა, სამაგიეროდ ისინი ფართოდ წარმოდგენილია ხოვლეგორის VII პორიზონტში³³. ამის გამო, ვფიქრობთ, უფრო მიზანშეწონილი იქნებოდა შიდა ქართლშიც მათი გავრცელების ქვედა ქრონოლოგიური ზღვარი გვიანბრინჯაოს ხანის ადრეული ეტაპისაკენ გადაგვეწია.

რაც შეეხება ქვემო ქართლს, ასეთი ჯამები იქ, მადნისქალის მიხედვით, გვიანი ბრინჯაოს ხანის ადრეულ ეტაპზე არსებობდნენ. ცოტა მოგვიანებით ისინი გვხვდება ბეშთაშენში³⁴ (მაგრამ მათი ძირი უფრო მკვეთრადაა გამოსახული) და წოფში³⁵.

ბ. ჯამები (№ 10, 36, 45, 55, 117; ტაბ. XXIV; 5 ცალია). წინა ქვეტიპში გაერთიანებულ ჯამებისაგან მათ ასხვავებს მკაფიოდ გამოხატული ბაკომორგვალელებული პირი (პირის $d=22,0—25,0$ სმ) და უფრო დაბალი, შვეული გვერდი (სიმაღლე დაახლოებით $=2,0$ სმ); ძირის დიამეტრი 7,5—8,0 სმ უდრის, ხოლო საერთო სიმაღლე 6,0—8,0 სმ. ეს ჯამები, № 36 ტურქლის გარდა, სხვაგვარადაცაა შემკული: ამოდარული წრე მხოლოდ ერთ პირშებრტყელეებულ ჯამის გვერდზეა მოცემული, რომლის კალთა, გარდა ამისა, ბადისებურად გადამკვეთი პრიალა ხაზებითაა დასერილი (№ 10; ტაბ. XXIV; სურ. 20). დანარჩენ ჯამებს ქვედა ტანზე საპრიალო ხელსაწყოს საშუალებით დატანილი აქვთ ფართო რადიალური სხივები. ძირის ნაპირებს შემოსდევს წრე, რომელიც ხსენებული სხივების საშუალებით უერთდება გვერდიდან კალთაზე გარდამავალ წიბურის ქვეშ შემოვლებულ შედარებით მოზრდილ, მეორე წრეს (№ 45, 55, 117; სურ. 8, 31; ტაბ. XXIV). აღნიშნული ორნამენტი წარმოდგენს მზის სქემატურ გამოსახულებას, რაც ერთხელ კიდევ უსვამს ხაზს იქ მოსახლე საზოგადოების მიერ მნათობთა კულტის აღიარებას.

26 როგორც უძველესი ხანის 170-ე ორმოსამარხში, ისე გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის სამარხებშიც, მაგალითად № 30, 59 და სხვ.

27 მ. ბარამიძე, კასპის სამაროვანი, გვ. 40, ტაბ. II₁₁.

28 დ. ქორიძე, თბილისის..., გვ. 88, 128, სურ. 21₂.

29 იქვე, გვ. 159.

30 Т. С. Хачатрян, დასახ. ნაშრ., გვ. 109—112, ტაბ. XIX₅.

31 ავტორის მიერ შემუშავებული ქრონოლოგიური კლასიფიკაციის მიხედვით ძვ. წ. XIII—XII სს.

32 მ. ბარამიძე, შიდა ქართლის..., გვ. 27.

33 დ. მუსხელიშვილი, დასახ. ნაშრ. ავტორი VII პორიზონტს ძვ. წ. XIV საუკუნით ათარიღებს.

34 Б. А. Куфтин, დასახ. ნაშრ., ტაბ. XVIII₁.

35 რ. აბრამიშვილი, წოფის სამაროვანი.

ანალოგიური მოყვანილობის, მსგავსადვე შემკული ჯამები საკმაოდ ფართოდ იყო გავრცელებული აღმოსავლურ-ქართულ მატერიალურ კულტურაში და ზოგადად დამახასიათებელი ჩანს გვიანი ბრინჯაოს ხანის ძეგლებისათვის³⁶.

გ. ჯამები (№ 17, 20, 49, 65, 67, 150, 158; ტაბ. XXV; 8 ცალი). მათ აქვთ ბაკომომრგვალელებული პირი (პირის $d=21,5-23,5$ სმ), მეტნაკლებად შიგნით შედრეკილი გვერდი და მკვეთრწიბურიანი, ქვემოთ შევიწროებული კალთა. ბრტყელი ძირი (ძირის $d=7,0-8,5$ სმ) გამოყოფილია სუსტი ქუსლით, სიმაღლე უდრის 5,0—7,0 სმ. მეტნაკლებად გაპრიალებული ზედაპირი, ჩვეულებრივ სადაა.

5-გ ტიპის ჯამების პარალელები ცნობილია ბეშთაშენის³⁷, წოფის³⁸, სამთაურის³⁹, არმაზისხევის⁴⁰ და სხვა სამარხებიდან⁴¹.

დ. ჯამები (№ 76, 86, 166, 198; ტაბ. XXV; ოთხი ცალია) ზომა-მოყვანილობით თითქმის იმეორებენ გ ქვეტიპს. მათგან გამოირჩევიან შვეული გვერდით, გარდა ამისა, ზოგიერთი მათგანის გვერდი შემკულია ამოღარული კლაკნილით (№ 76; სურ. 21).

მათი ანალოგები ცნობილია ძირითადად აღმოსავლეთ საქართველოს გვიანბრინჯაოს ხანის მასალებიდან⁴². განსაკუთრებით მრავლადაა ისინი წარმოდგენილი ხოვლეში, როგორც ნამოსახლარზე⁴³, ისე სამაროვანზეც⁴⁴. აქ ზოგიერთ მათგანს, მადნისპალის ჯამის მსგავსად, გვერდი შემკული აქვთ ტალღური თუ კლაკნილხაზოვანი ამოღარული ზოლებით.

ქვემო და შიდა ქართლის ტერიტორიაზე ჯამების ამგვარი შემკობა, როგორც ჩანს, იწყება გვიანბრინჯაოს ხანის ადრეულ საფეხურზე და განაგრძობს თავის არსებობას მომდევნო პერიოდშიც.

ე. ღრმა ჯამები (№ 102, 107, 128, 141, 156; ტაბ. XXV; 5 ცალი). აქვთ მეტნაკლებად გადმოშლილი პირი (პირის $d=10,5-17,0$ სმ), შიგნით შედრეკილი მაღალი გვერდი, რომელიც მკვეთრი წიბურით გადადის კალთაზე და ბოლოვდება ბრტყელი ძირით (ძირის $d=3,6-6,5$ სმ). მათი გვერდი ხშირად შემკულია მკრთალი რელიეფური წრეებით.

ამგვარი ჯამები გავრცელებული იყო მთელ აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში, როგორც გვიანბრინჯაოს ხანის ადრეულ საფეხურზე, ისე მომდევნო პერიოდ-

³⁶ გ. გობეჯიშვილი, არქეოლოგიური გათხრები საბჭოთა საქართველოში, ტაბ. XIX; მისივე, სტალინის ნაცარგორა, ტაბ. VIII; ტ. ჩუბინიშვილი, დასახ. ნაშრ., ტაბ. XV₈₀₆; დ. მუსხელიშვილი, დასახ. ნაშრ.; დ. ქორიძე, დასახ. ნაშრ., ტაბ. XXXI₁₃; კ. ფიცხელაური, იორ-ალაზნის აუზის..., ტაბ. VI₃; მ. ბარამიძე, დასახ. ნაშრ.; აგრეთვე, იხ. ბეშთაშენის № 18 ორმოსამარხი, ქურჭლის საინვ. № 42—64/133.

³⁷ მე-4 ორმოსამარხი, ქურჭლის საინვ. № 42—64/22.

³⁸ რ. აბრამიშვილი, წოფის სამაროვანი.

³⁹ გ. გობეჯიშვილი, არქეოლოგიური გათხრები..., ტაბ. XIX.

⁴⁰ ა. აფაქიძე, გ. გობეჯიშვილი, აღ. კალანდაძე, გ. ლომთათიძე, მცხეთა, ტაბ. CXIX₁₀.

⁴¹ მ. ბარამიძე, დასახ. ნაშრ.

⁴² ბეშთაშენის № 1 ორმოსამარხში, საინვ. № 42—64/2; № 31 ორმოსამარხში, საინვ. № 42—64/213; № 34 ქვისამარხში, საინვ. № 42—64/236; აგრეთვე, იხ. რ. აბრამიშვილი, წოფის სამაროვანი; მ. ბარამიძე, დასახ. ნაშრ., (მაგრამ კასპში უფრო დიდი ზომისაა); ნ. ოქროპირიძე, დასახ. ნაშრ., ტაბ. V₁₁.

⁴³ დ. მუსხელიშვილი, დასახ. ნაშრ., ხოვლეგორის VII კორიზონტში.

⁴⁴ ტ. ჩუბინიშვილი, ო. დამბაშიძე, ხოვლეს სამაროვანი, გვ. 14—15 (№ 11 სამარხი).

შიც. ისინი გვხვდება თრიალეთში⁴⁵, კასპში⁴⁶, არმაზისხევში⁴⁷, ქედაბეკ-ყალა-ქენდში⁴⁸ არტიკში⁴⁹ და სხვ. აღნიშნული ტიპის ჯამები მრავლადაა წარმოდგენილი, აგრეთვე, გე-თეფეს A პერიოდის მასალებში⁵⁰.

ამათგან ნაწილობრივ განსხვავდება მადნისქალის ერთი შავპრილა ჯამი. იგი შედარებით დაბალია და აქვს ირიბი კდეებით შემკული გვერდი (№ 128; სურ. 33, ტაბ. XXV). მისი ზუსტი ანალოგები მოიპოვება ხოვლეგორის ნამოსახლარის VI—IV პორიზონტებში⁵¹ და ნარეკავის მესამე ორმოსამარხში⁵². შიდა ქართლის გვიანბრინჯაოს ხანის ადრეული ეტაპის მასალებში ისინი არ ჩანან. ამიტომ, შესაძლოა, ჯამების ეს ტიპი აღნიშნულ რაიონში ქვემო ქართლიდან შესულიყო. ყოველ შემთხვევაში აქ მათი არსებობა ქრონოლოგიურად წინ უსწრებს შიდა ქართლურ მასალებს, რადგანაც მადნისქალაში ასეთი ჯამი საკმაოდ არქაულ კომპლექსში იყო: თიხის კიდევ ოთხ კურქელთან, ბრინჯაოს თავხვია საკინძებთან, სარდიონის მრგვალ-ბრტყელ და ნაპობ მძივებთან ერთად (სურ. 33).

6. ლ ა ნ გ ა რ ი (№ 143; სურ. 34; ტაბ. XXIII). იგი თითქმის იმეორებს 5-ე ქვეტიპში გაერთიანებულ ჯამების ფორმას, მაგრამ მათთან შედარებით ბევრად ფართოა (პირის $d=33,0$ სმ; ძირის $d=9,0$ სმ; $h=7,2$ სმ). გარდა ამისა, მისი გვერდი ჩალარულია, ბრტყელი ძირი კი გამოყოფილია უმნიშვნელო ქუსლით. 5-ბ ქვეტიპის ჯამების ანალოგიურად, კალთა შემკული აქვს, საპრილო ხელსაწყოთა საშუალებით დატანილი მზის სქემატურად გამომსახველი სხივთა კონით.

ჩვენი ლანგარის მოყვანილობის კურქელი წარმოდგენილია გუნია-ყალის⁵³, ხოვლეს⁵⁴, კასპის⁵⁵ და სხვა მასალებში. განსაკუთრებით ახლოს დგას იგი (შემკობის მხრივაც) ბეშთაშენის მე-18 ორმოსამარხში აღმოჩენილ ლანგართან⁵⁶.

მადნისქალის მასალების მიხედვით, მსგავსი ლანგარები უკვე გვიანბრინჯაოს ხანის დასაწყისშივე ჩნდება (იხ. 35-ე ქვისსამარხის კომპლექსი 34-ე სურათზე). შემდგომ, აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე, როგორც ზემოთ დავინახეთ, ეს ფორმა განაგრძობს თავის არსებობას გვიანბრინჯაოს ხანის მთელ მანძილზე.

7. თ ა ს ი (№ 4; ტაბ. XXV; სურ. 19); აქვს მომრგვალებული ტანი და საკმაოდ ფართო ძირი ($d=8,0$ სმ). ბაკომომრგვალებული

45 Б. А. Куфтин, დასახ. ნაშრ., ტაბ. XLVIII.

46 მ. ბარამიძე, დასახ. ნაშრომი.

47 ა. აფაქიძე, გ. გობეჯიშვილი, აღ. კალანდაძე, გ. ლომთათიძე, დასახ. ნაშრ., ტაბ. CXIX₁₀.

48 А. А. Ивановский, დასახ. ნაშრ., ტაბ. XI₇.

49 Т. С. Хачатрян, Материальная культура..., გვ. 112—114, ტაბ. 20₄.

50 Т. Burton Brown, დასახ. ნაშრ., გვ. 154, სურ. 35, კურქელი 101.

51 დ. მუსხელიშვილი, დასახ. ნაშრ.

52 ნ. თქობრიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 188, 199—200, ტაბ. IV₁₂. ავტორს ეს კურქელი გაერთიანებული აქვს ლანგარების ჯგუფში.

53 Б. А. Куфтин, დასახ. ნაშრ., გვ. 57—58.

54 დ. მუსხელიშვილი, დასახ. ნაშრომი.

55 მ. ბარამიძე, დასახ. ნაშრომი.

56 მუზეუმის საინფ. № 42—64/196.

პირი ($d=20,0$ სმ) უმნიშვნელოდ გადმოზნეჭილია. გვერდის ზედა ნაწილს შემოუყვება თხლად ამოღარული ზოლი. თასის სიმაღლე $8,0$ სმ უდრის. იგი, როგორც ჩანს, სითხას ჩასასხმელად იყო განკუთვნილი.

ანალოგიური ქურქელი ცნობილია ბეშთაშენის 26-ე სამარხიდან⁵⁷.

8. ბ ა დ ი ა (№ 188; სურ. 17). აქვს ფართო პირი ($d=18,0$ სმ) და ძირისაკენ ($d=8,0$ სმ) შევიწროებული ტანი.

აღსანიშნავია, რომ ამ ფორმის ქურქელი საკმაოდ ფართოდ იყო გავრცელებული ამიერკავკასიის ტერიტორიაზე ჯერ კიდევ შუაბრინჯაოს ხანაში⁵⁸. მომდევნო პერიოდში იგი თითქმის არ იცვლის თავის ფორმას, მაგრამ წინამორბედ ქურქლისაგან გამოირჩევა დამზადების ტექნიკით, თიხის შემადგენლობით, გამოწვით და ზედაპირის დამუშავებით.

II სამზარეულო ქურქელი

სამზარეულო ქურქელში ვგულისხმობთ ისეთ კერამიკულ ნაწარმს, რომელიც თავისი დანიშნულებით ძირითადად განკუთვნილია კერძის დასამზადებლად. ასეთებია ქოთნები, ქვაბ-ქოთნები და სხვა მისთ.

1. ქოთნები (№ 19, 139, 140; ტაბ. XXVI; 3 ცალი), უყურო ($h=19,0—22,0$ სმ). აქვთ ბაკომომრგვალებული, საკმაოდ ფართო პირი ($d=12,5—15,0$ სმ), სფერული მუცელი ($d=22,0—25,0$ სმ) და ვიწრო ძირი ($d=8,0—10,0$ სმ). მხარი შემკული აქვთ ნაკაწრი და ამოღარული კონცენტრული წრეებით (№ 139, 140; სურ. 34). გარდა ამისა, ერთ-ერთ მათგანს კლაკნილი ზოლებიც შემოსდევს (№ 19; სურ. 3).

მსგავსი თიხის ქურქელი მოპოვებულია თრიალეთში⁵⁹, სამთავროში⁶⁰, თბილისში⁶¹, ხოვლეში⁶², კასპში⁶³, რუსთავეში⁶⁴, მინგეჩაურში⁶⁵ და სხვ. ჩრდილო კავკასიაში ისინი სოლომენკოს გორასამარხში⁶⁶ აღმოჩნდა.

2. ქვაბ-ქოთნები (№ 165, 184, 195; ტაბ. XXVI, 3 ცალი). აქვთ ბაკომომრგვალებული ფართო პირი ($d=14,0—17,0$ სმ), დაბალი ტანი ($h=9,5—11,5$ სმ), განიერი მუცელი ($d=17,5—20,0$ სმ). ერთ ქურქელს (№ 195, ტაბ. XXVI; სურ. 27) მუცელზე წიბური შემოუყვება. მისი ვიწრო ($d=6,5$ სმ) ძირი გამოყოფილია სუსტად გამოხატული ქუსლით. კეცის სისქე მერყეობს $0,5—1,0$ სმ ფარგლებში. ძირი, როგორც წესი, უფრო სქელკედლიანია. ყველა ქოთანი, ერთის გარდა, რომელსაც მხარზე ამოღარული წრე შემოუყვება (№ 184; სურ. 16), სადაა.

57 მეზეუმის საინვ. № 42—64/196.

58 Б. А. Куфтин, დასახ. ნაშრ., ტაბ. LXXXI; ო. ჯაფარიძე, არქეოლოგიური გათხრები თრიალეთში..., ტაბ. XXI; ნ. თუშიშვილი, დასახ. ნაშრ., ტაბ. III₄, А. А. Мартиросян, დასახ. ნაშრ., ტაბ. I₆, II_{6—11}, IV₅.

59 Б. А. Куфтин, დასახ. ნაშრ., ტაბ. XLVIII, LVII; მისივე, Археологические раскопки 1947 года в Цалкинском районе, თბ., 1948, ტაბ. VII₁.

60 ტ. ჩუბინიშვილი, მცხეთის..., გვ. 56—58, სურ. 55527, ტაბ. XIV₅₁₈.

61 დ. ქორიძე, დასახ. ნაშრ., ტაბ. XII₂, XXXI₁₄₋₁₅.

62 დ. მუსხელიშვილი, დასახ. ნაშრ.

63 მ. ბარამიძე, დასახ. ნაშრომი.

64 ლ. ქილაშვილი, ქალაქი რუსთავი, თბ., 1958, ტაბ. III₁.

65 Г. М. Асланов, Р. М. Вандов, Г. И. Ионе, დასახ. ნაშრ., ტაბ. XXXV.

66 А. П. Круглов, Г. В. Подгаецкий, Долинское поселение..., გვ. 193—196, ტაბ. X₆.

ანალოგიური ქურქელი აღმოჩნდა ბაიბურთში⁶⁷, ბეშთაშენში⁶⁸, სამთავრო-ში⁶⁹, გულგულაში⁷⁰, მინგჩაურში⁷¹, ქედაბეკ-ყალაქენდში⁷² და სხვ.

3. ო რ ყ უ რ ა ქ ვ ა ბ - ქ ო თ ნ ე ბ ი (№ 39, 62, 69, 70; ტაბ. XXVII; 4 ცალი). აქვთ ბაკომომრგვალელებული — მცირედ გადმოშლილი პირი ($d=11,0$ — $16,0$ სმ), დაბალი ყელი, განიერი — შუა ნაწილში მომრგვალელებული მუცელი ($d=22,5$ — $26,0$ სმ) და ვიწრო ძირი ($d=8,0$ — $11,0$ სმ). მხრებზე გაკეთებული აქვთ მრგვალნახვრეტეიანი პატარა ყურები, რომელთა ღერო გარეთა მხრიდან მომრგვალელებულია, შიგნიდან კი ბრტყელი. ამ ქურქელს მხარი (№ 69, 70), მუცელი (№ 39), ან ორივე ერთად (№ 62) შემკული აქვს ნაკაწრი და ღარო-ვანი წრეებით.

ანალოგიური ქვაბ-ქოთნები ფართოდ იყო გავრცელებული გვიანბრინჯაოს ხანაში და ცნობილია თრიალეთიდან⁷³, სამთავროდან⁷⁴, ნარეკვაიდან⁷⁵, ხოვლე-დან⁷⁶, კასპიდან⁷⁷, არტიკიდან⁷⁸ და სხვ.

თავისებური ყურებით ხასიათდება ორი ქვაბ-ქოთანა (№ 62, 70): ჯერ კიდევ გაუმშრალელებელი ისინი გახვრეტელია ერთი მიმართულებით რაღაც ცი-ლინდრული საგნით. ნახვრეტის გამოსავლებთან გაჩენილი ნაწიბურები უხეშა-დაა ავლესილი.

ამგვარი ყურები დღეისათვის დამოწმებულია მხოლოდ ბეშთაშენის მე-13 სამარხის ორყურა ქილაზე⁷⁹, ხოვლეგორის VII ჰორიზონტის ქვაბ-ქოთანაზე⁸⁰ და მადნისქალაში.

ჩვენს ხელთ არსებული მასალებიდან ჩანს, რომ ხსენებული ტიპის ყურე-ბი გავრცელებული იყო გვიანბრინჯაოს ხანის ადრეულ ეტაპზე და უშუალოდ მის მომდევნო პერიოდში. ტერიტორიულად ისინი გვხვდებიან ქვემო ქართლში და მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე მდებარე შიდა ქართლის ნაწილში.

4. ც ა ლ ყ უ რ ა ქ ო თ ნ ე ბ ი (№ 66, 164, 189; ტაბ. XXVII; 3 ცალი). ორი მათგანი (№ 164, 189) ზომა-მოყვანილობით თითქმის ზუსტად იმეორებს

67 Б. А. Куфтин, Археологические раскопки в Триалети, ტაბ. LVII₆.

68 სამარხები № 8 (საინვ. № 42—64/50), № 20 (საინვ. № 42—64/168) და სხვ.

69 ტ. ჩ უ ბ ი ნ ი შ ვ ი ლ ი, მცხეთის..., გვ. 59—60, სურ. 6, ქურქელი 4725.

70 კ. ფ ი ც ხ ე ლ ა უ რ ი, გვიანი ბრინჯაოს ხანის..., ტაბ. III₂, V₁.

71 Г. М. Асланов, Р. М. Ваидов, Г. И. Ионе, დასახ. ნაშრ., ტაბ.

XXIII₁, ვ. 9.

72 А. А. Ивановский, По Закавказью, X₁₀.

73 Б. А. Куфтин, დასახ. ნაშრ., ტაბ. XXI_X₄.

74 გ. გ ო ბ ე ჯ ი შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრ., ტაბ. XXI₂.

75 ნ. ო ქ რ ო პ ი რ ი ძ ე, დასახ. ნაშრ., ტაბ. IV.

76 დ. მ უ ს ხ ე ლ ი შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრომი.

77 მ. ბ ა რ ა მ ი ძ ე, შიდა ქართლის...

78 Т. С. Хачатрян, დასახ. ნაშრ., გვ. 118—121, ტაბ. 24₂.

79 იხ. საქართველოს სახ. მუზეუმის გამოფენა, საინვ. № 42—64/95. ეს ქურქელი აღ-მოჩნდა ბეშთაშენის მე-13 სამარხში, რომელსაც ადრე რ. ა ბ რ ა მ ი შ ვ ი ლ ი ძ ე. წ. XIII—XII საუკუნეებით ათარიღებდა (იხ. Р. М. Абрамишвили, К вопросу об освоении железа на территории Восточной Грузии, მოხსენება წაკითხული ქ. ერევანში 1956 წლის ოქტომბერში კავკასიის არქეოლოგთა კონფერენციაზე). უფრო გვიან მკვლევარმა შეიცვალა თავისი აზრი და ეს სამარხი დაახლოებით ძვ. წ. XIV—XIII სს-ის მიჯნის ახლო ხანით გადა-ათარიღა (რ. ა ბ რ ა მ ი შ ვ ი ლ ი, რკინის ათვისების საკითხისათვის..., გვ. 318—319).

80 დ. მ უ ს ხ ე ლ ი შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრ., ქურქელის საინვ. № ხ. 288.

ერთმანეთს ($h=12,5-13,0$ სმ): აქვთ ბაკომომრგვალებული, მცირედ გად-
მოშლილი პირი ($d=10,5-11,0$ სმ), ჩალარული ყელი, ბიკონუსური მუცელი
($d=16,0-17,0$ სმ) და უმნიშვნელოდ გამოყოფილი ვიწრო ძირი ($d=6,0$ სმ).
მხრებზე გაკეთებული საშუალო ზომის მორკალული ყურები შემკულია
კოქისებური შვერილებით. ყურის ზურგზე მკრთალად შეინიშნება გრე-
ხილის გამომსახველი არამკვეთრი ირიბი ღარები. გარდა ამისა, № 164 ქურჭ-
ლის მხარს შემოსდევს იმდენად სუსტად გამოკვეთილი ორი რელიეფური ზო-
ლი, რომ გამოსარჩევადაც ძნელია.

ამ ტიპის ქურჭლის პარალელები ცნობილია სამთავროს⁸¹, არმაზისხევის⁸²
და კასპის⁸³ უძველესი ორმოსამარხებიდან.

ირკვევა, რომ ეს ქურჭელი გვიანბრინჯაოს ხანის ადრეულ კომპლექსებში
გვხვდება. მომდევნო ეტაპზე მათი მოყვანილობა იხვეწება, უმაღლდება ყელი
და მაღალი ქუსლის საშუალებით მკვეთრად ეყოფა ძირი. უფრო შრავალდე-
როვანი ხდება შემკობაც. უჩნდება ზედნადები სახეები, მრავლდება გეომეტრი-
ული ორნამენტი და სხვ. ასე განვითარებული სახით ეს ქურჭელი განაგრძობს
არსებობას რკინის ათვისების ხანაში⁸⁴.

მესამე ქოთანი (№ 66; ტაბ. XXVII) საგრძნობლად განსხვავებულია. ტა-
ნით ($h=19,5$ სმ) იგი ქილას უფრო ჰგავს; ქოთნების ჯგუფში იმის გამო გა-
თავსებთ, რომ ყურიანია.

აქვს ბაკომომრგვალებული ფართო პირი ($d=13,5$ სმ), რომელსაც შიგნითა
მხრიდან წრიულად შემოსდევს ამოღარული ზოლი. მხრებზე განლაგებულია
ირიბი კდეების მწკრივი; ქურჭლის გვერდები ($d=16,5$ სმ) ბრტყელი ძირი-
საკენ თანაბრად ვიწროვდება (ძირის $d=8,0$ სმ). საკმაოდ მოზრდილი, ოვა-
ლურნახვრეტოვანი გრეხილი ყური შემკულია ზემოდან დაქდებული ოთხწახნა-
ვა შვერილით.

მსგავსი მოყვანილობის ქურჭელი, რომელიც ძირითად ხაზებში იმეორებს
მადნისქალის ქოთანს (მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთი დეტალით, კერძოდ,
ყურის ან მხრის ფორმით სცილდება იან კიდევ ერთმანეთს) ნაპოვნია თრიალეთ-
ში⁸⁵ (რომელთანაც ტანის მოყვანილობით ყველაზე ახლოს დგას), ნაცარგო-
რაზე⁸⁶, ხოვლეში⁸⁷ და სხვ. საჭიროა აღინიშნოს ამ ტიპის ქურჭელთა მსგავსე-
ბა ბრინჯაოს სიტულებთანაც⁸⁸.

⁸¹ ტ. ჩუბინიშვილი, დასახ. ნაშრ., ტაბ. XV₄₉₉₄ (იმ განსხვავებით, რომ სამთავ-
როს ქურჭელს მხარი სამკუთხედებით აქვს შემკული).

⁸² ა. აფაქიძე, გ. გობეჯიშვილი, აღ. კალანდაძე, გ. ლომთათიძე,
დასახ. ნაშრ., ტაბ. CXIX₆.

⁸³ მ. ბარამიძე, შიდა ქართლი..., ტაბ. XIV. ეს ქურჭელი აღმოჩნდა ბრინჯაოს ფოთ-
ლისებურ სატევართან და მასრაგახსნილ შუბისპირთან ერთად. კასპის ქოთანს მხარეზე წიწ-
ვოვანი ორნამენტი შემოუყვება.

⁸⁴ შდრ. Б. А. Куфтин, დასახ. ნაშრ., სურ. 67, მარჯვენა ქურჭელს; ბეშთაშენის № 18
და 20 სამარხების ქურჭლებს (საინვ. № 42—64/134, 167); მ. ბარამიძე, კასპის სამარო-
ვანი, ტაბ. II, მე-9 ქურჭელს; ო. ლამბაშიძე. არქეოლოგიური მონაპოვარი სოფ. დოდ-
ლაურიდან, სამეცნიერო სესია მიძღვნილი 1959 წლის საველე-არქეოლოგიური კვლევა-ძიების
შედეგებისადმი, თბ., 1960, გვ. 27—29.

⁸⁵ საქართველოს არქეოლოგია, ტაბ. X₇.

⁸⁶ გ. გობეჯიშვილი, სტალინის ნაცარგორა, ტაბ. VIII₁.

⁸⁷ დ. მუსხელიშვილი, დასახ. ნაშრომი.

⁸⁸ ლ. სახაროვა, ბრინჯაოს მხატვრული ქურჭელი საქართველოში. საბჭოთა ხელოვ-
ნება, თბ., 1965, № 12.

ორიოდე სიტყვით გვინდა შევეხოთ ერთ საყურადღებო ორნამენტულ თუ ტექნიკურ დეტალს, რომელიც ახასიათებს ჩვენ ქოთანს: ესაა ძირის შუა წერტილიდან ნაპირებისაკენ სპირალურად მიმართული, მკიდროდ ხვეული ღაროვანი ხაზი; ძირის ნაპირები დაქდებულია ირიბი შტრიხებით; ტანის მთელი ზედაპირი დაფარულია ვიწროდ ამოღარული კონცენტრული წრეებით (№ 66; ტაბ. XXVII).

შემკობის ეს ხერხი ფართოდ იყო გავრცელებული გვიანბრინჯაოს ხანაში. იგი გვხვდება ღრმა-ღელეში (ავტორის მიერ მოცემული კლასიფიკაციით III ჯგუფის II ქვეჯგუფის ჭურჭელზე⁸⁹), ავკალაში⁹⁰, ნავთლულში⁹¹, სამთავროში⁹², ნარეკავში⁹³ და სხვ.

ფიქრობენ, რომ ჭურჭლის მსგავსი შემკობა, გავრცელებული იყო შიდა ქართლის და სამხრეთ საქართველოს განსაზღვრულ ტერიტორიაზე⁹⁴.

უკანასკნელ ხანებში ჩატარებული საველე-არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგად, ანალოგიურად შემკული ჭურჭელი დიდი რაოდენობით აღმოჩნდა კახეთში (გულგულა, მელაანი, ხირსა, ქვემო ქედი, ზემო ბოდბე, ზემო მაჩხაანი, „მელი-ღელე“ და სხვ.)⁹⁵. კ. ფიცხელაურის დაკვირვებით კახეთის ჭურჭლის ძირზე მოცემული ამოღარული სპირალები და ნაპირებზე შემოყოლებული ირიბი ჭდეები კერამიკულ ნაწარმს უჩნდება შუაბრინჯაოდან — გვიანბრინჯაოს ხანაზე გარდამავალ პერიოდში. გვიანბრინჯაოს ადრეულ ეტაპზე კი იგი დამახასიათებელ სახეობად იქცევა⁹⁶. საკუთრივ გვიანბრინჯაოს ხანაში სრულიად ქრება შუაბრინჯაოს ხანის თიხის ჭურჭლისათვის დამახასიათებელი ნიშნები და, სხვა მოტივებთან ერთად, ძირითადად გავრცელებულია ხსენებული ორნამენტი⁹⁷. გარდამავალ საფეხურზე (როდესაც ჩნდება ეს ორნამენტი), ისევე როგორც რკინის ფართო ათვისების ხანაში (შუალედი ხანის შემდეგ, როდესაც იგი ფართოდ იყო გავრცელებული), ამოღარული ხაზებით და ძირის ნაპირებზე ირიბი ჭდეებით შემკული ჭურჭელი შედარებით იშვიათია, ხოლო ძვ. წ. I ათასწლეულის შუა ხანებისათვის კი საერთოდ ქრება⁹⁸.

საინტერესოა, რომ მადნისკალის № 66 ქოთანი ფორმით ძალიან ახლოს დგას თრიალეთის შუაბრინჯაოს ხანის ერთ ჭურჭელთან⁹⁹. ამავე დროს იგი

89 დ. ქორიძე, თბილისის..., გვ. 190.

90 იქვე, გვ. 191.

91 იქვე, ტაბ. XXXII₅.

92 სპარხები № 12, 13, 64, 170, 171, 261, 267 და სხვა. ტ. ჩუბინიშვილი ფიქრობს, რომ ჭურჭლის ამგვარად შემკობა, განსაკუთრებით კი ძირის ნაპირების დაქდვა, შესაძლებელია გამოწვეული იყოს სწრაფად მბრუნავ ჩარხზე დაკრული ჭურჭლის მოცილების შედეგად. იხ. ტ. ჩუბინიშვილი, მცხეთის..., გვ. 59, ტაბ. XV. ჭურჭელი 5607.

93 ნ. ოქროპირიძე, მუხრანის ველის არქეოლოგიური ძეგლები, ძვ. წ. XVII—VII სს, მასალები საქართველოს და კავკასიის არქეოლოგიისათვის, ტ. IV, თბ., 1965, გვ. 15—16, ტაბ. III₄.

94 დ. ქორიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 191.

95 კ. ფიცხელაური, გვიანი ბრინჯაოს ხანის..., გვ. 142, სურ. 2, 3; მისივე იორალაზნის აუზის..., გვ. 41, ტაბ. III₁₂; მისივე, კახეთის არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ 1964 წელს ჩატარებული საველე მუშაობის შედეგები, XIV სამეცნიერო სესია მიძღვნილი 1964 წლის საველე-არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგებისადმი, თბ., 1965, გვ. 17—18.

96 კ. ფიცხელაური, დასახ. ნაშრ., გვ. 18.

97 იქვე.

98 იქვე.

99 შდრ. საქართველოს არქეოლოგია, ტაბ. X₇.

შემკულია გვიანბრინჯაოს ხანისათვის დამახასიათებელი სახეებით. ასეთი შერწყმა, ვფიქრობთ, გარკვეულად მიგვიჩვენებს ჩვენი ქურჭლის არქაულობაზე და ამიტომ, ქრონოლოგიურად იგი გვიანბრინჯაოს ხანის ადრეულ საფეხურს უნდა მივაკუთვნოთ.

5. პირმოყრილი ქოთნები (№ 190, 194; ტაბ. XXVIII; 2 ცალი) ერთი მათგანი (№ 190; ტაბ. XXVIII; სურ. 17) უფრო დიდია: აქვს ძლიერ გამობერილი მუცელი ($d=31,0$ სმ), შედარებით დაბალი ტანი ($h=19,0$ სმ), გარედან ოდნავ დაფერდებული, თითქმის თარაზულად მდებარე — დაწახნაგებული პირი ($d=12,5$ სმ) და ვიწრო, ბრტყელი ძირი ($d=8,0$ სმ). მისი მხრები შემკულია ერთმანეთისაგან თანაბრად დაშორებული 3 რელიეფური შვერილით: ორი — გეგმაში წრიულია, ზემოდან ბრტყელი მოედნით; მესამე — ორწახნაგაა. გარდა ამისა, მხარზე შემოსდევს დაქდევით დატანილი, ზიგზაგურად ტეხილი წიწვოვანი სახეების ორი წრე. ზედა — მომცრო წრე უწყვეტია; ქვედა წრე შვერილებთან წყდება. წრეებით შექმნილ არშიაში მოთავსებულია, რელიეფურ შვერილებს შორის განლაგებული, წიწვოვანი ქდებებითვე ნაკეთები კიდევ 3 გეომეტრიული სახე: ერთი მათგანი წარმოადგენს ერთმანეთში ჩასმულ სამ ტოლფერდა სამკუთხედს, მეორე — სამკუთხედის წვერიდან ფუძისაკენ მიმართულ სხივებს, მესამე — ჯვარედინს.

მეორე ქოთანი (№ 194; ტაბ. XXVIII; სურ. 27) უფრო პატარაა ($h=8,5$ სმ), აქვს ბრტყელი პირი ($d=6,0$ სმ), რომელსაც ზემოდან შემოუყვება ორი თხელი ღარი, ძლიერ გამობერილი — თითქმის ბიკონუსური მუცელი ($d=4,5$ სმ) და ვიწრო ძირი ($d=4,5$ სმ). მხრები შემკულია დაბალცილინდრული მოყვანილობის თავებგაბრტყელებული სამი კოპით.

პირმოყრილი ქოთნები საკმაო რაოდენობით არის მოპოვებული სამთავროს უძველეს ორმოსამარხებში¹⁰⁰, ბეშთაშენში¹⁰¹, კასპის ადრეულ სამარხებში¹⁰², წოფში¹⁰³, ზემო ავჭალაში¹⁰⁴, ნავთლულში¹⁰⁵, და სხვ. განსაკუთრებით ბევრი გვხვდება ისინი სამხრეთ აზერბაიჯანში (მინგეჩაური¹⁰⁶, ქედაბეკი¹⁰⁷, ხანლარი¹⁰⁸, ხოჯალო¹⁰⁹, ნორგიუხი¹¹⁰ და სხვ.), სადაც რაოდენობრივ სიმრავლესთან ერთად, აღმოსავლურ ქართულ მასალებთან შედარებით ფორმათა მეტი ნაირგვარობაც ახასიათებს. ამას მოწმობს ზემოთ მოტანილ ძეგლებზე აღმოჩენილი ქურჭლის უბრალო სტატისტიკა. არსებულმა მდგომარეობამ წარმოშვა აზრი პირმოყრი-

100 სამარხები № 10, 17, 20, 160, 232, 261; ტ. ჩუბინიშვილი, დასახ. ნაშრ., სურ. 9, ტაბ. XIV₃₄₈₋₆₆₂.

101 Б. А. Куптин, დასახ. ნაშრ., ტაბ. LI; რ. აბრამიშვილი, რკინის ათვისების საკითხისათვის..., ტაბ. II₂.

102 შ. ბარამიძე, კასპის სამაროვანი, გვ. 41—42, ტაბ. III₈.

103 რ. აბრამიშვილი, წოფის სამაროვანი, გვ. 18.

104 საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ფონდები, საინვ. № 4—23/1,3.

105 დ. ქორიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 160, 187—189, ტაბ. XXXI₁, XXXII₂.

106 Г. М. Асланов, Р. М. Вандов, Г. И. Ионе, დასახ. ნაშრ., გვ. 27, ტაბ. XXIX, XXX.

107 А. А. Ивановский, დასახ. ნაშრ., ტაბ. X₁₋₄.

108 Я. Гуммель, Археологические очерки, სურ. 16, 22, 26, 28.

109 И. М. Джафарзаде, Ходжалинская экспедиция, Известия Аз. ФАН СССР, 1941, № 2, გვ. 30, სურ. 5, 7, 8; ОАК-94; ОАК-95; ОАК-97 — რესურსის გათხრები.

110 К. Х. Кушнарёва, Археологические работы 1954 г. в окрестностях с. Ходжалы, МИА, 67, გვ. 378—380, სურ. 11₄, 13₄.

ლი ქურჭლის ჩვენში იმ რაიონებიდან შემოსვლის შესახებ, რომლებიც სამხრეთიდან და სამხრეთ-აღმოსავლეთიდან ესაზღვრებიან აღმოსავლეთ საქართველოს. მხედველობაშია არა იმპორტი, არამედ მიბაძვით კეთება¹¹¹.

წინა აზიაში პირმოყრილი ქურჭელი დამოწმებულია გე-თეფეს A პერიოდის არა უგვიანესად ძვ. წ. 1200 წლით დათარიღებულ ფენაში¹¹².

მასალის კომპლექსური განხილვით დგინდება, რომ აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში ეს ქურჭელი ძირითადად გავრცელებული იყო გვიანი ბრინჯაოს ხანის ადრეულ ეტაპზე და ქრონოლოგიურად უშუალოდ მომდევნო პერიოდში¹¹³.

ჩვენ გვინდა დავუმატოთ, რომ აღმოსავლეთ საქართველოს გვიანბრინჯაოს ხანის ადრეულ ეტაპზე, პირმოყრილი ქოთნები ისე მდიდრულად არ არის შემკული, როგორც ეს მომდევნო საფეხურზეა, როდესაც იხვეწება კიდევ მათი ფორმები, უჩნდება რელიეფური გრეხილი ან სხვა სახეები, მეტი მრავალფეროვნებით გამოირჩევა გეომეტრიული ორნამენტი: ზოგიერთ ქურჭელს უჩნდება ყურები, მეტ-ნაკლები სიმკვეთრით გამოყოფილი ქუსლი და სხვ¹¹⁴.

III სამეურნეო ქურჭელი

ამ ჯგუფში დიდ დერგებთან ერთად გაერთიანებულია სადღვებლებიც.

დერგები ნაკეთებია სამეთუნეო მორგვზე. ზომა-მოყვანილობის მიხედვით ისინი სხვადასხვა სახის პროდუქტების (ერბო, ქონი, ყველი, თაფლი, მწნილი, ხორბლეული და ა. შ.) შესანახავად უნდა ყოფილიყო გამოყენებული. მოყვანილობის მიხედვით მათში ორი ძირთადი ტიპი შეინიშნება: უყურო დერგები და ორყურა დერგები. უყურო დერგები, თავის მხრივ ორ ტიპოლოგიურ ვარიანტს გვაძლევს.

როგორც აღინიშნა, დერგებს გარდა ხსენებულ ჯგუფში გაერთიანებთ სადღვებლებსაც. მართალია, მათ ხშირად გამოყოფენ ცალკე და სარძევე ქურჭელთან აერთიანებენ, მაგრამ იმის გამო, რომ მადნისქალაში სხვა ისეთი ქურჭელი არ მოიპოვება, რომელიც შეიძლება მივაკუთვნოთ სარძევე კატეგორიას, ამიტომ მიზანშეწონილად ჩავთვალეთ მათი აქ განხილვა, რადგანაც არსებითად სადღვებლები სამეურნეო დანიშნულებისაა.

1-ა. უყურო, კვერცხისებური დერგები (№ 46, 48, 64, 92, 135; ტაბ. XXIX; 5 ცალი). აქვთ ბაკომორგვალეული პირი ($d=12,0-13,0$ სმ), ცილინდრული ყელი ($d=10,0-11,0$ სმ; $h=3,5-4,5$ სმ), ზედა ნაწილში გამობერილი მუცელი ($d=28,5-33,5$ სმ), ბრტყელი, — ერთ შემთხვევაში (№ 92) მკვეთრად შევიწროებული პატარა ძირი ($d=9,0$ სმ). ყველა მათგანი საკმაოდ დიდი ზომისაა ($h=32,0-38,0$ სმ); შემკულია ამოღარული კონცენ-

¹¹¹ მ. ბარამიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 42.

¹¹² T. Burton Brown, დასახ. ნაშრ., გვ. 153—155, 163, 267, სურ. 39, ქურჭელი 23, ტაბ. XIII₂₃. ადრე აღენიშნეთ, რომ ბ. ბრაუნის მიხედვით, A პერიოდის კულტურა გე-თეფეზე შეტანილია იქ მისული ხალხის მიერ, რომელსაც ვზად ამიერკავკასიის ტერიტორია უნდა გავვლო.

¹¹³ რ. აბრამიშვილი, რკინის ათვისების..., გვ. 320; მ. ბარამიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 42.

¹¹⁴ შდრ. ერთმანეთს მადნისქალის (№ 190, 194) და სამთავროს უძველესი ორმოსამარხების ქურჭელი (იხ. ტ. ჩუბინიშვილი, მცხეთის უძველესი..., ტაბ. XIV, ქურჭელი № 348, 662), ბეშთაშენურს (იხ. Б. А. Куфтин, დასახ. ნაშრ., გვ. 74, სურ. 83, ტაბ. LI_{1,5,6}).

ტრული წრეებით და ყელზე (№ 48, 64; სურ. 9, 13) ან მხარზე (№ 92; სურ. 25) დატანილი პრიალა ვერტიკალური ზოლებით. გარდა აღნიშნულისა № 46 დერგს (სურ. 8) მხარზე ტალღური ორნამენტი შემოუყვება.

მსგავსი მოყვანილობის დერგები ნაპოვნია ბეშთაშენში¹¹⁵, ბაიბურთში¹¹⁶, სამთავროში¹¹⁷, კასპში¹¹⁸, ხოვლეში¹¹⁹, უფლისციხეში¹²⁰, ფლავისმანში¹²¹, ღრმა-ღელეში¹²², ულიანოვკაში¹²³, კიროვაკანში¹²⁴, ქედაბეკ-ყალაქენდში¹²⁵ და სხვ. უნდა აღინიშნოს, რომ თითქმის ყველა მათგანს ერთგვაროვანი ორნამენტული სახეები ახასიათებს (კონცენტრული წრეები, კლაკნილი ხაზები, ირიბი ჭდეები და სხვა).

ამ დერგების პროტოტიპს წარმოადგენს თრიალეთის შუაბრინჯაოს ხანის გორასამარხების კვერცხისებურტანიანი ქურჭელი¹²⁶, რომელთა მსგავსი თაზაქენდის¹²⁷ და სხვა თანადროულ სამაროვნებზეც¹²⁸ არის მოპოვებული. ჩვენს მიერ განხილული ტიპებისაგან განსხვავებით მათ აქვთ შედარებით ფართო პირი და დაბალი ყელი.

გვიანბრინჯაოს ხანის ქურჭელთან, თავისი მოყვანილობით, განსაკუთრებით ახლოს დგას თრიალეთის VII გორასამარხში აღმოჩენილი, შავი საღებავით მოხატული ერთი წითელი დერგი¹²⁹.

როდესაც მადნისქალის დერგებს ვადარებთ შუაბრინჯაოს ხანის, კერძოდ კი, თრიალეთის და თაზაქენდის ზოგიერთ ქურჭელს, ყურადღებას იპყრობს მათი ყელის შემკობა¹³⁰. გვიანბრინჯაოს ხანის კომპლექსებში აქამდე აღმოჩენილი დერგების ყელი თავისუფალია ყოველგვარი სამკაულისაგან, მაშინ როდესაც, შუაბრინჯაოს ხანაში ყელის ორნამენტაცია საკმაოდ გავრცელებული ჩანს. როგორც ადრე ითქვა, მადნისქალის დერგების ნაწილს ყელზე შევეულად დაუყვება პრიალა ზოლები (№ 48, 64; ტაბ. XXIX; სურ. 9, 13). შუაბრინჯაოს ხანის ქურჭლის ყელი კი უფრო მდიდრულადაა შემკული: შევეული ხაზების გარდა იქ გამოყენებულია ზიგზაგები, ტეხილი ხაზები, ქადრაკისე-

115 № 36 სამარხი, მუზეუმის საინვ. № 42—64/253.

116 Б. Куфтин, დასახ. ნაშრ., ტაბ. LVII.

117 ტ. ჩუბინიშვილი, მცხეთის..., გვ. 56—58, ტაბ. XIV, ქურჭელი № 1450.

118 მ. ბარამიძე, დასახ. ნაშრ., ტაბ. III₄.

119 დ. მუსხელიშვილი, ხოვლეს არქეოლოგიური...

120 დ. ხახუტაიშვილი, უფლისციხე, თბ., 1964, ტაბ. XIV₄, XXVII₈.

121 ს. პაკალაძია, ფლავისმანის უძველესი ნეკროპოლი, სმმ, V, თბ. 1931, გვ. 231, სურ. 13.

122 დ. ქორიძე, თბილისის..., გვ. 106, 126—127, სურ. 41.

123 რ. აბრამიშვილი, ლავოდების რაიონში...

124 А. А. Мартиросян, Армения в эпоху..., ტაბ. I₄.

125 А. А. Ивановский, დასახ. ნაშრ., ტაბ. X₆.

126 Б. А. Куфтин, დასახ. ნაშრ., ტაბ. LXXVI, LXXVII.

127 К. Х. Кушнарёва, Тазакендский могильник в Армении, СА, 1960, № 1, გვ. 143—144, სურ. 3₁₁; А. А. Мартиросян, დასახ. ნაშრომი, გვ. 48—50, ტაბ. XXXIV.

128 ნ. თუშიშვილი, არდასუბნის შუაბრინჯაოს ხანის..., გვ. 227—228.

129 Б. А. Куфтин, დასახ. ნაშრ., ტაბ. LXXXI.

130 შდრ. შუაბრინჯაოს ხანის დერგები (Б. А. Куфтин, დასახ. ნაშრ., ტაბ. LXXVI—LXXVIII, LXXX, LXXII; К. Х. Кушнарёва, დასახ. ნაშრ., სურ. 3₁₄₋₁₅) მადნისქალისას (№ 48, 64; ტაბ. XXIX; სურ. 9, 13).

ბური უჯრედები, ზენური და ბადისებური ხაზები¹³¹. შუაბრინჯაოს ხანაში ფართოდ გავრცელებული წესი ჭურჭლის ყელის შემკობისა, მომდევნო ხანაში, როგორც ჩანს, გარკვეულ დრომდე შემორჩა. მაგრამ შეიცვალა სამკაულის დატანის ტექნიკა და გამარტივდა შემკულობის სახეები.

საქართველოში აღმოჩენილ გვიანბრინჯაოს ხანის მასალებში, მადნისქალის ვარდა, არსად გვეგულება ჭურჭლის ყელის ამგვარად შემკობის ფაქტი. გამოქვეყნებული მასალების მიხედვით, ასეთი რამ დამოწმებულია სომხეთში, არტიკის სამაროვნის 130-ე და ზოგიერთ სხვა ადრეული სამარხების კომპლექსებში, რაც ამ ძეგლის გამთხრელს საფუძველს აძლევს ამაში ძველი ტრადიციის გადმონაშთი დაინახოს¹³².

ამგვარად, განხილული მასალა მოწმობს, რომ მოყვანილობით მსგავსი დერგები გავრცელებული ყოფილა დროის ხანგრძლივ მონაკვეთზე — შუაბრინჯაოს ხანიდან — რკინის ფართო ათვისების ხანამდე.

შუაბრინჯაოს ხანის ჭურჭელს ყელი ნაირგვარი სახეებით აქვს მოხატული, რომელთა შორის შვეულ ხაზებსაც უჭირავს გარკვეული ადგილი. მომდევნო პერიოდში დერგების ყელის შემკობას ისე ხშირად ვეღარ ვხვდებით. მხოლოდ გვიანბრინჯაოს ხანის ადრეულ საფეხურამდე აღწევს იგი და, ისიც, გამარტივებულად და სახეცვლილად. უფრო გვიან შემკობის ეს ხერხი ჩვენში საერთოდ აღარ ჩანს.

მადნისქალის დერგების ყელის შემკულობა, — შვეული პრიალა ზოლები, — მაჩვენებელი უნდა იყოს შუაბრინჯაოსა და გვიანბრინჯაოს ხანის ადრეული საფეხურის კულტურებს შორის გენეტიკური კავშირისა. ამავე დროს იგი გარკვეულად გვანიშნებს მადნისქალის არქეოლოგიური მონაპოვრის არქაულობას.

1-ბ. და ბ ა ლ ყ ე ლ ი ა ნ ი უ ყ უ რ ო დ ე რ გ ე ბ ი (№ 68, 98; ტაბ. XXIX; 2 ცალი); განხილულ დერგებთან შედარებით უფრო ფართოპირიანებია. ერთი მათგანი კვერცხისებური მოყვანილობისაა ($h=30,0$ სმ), აქვს ბაკომომრგვალებული პირი ($d=14,5$ სმ), განიერი მუცელი ($d=30,0$ სმ) და ბრტყელი ძირი ($d=10,5$). მისი მხარი შემკულია ამოღარული კონცენტრული წრეებით, ყელი — კლაკნილი ხაზით (№ 98; სურ. 36).

მსგავსი ჭურჭელი აღმოჩენილია სამთავროს 288-ე უძველეს ორმოსამარხში, ბულაჩაურში¹³³, ღრმა-ღელეში¹³⁴ (ოღონდ უფრო მაღალმუცლიანია და თანაც შემკულია რელიეფურად), ნარეკვავში¹³⁵, გეხაროტში¹³⁶, არტიკში¹³⁷ და სხვ.

¹³¹ Б. А. Куфтин, *იქვე*; К. Х. Кушнарєва, *იქვე*.

¹³² Т. С. Хачатрян, Материальная культура древнего Артика, Ер., 1963, გვ. 89, 95—98, 204. ტაბ. 9, 10_{5,6}11₈.

¹³³ დ. ქორიძე, ბულაჩაურში წყალსადენის მშენებლობის დროს 1946 წელს შემთხვევით აღმოჩენილი არქეოლოგიური ძეგლები, სსმმ, ტ. XIX — A და XXI — B, თბ., 1957, გვ. 143, სურ. 4.

¹³⁴ დ. ქორიძე, თბილისის..., სურ. 20, 42.

¹³⁵ ნ. ოქროპირიძე, დასახ. ნაშრ., ტაბ. V₈.

¹³⁶ А. А. Мартиросян, დასახ. ნაშრ., ტაბ. VII₁.

¹³⁷ Т. С. Хачатрян, დასახ. ნაშრ., ტაბ. 11₁.

საინტერესოა, რომ მოყვანილობით ახლომდგომ ჭურჭელს შეიცავს ქვე-
მო ქართლის შუაბრინჯაოს ხანის სამარხეული მასალაც¹³⁸, რაც ურთიერთ-
მონაცვლე კულტურებს შორის გენეტიკური კავშირ-ურთიერთობის არსებო-
ბის კიდევ ერთი მაგალითია. ამ უკანასკნელთა შორის გვხვდება შედარებით
მაღალყელიანებიც¹³⁹.

მეორე ჭურჭელი შედარებით დაბალტანიანია ($h=27,5$ სმ), მაგრამ მისი
მუცელი უფრო გამობერილია ($d=34,5$ სმ). პირის დიამეტრი 16,0 სმ უდრის.
მხარი შემკული აქვს თხლად ამოღარული წრეების ჩარჩოში ჩასმული კლაკნი-
ლი ხაზებით (№ 68; ტაბ. XXIX).

ანალოგიური ჭურჭლები ცნობილია ბეშთაშენის მე-8 და მე-18 ორმოსა-
მარხებიდან¹⁴⁰, სევანის ტბასთან ა. ივანოვსკის მიერ გათხრილ მე-11 და 36-ე
ქვისსამარხებიდან¹⁴¹ და სხვ. მსგავსებასთან ერთად ჩვენი ჭურჭელი რიგი
ნიშნით განსხვავდება შემომითითებულთაგან. პირველ რიგში, ძირის და პი-
რის მოყვანილობით. ასე მაგალითად, ბეშთაშენის მე-18 ორმოსამარხის ჭურ-
ჭელს აქვს პორიზონტული პირი. დაახლოებით ამგვარადვეა ნაკეთები სევანის
დერგის პირიც. ბეშთაშენური დერგების ძირი, გარდა ამისა, გამოყოფილია
დაბალი ქუსლით.

რაც შეეხება ორნამენტაციას, ამ მხრივ თითქმის სრული თანადამთხვევაა
სევანის ჭურჭელთან, ოღონდ ამ უკანასკნელს, კლაკნილ-ღაროვანი სარტყელი
მუცელზე შემოუყვება და არა მხრებზე, როგორც ეს მადნისქალის დერგზეა.

სულ სხვაგვარადაა შემკული ბეშთაშენური ჭურჭელი: ერთი მათგანის¹⁴²
მხარი შევსებულია დაშტრიხული სამკუთხედებით და, გარდა ამისა, მის მუ-
ცელს 4 წყვილი კოპი ამშვენებს. მეორეს¹⁴³ — ყურების დონეზე შემოუყვე-
ბა რელიეფური „გრეხილი“ და, უფრო ზევით, ირიბი სავარცხლისეული ქდე-
ები. ერთი სიტყვით, ბეშთაშენის ჭურჭელი ხასიათდება უფრო დახვეწილი
მოყვანილობით და შედარებით მდიდრულად არის შემკული.

2. ო რ ყ უ რ ა დ ე რ გ ე ბ ი (№ 31, 54, 58, 101, 115, 121, 126; ტაბ.
XXX; 7 ცალია) თითქმის იმეორებენ უკვე განხილულ 1-ა ქვეტიპის დერგე-
ბის ზომა-მოყვანილობას, თუმცა ზოგიერთი მათგანი (№ 115, 121, 126) შედა-
რებით მომცროა ($h=23,0—25,0$ სმ). გარდა ამისა, მათ მუცლის უკიდურესად
გამობერილ ადგილას, ერთმანეთის მოპირდაპირედ გაკეთებული აქვთ
ბრტყელღეროიანი (№ 31, 54, 58, 115; სურ. 4, 11), მრგვალღეროიანი
(№ 101, 121; სურ. 28, 32) ან ოთხკუთხაღეროიანი (№ 126; სურ. 33) ყუ-
რები, რომლებიც ჭურჭლის ტანთან შედარებით პატარა პროპორციებისაა და,
ამის გამო, ხელში დასაჭერად მოუხერხებელი. ზოგიერთი ყურის ზურგი დაღა-
რულია გრეხილის გამომსახველი ფართო ირიბი ზოლებით (№ 115; სურ. 31).
ერთ მოვარდისფერო ჭურჭელს (რომელიც ცეცხლში მოხვედრის შედეგად გა-

¹³⁸ Б. А. Куфтин, დასახ. ნაშრ., ტაბ. LXXIV, LXXX; ნ. თუ შ ი შ ვ ი ლ ი, დასახ.
ნაშრ., ტაბ. III₆ IV.

¹³⁹ ო. ჯ ა ფ ა რ ი ძ ე, არქეოლოგიური გათხრები თრიალეთში..., ტაბ. XVII, XXII;
ნ. თუ შ ი შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრ., ტაბ. IV.

¹⁴⁰ Б. А. Куфтин, დასახ. ნაშრ., ტაბ. LI.

¹⁴¹ А. А. Ивановский, დასახ. ნაშრ., გვ. 93, 117—118; ტაბ. XII₁₃.

¹⁴² საინვ. № 42—64/135.

¹⁴³ Б. А. Куфтин, დასახ. ნაშრ., ტაბ. I.I, ქვედა რიგში მარცხნიდან პირველი ჭურჭე-
ლი; იხ. მუხუშუმის საინვ. № 42—64/51.

დამწვარი და დეფორმირებულია) ყურზე შვერილები აქვს (№ 121; ტაბ. XXX; სურ. 32). ყველა მათგანს, გარდა უკანასკნელისა, ყელის ძირში და მხარზე შემოუყვება თხლად ამოღარული ან ამოკაწრული წრეები. ერთი მონაცრისფრო დერგის მხარი დამატებით შემკულია ბადისებურად გადამკვეთი პრიალა ხაზებით (№ 54; ტაბ. XXX; სურ. 11). მეორეს — უყურო დერგების მსგავსად — ყელზე დაუყვება პრიალა შვეული ზოლები, რაც შუაბრინჯაოს ხანაში გავრცელებული მოტივების გაგრძელებას წარმოადგენს; მხარზე შემოვლებული წრეების ორ რიგს, ზემოდან პარალელურად მისდევს თხლად ამოღარული კლაკნილი ორი ხაზი (№ 31; ტაბ. XXX; სურ. 4).

ორყურა დერგები საერთოდ ახასიათებს გვიანი ბრინჯაოს ხანის კერამიკას, რაზედაც მეტყველებს მათი ფართო გავრცელება აღმოსავლეთ საქართველოში და სამხრეთ-აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში (თრიალეთი¹⁴⁴, თეთრი წყარო¹⁴⁵, სამთავრო¹⁴⁶, კასპი¹⁴⁷, ხოვლე¹⁴⁸, ქედაბეკ-ყალაქენდი¹⁴⁹ და სხვ.). ადრეულ საფეხურზე ამ ტიპის კურკელი შედარებით ღარიბია შემკულობით. მომდევნო საფეხურზე რაოდენობრივ ზრდასთან ერთად მდიდრდება და მრავალფეროვანდება მათი ორნამენტული სახეებიც.

შიდა ქართლის მასალებით ირკვევა, რომ გვიანბრინჯაოს ხანის დერგები (ყურიანიც და უყუროც) მყარად ინარჩუნებენ თავის ფორმებს გვიანი ბრინჯაოს ხანის მთელ მანძილზე. უკვე მის ადრეულ ეტაპზე თითქმის მთლიანად არის წარმოდგენილი ძირითადი ტიპები, რომლებიც მომდევნო ხანაში გვხვდება, ოღონდ თანდათან მკვეთრად იზრდება მათი რაოდენობა¹⁵⁰. ადრეული ეტაპის დერგები შედარებით სადაა და მათი შემკულობაც თითქმის მხოლოდ ამოღარული სარტყლებით ამოიწურება. მოგვიანებით ჩნდება შვერილები, რელიეფური სახეები, ამოღარული ტალღები, სავარცხლისეული კდეები და სხვა¹⁵¹.

დაახლოებით იგივეს თქმა შეიძლება ქვემო ქართლის მასალების შესახებაც, ოღონდ აქ, გვიანბრინჯაოს ხანის ადრეულ დერგებს, მადნისკალის მიხედვით, ასევე მარტივად გაკეთებული კლაკნილი ხაზებიც ახასიათებს (№ 31; სურ. 4). გარდა ამისა, როგორც ზემოთ დავინახეთ, ზოგიერთის მხარი შემკულია შვეული (№ 92) და ბადისებურად ურთიერთგადამკვეთი, დაწნევით გაპრიალებული ხაზებით (№ 54).

დერგების ნაწილს, ყურზე გაკეთებული აქვს ამოღარული გრეხილი (№ 115). არის შვერილიანი ყურებიც (№ 121).

144 Б. А. Куптин, დასახ. ნაშრ., გვ. 67, ტაბ. XIX, XXIX.

145 გ. გობეჯიშვილი, თეთრი წყაროს 1961 წლის არქეოლოგიური ექსპედიციის ანგარიში, თბ., 1962, ხელნაწერი.

146 სამარხები № 29, 34, 118, 132, 145, 152, 263, 276, 288 და სხვა; ტ. ჩუბინიშვილი, დასახ. ნაშრ., ტაბ. XIV₃₈₂₇.

147 მ. ბარამიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 41, ტაბ. III₆.

148 დ. მუსხელიშვილი, დასახ. ნაშრ.

149 А. А. Ивановский, დასახ. ნაშრ., ტაბ. X₁₁.

150 მ. ბარამიძე, იქვე; მისივე, შიდა ქართლის გვიანი ბრინჯაო — ადრე რკინის ხანის კერამიკული ნაწარმი, თბ., 1967, ხელნაწერი.

151 მ. ბარამიძე, კასპის სამაროვანი, გვ. 41; მისივე, შიდა ქართლის...

გვიანბრინჯაოს ხანის ზოგიერთი კურპელი ძირითადად ინარჩუნებს შუა-ბრინჯაოს ხანის კვერცხისებურტანიან კურპელთა მოყვანილობას¹⁵² და ამით ადგილობრივი ტრადიციის გაგრძელებას გვაგულისხმებინებს.

ერთი შეხედვით შეიძლება ისეთი შთაბეჭდილება შეგვექმნას, თითქოს შიდა და ქვემო ქართლის ადრეული საფეხურის დერგები შემკულობით საგრძნობლად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან. სინამდვილეში ეს ასე არაა. მცირეოდენი სხვაობა შესაძლებელია არსებობდეს კიდევ შიდა და ქვემო ქართლის დერგების შემკობაში, მაგრამ ეს სხვაობა არც ისე მნიშვნელოვანია. ჩვენ მხედველობაში გვაქვს ხოვლეგორის VIII და VII ჰორიზონტების განათხარი მასალა¹⁵³, რომელიც ავსებს მ. ბარამიძის მიერ შიდა ქართლის მასალებზე შენიშნულ ორნამენტულ სახეებს. ესაა VIII ჰორიზონტის დერგზე დაწნევით დატანილი პრიალა ხაზები¹⁵⁴, VII ჰორიზონტის დერგებს, გარდა ამისა, ამშვენებს მკვეთრი შტრიხებით შედგენილი წიწვოვანი სარტყელი, ამოღარული კლაკნილი ხაზი, მსხვილი წერტილებით შექმნილი ირიბი შტრიხები და პრიალით ნაკეთები მერიდიანული ზოლები¹⁵⁵.

როგორც ცნობილია, მასალითაც და სტრატეგრაფიული მონაცემებითაც ხოვლეგორის VIII და VII ჰორიზონტები გვიანბრინჯაოს ხანის ადრეული ეტაპით თარიღდება¹⁵⁶. თუ გავითვალისწინებთ ამ ძეგლზე აღმოჩენილ დერგების შემკულობას და დავუკავშირებთ მათ შიდა ქართლის სხვა ანალოგიურ კურპელზე გამოყენებულ სახეებს, მაშინ აქაც არსებული ორნამენტული მოტივების ნაირსახეობა უფრო გამრავლდება, რითაც კიდევ უფრო დაუახლოვდება ქვემო ქართლის თანადროულ დერგებს.

3. სა დ ლ ვ ე ბ ლ ე ბ ი (№ 16, 35, 83, 85, 138, 163, 167, 183, 193, 205, ტაბ. XXXVIII; 10 ცალია).

რძის პროდუქტებისათვის სხვადასხვა კურპელის გამოყენება შეიძლება. მაგალითად: პირფართო ქოთნების (საქონლის მოსაწველად), ქილების (მაწვნის შესადედებლად) და. ა. შ. მაგრამ მათი მიკუთვნება მხოლოდ სარძევე კატეგორიის კურპელისადმი არ იქნებოდა სწორი, რადგანაც ისინი ტოლფასოდ გამოდგებიან საოჯახო მეურნეობის სხვადასხვა დარგებშიც. ამიტომაც, რძის პროდუქტებთან დაკავშირებულ კურპელთა შორის, მადნისჭალის კერამიკულ მასალაში, მხოლოდ სადღვებლებს ვიხილავთ, რადგანაც თავისი სპეციფიური, წმინდა ტექნიკური ხასიათის დეტალით (სასულე ნახვრეტით), ისინი კარაქის მოსადღვებადაა გამოსადეგი. ამას მოწმობს ის უხვი ეთნოგრაფიული მასალაც, რომელიც ყოფამ დღევანდლამდე შემოგვინახა¹⁵⁷.

152 შდრ. Б. А. Куфтин, დასახ. ნაშრ., ტაბ. LXXIII—LXXXII; ო. ჯ ა ფ ა რ ი ძ ე, დასახ. ნაშრ., ტაბ. XVII, XXII; ნ. თ უ შ ი შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრ., ტაბ. I, III, IV.

153 ესარგებლობ რა შემთხვევით, მინდა მადლობა გადავუხადო დ. მუსხელიშვილს, რომელმაც დაწვრილებით გავცანო ხოვლეგორის მთელი კერამიკული მასალა.

154 დ. მუსხელიშვილი, დასახ. ნაშრ.

155 ი ქ ვ ე.

156 ი ქ ვ ე.

157 ს. მ ა ქ ა ლ ა თ ი ა, მთიულეთი, თბ., 1930, გვ. 53—55, სურ. 14, 15, 17.

მადნისქალის ყველა სადღვებელი უყუროა. სამთავროს უძველესი ორმო-სამარხების მსგავსად¹⁵⁸ ისინი აქ გვხვდება, როგორც ქალების, ისე მამაკაცებისა და ბავშვების სამარხებში.

ზომა-მოყვანილობით ეს ქურქველი წარმოადგენს ტიპურ დერგებს (შდრ. III ჯგუფის, 1-ა ქვეტიპს), მაგრამ ამათგან გამოირჩევა მუცლის ზედა ნაწილზე გაკეთებული რელიეფურწიბოიანი ნახვრეტით, რომლის საშუალებით ხდებოდა ჰაერის რეგულირება კარაქის დღვეების დროს. ზოგიერთი სადღვებლის ძირის ნაპირები ჩამოტყეცილია ხმარების შედეგად. ასეთ შემთხვევაში ძირი ხშირად მომრგვალებულია. გარდა ამისა, იგი კეთდებოდა ოდნავ ამობურცულადაც (№ 83). რაც ხელს შეუწყობდა დღვეების პროცესს.

სადღვებლის მხრები მეტწილად შემკულია ამოღარული კონცენტრული წრეებით (№ 16, 35, 85, 183, 193). ერთ-ერთ მათგანს, გარდა ამისა, მხარზე შემოსდევს დაწნევით დატანილი ბადისებური ხაზები (№ 183; სურ. 16). ორ ქურქველს, III ჯგუფის 1-ა ქვეტიპის დერგების მსგავსად, ყელზე დაუყვება მკრთალად გაპრიალებული ვერტიკალური ზოლები (№ 16, 35; სურ. 5). ადრე უკვე გვქონდა აღნიშნული, რომ შვეული ზოლებით ქურქლის ყელის შემკობა მათი არქაულობის მანიშნებელია. ერთ-ერთი ქურქლის მხარს შემოუყვება ირიბად მიმართული წყვეტილი ჰელების სარტყელი (№ 138; სურ. 34); მეორე სადღვებელს საპრიალო ხელსაწყოს საშუალებით დაწნევით გაკეთებული აქვს ორი წრე. წრეებს შორის შვეულად განლაგებულია პრიალით დატანილი ფართო ხაზები (№ 83; სურ. 22).

ზოგიერთი ნიშნით რამდენადმე განცალკევებულად დგას პრაქტიკული დანიშნულებისათვის გამოუსადეგარი ერთი პატარა ($h=17,8$ სმ) ფართოპირიანი ($d=11,7$ სმ) სადღვებელი (№ 205; ტაბ. XXVIII; სურ. 27). მის განიერ ძირს შემოუყვება იმდენად მკვეთრი წიბური, რომ იგი აშკარად შეუშლიდა ხელს დღვებისათვის საჭირო რყევის მოქმედების შესრულებას. მართალია, გამობერილი მუცლის ($d=17,5$ სმ) ზედა ნაწილზე ქურქველს გაკეთებული აქვს სასულე ნახვრეტი. მაგრამ მას უფრო სიმბოლური მნიშვნელობა უნდა ჰქონოდა მინიჭებული მიცვალებულის დაკრძალვისას შესრულებულ რიტუალში, რადგანაც უჩვეულო მოყვანილობის გარდა, იგი სრულიად განსხვავებულ პირობებშიაც აღმოჩნდა¹⁵⁹. აღსანიშნავია ისიც, რომ სამთავროს მსგავსად, მადნისქალაში ყველა სადღვებელი დამზადებულია სამეთუნეო ჩარხზე. გამონაკლისს წარმოადგენს მხოლოდ ეს პატარა ქურქველი. საინტერესოა, რომ სამთავროს 178-ე უძველეს ორმოსამარხშიც აღმოჩნდა ერთი პატარა, მორგვის გარეშე დამზადებული, პრაქტიკულად გამოუსადეგარი სადღვებელი¹⁶⁰.

მოტანილი მაგალითი, ვფიქრობთ, შემთხვევითი თანადამთხვევა არაა. იგი უნდა გამოხატავდეს, ჯერჯერობით ჩვენთვის უცნობ, მაგრამ იმხანად რეალურად არსებულ ერთგვარ წესჩვეულებას, რომელიც სრულდებოდა ზოგიერთი მიცვალებულის დაკრძალვის დროს.

158 ტ. ჩუბინიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 56. მოგვიანო ხანაში, როგორც ამას ავტორი აღნიშნავს, სამთავროს სამაროვანზე სადღვებლებს მხოლოდ ქალების სამარხებში ვხვდებით.

159 იხ. IV თხრილი, II გორასამარხი.

160 ტ. ჩუბინიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 55, ტაბ. VI, ქურქველი 3738.

საერთოდ კი, სადღეებლები ფართო გავრცელებას ჰპოვებდნენ მთელ ამიერკავკასიაში (წინწყარო¹⁶¹, დოღლაური¹⁶², დვანი¹⁶³, გუნიაყალა¹⁶⁴, დაბლაგომი¹⁶⁵, აეჩალუნი¹⁶⁶, მინგეჩაური¹⁶⁷, ხოჯალო¹⁶⁸, რედკინლაგერი¹⁶⁹ და სხვ.)¹⁷⁰. მათი არსებობა, ცხადია, დაკავშირებულია რძის გადამუშავებასთან. ამდენად მათი რაოდენობრივი სიმრავლე მეწველი საქონლის სიმრავლეს უნდა გვამცნობდეს.

შიდა ქართლის სამარხეული კომპლექსების შესწავლით გამოიკვია, რომ უყურო სადღეებლები ფართოდ გამოიყენებოდა ძირითადად გვიანბრინჯაოს ხანის ადრეულ საფეხურზე¹⁷¹. ეს ჩანს ფლავისმანის¹⁷², კასპის¹⁷³, ხოჯალოს¹⁷⁴, უფლისციხის¹⁷⁵ და სხვა მასალებიდან.

დაახლოებით იგივე მდგომარეობაა ქვემო ქართლშიც. ბეშთაშენში უყურო სადღეებლები ნაპოვნია¹⁷⁶ № 4, 6, 11, 20, 23 და 37 სამარხებში. მაგრამ მადნისქალურებთან შედარებით ისინი, როგორც მოყვანილობით, ისე შექცობის თვალსაზრისით ტიპობრივად უფრო განვითარებული ჩანან. პირველ რიგში ეს ეხება 38-ე სამარხის სადღეებელს¹⁷⁷, რომელიც გამოირჩევა არა მარტო ორნამენტით (ამოღარული წრეებით შექმნილ ორ ფართო არშიაში მოთავსებულია ტალღური ხაზების რამდენიმე რიგი), არამედ განსხვავებული, უფრო დახვეწილი ყელითაც. მე-6 ორმოსამარხის სადღეებელს¹⁷⁸ მხრებზე შემოსდევს ამოღარულ წრეებს შორის განლაგებული, ერთმანეთში ჩასმული, უმნიშვნე-

161 Б. А. Куфтин, *დასახ. ნაშრ.*, გვ. 57, ტაბ. XXIX.

162 *ო. დამბაშიძე*, არქეოლოგიური მონაპოვარი სოფ. დოღლაურიდან, გვ. 28.

163 ს. მაკალათია, დვანის ნეკროპოლი, გვ. 38, ტაბ. XII₄.

164 Б. А. Куфтин, *დასახ. ნაშრ.*, გვ. 55—57.

165 იქვე.

166 საქ. სახ. მეზემის ფონდები, საინვ. № 20—32/169, 43—58.

167 Г. М. Асланов, Р. М. Вандов, Г. И. Ионе, *დასახ. ნაშრ.*, გვ. 88; ტაბ.

XXXII₁₋₃

168 Е. Реслер, *ОАК за 1897*, СПб. 1900, გვ. 150—154.

169 П. Уварова, *Коллекции Кавказского музея*, т. V, გვ. 51.

170 А. А. Мартиросян, *О древнем поселении и могильнике близ Ленивакана*, *გვ. 109, 110*; А. О. Мнацаканян, *О раскопках у села Головино*, КСИИМК, вып. XLVI, М., 1952, გვ. 65.

171 ს. მაკალათია, ფლავისმანის უძველესი ნეკროპოლი, სსმმ. ტ. V, თბ. 1939, გვ. 232, სურ. 14; ტ. ჩუბინიშვილი, *დასახ. ნაშრ.*; მ. ბარამიძე, *დასახ. ნაშრ.*

172 ს. მაკალათია, *დასახ. ნაშრ.*

173 მ. ბარამიძე, *დასახ. ნაშრ.*

174 დ. მუსხელიშვილი, *დასახ. ნაშრ.*

175 დ. ხახუტაიშვილი, *დასახ. ნაშრ.*, ტაბ. XXVII₆.

176 Б. А. Куфтин, *დასახ. ნაშრ.*, ტაბ. XLVIII₂.

177 საინვ. № 42—64/262; აქ იგი აღმოჩნდა თიხის კიდევ ოთხ ჰურჭელთან (ზედაპირ-დაქდეული ღრუ სასმისი, ლანგარი, მაღალყელიანი — ელიფსურმუცლიანი ქოთან), ბრინჯაოს ღეროგახვრეტელ და თავხვია (ოღონდ არა არქაული ტიპის; ამის შესახებ ქვემოთ გვექნება საუბარი) საკინძებთან, კაეის ნამკლის ჩასართთან და სარდიონის 12 მძიეთან (სფერული, მრგვალ-ბრტყელი, ბიკონუსური, შინდისებური — ექვსწახნაგა); იხ. საინვ. № 42—64/259—266.

178 საინვ. № 42—64/40; აქ ის აღმოჩნდა თიხის ლანგართან, ბრინჯაოს ყუნწიან 2 ბრტყელ ისრისპირთან და მინის ბირთვისებურ მძიებთან, იხ. საინვ. № 42—64/40—44.

ლოდ დაკუთხული რკალები. მისი ტანი, გარდა ამისა, ხასიათდება უფრო გამოხატული მუცლით.

მოგვიანებით სადღეებები თითქმის არ იცვლიან თავის ფორმას¹⁷⁹. მხარზე მათ უჩნდებათ ყური. მომდევნო ხანაში ასეთი გაუმჯობესების შემოღება კარგად ჩანს სამთავროში. აქ რკინის ნივთების შემცველ სამარხებში უკვე მხოლოდ ყურიანი სადღეებლებია¹⁸⁰.

ისევე როგორც სამთავროს უძველეს ორმოსამარხთა კულტურაში მადნისქალაშიც მარტო უყურო სადღეებლებია. მართალია, ისინი შემდეგ პერიოდშიც განაგრძობენ არსებობას, მაგრამ მადნისქალის სადღეებლები, მათთან შედარებით სადაა. ამასთან ერთად, ზოგიერთ მათგანზე დადასტურებული ყელის შემკობის ტრადიცია, წარმოადგენს შუა ბრინჯაოს ხანის ჩვევების გამოვლინებას. ყოველივე ეს კი მათ არქაულობას მოწმობს.

მიმოხილულ მასალას მოკლედ თუ შევაჯამებთ, მადნისქალის კერამიკული ნაწარმი ზოგად ხაზებში მოექცევა აღმოსავლეთ ამიერკავკასიის ისეთ პირველხარისხოვანი ძეგლების კულტურულ სფეროში, როგორცაა თრიალეთი¹⁸¹, სამთავრო¹⁸², ხოვლე¹⁸³, დებედას ხეობა¹⁸⁴, დილიყანი¹⁸⁵, ყალაქენდ-ქედაბეკი¹⁸⁶ და კიდევ სხვა, გზადაგზა უკვე ჩამოთვლილი გვიანბრინჯაოს ხანის ძეგლები.

აღსანიშნავია ის მსგავსებაც, რომელიც შეინიშნება წინა აზიისა და ანატოლიის, კერძოდ გე-თეფეს ნამოსახლარი ბორცვის A პერიოდის¹⁸⁷ და ალიშარ IV-ის¹⁸⁸ კერამიკასთან, რომელიც მქდავანდება ზოგიერთი ჭურჭლის საერთო მოყვანილობაში, ორნამენტაციაში და კიდევ სხვა (ფერი, გაპრიალების მსგავსი ტექნიკა, კეცი და სხვ.) დამახასიათებელ თვისებაში.

მაგრამ მაინც, რაც სავსებით ბუნებრივია, განსაკუთრებით ახლოს დგას იგი, პირველ რიგში, უშუალოდ მეზობელი მხარეების — თრიალეთის და შიდა ქართლის კერამიკასთან, რისი არა ერთი მაგალითი ზემოთ უკვე მოვიტანეთ. აქ იგულისხმება მსგავსება არა მარტო ფორმებისა და შემკობის თვალსაზრისით, არამედ დამზადების ჩვევების მხრივაც. შეხების ეს წერტილები კონკრეტულად ისახება კერამიკის გამოწვის (შავად და ლეგად) და მისი ზედაპირის გაპრიალების ხარისხში, ჭურჭლის მოყვანილობის იდენტურობაში, განსაკუთრებით კი

¹⁷⁹ მხოლოდ წინწყაროს მე-16 სამარხშია აღმოჩენილი ტიპობრივად რამდენადმე განსხვავებული ჭურჭელი (იხ. Б. А. Куфтин, დასახ. ნაშრ., ტაბ. XXIX; ტ. ჩუბინიშვილი, დასახ. ნაშრ.).

¹⁸⁰ ტ. ჩუბინიშვილი, დასახელებული ნაშრომი; მ. ბარამიძე, დასახ. ნაშრ.

¹⁸¹ Б. А. Куфтин, დასახ. ნაშრ., გვ. 65—74; რ. აბრამიშვილი, რკინის ათვისების საკითხისათვის..., გვ. 307—335.

¹⁸² F. Bayerns, Untersuchungen über die ältesten graber-urd Schätzfunde in kaukasien, Berlin, 1855, გვ. 27—40; გ. გობეჯიშვილი, არქეოლოგიური გათხრები..., გვ. 71—90, ტაბ. XVIII—XIX; ტ. ჩუბინიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 54—68, ტაბ. XIV—XV; საქართველოს არქეოლოგია, გვ. 163—189; რ. აბრამიშვილი, სამთავროს სამაროვანზე აღმოჩენილი გვიანი ბრინჯაოს ხანისა და რკინის ფართო ათვისების ხანის ძეგლებს დათარიღებისათვის, სსმ, ტ. XIX—A და XXI—B, თბ., 1957, ტაბ. II—III.

¹⁸³ დ. მუსხელიშვილი, დასახ. ნაშრ.

¹⁸⁴ D. de Morgan, Mission Scientifique au Caucase, ტ I—II, Paris, 1889.

¹⁸⁵ F. Bayerns, დასახ. ნაშრ., გვ. 1—27.

¹⁸⁶ А. А. Ивановский, По Закавказью, გვ. 85—143.

¹⁸⁷ T. Burton Brown, დასახ. ნაშრ., გვ. 155—165, სურ. 35—41, ტაბ. XIII.

¹⁸⁸ Erich F. Schmidt, The Alishar Hüyük, Part I, OJP, vol XIX, 1932, გვ. 244—251, სურ. 317—318, 320, 325—326.

ძირვიწრო და მსრებგანიერი ქოთნებისა და ქვაბ-ქოთნებისა; სხვადასხვა სახის ჯამ-ლანგრების და სასმისების შემკობის ანალოგიურ მოტივებში—ამოღარული წრეების, ტალღური და კლაკნილი ხაზების, ირიბი, ფრჩხილისეული და სხვათა კდეების კეთებაში; სხივების, ვერტიკალური ზოლების, ბადისებურად გადამკვეთი ხაზების, სამკუთხედების და სხვა გეომეტრიული სახეების საპრილო ხელსაწყოთა საშუალებით დატანის წესში.

შენიშნულია, რომ ქვემო ქართლური, კერძოდ — თრიალეთური კერამიკა (ბეშთაშენი, წინწყარო, თაქ-ქილისა) უფრო მდარე ხარისხისაა, ვიდრე სამთავროული ან ხოვლური¹⁸⁹. ამასვე მიუთითებს მადნისქალის ქურჭელიც, რომლის თიხა შიდა ქართლურზე დაბალი ხარისხისაა. სპეციალურ ლიტერატურაში აღინიშნა ისიც, რომ შიდა ქართლის გვიანბრინჯაოს ხანის ქურჭლის ერთი ნაწილი თითქოს განლექილი თიხისაგან მზადდებოდა¹⁹⁰.

შექმნილმა ვითარებამ თავისთავად დააყენა კითხვა: შიდა ქართლის გვიანბრინჯაოს ხანის კერამიკული პროდუქცია უფრო რთული და სრულყოფილი ტექნოლოგიური პროცესების გამოყენებით კეთდებოდა (რასაც თიხის განლექვა მოითხოვს), თუ მათი ხარისხი შეპირობებული იყო იმ ნედლეულით, რომლიდანაც ის მზადდებოდა? საამისოდ გადავხედეთ სათანადო მასალებს და დავრწმუნდით, რომ გვიანბრინჯაოს ხანაში განლექილი თიხისაგან ქურჭელი არც შიდა ქართლში კეთდებოდა. ამ უკანასკნელის შედარებით მაღალი ხარისხი შეპირობებული უნდა იყოს იმ მაღალხარისხიანი თიხებით, რომლითაც საერთოდ გამოირჩევა შიდა ქართლის საბადოები¹⁹¹ და რასაც ასე დაბეჭიფებით ვერ ვიტყვი ქვემო ქართლის ნედლეულის შესახებ.

ჩვენი აზრით, სწორედ აღნიშნული გარემოებით უნდა აიხსნას ამ რაიონების ქურჭელთა ხარისხის სხვაობა და არა დამზადების ტექნოლოგიის განვითარების სხვადასხვა დონით. ისინი მსგავსი ტექნიკითაა ნაკეთები და ამ თვალსაზრისით რაიმე არსებითი ხასიათის სხვაობა არ შეინიშნება. ამიტომ, უფრო სწორი იქნება, რომ ქვემო და შიდა ქართლის კერამიკის კეცში დამოწმებული ერთგვარი სხვაობა დაუფიქსიროთ სხვადასხვა სამეთუნეო ცენტრების, უფრო ზუსტად — სხვადასხვა სახელოსნოების არსებობას, რომლებიც თავის პროდუქციას ადგილობრივად გამოიმუშავებულ ნედლეულისაგან დაამზადებდნენ.

ვიდრე სპეციალისტები შეისწავლიდნენ ამ რაიონის თიხის გამოსავლებს და შეადარებდნენ მის შემადგენლობას იქვე გამოვლენილი მზა ნაწარმის კეცის სტრუქტურას, გამოთქმული მოსაზრება, რა თქმა უნდა, ვარაუდის ფარგლებს ვერ გაცდება. მიუხედავად ამისა, ამგვარი ვარაუდის სასარგებლოდ ვგონებ მეტყველებს მთელი რიგი დამახასიათებელი თავისებურება, რომელსაც ავლენს ქვემო და შიდა ქართლის (ამ რაიონების ცალკეული ძეგლებისაც) ქურჭლის შემკობის ზოგიერთი ხერხი.

დ. მუსხელიშვილის მიერ შემჩნეულია, რომ თრიალეთის სამაროვნებისათვის საერთოდ იშვიათია, ხოლო ბეშთაშენში სულ არ გვხვდება ცალყურა ქვაბ-ქოთნები „ზომორფული“ ყურით¹⁹² და ფრჩხილით დაჭდეული ორნა-

189 დ. მუსხელიშვილი, დასახ. ნაშრ.

190 მ. ბარამიძე, შიდა ქართლის...: მისივე, კასპის სამაროვანი, გვ. 35.

191 საქართველოს არქეოლოგია, გვ. 170.

192 ბეშთაშენის მხოლოდ ერთი ტოლჩას აქვს ზომორფულშვერილიანი ყური; იხ. B. A. Куфтин, დასახ. ნაშრ., ტაბ. XLVIII, შუა რიგში მარჯვნივ.

მენტით¹⁹³. სამაგიეროდ ყოველივე ეს, დიდი რაოდენობითაა ხოვლეში¹⁹⁴, კასპ-ში¹⁹⁵, სამთავროში¹⁹⁶, ნარეკვავში¹⁹⁷ და შიდა ქართლის სხვა ძეგლებში.

ძირითადად სწორად აღინიშნა, რომ საპრიალეზელი ხელსაწყოთა საშუალებით დატანილი სახეები იშვიათია თრიალეთურ ქურქელზე¹⁹⁸. ბეშთაშენის მხოლოდ ორიოდ ქურქელზეა ამგვარად ნაკეთები სხივთა კონა¹⁹⁹ და შვეული ზოლები²⁰⁰. თრიალეთის სხვა ძეგლებთან შედარებით მსგავსი ორნამენტის სიხშირით მადნისქალა უფრო უახლოვდება შიდა ქართლის²⁰¹ და კახეთის²⁰² გვიანბრინჯაოს ხანის მასალებს, სადაც ფართოდ იყენებდნენ ასეთ ორნამენტს.

ბეშთაშენის მთელი რიგი ქურქლის, განსაკუთრებით მაღალყელიანი, ელიფსურმუცლიანი ქილების და დაბალი, გვერდწიბოიანი ქვაბ-ქოთნების პირები შემკულია ირიბად დაჰდეული, გრეხილის გამომსახველი ფართო ღარებით²⁰³. უფრო იშვიათად ბაკო პროფილირებულია და მის ნაპირებს ზემოდან შემოუყვება დამრეცი კდეები²⁰⁴. ბეშთაშენში ხშირია, აგრეთვე, უნაგირისებური მოყვანილობის ცრუ ყურებიც²⁰⁵. მისთვის დამახასიათებელი ეს ორნამენტული მოტივები სრულებით არ გვხვდება მადნისქალის ქურქელზე. იგი იშვიათია სამთავროშიც და, რაც მთავარია, საერთოდ არ არის მის უძველეს ორმოსამარხებში²⁰⁶, მაგრამ ახასიათებს შიდა ქართლის სხვა ძეგლებს (ხოვლე²⁰⁷, კასპი²⁰⁸ და სხვა). ადვილი შესაძლებელია, რომ ეს ორნამენტი აქ შემოიღეს იმხანაზე გვიან, რომელსაც მიეკუთვნება მადნისქალის და სამთავროს უძველეს ორმოსამარხთა კულტურა.

თუმცა მადნისქალის კერამიკა მკიდროდ უკავშირდება საკუთრივ ქვემო ქართლურ და შიდა ქართლურ მასალებს, იგი მაინც ატარებს თავის ლოკალურ ნიშნებს. იმის გამოყოფა, თუ სახელდობრ რომელ ხსენებულ რაიონთან არის კულტურულად იგი უფრო დაახლოებული, კერამიკის მიხედვით არ ხერხდება. ეს ძეგლი, თითქმის თანაბარ მსგავსებას ავლენს მათთან, რაც შესაძლებელია, გამოწვეული იყოს მისი გეოგრაფიული ადგილმდებარეობით.

193 დ. მუსხელიშვილი, დასახ. ნაშრ.

194 იქვე.

195 მ. ბარამიძე, შიდა ქართლის...; მისივე, კასპის სამაროვანი, გვ. 36—46, ტაბ.

11გ. 14.

196 აღ. კალანდაძე, გვიანბრინჯაოსა და ადრეული..., საქართველოს არქეოლოგია, გვ. 167—170.

197 ნ. ოქროპირიძე, ნარეკვავის სამაროვანი, გვ. 193—203; ტაბ. IV, 7; V, 4, 9, 13.

VI 6.

198 დ. მუსხელიშვილი, დასახ. ნაშრ.

199 სამარხი № 18; ჯამის საინვ. № 42—64/133.

200 სამარხი № 20; ქოთნის საინვ. № 42—64/168.

201 საქართველოს არქეოლოგია, გვ. 167—170; მ. ბარამიძე, შიდა ქართლის..

202 კ. ფიცხელაური, იორ-ალაზნის აუზის..., გვ. 60, ტაბ. 111.

203 სამარხები № 11, 13, 20, 34 და სხვა; ქურქლის საინვ. № 42—64/63, 70, 93, 169,

247 და სხვ.

204 სამარხები № 4, 20, 21 და სხვა; ქურქლის საინვ. № 42—64/23, 169, 185 და სხვ.

205 სამარხები № 1, 19, 20 და სხვ. ქურქლის საინვ. № 42—64/4, 158, 159, 171 და სხვ.

206 საქართველოს არქეოლოგია, გვ. 167—170; მ. ბარამიძე, შიდა ქართლის...; ტ. ჩუბინიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 54—68; დ. მუსხელიშვილი, დასახ. ნაშრ.

207 დ. მუსხელიშვილი, დასახ. ნაშრ.

208 მ. ბარამიძე, კასპის სამაროვანი, გვ. 35—46, ტაბ. IIIგ.

აღგეთის ხეობით ძალიან ადვილია დაკავშირება, როგორც თრიალეთთან — ბედენის გავლით, ისე შიდა ქართლთან — თეძმის ხეობით ან სამადლოს (კოჯორსა და კიკეთს შორის) გავლით. აქ ეხლაც არსებობს ბევრი საცალფეხო გზა, რომელთა მეშვეობით, მოკლე დროის განმავლობაში შეიძლება გადასვლა ამა თუ იმ მხარეს. მეცხვარეები დღესაც სარგებლობენ ამ გზებით სხვადასხვა რაიონებიდან საქონლის გადაყვანისას თრიალეთის და ჯავახეთის საძოვრებზე, მათ შორის კახეთიდანაც. ამდენად, მთელი აღგეთის ხეობა, განსაკუთრებით კი მისი შუა წელი, სადაც თავს იყრის თითქმის ყველა გზები, გვიანბრინჯაოს ხანაში ერთ-ერთი ისეთი შუალედი ადგილი უნდა ყოფილიყო, რომლის მეშვეობით უნდა მომხდარიყო შიდა და ქვემო ქართლის კულტურული და ეკონომიური დაკავშირება. ამდენად, აქ მოსახლე ხალხს, თითქოს ადრევე უნდა შეეთვისებინა თიხის ჭურჭლის ყველა ის ძირითადი ფორმები და მათი შესამკობი სახეები, რომლებიც მის მეზობელ ლოკალურ კულტურებს ახასიათებდა.

მიუხედავად ამისა, ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, რომ აქ არ არის მაღალყელიანი ელიფსურმუცლიანი ჭურჭელი. აქ არ არის არც ბიკონუსურტანიანი პატარა კოჭები, არც სწორგვერდიანი ქილები და ორყურა ტოლჩები, გოფირებულტანიანი და გოფირებულყელიანი ჭურჭლები, ზედაპირდაჭდეული — კონუსურტანიანი და მაღალქუსლიანი სასმისები და სხვა ჭურჭლები, რომლებიც გვხვდება როგორც შიდა, ისე ქვემო ქართლის გვიანბრინჯაოს ხანის მეზობელ ძეგლებში²⁰⁹. მადნისჭალაში სრულებით არ გვხვდება სხვადასხვა სახის რელიეფური ორნამენტი, თუ არ ჩავთვლით ორ პირმოყრილ ჭურჭელზე არსებულ შვერილებს (№ 190, 194; ტაბ. XXVIII) და კოკაზე დატანილ პურის თავთავებს (№ 112; ტაბ. XXI).

აღნიშნული მდგომარეობა, ჩვენი აზრით, უნდა აიხსნას განსახილველი სამაროვნის შედარებით ადრეული ასაკით.

შიდა ქართლის გვიანბრინჯაოს ხანის სამარხეული კომპლექსების და კარგად სტრატოფიცირებული, მრავალფენოვანი გორანამოსახლარის შესწავლით დადგენილია, რომ ადრეული ეტაპის კერამიკა, ზოგადად ხასიათდება ნაკლებად სრულყოფილი ფორმებით (თუმცა ადრეულ საფეხურზე უკვე წარმოდგენილია თითქმის ყველა ძირითადი ფორმები, რომლებიც მომდევნო ხანაშიაც გვხვდება) და ორნამენტაციის ნაკლები ნაირგვარობით²¹⁰.

იგივე შეიძლება ითქვას ქვემო ქართლის შესახებაც. აქ გამოვლენილ სამაროვნებიდან, ცალკეულად აღებული რომელიმე ჭურჭლის მიხედვით, ჯერჯერობით თითქმის შეუძლებელია მათი შედარებითი თარიღის განსაზღვრა. მაგრამ, თუ დავუპირისპირებთ მადნისჭალის კერამიკულ ნაწარმს მთლიანობაში

²⁰⁹ Б. А. Куфтин, დასახ. ნაშრ., ტაბ. XVIII, XXIX, XLVIII, LI, LIII; გ. გობეჯიშვილი, არქეოლოგიური გათხრები..., ტაბ. XVIII, XIX, XXIV; მისივე, სტალინის ნაცარგორა, ტაბ. XI, XVI₁; მისივე, თეთრი წყაროს 1956 წლის..., დ. მუსხელიშვილი, დასახ. ნაშრ.; მ. ბარამიძე, შიდა ქართლის..., მისივე, კასპის სამაროვანი, გვ. 35—46, ტაბ. II, III; ნ. ოქროპირიძე, ნარეკვავის..., ტაბ. IV, V; ტ. ჩუბინიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 54—68, ტაბ. XV; რ. აბრამიშვილი, სამთავროს სამაროვანზე..., ტაბ. II, III; მისივე, რკინის..., ტაბ. VII, XII; საქართველოს არქეოლოგია, ტაბ. XV—XVII; დ. ქორიძე, თბილისის..., ტაბ. XIX, XXI, XXXI; და სხვ.

²¹⁰ დ. მუსხელიშვილი, დასახ. ნაშრ.; მ. ბარამიძე, კასპის სამაროვანი, გვ. 45—46; მისივე, შიდა ქართლის....

აღებულს, ვთქვათ ბეშთაშენში²¹¹, ანდა წინწყაროში²¹² და გუნიაყალაში²¹³ აღ-
მოჩენილს, აშკარა გახდება, რომ პირველს სიძველის მეტი იერი გადაჰკრავს.
იგი უფრო შეზღუდულია კერამიკული ფორმებით და შედარებით ღარიბია
ორნამენტის ნაირსახეობით.

გარდა ამისა, აღნიშნული მდგომარეობა, ნაწილობრივ სამაროვნის იმ ლო-
კალურ თავისებურებასაც უნდა მიეწეროს, რომელიც თან სდევს გვიანბრინ-
ჯაოს ხანის თითქმის ყოველ ძეგლს,

დაბოლოს, ამა თუ იმ ძეგლის კერამიკისათვის დამახასიათებელი თავისე-
ბურებების ჩამოყალიბებაში, ფორმების და შემკობის თვალსაზრისით, ალბათ,
სხვადასხვა პუნქტებში მომუშავე სამეთუნეო სახელოსნოების არსებობაც შეუ-
წყობდა ხელს, რადგანაც თითოეულ მათგანს, სხვა რომ არა იყოს რა, თავის-
და უნებურად განუვითარდებოდა მათთვის დამახასიათებელი ხელწერა ზო-
გიერთ დეტალში მაინც. სხვა საქმეა, ტერიტორიულად სად არსებობდა ეს
ცენტრები და როგორ მუშაობდნენ ისინი. ეს ძალიან ფართო და რთული სა-
კითხია, რომელიც სპეციალურ კვლევა-ძიებას მოითხოვს.

ასეა თუ ისე, საბოლოო ჯამში, როგორც ჩანს, ყველა ზემოჩამოთვლი-
ლი კომპონენტით უნდა აიხსნას ის ლოკალური თავისებურება, რომლითაც
ხასიათდება მადნისქალის თიხის ტურქელი.

შორს რომ არ წავიდეთ, ისეთი მეზობელი მატერიალური კულტურები,
როგორიცაა აღმოსავლურ და დასავლურ-ქართული მონათესავე წრეები²¹⁴,
ერთმანეთისაგან გაცილებით მეტად არიან დაშორებული, როგორც კერამი-
კული ფორმებით, ასევე ლითონის იარაღ-საჭურველით, სამეურნეო იარაღით,
სამკაულით და სხვ. ასეთი არსებითი სხვაობა, კერამიკის მიხედვით (და
არც ლითონის ნივთებით) აქ, რა თქმა უნდა, არ იგრძნობა, ყოველ შემთხვე-
ვაში — შიდა და ქვემო ქართლის ისტორიულ მხარეებში. მტკვარი, როგორც
ჩანს, არ წარმოადგენდა ისეთ გადაულახავ ზღუდეს, რომელიც შეუშლიდა
ხელს მათ ურთიერთდაკავშირებას.

ეს რომ ასეა, ამას მოწმობს აშკარად გამოხატული დიდი მსგავსება, ერ-
თის მხრივ, სოვლესა და სამთავროს კერამიკულ პროდუქციაში²¹⁵, მეორეს
მხრივ, მადნისქალის და ორივე ზემოაღნიშნულ თიხის ტურქელში. ამას ემა-
ტება ისიც, რომ მადნისქალის კერამიკა თავის მოყვანილობით და შესამკობი
სახეებით ახლო კავშირ-ურთიერთობას ავლენს ბეშთაშენურთან. ეს სიახლო-
ვე შენიშნულია საერთოდ შიდა ქართლისა და თრიალეთის გვიანბრინჯაოს
ხანის თიხის ტურქელს შორის²¹⁶, თუმცა, ისევე როგორც მადნისქალური (შე-
საძლებელია ცოტა უფრო მეტად) მათი ნაწარმი ერთმანეთისაგან გამოირჩე-
ვა ზოგიერთი უმნიშვნელო თავისებურებით²¹⁷. და რა გასაკვირია იმხანად
ამგვარი თავისებურების არსებობა, როდესაც უფრო მეტი განმასხვავებელი
ნიშანი დღესაც კი ახასიათებს, მაგალითად, თანამედროვე პირობებში ერთმა-

211 Б. А. Куфтин, *დასახ. ნაშრ.*, ტაბ. XLVIII, LI.

212 იქვე, გვ. 56—63, ტაბ. XXIX.

213 იქვე.

214 ნ. ბერძენიშვილი, ი. ჯავახიშვილი, ს. ჯანაშია, *საქართველოს ის-
ტორია*, ნაწ. I, თბ., 1948, გვ. 26—35; *საქართველოს არქეოლოგია*, გვ. 117.

215 დ. მუსხელიშვილი, *დასახ. ნაშრ.*

216 დ. მუსხელიშვილი, *დასახ. ნაშრ.*; მ. ბარამიძე, *შიდა ქართლის...*

217 დ. მუსხელიშვილი, *დასახ. ნაშრ.*

ნეთთან ძალიან ახლომდგომ შიდა ქართლის ისეთ კერამიკულ ცენტრებს, როგორიცაა გორი და მცხეთა²¹⁸.

აქვე გვინდა შევეხოთ ზოგიერთ საერთო ნიშანს, რომელიც ახასიათებს, ერთი მხრივ, განსახილველი სამაროვნის და საერთოდ ქართლ-კახეთის და, მეორე მხრივ, დასავლეთ საქართველოს გვიანბრინჯაოს ხანის კერამიკას: იგულისხმება ჭურჭლის მხრების დაქდევა მსხვილი წერტილებით (ე. წ. „სავარცლის კბილების“ ტექნიკა) და ყურების შემკობა ე. წ. ზოომორფული სახის რელიეფური შვერილებით.

„სავარცხლის კბილებით“ დატანილი ორნამენტი დადასტურებულია ჯერ კიდევ შუაბრინჯაოს ხანაში, როგორც აღმოსავლეთ, ისე დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე მოპოვებულ თიხის ჭურჭლებზე²¹⁹. ცნობილია, რომ შემკობის ეს ხერხი, ტრადიციისამებრ, ორივე მხარეში განაგრძობს არსებობას გვიანბრინჯაოს ხანაშიაც. ამაზე აქ სიტყვას აღარ გავაგრძელებთ, რადგანაც უფრო დეტალურად გვინდა შევეხოთ ე. წ. ზოომორფული სახის ყურებს.

აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე გამოვლენილი ბორცვების გვიანბრინჯაოს ხანის ფენებში, ზოომორფულსახელებიანი თიხის ჭურჭლის მრავალრიცხოვანი აღმოჩენის ფაქტები, ბ. კუფტინს ადრევე ავარაუდებინებდა ამ კულტურათა გარკვეულ სიახლოვეს²²⁰.

ამ მიმართულებით, კავშირი დასავლეთ საქართველოსთან (ღიხა გუძუბა²²¹, ნაოხვამუ²²², დაბლაგომი²²³) ისახება ხოვლეგორის კერამიკაშიც, სადაც მსგავსება იგრძნობა, თვით ამგვარი ყურების დამატებითი შემკობის წესშიც²²⁴. კერძოდ, ხოვლეგორის VII ჰორიზონტის კდებული შტრიხებით²²⁵ შემკული ყურები ახლო ანალოგს პოულობენ ნაოხვამუს ქვედა ფენის ასეთსავე ყურებთან²²⁶. ხოვლეს ჭურჭელს, მსგავსად ნაოხვამუსი, ახასიათებს, აგრეთვე, ყურის ზურგის შემკობა შვეული, თარაზული ან ირიბი ღარებით²²⁷.

ამასვე მოწმობს მადნისქალის ჭურჭელი. როგორც ვიცით, ყურების შემკობა რელიეფური შვერილებით აქ სხვადასხვა ვარიანტებს გვაძლევს: არის კოქისებური (№ 75, 164, 189; სურ. 21, 14, 17); უნაგირისებურად შუაში ჩაზნექილი (№ 81, 82, 89); ცხოველთა აცქვეტილი ყურების გამომსახველი

²¹⁸ ვ. ჯაოშვილი, კერამიკული მრეწველობა საქართველოში, თბ., 1959.

²¹⁹ გ. გობეჯიშვილი, სტალინის ნაცარგორა, გვ. 247, ტაბ. V₄; Б. А. Куфтин, Материалы к археологии Колхиды, II, თბ., 1950, გვ. 230—232, 253, ტაბ. 48, 61, სურ. 48; მისივე, К вопросу о ранних стадиях бронзовой культуры на территории Грузии, КСИМК, VIII, М.-Л., 1940, გვ. 13—14; ნ. თუშიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 230; Ш. Дедабришвили, Памятники эпохи ранней и средней бронзы, Труды Кахетской археологической экспедиции, I, Тб., 1969, გვ. 61.

²²⁰ Б. А. Куфтин, К вопросу о древнейших корнях грузинской культуры на Кавказе по данным археологии, სმპ, XII-В, გვ. 328—332; მისივე, Маршрутная..., გვ. 63.

²²¹ Б. А. Куфтин, Материалы к археологии..., გვ. 239.

²²² იქვე, გვ. 119—200, 223—227, 233—237.

²²³ იქვე, გვ. 124—126.

²²⁴ დ. მუსხელიშვილი, დასახ. ნაშრ.

²²⁵ ჭურჭლის საინვ. № 6, 318₁.

²²⁶ Б. А. Куфтин, დასახ. ნაშრ., გვ. 233, ტაბ. 55₄.

²²⁷ დ. მუსხელიშვილი, დასახ. ნაშრ., შდრ. Б. А. Куфтин, დასახ. ნაშრ., ტაბ.

(№ 90, 93; ტაბ. XXII; სურ. 25); განივკვეთში ოთხწახნაგა, ზემოდან განივი დანაძერწით (№ 56; ტაბ. XXII), რომელიც ზოვიერთ შემთხვევაში დაქდებულია კიდეც (№ 196; სურ. 27); ნახევარსფეროსებური — ღარიტ გაყოფილი (№ 116; სურ. 31); შუაში უნაგირისებურად ამოღარული (№ 121; ტაბ. XXX); რქები-სებური (№ 99, 133, 142; სურ. 34, 36) და რქებკვეთილი (№ 91, 97; ტაბ. XXII; სურ. 36) სახეები.

რელიეფურშვერილიანი სახელურები განსაკუთრებით დიდი რაოდენობით მოიპოვა კახეთის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ (მელი ლეღე, ზემო მაჩხაანი, საკობიანო და სხვა პუნქტები)²²⁸. დროის მიხედვით ისინი ექცევიან გვიანბრინჯაოს ადრეული საფეხურის და საერთოდ გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის ქრონოლოგიურ ჩარჩოში. როგორც კ. ფიცხელაურმა გვაცნობა, ეს ყურები კახეთში წარმოდგენილია თითქმის ყველა იმ ნაირსახეობით, რომელიც დღემდე ცნობილია აღმოსავლური და დასავლურ-ქართული მატერიალური კულტურების ძეგლებიდან.

ნიშანდობლივია, რომ ილტოს ადრებრინჯაოს ხანის სამარხში აღმოჩენილი ქურჭლის ერთი ყური დამშვენებულია მრგვალ-ბრტყელი მოყვანილობის ორი კოპით, რომელიც ზოომორფული ყურის ჩანასახს წარმოადგენს²²⁹. ამდენად, აღნიშნული ორნამენტული მოტივის ჩამოყალიბების ფესვები, ყოველ შემთხვევაში, კახეთის ტერიტორიაზე, უკვე ადრებრინჯაოს ხანაში უნდა ვეძიოთ.

სადღეისოდ შესწავლილი მასალით დგინდება, რომ ზოომორფულ სახელურებიანი ქურჭელი პირველად ჩანასახის სახით ჩნდება აღმოსავლეთ საქართველოს (ილტო) ტერიტორიაზე უკვე ადრებრინჯაოს ხანაში. ჯერჯერობით რატომღაც ისინი არ ჩანან შუაბრინჯაოს ხანაში, მაგრამ მრავლდებიან შუაბრინჯაოდან — გვიანბრინჯაოს ხანაზე გარდამავალი პერიოდის კახეთის ძეგლებში. კახეთში განსაკუთრებით დიდი რაოდენობით აღმოჩნდა ისინი გვიანბრინჯაოს ხანის ადრეული საფეხურის განათხარ მასალებში. ეს ყურები აქ მრავალრიცხოვან ვარიანტებშიც გვხვდება.

ზოომორფული ყურები საკმარისი რაოდენობით აღმოჩნდა აგრეთვე ქვემო (მადნისქალა) და შიდა (სამთავრო) ქართლის გვიანბრინჯაოს ხანის უძველეს სამარხებში, ხოვლეგორის VII ჰორიზონტში და სხვ.

დასავლეთ საქართველოში, ზოომორფული ყურები თავის არსებობას ვვამცნობს, თ. მიქელაძის მიერ კოლხური კერამიკისათვის შემუშავებული კლასი-

228 კ. ფიცხელაური, იორ-ალაზნის აუზის..., ტაბ. XXIIX; მისივე, კახეთის არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ 1964 წელს ჩატარებული საველე მუშაობის შედეგები, გვ. 19—21; კ. ფიცხელაური, შ. დედაბრიშვილი, კახეთის არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ 1965 წელს ჩატარებული საველე მუშაობის შედეგები, XV სამეცნიერო სესია მიძღვნილი 1965 წლის საველე-არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგებისადმი, თბ., 1966, გვ. 15—17; კ. ფიცხელაური, კახეთის არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ 1966 წელს ჩატარებული საველე მუშაობის შედეგები, XVI სამეცნიერო სესია მიძღვნილი 1966 წლის საველე-არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგებისადმი, თბ., 1967, გვ. 45—48; შ. დედაბრიშვილი, 1964 წლის კახეთის არქეოლოგიური ექსპედიციის დაზვერვითი სამუშაოების შედეგები, XIV სამეცნიერო სესია..., გვ. 19—21; К. Н. Пичхелаури, Итоги исследования памятников эпохи позней бронзы-раннего железа, Труды Кахетской археологической экспедиции (1965—1966 гг.), I, Тб., 1964, гв. 89—110.

229 შ. დედაბრიშვილი, ილტოს არქეოლოგიური ძეგლები, თბ., 1967, ხელნაწერი; III. III. Дедабришвили, Памятники эпохи ранней и средней бронзы, гв. 49—67.

ფიკაციის მიხედვით, უძველესი პერიოდის II ეტაპის დასასრულიდან (დაახლოებით ძვ. წ. II ათასწლეულის ბოლო საუკუნეები), ხოლო ფართოდ ვრცელდება და უფრო მრავალრიცხოვან ვარიანტული ნაირსახეობით გვხვდება ხსენებულ პერიოდის II ეტაპზე (დაახლოებით ძვ. წ. II—I ათასწლეულების მიჯნა და I ათასწლეულის დასაწყისი)²³⁰.

ყოველივე ეს შესაძლებელია იმის მაუწყებელი იყოს, რომ ჭურჭლის ყურების შევრილებით შემკობა კოლხურ კულტურაში აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიიდან შესულიყო²³¹.

დასასრულ გვერდს ვერ ავუვლით იმასაც, რომ გვიანბრინჯაოს ხანის კერამიკაში იგრძნობა გენეტიკური კავშირი მისი წინამორბედი შუაბრინჯაოს ხანის ნაკეთობასთან. ეს კავშირი შეინიშნება დიდი ზომის კვერცხისებური თუ მსხლისებურტანიანი დერგების საერთო მოყვანილობაში, მათი ყელის შემკობის ჩვევებში და, კიდევ ზოგიერთი სხვა ჭურჭლის საერთო მსგავსებაში. ეს გარემოება საშუალებას გვაძლევს, თუნდაც რამდენიმე ცალკეული დეტალის მიხედვით, აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე ძველადვე წარმოდგენილი კულტურის განვითარების უწყვეტი პროცესი ვივარაუდოთ და ამ ნიადაგზედაც მოვუძებნოთ კიდევ ერთი დამაკავშირებელი რგოლი.

ამასვე უნდა მოწმობდეს მადნისქალის სამარხებში შავად და ლეგად გამომწვარი თიხის ჭურჭლის გვერდით, მართალია, შედარებით მცირე რაოდენობით. მაგრამ მაინც მოვარდისფრო-მოწითალოდ გამომწვარი ჭურჭლის არსებობა. ანალოგიური ჭურჭელი იმდენად ფართოდ არის გავრცელებული თრიალეთის შუაბრინჯაოს ხანის გორასამარხებში, რომ ბ. კუფტინმა ისინი ცალკე ჯგუფშიაც კი მოათავსა²³².

შუაბრინჯაოს ხანასთან გენეტიკური კავშირის დანახვის თვალსაზრისით მეტად მნიშვნელოვანია მადნისქალის 24-ე სამარხში შავბრიალა ვარდისფერ-სარჩულიანი დერგის (რომელსაც, მართალია, შუაში ნაცრისფერი შრე მისდევს; იხ. საინვ. № 92) აღმოჩენა. ანალოგიური კეცი ძირითადად დამახასიათებელია შუაბრინჯაოს ხანის კერამიკისათვის.

სამეთუნეო დარგში მომხდარი იმ დიდი ძვრების მიუხედავად²³³, რომელიც

²³⁰ რ. აბრამიშვილი, თ. მიქელაძე, საქართველოს არქეოლოგიური კულტურები გვიანბრინჯაოსა და ადრერკინის ხანაში (კოლხური კერამიკა), ბელნაწერი, თბ., 1968, ტბ. I.

²³¹ შ. რ. მ. პ. აბრამოვა, О керамике с зооморфными ручками, СА, № 2, 1969, გვ. 81; Л. Л. Карапетян, История гончарного производства древней Армении (III тысячелетие — VI в. до н. э.), Автореферат, Ер., 1966, გვ. 21, 27.

²³² Б. А. Куфтин, დასახ. ნაწრ., გვ. 84.

²³³ ჩვენ აქ მხედველობაში გვაქვს გვიანბრინჯაოს ხანაში სწრაფად მბრუნავი სამეთუნეო მორგვის გაბატონებასთან დაკავშირებული ის დიდი ძვრები, რომელიც მოხდა კერამიკის წარმოებაში. მაგრამ ამით, რა თქმა უნდა, სრულებითაც არ უარყოფთ მარტივი ჩარხის გამოყენებას უფრო ადრეულ ხანაში. ჩარხის კვალი დადასტურებულია, მაგალითად, თეთრი წყაროს ენეოლითურ კერამიკაზე (გ. ვოზეჯიშვილი, თეთრიწყაროს 1956 წლის არქეოლოგიური ექსპედიციის მუშაობის ანგარიში), ნახიდრების ქალის მესამე გორასამარხში აღმოჩენილ ადრებრინჯაოს (ე. წ. მტკვარ-არაქსის კულტურის) ხანის თიხის ჭურჭელზე (ნ. თუშიშვილი, ალგეთის ხეობის 1964 წლის არქეოლოგიური ექსპედიციის..., გვ. 28) და აბელიაში ამავე ხანის ნამოსახლარ ფენაში (ვ. კვიციანიძე, ზ. შატბერაშვილი, 1964 წლის ალგეთის ხეობის არქეოლოგიური ექსპედიციის II და III უბნის გათხრების მოკლე ანგარიში, XIV სამეცნიერო სესია მიძღვნილი 1964 წლის საველე-არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგებისადმი, მოკლე ანგარიშები, თბ., 1965, გვ. 30), მეტეხის შუაბრინჯაოს ხანის მასალებზე (მ. ბარამიძე, შიდა ქართლის...) და სხვ.

მკაფიოდ განასხვავებს ერთმანეთისაგან შუა და გვიანი ბრინჯაოს ხანის კერამიკულ ნაწარმს, ზოგიერთი ჭურჭელი მაინც გვაძლევს საფუძველს შემხვედრი წერტილები დავინახოთ ორივე ამ პერიოდის ნაწარმის ურთიერთდაკავშირებისათვის.

ეს პროცესი კიდევ უფრო კარგად ჩანს მომდევნო ხანაში, როდესაც კერამიკული ნაწარმი წარმოდგენილია თითქმის ყველა იმ ძირითადი ფორმით, ორნამენტით, ანალოგიური კეციით და ა. შ., რაც გვიანბრინჯაოს ადრეულ ეტაპს ახასიათებს. განსხვავება მხოლოდ იმაშია, რომ გვიანი ბრინჯაოს და რკინის ფართო ათვისების ხანაში, კულტურის ბუნებრივ განვითარებასთან ერთად ვითარდება და მრავლდება, კიდევ უფრო ნაირგვარი ხდება მათი ფორმები და შეკვობის ხერხები, მაშინ როდესაც დამზადების ტექნიკა ძირითადად იგივე რჩება. სწორედ ამ გარემოებამ წარმოშვა ის სიძნელე, რომელსაც ყოველ ნაბიჯზე ვაწყდებით გვიანბრინჯაოს ხანის კერამიკული ნაწარმის განსაზღვრის დროს და ჯერ კიდევ უმნიშვნელო გამონაკლისის გარდა, არ შეგვიძლია ისეთი ჭურჭლის გამოყოფა, რომელსაც გარკვევით მივაკუთვნებდით გვიანბრინჯაოს ხანის ამა თუ იმ ეტაპს²³⁴. ამის გაკეთება ვერ მოხერხდა ისეთი სტრატეგიციკრებული ძეგლის მიხედვითაც კი, როგორც ხოვლეგორაა²³⁵, სადაც ურთიერთმონაცვლე 8 სამშენებლო პერიოდია გამოვლენილი. ამის გაკეთება მით უმეტეს ვერ ხერხდება მადნისქალის ერთფენოვანი სამაროვნის მასალების მიხედვით და ამიტომ ჩვენ იძულებული ვართ დავეკმაყოფილდეთ მხოლოდ იმ კულტურული თუ სხვა ურთიერთობების აღნიშვნით, რომელიც გარკვევით ისახება კერამიკის მიხედვით აღმოსავლეთ ამიერკავკასიის, პირველ რიგში კი, ქვემო და შიდა ქართლის ძეგლებში.

§ 2. იარაღ-სამშრომელი

მადნისქალის სამაროვანზე აღმოჩენილი იარაღის დაჯგუფება მათი დანიშნულების მიხედვით არ არის ძნელი, რადგანაც ეს უკანასკნელი წარმოდგენილია მხოლოდ ორი შუბისპირით და ექვსი სატევრით. სადღეისოდ მიღებული კლასიფიკაციით მათი გაერთიანება შეიძლება მარტო ერთ — ე. წ. „სახვლეთ-საძგერებელ“ იარაღთა ჯგუფში.

მადნისქალის თავისებურებად უნდა ჩაითვალოს ის გარემოება, რომ, სამთავროს, ბეშთაშენის და ზოგიერთი სხვა სამაროვნისაგან განსხვავებით აქ სრულებით არ არის სატყორცნი (ხელშუბისპირი, ისრისპირი და სხვა) ან საცემი (ლახტისთავი და და სხვა) იარაღი. აღნიშნული ვითარების ახსნა ჯერჯერობით ძნელდება თუნდაც იმის გამო, რომ როგორც სხვა ძეგლებში, ისე ქვემო ქართლში, მადნისქალის მახლობლად მდებარე რაიონებშივე გათხრილ სამაროვნებზე, მოპოვებულია ყველა ზემოთ დასახელებული სახის იარაღი, რომელიც მიეკუთვნება დროს დაწყებულს ადრეობრინჯაოს ხანიდან ვიდრე ბრინ-

²³⁴ ამ მიმართულებით განსაკუთრებით მნიშვნელოვანია კ. მარქსის ცნობილი დებულების ვათვალისწინება, რომელიც მდგომარეობს შემდეგში: „რაკი ერთხელ ნაპოვნია ემპირიულად მისი სათანადო ფორმა, იგი შეაქვავდება ამ ფორმას, როგორც ამას ამტკიცებს მისი ერთი თაობის ხელიდან მეორე თაობის ხელში გადასვლა, ხშირად ათასეული წლების განმავლობაში“, იხ. კ. მარქსი, კაპიტალი, I, გვ. 614.

²³⁵ დ. მუსხელიშვილი, დასახ. ნაშრომი.

ჯაოდან რკინის ხანაზე გარდამავალ საფეხურამდე¹, რასაკვირველია, არაფერი რომ არ ითქვას მომდევნო ხანის ძეგლების შესახებ.

1. სატევრისპირები (ტაბ. XX XI). ყველა სატევრისპირი დამზადებულია ბრინჯაოსაგან; ტარი არც ერთს არ შერჩენია. ისინი ერთმანეთისაგან გამოირჩევიან ზომა-მოყვანილობით, რის მიხედვითაც მათში სამ ქვეტიპს გამოვყოფთ.

განსახილველი იარაღი ზოგადად განკუთვნილი იყო ხელჩართული ბრძოლისათვის და ომში გამოსაყენებლად². მაგრამ თითოეულ ქვეჯგუფს ალბათ კიდევ უფრო გარკვეული, სპეციფიკური დანიშნულება ექნებოდა, რომლის დასადგენად საჭირო საბუთები ჩვენ ხელთ არ გვაქვს. ასეთ საბუთად არ ჩაითვლება არც ქიმიური ანალიზის შედეგები, ვინაიდან ბრინჯაოში შემავალი დარიშხანის პროცენტი თითოეული ქვეტიპის ცალკეულ იარაღებშიაც კი მერყეობს 0,05%-დან — 6,75%-მდე, ხოლო კალისა კი 0,01%-დან — 8,84%-მდე³.

ფოთლისებური სატევრები, სამთავროს მასალების მიხედვით, საფუძვლიანად შეისწავლა გ. ლომთათიძემ⁴. ავტორის მიერ შემუშავებული ტიპოლოგიური სქემიდან ჩანს, რომ სამთავროს უძველეს, ე. ი. I ტიპის სატევრებს⁵ აქვს ფოთლისებური მოყვანილობის მოკლე პირი⁶. და რომ თითოეულზე მეტ-ნაკლებად შესამჩნევი ქედის რაგვარობა მიუთითებს მათ ადგილს ამ იარაღის ევოლუციურ განვითარებაში⁷.

I ტიპის სატევრების სამი ქვეტიპიდან გ. ლომთათიძეს ყველაზე უძველესად მიაჩნია I ქვეტიპი, რომელშიც შედის თითქმის სულ უქედო, ბრტყელპირიანი იარაღი⁸. ქრონოლოგიურად მომდევნო II ქვეტიპი შეიცავს ვიწროქედიან, ხოლო III ქვეტიპი — ბრტყელ ანუ ფართოქედიან სატევრებს⁹.

ამ ქრონოლოგიურ სქემას, სხვა მკვლევარებთან ერთად, იზიარებს ტ. ჩუბინიშვილი და, მისი სიტყვით რომ ვთქვათ, სამთავროს „...მასალის შესწავლით, უწინარეს ყოვლისა, დასტურდება, რომ ფოთლისებურ სატევრებზე

¹ Б. А. Куфтин, Археологические раскопки в Триалети, გვ. 48—77, სურ. 52—55, 71—73, 77, 79, 85—86, ტაბ. XXXIV—XXXVI, XLIV—XLVII, გვ. 95—105, სურ. 110, ტაბ. CV—CVI, CVI bis, CXV bis; გ. ნიორაძე, დმანისის ნეკროპოლი...; გ. გობეჯიშვილი, ბედენის აკლამა; მისივე, თეთრიწყაროს 1959 წლის არქეოლოგიური ექსპედიციის საველე მუშაობის ანგარიში, თბ., 1960, ხელნაწერი; გ. ლომთათიძე, ბრინჯაოს სატევრები და მახვილები სამთავროს უძველეს სამაროვანზე, სადისერტაციო ნაშრომი, თბ., 1944, ხელნაწერი; ტ. ჩუბინიშვილი, მცხეთის უძველესი..., ტაბ. VI, XVII; რ. აბრამიშვილი, სამთავროს სამაროვანზე აღმოჩენილი..., ქრონოლოგიური ტაბულა: მისივე, რკინის ათვისების საკითხისათვის..., ტაბ. II, IV, V; ოჯაფარიძე, ლითონის წარმოშობის ადრეული საფეხური საქართველოში, თბ., 1955, გვ. 55—105, ტაბ. IX—XIV; მისივე, არქეოლოგიური გათბრები თრიალეთში (ქართველი ტომების ისტორიისათვის ძე. წ. II ათასწლეულში), თბ., 1969, ტაბ. XI და სხვ.

² საქართველოს არქეოლოგია, გვ. 171.

³ ქიმიური ანალიზის შედეგები იხ. ცხრილში 146 გვერდზე.

⁴ გ. ლომთათიძე, ბრინჯაოს სატევრები და მახვილები...

⁵ იქვე, გვ. 77.

⁶ იქვე, გვ. 94.

⁷ იქვე, გვ. 146—150.

⁸ ამ მოსაზრებას სხვა მკვლევარებიც იზიარებენ: იხ. საქართველოს არქეოლოგია, გვ. 171; ტ. ჩუბინიშვილი, მცხეთის უძველესი..., გვ. 71.

⁹ გ. ლომთათიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 94—141.

„შუა ქელი“ იმთავითვე მკვეთრად ჩამოყალიბებული სახით არ გაჩენილა და რომ ბრტყელ-ლინზური განიკვეთის მქონე სატევრის გადაქცევას პირქედთან იარაღად ამ ტიპის სატევართა განვითარებაში, მართლაც, არსებითი მნიშვნელობა უნდა ჰქონოდა“¹⁰.

მადნისქალის სატევრები უქედოთა ჯვუფს ეკუთვნის. სამთავროს I ქვეტიპის სატევრები, იმავე ძეგლის სხვა სატევრებთან შედარებით, უფრო ჩამოყალიბებელია: მკვეთრი ქედის ნაცვლად აქვთ უმნიშვნელო აბეჭება და ნაკლებად სრულყოფილი მოყვანილობა. გარდა ამისა, ისინი ხასიათდებიან სხვადასხვა ფორმის, ერთმანეთისაგან განსხვავებული სატარით (სატარე უყუნწო სატევრის ის ნაწილია, რომელიც მოთავსებულია მხრებს ზემოთ, და, რომლითაც იგი უშუალოდ უერთდება ხის ან ძვლის ტარს), პირით და წვერით.

ანალოგიური რამ შეინიშნება მადნისქალის სატევრებზეც. რაც მათი არქაულობის მანიშნებლად უნდა ჩაითვალოს. სამთავროში აღმოჩენილ ასეთ სატევრებს ტ. ჩუბინიშვილი პირობითად ათავსებს უმარტივესი იარაღის შემცველ I ქვეტიპის II ვარიანტში¹¹.

რადგანაც მადნისქალის სატევრები თითქმის უქედოა, ამ ნიშნით მათ ერთმანეთისაგან ვერ გავთიშავთ. მათი დაჯგუფება შეიძლება მხოლოდ პირის მოყვანილობით, რომელიც, უნდა ვიფიქროთ, ფუნქციონალური დანიშნულებითაა განსაზღვრული.

I ქვეტიპში შედის ორი სატევარი (№ 118, 124; ტაბ. XXXI). ყოველ მათგანს აქვს ვიწრო (სიგანე მხრებთან 4,3—5,2), ტირიფის ფოთლის მოყვანილობის, საკმაოდ გრძელი ($l=23,3—24,7$ სმ) პირი, რომელსაც შუაში მთელ სიგრძეზე, სატარედან წვერამდე, სიმტკიცისათვის გასდევს მკრთალი აბეჭება. შედარებით განიერ სატევარს სამკუთხა მოყვანილობის სატარე აქვს ($h=2,3$ სმ). რომელიც ტარს უკავშირდებოდა ორი მანჭვალის საშუალებით (№ 124; სურ. 32; ტაბ. XXXI). მეორე სატევრის (№ 118; ტაბ. XXXI, სურ. 31) ორსამანჭვლიანი სატარე პირველთან შედარებით მაღალია ($h=4,5$ სმ). გარდა ამისა, მისი სატარე უფრო მკვეთრად გამოეყოფა მხრებს და ბოლოვდება მომრგვალებულად.

ამ სატევრებს მოყვანილობით უახლოვდებიან სოფ. ფარცხისთან¹², სოფ. ჯორჯიაშვილში¹³ (სურ. 37, ა) და რკინის წყალზე¹⁴ (ყოფ. დემირ სუ; სურ. 37, გ) აღმოჩენილი სატევრები. მადნისქალის იარაღებიდან ისინი განსხვავდებიან მხოლოდ უფრო მკვეთრი ქედით და შუა ნაწილში თითქოს შეუუმჩნეველად შედრეკილი პირით. გარდა ამისა, ჯორჯიაშვილის სატევარს აქვს 5 სამანჭვლე ნახვრეტი.

¹⁰ ტ. ჩუბინიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 71.


¹¹ იქვე, გვ. 73.

¹² ეს სატევარი შემთხვევით უპოვნიათ მიწის სამუშაოების დროს მდ. ალგეთის ნაპირას, ადგილ „ასიკოს ბაღში“, 1963 წლის ნოემბერში. ახლა დაცულია ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში, სადაც ის მოუტანია სოფ. ჯორჯიაშვილის სკოლის მასწავლებელს გიორგი მიხეილის ძე პოილარაშვილს.

¹³ ნიეთი ინახება არქეოლოგიის სექტორში.

¹⁴ ეს სატევარი, ბრინჯაოს მასრავახსნილ შუბისპირთან ერთად, შემთხვევით არის ნაპოვნი ვზის მშენებლობის დროს ერთ-ერთ დაზიანებულ სამარხში, 1957 წელს. აღნიშნული ნიეთი ჩამოიტანა ი. ვაძელიშვილმა და ახლა ინახება არქეოლოგიის სექტორში.

მსგავსი იარაღები ინახება ბორჯომის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში. ისინი შემოსულია სოფ. გომნადან და ლარებიდან¹⁵. მადნისქალის სატევრებთან შედარებით მათ ცოტა უფრო ვიწრო პირი, დაქანებული მხრები და მკვეთრად გამოხატული ქედი აქვთ. აღნიშნულ სატევრებს რამდენადმე ჰგავს ქვემო სასირეთის განძში შემაგალი ერთი ორსამანკვლიანი სატევრისპირი, რომელიც



სურ. 37

მადნისქალურთან შედარებით ტიპოლოგიურად უფრო განვითარებული ჩანს. მას აქვს მომრგვალებული სატარე, განიერი მხრები, შევიწროებული პირი და მძლავრი ქედი¹⁶. რ. აბრამიშვილს ის მოქცეული აქვს იმ ნივთებში, რომლებიც ახასიათებდა აღმოსავლეთ საქართველოს მატერიალურ კულტურას ძვ. წ. XIII—XII სს-ში¹⁷. ტირიფის ფოთლის მოყვანილობის ერთი ბრტყელი სატევარი, რომელიც შედარებით ახლოს დგას მადნისქალის სატევრებთან, აღმოჩნდა

¹⁵ ო. ლამბაშიძე, სპილენძ-ბრინჯაოს მეტალურგია სამხრეთ საქართველოში, თბ., 1965, ხელნაწერი.

¹⁶ G. Nioradze, Der verwahrfund von Kvemo-Sasirethi, E. S. A., VIII, 1930, გვ. 82—97, სურ. 8a.

¹⁷ რ. აბრამიშვილი, სამთავროს სამაროვანზე აღმოჩენილი..., გვ. 138, იხ. ქრონოლოგიური ტაბულა, ნივთის № 213.

დუშეთის რ-ნის სოფ. ჭიკაძეში, ბრინჯაოს თავხვია საკინძთან და სამაჯურებთან ერთად¹⁸ (სურ. 37, ბ).

სამწუხაროდ, ყველა ზემოთ მოტანილი პარალელური მასალა შემთხვევითაა მოპოვებული და ამის გამო მათთან კომპლექსში შემავალმა სხვა ნივთებმა ჩვენამდე ვერ მოაღწია¹⁹. აღნიშნული გარემოება შეუძლებელს ხდის მსჯელობას მათი აბსოლუტური თარიღის დასადგენად. მიუხედავად ამისა, მათი მოყვანილობიდან ჩანს, რომ ეს სატევრისპირები ტიპოლოგიურად უფრო სრულყოფილებია (აქვთ მკვეთრი ქელი და უფრო დახვეწილი ფორმა) ვიდრე მადნისქალურები, და ვფიქრობთ, არ შეეცდებით, თუ მათ ქრონოლოგიურად უშუალოდ მომდევნო ხანას მივაკუთვნებთ. გამოჩაყლის წარმოადგენს ჭიკაძის სატევარი, რომელსაც ორსამანქვლიანი სატარე და ლინზურგანივკვეთიანი ბრტყელი პირი აქვს. იგი ასაკობრივად მადნისქალის სატევრების ტოლი უნდა იყოს.

უნდა აღინიშნოს ამ ტიპის იარაღთა ერთგვარი მსგავსება შუაბრინჯაოს ხანის სატევრებთანაც. ასე მაგალითად, № 118 სატევარი პირის ზომა-მოყვანილობით ახლოს დგას თრიალეთის XV გორასამარხში აღმოჩენილ სატევართან²⁰. მიუხედავად იმისა, რომ მათ განსხვავებული სატარე აქვთ: თრიალეთურს ტარი უმაგრდებოდა ყუნწზე სამი მანქვლის საშუალებით, მაშინ როდესაც ჩვენი უყუნწოა. ამ უკანასკნელის მხრებიდან სატარეზე გადასვლის ადგილი ისე მკაფიოდაა გამოყოფილი, რომ მისი უმნიშვნელოდ შევიწროებული სატარე შეიძლება ყუნწის გადმონაშთად მივიჩნიოთ და ამ მხრივაც მათ შორის დავინახოთ ერთგვარი გენეტიკური კავშირი.

ახლოს დგას ჩვენს იარაღთან თრიალეთის შუაბრინჯაოს ხანის III გორასამარხის ყრილის ქვეშ აღმოჩენილი კიდევ ერთი სატევარი, რომელსაც უმნიშვნელოდ განსხვავებული სატარე აქვს. ეს განსხვავება გამოიხატება სამანქვლურ ნახვრეტების უქონლობით და სატარეზე ყუნწისმაგვარი პატარა წანაზარდით²¹.

ტიპოლოგიური კავშირი იგრძნობა ქვასათალის მასალებთანაც. აქ აღმოჩენილი სატევრების ყუნწი, თრიალეთის XV გორასამარხის სატევრებთან შედარებით გაფართოებულია, რითაც ისინი კიდევ უფრო უახლოვდებიან მადნისქალის № 118 სატევარს²².

პირველ ქვეტიპში გაერთიანებული იარაღის პირი ჰგავს ო. ჯაფარიძის მიერ 1954 წ. ნულში (ადგილი ლაშეები, სამარხი № 1) მოპოვებულ ერთ პატა-

18 მასალა მოგვაწოდა ლ. წითლანაძემ, რისთვისაც მადლობას მოვახსენებ. ნივთები შემთხვევითაა მოპოვებული ივანე ჭიკაძის მიერ საკარმიდამო ნაკვეთის ხენის დროს; სატევართან აღმოჩენილი სხვა ნივთების კომპლექსურობა მთლად სარწმუნო არ არის. გადმოცემით, ყველა ნივთი ორმოსამარხშია ნაპოვნი.

19 თუ არ ჩავთვლით ქვემო სასირეთში მოპოვებულ სატევარს, რომელიც განძის შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს.

20 Б. А. Куфтин, Археологические раскопки в Трიაleti, таб. CV, მარცხნიდან პირველი. შტრ. მადნისქალის № 118 სატევარს, იხ. ტაბ. XXXI.

21 იქვე, გვ. 72, სურ. 77.

22 შტრ. სატევრის სატარე, რომელიც გამოქვეყნებულია О. М. Джапаридзе, Квасатальский могильник эпохи бронзы в Юго-Остееи, КСИИМК, вып. 60, М. 1955, გვ. 25, სურ. 23, და, აგრეთვე, საქართველოს მუზეუმის XXVI საექსპოზიციო კარადაში გამოფენილი № 9—95/5 სატევრები, მადნისქალის № 118 სატევარს.

რა ($l=10,5$ სმ) სატევრის პირს, ოღონდ ამ უკანასკნელს აქვს ერთსამანკვლიანი ყუნწი²³.

განსაკუთრებით უახლოვდება ჩვენი № 118 იარაღი ბ. კუფტინის მიერ 1949 წელს ნულის პირველ სამარხში ნაპოვნ ერთ სატევრისპირს²⁴ ($l=25,0$ სმ). ისინი ზომა-მოყვანილობით, სატარის და პირის ფორმით თითქმის იდენტურებია. მათ შორის უმნიშვნელო სხვაობა მხოლოდ იმაშია, რომ ნულის იარაღი შუა ნაწილში მცირედ შევიწროებულია და ოდნავ უფრო დაბალი, — სამსამანკვლიანი სატარე აქვს. ეს იარაღი აღმოჩნდა ერთ კომპლექსში ბრინჯაოს ყუნწიან ბრტყელ სატევართან (რომელსაც ემსგავსება პირის მოყვანილობით), მასრაგახსნილ შუბისა და ხელშუბისპირთან, ბრინჯაოს დისკოსებურ, სოკოსებურ და პირამიდისებურ თავებიან საკინძებთან, თავებგახსნილ ოთხწახნაგა მასიურ სამაჯურებთან, ცისფერი პასტის იოტისმაგვარ მძივებთან და სხვა ინვენტართან ერთად²⁵, რომელიც აშკარად შუაბრინჯაოს ხანას უნდა მიეკუთვნოს.

მადნისქალის № 124 სატევრისპირს ძალიან ჰგავს სტალინირის ნაცარგორის II ფენაში მოპოვებული ორი იარაღი²⁶. ეს ნივთები აღმოჩნდა ძველადვე დარღვეულ ფენაში და ამიტომ მათი მიკუთვნება II ფენისათვის სათუთა. ნაცარგორის იარაღს კარგად აქვს გამოხატული გრძივი აბეჭება; ტარს უკავშირდება ორი მანკვლის საშუალებით. ისინი ჩვენსას ემსგავსებიან სამკუთხა მოყვანილობის სატარიტაც, თუმცა ერთ-ერთ მათგანს ახასიათებს დაბალი ყუნწი²⁷.

განსახილველ სატევრებს პარალელები ამიერკავკასიის გარეთაც მოეძებნება. რამდენადმე მსგავსი სპილენძის იარაღი, რომელსაც ა. იესენი დანას უწოდებს, აღმოჩნდა ნალჩიკის VI გორასამარხში²⁸. განსხვავება, დასამზადებელი მასალის გარდა, გამოიხატება პირიდან სატარეზე რომბული გადასვლით და სამანკვლე ნახვრეტების უქონლობით. ა. იესენი ამ იარაღს ძვ. წ. II ათასწლეულის დასაწყისით ათარილებს²⁹. ამავე ძელზეა აღმოჩენილი სპილენძის მეორე იარაღი, რომელიც სატარეს მოყვანილობით უფრო უახლოვდება მადნისქალის № 118 სატევარს, მაგრამ გამოირჩევა მხრებიდან სატარეზე არამკვეთრი გადასვლით და სამანკვლე ნახვრეტების უქონლობით³⁰.

ჩრდილო კავკასიაში მსგავსი იარაღი მოგვიანო ხანაშიც გვხვდება. ეს არის ნ. ვესელოვსკის მიერ ყუბანში, სტანიცა ჩიმლიესკაიაში მოპოვებული ბრინჯაოს სატევარი, რომელსაც მომრგვალებული სატარე და სამი სამანკვლე ნახვრეტი აქვს³¹. ა. იესენის მიხედვით, ასეთი იარაღი გავრცელებული ყოფი-

²³ შდრ. საქართველოს სახ. მუზეუმის ფონდებში საინვ. № 12—59/4 ქვეშ დაცულ სატევარს.

²⁴ შდრ. მუზეუმის ფონდებში დაცულ საინვ. № 29—61/21 სატევარს; მოპოვებულია პეტრიაშვილის ეზოში; იხ. ბ. კუფტინის დღიური.

²⁵ იხ. საქართველოს სახ. მუზეუმის ფონდები, საინვ. № 29—61/20—48.

²⁶ გ. გობეჯიშვილი, სტალინირის ნაცარგორა, ტაბ. VII₃.

²⁷ იქვე, გვ. 249—250.

²⁸ А. А. Нессен, Археологические памятники Кабардино-Балкарии, МИА, № 3, სურ. 2₄.

²⁹ იქვე, გვ. 17—19.

³⁰ იქვე, სურ. 2₅.

³¹ ОАК, 1889, გვ. 39, სურ. 60.

ლა კავკასიონის ქედის მიღმა ძვ. წ. XII—VII სს-ში (ბეკეშოვის განძი, ბიკის მთასთან გათხრილი სამარხი და სხვ.)³².

I ქვეტიპში გაერთიანებულ სატევრებს უახლოვდება ყობანში აღმოჩენილი ბრინჯაოს ერთი მხრებგანიერი სატევრისპირიცი, რომლის ორსამანქვლიანი დაბალსამკუთხა სატარის წვერი მომრგვალებულია³³.

რაც შეეხება უფრო შორეულ ქვეყნებს, რამდენადმე მსგავსი იარაღი გავრცელებული იყო წინა აზიაშიც: ლურისტანის ერთ-ერთი ყველაზე მრავალრიცხოვანი სახეობის, ძვლისტარიანი სატევრების პირი, თითქმის ანალოგიურია ჩვენს მიერ მოპოვებული სატევრებისა. სივრძით ისინი დაახლოებით თანატოლებია, მაგრამ ლურისტანის იარაღის პირი თითქოს უფრო ვიწროა და შუა ნაწილში უმნიშვნელოდ გაფართოებულია³⁴.

მადნისქალის № 124 სატევრის რამდენადმე მსგავსი ტიპები ცნობილია სირიიდან, რას შამრა-უგარიტის ძვ. წ. XVIII—XVII სს მასალებიდან³⁵.

მოტანილი ანალოგები გვიჩვენებენ, რომ ჩვენი სატევრისპირები ერთგვარ მსგავსებას პოულობენ ჩრდილო კავკასიის (ყობანი, ნალჩიკი, ბეკეშოვი, ბიკის მთა), სამხრეთ ამიერკავკასიის (ირანის აზერბაიჯანი) და წინა აზიის (ირანი, სირია) ზოგიერთ მასალასთან. მაგრამ ურთიერთშეჯერების საფუძველზე, ფორმათა ანალიზის შედეგად აშკარა ხდება ისიც, რომ მათთან მსგავსება ბევრად უფრო შორეულია, ვიდრე საკუთრივ საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩენილ სატევრებთან, კერძოდ, ქვემო (თრიალეთი, ალგეთისა და ფოლადაურის ხეობები) და შიდა (სამხრეთ ოსეთი, ბორჯომისა და თეძმის ხეობები, დუშეთის რაიონი) ქართლიდან.

ნაშრომში „სპილენძ-ბრინჯაოს მეტალურგია სამხრეთ საქართველოში“ ო. ლამბაშიძე გაკვირვებით ეხება აღნიშნული ტიპის გვიანი ბრინჯაოს ხანის სატევრების გავრცელების საკითხს და გამოთქვამს ვარაუდს მათი გენეტიკური კავშირის შესახებ თრიალეთის ადრებრინჯაოს ხანის ზოგიერთ იარაღთან³⁶. თუმცა ავტორს განმარტებული არა აქვს თუ რომელ ძეგლს იგულისხმობს, ან სახელდობრ რაში მდგომარეობს ეს კავშირი, მაგრამ, როგორც ჩანს, იგულისხმება ერთგვარი მსგავსება ორივე ხანის იარაღის პირის მოყვანილობაში³⁷.

დაახლოებით ანალოგიური პარალელის გავლება ხერხდება საჩხერის იარაღებთან³⁸. ამ თვალსაზრისით საინტერესოა სოფ. ქორეთის ადრებრინჯაოს ხანის ერთ-ერთ გორასამარხში³⁹ მოპოვებული კომპლექსი, რომელიც შეიცავს

³² А. А. Нессен, Прикубанский очаг металлургии и металлообработки, МИА СССР, М.—1951-Л., გვ. 114—115, 120, სურ. 52₃.

³³ МАК, VIII, გვ. 23, ტაბ. XIII₂.

³⁴ A. Godard, Les bronzes du Luristan, გვ. 28, ტაბ. VIII₁₆.

³⁵ Cl. F. A. Schaeffer, Les fouilles de Ras Shamra-Ugarit, Syria, XIX, 3, Paris, 1938, გვ. 232—233, სურ. 27—28; მისივე, Mission de Ras Shamra, ტ. III, Ugaritica, Paris, 1939, გვ. 60, ს. რ. 36—57, 63.

³⁶ ო. ლამბაშიძე, დასახ. ნაშრ.

³⁷ შდრ. თრიალეთის ადრებრინჯაოს ხანის ყუნწიანი იარაღის პირი (იხ. ო. ჯაფარიძე, ლითონის წარმოების ადრეული საფეხური საქართველოში, თბ., 1955, ტაბ. XI₃) — მადნისქალურს.

³⁸ Б. А. Куфтин, Маршрутная археологическая..., გვ. 72, ტაბ. LX₁; ო. ჯაფარიძე, დასახ. ნაშრომი, ტაბ. XII₁.

³⁹ Б. А. Куфтин, Дневник археологической разведки 1946 года, ხელნაწერი, დაცულია საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ფონდებში.

თიხის ორ ჭურჭელს (კოჭობი და კათხა), ბრინჯაოს ორ სატევრისპირს, ორ ქინძისთავს და ოქროს პატარა რგოლს⁴⁰. ერთი სატევარი, როგორც პირის, ისე სატარის მოყვანილობით ძალიან ჰგავს ჩვენს სატევრებს, თუმცა გამოირჩევა პატარა ზომით (l=14,0 სმ) და სამანკვლე ნახვრეტების უქონლობით. მეორე სატევარი ზომით ისეთივეა, როგორც პირველი, მაგრამ იგი ყუნწიანია.

განსახილველი ტიპის სატევრები, მთლიანობაში აღებულნი, ადრებრინჯაოს ხანის ძეგლთა შორის ყველაზე ახლოს დგას ბრილის სამაროვანზე მოპოვებულ მასალებთან⁴¹.

აღნიშნულ ვითარებასთან ერთად, თუ მხედველობაში მივიღებთ იმასაც, რომ ეს იარაღი უკავშირდება შუაბრინჯაოს ხანის, უკვე ხსენებულ თრიალეთის, ნულის (რომელთანაც თითქმის იდენტურ მსგავსებას ამჟღავნებს), ქვასათალის და სხვა სატევრებს, ჩვენი აზრით, შესაძლებელი გახდება უფრო მკაფიოდ გამოითქვას მოსაზრება ამ ტიპის სატევრისპირების უწყვეტი არსებობა — განვითარების შესახებ ადრებრინჯაოს ხანიდან მოკიდებული, ვიდრე გვიანი ბრინჯაოს ხანის აღრეული საფეხურის ჩათვლით, ვინაიდან, ამ შემთხვევაში უკვე ივსება ის ხარვეზი, რომელიც რჩებოდა შუაბრინჯაოს ხანაში. აქვე უნდა ითქვას, რომ მომდევნო პერიოდში ამ ტიპის იარაღი, არსებული მასალების მიხედვით, აღარ გვხვდება, რაც უნდა აიხსნას იარაღის ახალი უფრო სრულყოფილი სახეების შემოსვლით (მკვეთრქელიანი და ა. შ.).

განსახილველი ტიპის იარაღი, როგორც ჩანს, ჯერ კიდევ ადრებრინჯაოს ხანაში ისახება ადგილობრივ ნიადაგზე. თვალს თუ გადავავლებთ ჩვენში მისი გავრცელების სურათს დროსა და სივრცეში, ადრებრინჯაოს ხანაში ამ იარაღის პროტოტიპებს დავინახავთ როგორც აღმოსავლეთ (თრიალეთი), ისე დასავლეთ (საჩხერე, რიონის სათავეები) საქართველოში. შუაბრინჯაოს ხანაში, ოდნავ სახეცვლილად (ადრებრინჯაოს ხანის იარაღთან შედარებით) ისინი გვევლინებიან თრიალეთში და შიდა ქართლის ჩრდილო რაიონებში (ნული, ქვასათალი). სიმპტომატიურია, რომ ამ ხანის ნულის პირველ სამარხში ყუნწიანი სატევრისპირის გვერდით არის აღმოჩენილი ჩვენს ქვეჯგუფში გაერთიანებულ იარაღთან ყველაზე ახლომდგომი სატევრისპირი, რაც მკვეთრი დადასტურებაა იმისა, რომ ეს სატევრები ტიპოლოგიურად იმთავითვე მოულოდნელად კი არ წარმოიშვნენ, არამედ განვლეს განვითარების საკმაოდ ხანგრძლივი გზა და ჩამოყალიბებული სახით მიაღწიეს ჩვენთვის საინტერესო ხანამდე. გვიანბრინჯაოს ხანაში ამ ტიპის სატევრებს ყუნწი მთლიანად უქრებათ, ამავე დროს მათი გავრცელების საზღვარი იფარგლება აღმოსავლეთ საქართველოს სამხრეთი რაიონებით (ხრამის, ალგეთის, ფოლადაურის, თეძმის, ბორჯომის ხეობები).

ზემოთ მოტანილი დაკვირვება დამყარებულია სადღეისოდ არსებულ მონაცემებზე და, რა თქმა უნდა, არავითარ შემთხვევაში არ არის გამორიცხული ახალი არქეოლოგიური აღმოჩენების შედეგად მათი გავრცელების არეალის გაფართოების შესაძლებლობა. ჩვენ კარგად გვესმის, რომ ამ იარაღის წარმოშობა-განვითარების საკითხის საბოლოო გადაჭრა საგანგებო შესწავლას და

⁴⁰ საქართველოს სახ. მუზეუმის ფონდები, საინვ. № 11—61/16—21.

⁴¹ გ. გობეჯიშვილი, შუაბრინჯაოს ხანა, საქართველოს არქეოლოგია, გვ. 112, შტრ. სატევარს მოცემულს XI; ტაბულაზე.

კიდევ უფრო ღრმა მიდგომას მოითხოვს. პირველ რიგში საჭიროა ამ ქვეტიპის ყველა იარაღის, რომელიც გვხვდება ადრებრინჯაოს ხანიდან მოკიდებული გვიანბრინჯაოს ხანის ჩათვლით, ქიმიური შემადგენლობის დადგენა, რისი შესაძლებლობა ამჟამად ჩვენ არ გვქონდა, და შედეგების ურთიერთშეჯერება. უნდა ვიფიქროთ, რომ მომავალი მუშაობა კიდევ უფრო მეტ მასალას შეგვძენს ჩვენი დაკვირვების გასამტკიცებლად, ან დასაზუსტებლად.

II ქვეტიპში ვაერთიანებთ ორ ფოთლისებურ სატევარს (№ 108, 200; ტაბ. XXXI), რომელთაც აქვთ ბრტყელი, განიკვეთში ლინზური პირი. ერთმანეთისაგან გამოირჩევიან სატარის მოყვანილობით. მოზრდილი იარაღის ($l=15,0$ სმ) მაღალ-ოვალურ სატარეს აქვს ექვსი სამანკვლე ნახვრეტი (№ 200; ტაბ. XXXI; სურ. 27). ვანიერი მხრები (სიგანე — 6,2 სმ) პირისაკენ თანდათან ვიწროვდება და ბოლოვდება მომრგვალებული წვერით.

მეორე სატევარსაც ($l=12,8$ სმ) ანალოგიური მოყვანილობის პირი აქვს; პირველისაგან განსხვავებით, მისი კვეთილი სატარე უმნიშვნელოდ ამოღარულია და ტარს უკავშირდებოდა სამი მანკვლის საშუალებით. საინტერესოა, რომ მანკვლები სიმეტრიულად არა აქვს განლაგებული, როგორც ეს ჩვეულებრივ გვხვდება, არამედ ერთ მხარეს ორი ნახვრეტია, მეორე მხარეს კი ერთი (№ 108; ტაბ. XXXI; სურ. 29).

დაახლოებით ანალოგიური, ბრტყელპირიანი სატევრები აღმოჩნდა ბეშთაშენის № 14 და № 36 სამარხებში. მე-14 სამარხის სატევარი, რომელთანაც მასრაგახსნილი შუბისპირი, თიხის შავი ლანგრისა და შავადვე გამომწვარი კერამიკის სხვა ნატეხებია⁴², პირის მოყვანილობით უფრო ჰგავს ჩვენს II ქვეტიპის სატევრებს, ვიდრე ბეშთაშენის 36-ე სამარხის სატევარი. 36-ე სამარხში, სატევართან ერთად — თიხის ოთხი ჭურჭელი (შავპრიალა თევში, ნაცრისფერი სადღვებელი, პატარა ნაცრისფერი ქოთანი და ღრუ სასმისის მოაგურისფრო ნატეხები), ბრინჯაოს რომბულქედისანი შუბისპირის ნატეხი, რომელსაც მასრა არ შერჩენია, ბრინჯაოს ღეროვრაგნილი თავხვია საკინძი და ვარდისფერი სარდიონის 4 მრგვალ-ბრტყელი მძივი იყო⁴³. ამ სამარხის სატევარი, მართალია, განიკვეთში ლინზურია, მაგრამ მოყვანილობით შესამჩნევად განსხვავდება ჩვენთვის საინტერესო სატევრებისაგან. მისი პირი იმდემად უმნიშვნელოდ ვიწროვდება მომრგვალებულ წვერისაკენ, რომ ფხები თითქმის პარალელურად (და არა სოლისებურად) მიემართებიან.

ბეშთაშენის ორივე სატევრისპირის სატარე ნაწილი დაზიანებულია და ახლა ძნელი წარმოსადგენია მათი მოყვანილობა. ამჟამად მათზე სამანკვლე ნახვრეტების არავითარი კვალი არ შეინიშნება.

II ქვეტიპის მსგავსი იარაღი ცნობილია სამთავროს უძველეს ორმოსამარხებიდანაც. ერთი ბრტყელი სამსამანკვლიანი სატევარი ნაპოვნია 26-ე ორმოსამარხში⁴⁴. მეორე — ორსამანკვლიანი, ბრტყელი სატევარი აღმოჩნდა 228-ე სამარხში, თიხის ხუთ ჭურჭელთან, ბრინჯაოს თავხვია საკინძთან, ბრინ-

⁴² საქართველოს სახ. მუზეუმის ფონდები, კოლექციის № 42—64/121—123.

⁴³ იქვე, კოლ. № 42—64/251—258.

⁴⁴ ტ. ჩუბინიშვილი, მცხეთის უძველესი..., გვ. 41, 72—73. აქვეა მოცემული სამარხის კომპლექსი. სატევრის სურათი გამოქვეყნებულია: საქართველოს არქეოლოგია, ტაბ. XVIII₃; იხ. აგრეთვე, საქართველოს სახ. მუზეუმის კოლ. № 12—54/323.

ჯაოს ხეიასთან, ბრინჯაოს მახათთან და მძივებთან ერთად⁴⁵. ორივე ეს სამარხი მკვლევართა მიერ მოთავსებულია სამთავროს უძველეს ორმოსამარხთა ჯგუფში, ხოლო სატევრისპირები კი მიჩნეულია გვიანბრინჯაოს ხანის ფოთლისებურ სატევართა შორის ყველაზე უძველეს ტიპად⁴⁶.

სხვა პარალელებისაგან, რომლებიც გარკვეულად უკავშირდებიან ჩვენს მასალებს, შეიძლება აღინიშნოს კობისხევში⁴⁷, გომნაში⁴⁸, წეროვანში⁴⁹, ჩრდილო ოსეთში⁵⁰ და სომხეთში — ახალ ბაიაზეთში⁵¹, აღმოჩენილი სატევრები. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ყველა ეს იარაღი (გარდა კობისხევისა, რომლის სიგრძე 15,0 სმ უდრის) შედარებით პატარა ზომისაა (არ აღემატება 10,0 სმ) და ნაწილობრივ გამოირჩევა პირის მოყვანილობითაც.

ჩვენთვის ცნობილი მასალებიდან ჩანს, რომ განსახილველი ტიპის იარაღი არც თუ ისე ბევრია აღმოჩენილი. სამთავროს სამაროვანზე, როგორც ადრე ითქვა, ისინი უძველეს ტიპებადაა მიჩნეული.

რაც შეეხება ბეშთაშენის სამაროვანზე აღმოჩენილებს, ამ ტიპის იარაღი, ჩვენი აზრით, აქაც ერთ-ერთ ყველაზე ადრეულ სამარხებიდან მომდინარეობს. ყოველ შემთხვევაში, ბეშთაშენის მე-14 და 36-ე სამარხები არ შეიცავენ ისეთ მასალებს, რომლებიც მათი გაახალგაზრდავებისაკენ მიგვიითებდნენ. ასეთ შემთხვევაში მათ დასათარიღებლად არსებითი მნიშვნელობა სწორედ ბრტყელ სატევრებს ენიჭება, რომელთა მსგავსი, ჯერჯერობით იქ გათხრილ არც ერთ სხვა სამარხში არ არის ცნობილი. ამავე დროს, ხსენებული სამაროვნის № 4, 11, 13, 15, 20, 21 და სხვა სამარხთა კომპლექსები შეიცავენ უფრო სრულყოფილი სახის ბრინჯაოს სატევრებს (ფოთლისებური — მკვეთრქედლიანი, ფართოქედლიანი, შედგენილტარიანი, მთლიანადსმული)⁵². გასათვალისწინებელია ისიც, რომ მე-14 და 36-ე სამარხები, ბეშთაშენის სხვა სამარხებზე ღარიბია მასალით. ეს შეეხება როგორც კერამიკას, ისე ლითონის ნივთებს და სამკაულს. აქ არ გვხვდება ისეთი ნივთები, რომლებიც სამთავროს გვიანბრინჯაოს ხანის ადრეული ეტაპის შემდგომი პერიოდის სამარხებში ვრცელდება (ბრინჯაოს სარტყლები, ბრინჯაოს კონუსისებური საკინძები და სხვა) და, რომლებიც, ბეშთაშენის სამაროვნისათვის დამახასიათებელია⁵³. მე-14 და 36-ე სამარხებში კერამიკული ფორმები და მათი შესამკობი სახეები შედარე-

45 ტ. ჩუბინიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 33, 72—73, სურ. 8; მუზეუმის კოლ. № 12—54/7516—7528.

46 გ. ლომთათიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 77, 94—150; საქართველოს არქეოლოგია, გვ. 171; ტ. ჩუბინიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 33, 41, 72—73.

47 ბორჯომის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის კოლ. № 764.

48 გ. ნიორაძე, არქეოლოგიური დაზვერვები შტკერის ხეობაში სსმმ, XII—B, თბ., 1944, გვ. 200, ტაბ. XIII.

49 Б. А. К у ф т и н, დასახ. ნაშრ., ტაბ. X₃.

50 Е. К р у п н о в, Материалы по археологии Северной Осетии докобанского периода, МИА СССР, № 23, М., 1931, Л., გვ. 61, სურ. 21₄; МАК, VIII, გვ. 117, ტაბ. LV₁₁, LVII₈, LXIV₃.

51 ერევნის მუზეუმის კოლ. №20/215.

52 იხ. მუზეუმის კოლ. № 42—64/26, 71, 72, 102, 124, 177, 187.

53 მაგალითად სამარხები № 1, 11, 18, 19, 20, 24, 33, 34 და სხვ. იხ. მუზეუმის კოლ. № 42—64/5, 81, 142, 145, 151, 153, 180, 192, 231, 241.

ბით ნაკლები სიმრავლით და მრავალფეროვნებით არის წარმოდგენილი, ვიდრე ეს ბეშთაშენის სხვა სამარხებშია⁵⁴.

ბეშთაშენის მე-14 სამარხის არქაულობის შესახებ რ. აბრამიშვილს ადრევე აქვს გამოთქმული მოსაზრება. იგი მას მასრავახსნილი შუბისპირისა და ბრტყელი სატევრის მიხედვით გვიანბრინჯაოს ხანის ადრეული ეტაპით ათარიღებს⁵⁵.

რაც შეეხება 36-ე სამარხს, მასში ღეროვრავნილი თავხვია საკინძის არსებობის გამო, ჩვენი აზრით, იგი მე-14 სამარხზე ცოტა უფრო მოგვიანო ხანას უნდა მივაკუთვნოთ⁵⁶.

III ქვეტიპში გაერთიანებულია ორი სატევრისპირი (№ 201, 147; ტაბ. XXXI). მათ ახასიათებთ სწრაფად შეეწრობული პირი, რომელიც წვრილი წვერით ბოლოვდება. მომცრო სატევრის (l=12,0 სმ) პირი მკვეთრად გამოიყოფა მხრებისაგან; აქვს სწორი სატარე, რომელიც ტარს უკავშირდებოდა ორი მანქვალის საშუალებით.

მეორე (№ 147) სატევრის მხრები ოვალურია; მომრგვალებული სატარე — ორსამანქვლიანი. სატევარს (l=16,3 სმ) მთელ სიგრძეზე გასდევს უმნიშვნელო აბეჭება; პირველი სატევრისაგან განსხვავებით მისი წვერი მომრგვალებულია.

ჩვენთვის ცნობილ მასალებში ეს სატევრები ანალოგს ვერ პოულობენ. პირის მოყვანილობით ერთგვარი მსგავსება შეინიშნება გვიანბრინჯაოს ხანის ზოგიერთ შუბისპირებთან⁵⁷.

რამდენიმე სიტყვით მადნისქალაში აღმოჩენილი სატევრების დანიშნულების შესახებ.

I და II ქვეტიპის სატევრების პირი გამოსადეგია, როგორც საჩხვლეტად (ჩასაცემად), ისე ორმხრივ საჭრელადაც, მიუხედავად იმისა, რომ მათ საგრძნობლად განსხვავებული მოყვანილობა აქვთ. III ქვეტიპის სატევრების პირი მხოლოდ საჩხვლეტად და ჩასაცემად არის გამოსადეგი, რაც ხაზს უსვამს მათს უფრო ვიწრო დანიშნულებას.

2. შუბისპირები. მადნისქალაში აღმოჩნდა ორი მასრავახსნილი შუბისპირი (№ 146, 199; ტაბ. XXXII), რომელთაც მასრა და ქედი, სამთავროს ანალოგიური იარაღების მსგავსად, სამარჯვენებზე შემოჭდევის საშუალებით აქვთ გამოყვანილი⁵⁸. ამით ისინი არქაულ შუბებს უკავშირდებიან.

ჩვენი შუბები ძირითადად ერთი ტიპისაა, თუმცა ერთმანეთისაგან ზომამოყვანილობით გამოირჩევიან.

ერთი მათგანი საკმაოდ გრძელია (l=46,0 სმ) და აქვს ტოლფერდა სამკუთხედის მოყვანილობის მკვეთრქედიანი ვიწრო პირი (l=22,5 სმ). გახსნილი მასრა პირისაკენ უმნიშვნელოდ ვიწროვდება. ტართან დასამაგრებლად გაკეთებული აქვს ორი წყვილი ნახვრეტი (№ 146; ტაბ. XXXII; სურ. 34).

⁵⁴ შდრ. მე-14 და 36-ე სამარხების კომპლექსები (კოლ. № 42—64/121 — 123 და 251 — 258) № 1, 11, 13, 18, 19, 20, 26, 37 და სხვა სამარხთა კომპლექსებს (კოლ. № 42—64/1—7, 63—91, 93—120, 133—147, 148—164, 165—184, 196—201, 259—267 და სხვ.).

⁵⁵ რ. აბრამიშვილი, რკინის ათვისების საკითხისათვის..., გვ. 308—309.

⁵⁶ თავხვია საკინძების შესახებ იხ. ქვემოთ.

⁵⁷ შდრ. Б. А. Куфтин, Археологические раскопки в Триалети, таб. LII.

⁵⁸ Ф. Тавадзе, Т. Сакварелидзе, Бронзы древней Грузии, Тб., 1959, გვ.

ანალოგიური შუბისპირები ცნობილია ბეშთაშენიდან⁵⁹, სამთავროდან⁶⁰, მუსი-იერიდან⁶¹, რედკინლაგერიდან⁶² და სხვა ძეგლებიდან.

მეორე მასრაგახსნილ შუბისპირს ($l=31,0$ სმ) აქვს ფოთლისებური მოყვანილობის მკვეთრქედიანი პირი: პირთან შედარებით გრძელი ($l=19,0$ სმ) მასრა ორი წყვილი ნახვრეტის საშუალებით უკავშირდებოდა ტარს (№ 199, ტაბ. XXXII; სურ. 27).

მსგავსი იარაღი ცნობილია ბეშთაშენის⁶³, სამთავროს⁶⁴, ნავთლულის⁶⁵, კასპის⁶⁶, ნარეკვაის⁶⁷ და სხვა (ყორნისი, ჯოშალი, რიეთი, ზედა ქსოვრისი, რუსთავი)⁶⁸ მასალებიდან.

ქედვით დამზადებული მკვეთრქედიანი შუბისპირები არა ერთ ავტორს გაუხდია კვლევის საგნად. მათი აზრით, ეს იარაღი წინ უსწრებს მასრაშეკრულ შუბისპირებს და ქრონოლოგიურად გვიანი ბრინჯაოს ხანის ადრეული ეტაპის კომპლექსებში გვხვდება⁶⁹.

§ 3. სამკაული

მადნისკალელები მნიშვნელოვან ყურადღებას აქცევდნენ თავის მორთულობასაც. ასეთი დასკვნის გაკეთება შეიძლება სამარხებში უხვად ჩაყოლებული სამკაულების მიხედვით, რომლებსაც ისინი უთუოდ თავის სიცოცხლეშიაც ატარებდნენ.

დანიშნულების მიხედვით ეს მასალა შეიძლება შემდეგ ჯგუფებში მოთავსდეს: 1. საკიდები, 2. საკინძები თუ ქინძისთავეები, 3. სამაჯურები და საწვივე რგოლები, 4. საყურეები და სასაფეთქლე რგოლები, 5. პირსაფარეშო და ბრინჯაოს სხვა წვრილი ნივთები და 6. მძივები. სხვადასხვა მასალისაგან (სპი-

⁵⁹ Б. А. Кухтин, *დასახ. ნაშრ.*, ტაბ. XLVII, XLIX.

⁶⁰ ტ. ჩუბინიშვილი, *დასახ. ნაშრ.*, ტაბ. XVI₁₂₁₃.

⁶¹ J. De Morgan, *Mission scientifique au Caucase...*, გვ. 96, სურ. 46.

⁶² იქვე, სურ. 45.

⁶³ სამარხი № 14, მუზეუმის კოლ. № 42—64/122.

⁶⁴ ორმოსამარხები № 27, 232, 294.

⁶⁵ დ. ქორიძე, თბილისის არქეოლოგიური ძეგლები, გვ. 182—183, ტაბ. XXVI₁₀, XXVII₁.

⁶⁶ შ. ბარამიძე, კასპის სამაროვანი, გვ. 48—50, ტაბ. IV₆.

⁶⁷ ნ. ოქროპირიძე, ნარეკვაის სამაროვანი, გვ. 208, ტაბ. VIII₁₀.

⁶⁸ ტ. ჩუბინიშვილი, *დასახ. ნაშრ.*, გვ. 79; შ. ბარამიძე, შიდა ქართლი გვიან-ბრინჯაო-ადრერკინის ხანაში, გვ. 179.

⁶⁹ ალ. კალანდაძე, მცხეთა-სამთავროს არქეოლოგიური ექსპედიციის ჩრდ. ჯგუფის მიერ 1938—39 წწ. წარმოებული მუშაობის მოკლე ანგარიში, გვ. 49, 90—95, 105—107; გ. ლომთათიძე, მცხეთა-სამთავროს არქეოლოგიური ექსპედიციის ჩრდ. ჯგუფის 1940 წ. მუშაობის წინასწარი მოკლე ანგარიში, თბ., 1943, გვ. 29—38, 74; ვ. გობეჯიშვილი, არქეოლოგიური გათხრები საბჭოთა საქართველოში, გვ. 77; ფ. თავაძე, თ. საყუარელიძე, საქართველოში არქეოლოგიური გათხრებით ნაპოვნი სპილენძისა და ბრინჯაოს ნაკეთობათა დამზადების ტექნოლოგიის დადგენისათვის, მეცნიერება და ტექნიკა, თბ., 1950; ტ. ჩუბინიშვილი, *დასახ. ნაშრ.*, გვ. 76—80; К. Н. Пицхеллаური, Памятники эпохи поздней бронзы Иоро-Алазанского бассейна, Автореферат диссертации на соискание уч. ст. канд. исторических наук, Тб., 1960, გვ. 15; შ. ბარამიძე, *დასახ. ნაშრ.*, გვ. 179—180; ო. ღამბაშიძე, გვიანი ბრინჯაოს ხანის ძეგლები სოფ. დოღლაურიდან, ზელნაწერი; რ. აბრამიშვილი, რკინის აპეისების საკითხისათვის..., გვ. 308—309.

ლენძი, ბრინჯაო, ანტიმონი, კალა, ქვა, მინა და სხვ.) ნაკეთები ეს ნივთები იხმარებოდა სხეულის და ტანსაცმლის შესამკობად.

I. საკიდები — ორი სახისაა: ა) ცულ-საკიდები და ბ) დისკოსებური საკიდი.

ა) ცულ-საკიდები (№ 172, ა, ბ, გ; ტაბ. XXXI; სურ. 14) წარმოადგენენ იმიტაციას იმ საბრძოლო-სამეურნეო ხასიათის ცულებისა, რომლებიც ფართოდ იყო გავრცელებული მთელ აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში⁷⁰. შედარებით მცირე რაოდენობითაა აღმოჩენილი ეს ირადი დასავლეთ საქართველოში. რომელთაგან უნდა აღინიშნოს, სიმონეთის, ცაგერის, ბეჟათუბნის, ახალსოფლის, ითხვისის და სხვა ცულები.


რამდენადმე მსგავსი ირადი გამოსახულია ბოლაზ-კეის ერთ-ერთ ხეთურ ბარელიეფზე, რომელზედაც ღვთაება თეშუბს იგი უპყრია მარჯვენა ხელში⁷¹.

მადნიშკალის ცულ-საკიდები დამზადებულია ანტიმონისაგან. მათ აქვთ ოდნავ ამოზიდული ყუა, რომელსაც სამი მხრიდან წიბური დაუყვება. ორი მათგანის (№ 172-ა, გ) ყუას წრიული „სატარე“ ნახვრეტი გასდევს, რომელიც ამ შემთხვევაში ძაფის გასაყრელად არის განკუთვნილი. მესამე საკიდის (№ 172-ბ) ნახვრეტი გამოსავლებთან წრიულია, ხოლო შუა ნაწილში (ყუას შიგნით) ფართოვდება და ოთხკუთხა მოყვანილობას იღებს. ცულების ყელი და მხრები ორ-ორ წახნაგოვანია. სეგმენტისებური პირი ზემოთაა აშვერილი და ბოლოვდება წაწვეტებული ორფერდა ფრთებით (ნიღრებით). სამივე საკიდი პატარა ზომისაა (2,10×1,70 სმ).

⁷⁰ E. Такайшвили, Мастерская медных топоров около Ахалкалаки Горийского уезда, Изв. Кавказского отд. Моск. Арх. общ., вып. III, 1913, გვ. 172—173. G. Nioradze, დასახ. ნაშრ., გვ. 82—96; Franz Hančar, Kaukasus—Luristan, E. S. A., Helsinki, 1934; Б. А. Куфтин, К вопросу о древнейших корнях грузинской культуры на Кавказе, სსმშ შრომები, XII—B, თბ., გვ. 311 (სქოლიო), 332; გ. გობეჯიშვილი, სტალინირის ნატარგორა, ტაბ. XVI₂; დ. ქორიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 164—171 და სხვ. აღნიშნულ ტიპის ირადის მკვლევარები ადრე აღმოსავლურ-ქართულ ცულს უწოდებდნენ (ნ. ბერძენიშვილი, ივ. ჯავახიშვილი, ს. ჯანაშია, საქართველოს ისტორია, I, თბ., 1948, გვ. 27—29, 32; ა. აფაქიძე, ს. ჯანაშია და საქართველოს არქეოლოგია, კრებული „აკადემიკოსი ს. ჯანაშია“, თბ. 1949; გ. გობეჯიშვილი, არქეოლოგიური გათხრები საბჭოთა საქართველოში, გვ. 80—94; დ. ქორიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 164—171; ო. ჯაფარიძე, „ცხინვალის განძი“, სსმშ შრომები, XVI—B, თბ., 1950, გვ. 99). მრავალრიცხოვანმა ახალმა არქეოლოგიურმა აღმოჩენებმა აღნიშნული ირადის და მისი ჩამოსახსმელი ყალიბების გავრცელების არეალი საკმაოდ გააფართოვა, მოიცვა აღმოსავლეთი და სამხრეთ-აღმოსავლეთი ამიერკავკასიის მთელი ტერიტორია, რის გამოც ახლა ამ ირადს აღმოსავლეთ-ამიერკავკასიური ტიპის ცულს უწოდებენ (საქართველოს არქეოლოგია, გვ. 180; A. A. Мартиросян, Армения в эпоху бронзы..., გვ. 72, 85, 101, 115, სურ. 36, 47, 52, 53, ტაბ. XI₁, XI₂, XIII₄, XVI₉; მისივე, О периодизации археологических памятников Армении эпохи бронзы и раннего железа СА, № 3, 1954, გვ. 32, სურ. 3; А. Калантар, Проблемы истории докапиталистических обществ, № 9—10, 1934; А. А. Иессен, К вопросу о древнейшей металлургии меди на Кавказе, ИГАИМК, вып. 120, М.-Л., 1935, გვ. 144, სურ. 25; С. Есаян, Оружие и военное дело древней Армении, Ер., 1966, გვ. 36; Г. М. Асланов, Р. М. Вандов, Г. И. Ионе, Древний Мингечаур, ტაბ. XII_{1,2}.

⁷¹ В. И. Авдиев, История древнего Востока, М., 1953, гв. 348—349.

სხვადასხვა მასალისაგან ნაკეთები (სპილენძი, ბრინჯაო, ანტიმონი) აღმოსავლურ-ამიერკავკასიური ტიპის ცულ-საკიდები სხვაგანაცაა აღმოჩენილი (ბრილი⁷², აჩაბეთი⁷³, მინგეჩაური⁷⁴, ხანლარი⁷⁵ და სხვ.). მაგრამ ჩვენ გვინდა ხაზი გავუსვათ იმ ფაქტს, რომ ალგეთის ხეობაში უკვე გვიანი ბრინჯაოს ხანის ადრეულ ეტაპზე (39-ე სამარხის კომპლექსი იხ. მე-14 სურათზე) დადასტურდა აღმოსავლეთ-ამიერკავკასიური ტიპის ცულის ზუსტი მინიატურული ასლი. ეს იმას ნიშნავს, რომ გვიანბრინჯაოს ხანის ადრეულ ეტაპზე აქ უკვე იცნობდნენ თვით იარაღსაც. რაც შეეხება მომდევნო პერიოდს, აღმოსავლეთ-ამიერკავკასიური ცული ქვემო ქართლში არა მარტო ხმარებაში იყო (ჩხიკვათა; სურ. 38)⁷⁶, არამედ ადგილობრივ მზადდებო-



სურ. 38

და კიდევ, რაზედაც მიუთითებს განთიადთან აღმოჩენილი მელითონე ხელოსნის სამარხი, სადაც სხვა ნივთებთან ერთად აღმოსავლეთ-ამიერკავკასიური ცულის ჩამოსასხმელი ყალიბიც იყო⁷⁷. ამ თვალსაზრისით საინტერესოა ოფ-

⁷² გ. ვობეჯიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 59, ტაბ. XII₂.

⁷³ Б. А. Куфтин, Археологическая маршрутная..., ტაბ. XVI, ქვემოთ მარჯვნივ.

⁷⁴ В. П. Фоменко, Грунтовое погребение № 63 в Мингечауре, Материальная культура Азербайджана, Баку, 1953, გვ. 72—73, ტაბ. III₂; Древний Мингечаур, გვ. 49, ტაბ. XIX_{1,6,12}.

⁷⁵ ი. ჰუმელის მიერ ვათხრილ № 2 კნიავესკი ვორასამარხიდან. იხ. ხანლარის მუზეუმის საიხე. № 103.

⁷⁶ ეს ცული 1952 წელს შემთხვევით აღმოჩნდა ჩხიკვათაში. იგი თბილისში ჩამოიტანა ი. გძელიშვილმა. ნივთი ამჟამად ინახება არქეოლოგიის სექტორში.

⁷⁷ გ. ავალიშვილი, მელითონეობის ძველი კერა ქვემო ქართლში, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, თბ., 1968, მაისი. I, № 2, გვ. 505—508.

რეთის⁷⁸ და გორას⁷⁹ როგორც ხსენებული ტაპის ცულები, ისე მათი ჩამოსახმელი ყალიბები.

მადნისქალის მონაპოვრის საფუძველზე უკვე საგულისხმოა, რომ აღმოსავლეთ-ამიერკავკასიური ტიპის ცულებს ჩვენში (ყოველ შემთხვევაში ქვემო ქართლში) უკვე ძვ. წ. XIV ს-დან მაინც იცნობდნენ⁸⁰. ამგვარ ვარაუდს ერთგვარად ამაგრებს ის გარემოებაც, რომ კიროვაკანის შუაბრინჯაოს ხანის გორასამარხში თითქოს აღნიშნული იარაღის პროტოტიპია ნაპოვნი⁸¹.

ბ. საკიდი (№ 79; ტაბ. XXXI) წარმოადგენს შუაში გახვრეტილ ანტიმონის ბრტყელ დისკოს. ნახვრეტიდან ნაპირებისაკენ ერთმანეთის მონაცვლეობით მიემართება „სხივთა კონით“ გამიწვლი 6 წრიული და ამდენივე გრძივი ნახვრეტი. ჩამოსაკიდებლად გაკეთებული აქვს ძაფის გასაყრელი ყუნწი. ნიეთის $d=2,5$ სმ-ს.

ანტიმონისგან ნაკეთები რამდენადმე მსგავსი საკიდები ცნობილია სამთავროს გვიანბრინჯაოს ხანის ადრეული ეტაპის ორმოსამარხებიდან. მათი გვერდები შემკულია სხვადასხვა სახის (ჯვარედინი, ოთხკუთხედი და სხვ.) ნაკვდები ორნამენტით⁸².

მადნისქალის სამკაულთან ახლოს დგანან აზერბაიჯანში (დოლანლარი⁸³, მინგეჩაური⁸⁴, მუსი-იერი⁸⁵, ელენენდორფი⁸⁶, ქედაბეკი⁸⁷) მრავლად აღმოჩენილი ანტიმონის, ბრინჯაოს და ტყვიის ანალოგიური ნიეთები. ი. ჰუმელი მათ მედალიონებს უწოდებს⁸⁸. მინგეჩაურში აღმოჩენილ ზოგიერთ საკიდში (იმის გამო, რომ ყუნწზე მათ თითქოს ბორბლის ღერძის ნაწილი აქვთ) მკვლევარები ბორბლის გამოსახულებას ხედავენ⁸⁹.

78 დ. ბერძენიშვილი, ბოლნისის ისტორიული გეოგრაფიის საკითხები, საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის კრებული, ტ. 11, თბ., 1964, გვ. 7, სურ. 1.

79 კ. კვიციანიძე, ო. ღამბაშიძე, არქეოლოგიური მონაპოვარი სოფ. გორადან, XIV სამეცნიერო სესია მიძღვნილი 1964 წ. საველე-არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგებისადმი, თბ., 1965, გვ. 24.

80 შდრ. დ. ქორიძე, თბილისის არქეოლოგიური ძეგლები, გვ. 164—171.

81 А. А. Мартиросян, Армения в эпоху бронзы..., გვ. 64, სურ. 29, ტაბ. XXXIV.

82 ტ. ჩუბინიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 37, 94, ტაბ. XVIII₃₀₇.

83 Н. В. Минкевич-Мустафаева, Об археологических находках из сел. Доланлар, «Материальная культура Азербайджана», вып. I, Баку, 1949, გვ. 57—58.

84 С. М. Казиев, Археологические раскопки в Мингечауре, «Мат. культура Азербайджана», вып. I, Баку, 1949, გვ. 18.

85 J. De Morgan, დასახ. ნაშრ., გვ. 106, სურ. 69.

86 Я. И. Гуммель, Погребальный курган № 1 около Еленендорфа, Азербайджанской ССР, Баку, 1931, გვ. 15.

87 А. А. Ивановский, По Закавказью, ტაბ. VI, სურ. 11, 12; სამარხები № 87, 98.

88 Я. И. Гуммель, დასახ. ნაშრ., გვ. 15.

89 Древний Мингечаур, გვ. 81, ტაბ. IX.


სომხეთში მრავლად აღმოჩენილი ანალოგიური საკიდები საგანგებოდ შეისწავლა ს. ესაიანმა. იგი მათ მზის კულტთან დაკავშირებულ ავგაროზებად მიიჩნევს⁹⁰.

აღნიშნული სამკაული ცნობილია ჩრდილო კავკასიიდანაც⁹¹.

თვალს თუ გადავაგვლებთ ამ ტიპის საკიდების გავრცელებას, რაოდენობრივად ისინი ყველაზე მეტია სამხრეთ და სამხრეთ-აღმოსავლეთ ამიერკავკასიის გვიანი ბრინჯაოს ხანის მასალებში.

2. საკინძები. მორთულობასთან დაკავშირებულ ბრინჯაოს ნიეთთა შორის უმეტესობას საკინძები წარმოადგენენ (50 ცალია). მათში რამდენიმე სახეობაა, რომლებსაც ცალცალკე ვიხილავთ.

ა. თავხვია საკინძები (ტაბ. XXII; სურ. 39) უმეტესობას წარმოადგენენ. მადნისქალაში ისინი ეკეთა მხოლოდ ქალებს (№ 1, 3—8, 32, 33, 36, 39 სამარხები) და მარცხენა გვერდზე დასაფლავებულ ბავშვებს (№ 2, 13, 14 სამარხები). ერთი ამგვარი საკინძი აღმოჩნდა კენოტაფშიც.



სურ. 39

მართალია სამთავროში თავხვია საკინძები კაცების სამარხებშიაც არის, მაგრამ რაოდენობრივად ისინი ქალების სამარხებში გაცილებით ქარბობს⁹².

მადნისქალაში 39 თავხვია საკინძი აღმოჩნდა. აქედან ექვსი — მრგვალგანივკვეთიანია, დანარჩენები კი ოთხწახნაგაღეროიანი. მათი სიგრძე 4, 7—10,3 სმ უდრის.

⁹⁰ С. А. Есаян, Амулеты, связанные с культом солнца из Армении, СА, № 2, М., 1968, 33, 258.

⁹¹ МАК, вып. I, М., 1888, таб. XXII, сур. 28; Е. Крупнов, Археологические исследования в Кабардинской АССР в 1948 году, Ученые записки, т. V, Нальчик, 1950, 83, 8, таб. I, сур. 3, 4—6.

⁹² ნ. ოქროპირიძე, ბრინჯაოს თავხვია საკინძები სამთავროს ორმოსამარხებიდან, მსკი, ნაკვეთი 29, თბ., 1951, გვ. 141—142.

დაახლოებით ამგვარივე პროცენტული შეფარდებაა სამთავროს მრგვალ-
ღეროიან და ოთხწახნავაღეროიან თავხვია საკინძებს შორის⁹³, თუმცა რაოდენ-
ობრივად იქ ისინი გაცილებით მეტია.

მადნისქალის და სამთავროს თავხვია საკინძების შედარებისას თვალში
გვეცემა მათი სრული მსგავსება. მსგავსება თავს იჩენს მოყვანილობაშიაც
და დამზადების ტექნიკაშიაც. აღნიშნული სამკაულის ღერო მადნისქალა-
შიაც ორ ვარიანტს გვაძლევს. პირველი მათგანი (№ 12, 13, 27, 41) ნაკეთე-
ბია მრგვალგანივკვეთიანი მავთულისაგან, რომელიც წვერისაკენ თანდათან
წვრილდება; თავთან ღერო გაბრტყელებულია და მოხვეული. ოთხწახნავა-
ღეროიანი საკინძები (№ 6, 18, 23, 37, 95, 136, 152, 169) მრგვალღეროიან-
ისაგან გამოირჩევიან იმით, რომ მათი ღეროს ზედა ნაწილი განივკვეთში
ოთხკუთხაა. დაწახნავებული გვერდების სიბრტყეები, გარდა ამისა, რიგ
შემთხვევაში (№ 6, 34, 47, 61, 131) შემკულია წიწვოვანი, ჯვარედინი ან ტე-
ხილხაზოვანი ქდეებით.

გამოთქმული მოსაზრების თანახმად, მრგვალღეროიანი საკინძები ასაკობ-
რივად თითქოს წინ უსწრებენ ოთხწახნავაღეროიან თავხვია საკინძებს, მიუხე-
დავად იმისა, რომ სამარხებში ისინი ერთდროულად თანაარსებობენ⁹⁴.

ერთსა და იმავე სამარხში ორივე სახის თავხვია საკინძთა თანაარსებობა
მადნისქალაშიც დავადასტურეთ (მაგალითად, I სამარხში: იხ. კომპლექსი მე-19
სურათზე). მაგრამ როდესაც ისინი სხვადასხვა კომპლექსების შემადგენლო-
ბაში გვხვდება, სამარხთა ინვენტარი ყოველთვის ერთგვაროვან ნივთებს შეი-
ცავს (მაგალითად 1—8 და სხვა სამარხები. მათი კომპლექსები იხ. ან 3—6,
8, 14, 20, 25, 33 და 35 სურათებზე). ამის გამო მათ შორის ასაკობრივი სხვა-
ობის დაქერა არ ხერხდება.

მადნისქალის თავხვია საკინძები, ისევე როგორც სამთავროს ანალოგიუ-
რი ნივთები, არ გამოირჩევიან ნატიფი ხელობით. ისინი ნაკეთებია საკმა-
ოდ უხეშად. ქედვის საშუალებით. ამიტომ არსებული მონაცემებით ძნელია
რაიმე ითქვას მათი ასაკის ურთიერთშეფარდების შესახებ. ჯერჯერობით მეტი
მონაცემები გაგვაჩნია მათი სინქრონულობის სასარგებლოდ.

სხვა საკითხია ბეშთაშენის სამაროვნის თავხვია საკინძები, რომლებიც
ტიპობრივად უფრო განვითარებულ ვარიანტს გვაძლევენ. ისინი აღმოჩნდა იქ
№ 3, 16, 26, 32, 36, 37 და შესაძლებელია მე-7⁹⁵ სამარხში. ბეშთაშენის
№ 3, 16, 26 და 36 სამარხების თავხვია საკინძებს გრაგნილი ღერო აქვთ. ცნო-
ბილია, რომ ეს ტიპი თავისი ასაკით სამთავროს უძველეს ორმოსამარხებში
აღმოჩენილ თავხვია საკინძებზე უფრო ახალგაზრდაა⁹⁶. მათი შესატყვისი ნივ-
თები ნაპოვნია კასპში⁹⁷, ქედაბეკ-ყალაქენდში⁹⁸, დასავლეთ საქართველოში⁹⁹,

⁹³ იქვე, გვ. 145.

⁹⁴ დ. ქორიძე, თბილისის არქეოლოგიური ძეგლები, გვ. 173—177.

⁹⁵ მე-7 სამარხში აღმოჩენილ საკინძს ზედა ნაწილი მოტეხილი აქვს. ამის გამო გარკვე-
ვით ვერ ვიტყვით იყო იგი თავხვია თუ არა. იხ. მუზეუმის საივ. № 42—64/45.

⁹⁶ ტ. ჩუბინიშვილი, მცხეთის უძველესი..., გვ. 89.

⁹⁷ მ. ბარამიძე, კასპის სამაროვანი, გვ. 53—54. ღეროგრაგნილ თავხვია საკინძების
შემკველი კასპის სამარხები თარიღდება გვიანბრინჯაოს ხანის აღრეული ეტაპის დასასრუ-
ლით და მომდევნო ხანით.

⁹⁸ А. А. Ивановский, По Закавказью, გვ. 98, ტაბ. IX₁₁.

⁹⁹ Б. А. Куфтин, Материалы к археологии Колхиды, II, გვ. 175, ტაბ. 52; Стра-
жнев В. И., Бронзовая культура в Абхазии, Изв. Абх. Науч. общ., IV, Сухуми, 1926,
გვ. 111, სურ. 13.

ჩრდილო კავკასიაში¹⁰⁰ და სხვ. პარალელური მასალის და თანმხლები ინვენტარის მიხედვით, ღეროგრაფიულ თავხვია საკინძთა გავრცელება კავკასიაში იწყება გვიანბრინჯაოს ხანის ადრეული ეტაპის შემდგომ. ამიტომ მათი შემცველი სამარხებიც ზოგადად ამ ხანით უნდა დათარიღდეს.

რაც შეეხება ბეშთაშენის სამაროვნის სხვა თავხვია საკინძებს, აქ შემდეგი მდგომარეობაა: 32-ე ორმოსამარხში 4 თავხვია საკინძი აღმოჩნდა. მის კომპლექსს, გარდა ამისა, შეადგენს — წელში გამოყვანილი, ზედაპირდაქდეული თიხის ღრუ სასმისი, თიხის ქოთანის, რომლის პირი შემკულია რელიეფური გრეხილით, ბრინჯაოს და ძვლის აუზრული ორი პატარა „საფარცხელი“, ბრინჯაოს ხვია და ვარდისფერი სარდიონის მძივები მრგვალ-ბრტყელი და ბიკონუსურისმაგვარი მოყვანილობის¹⁰¹.

თავხვია საკინძების გარდა, ზემოჩამოთვლილი თითქმის არც ერთი ნივთი არ გვაძლევს საფუძველს 32-ე ორმოსამარხი მაინცადამაინც გვიანი ბრინჯაოს ხანის ადრეული ეტაპის ძეგლად მივიჩნიოთ. ასე მაგალითად, წელში გამოყვანილი ღრუ სასმისები გავრცელებული იყო ადრეულ ეტაპზეც და მომდევნო საფეხურზეც¹⁰². მაშასადამე, მხოლოდ მისი მიხედვით მსჯელობა სამარხის ასაკის შესახებ არ იქნებოდა გამართლებული. სხვა ნივთები კი არ იძლევიან ხელჩასაკიდებელ მასალას თარიღის დასაზუსტებლად. ერთადერთი საყრდენი, ამ შემთხვევაში, თავხვია საკინძები რჩება. ისინი კი უფრო გვიანდელ ნაკეთობას წარმოადგენენ, ვიდრე სამთავროს უძველესი ორმოსამარხების ან მადნისქალის თავხვია საკინძები. ამაზე მიგვიითიბებს ბეშთაშენის 32-ე სამარხის საკინძების დამზადების მაღალი ხარისხი და ღეროს მოყვანილობა. ისინი გამოირჩევიან იმდენად კარგი ნაკეთობით, რომ ჩამოსხმულს ჰგვანან. ღეროთხივე შემთხვევაში ექვსწახნაგოვანია და არა ოთხწახნაგოვანი, როგორც სამთავროში და მადნისქალაში. ზედაპირი კი კარგად დამუშავებული და დაგლუვებული. ბრტყელ გვერდებზე დაუყვებათ, სიმეტრიის თითქმის ზუსტი დაცვით გაკეთებული, წიწვოვანი სახეები.

არც 37-ე სამარხის თავხვია საკინძი ჰგავს მადნისქალის და სამთავროს საკინძებს. მისი ღერო, ერთი შეხედვით, განიკვეთში წრიულად გამოიყურება. მაგრამ თუ დავაკვირდებით, ზედაპირზე მკაფიოდ შეინიშნება 8 წახნაგი. წახნაგებს შორის გაჩენილი სიბრტყეები დაქდეულია პორიზონტული შტრიხებით¹⁰³. ამავე ღროს ბეშთაშენის 32-ე სამარხის საკინძების მსგავსად, ეს საკინძიც გამოირჩევა კარგი ნაკეთობით.

37-ე სამარხში აღმოჩნდა კიდევ თიხის 5 კურქელი (წელში გამოყვანილი ღრუ სასმისი, ლანგარი, გოფირებულყელიანი და ელიფსურმუცლიანი მაღალი ქოთანის, სადღვებელი, რომელზედაც წინ გვექონდა საუბარი და რომელიც ყელისა და მხრის მოყვანილობით ტიპობრივად უფრო განვითარებული ჩანს, ვიდრე ადრეული სადღვებლები და გრეხილპირიანი ქოთანის), ბრინჯაოს ღეროგახვრეტილი მრგვალთავიანი საკინძი, კაყის ნამგლის ჩასართი და ვარ-

100 МАК—VIII, გვ. 50, ტაბ. XXII_{а, в}; Е. И. Крупнов, Древняя история Северного Кавказа, 1960, გვ. 199, ტაბ. XI.

101 საქართველოს სახ. მუზეუმის ფონდები, საინვ. № 42—64/218—227.

102 რ. აბრამიშვილი, რკინის ათვისების საკითხისათვის..., გვ. 333, ავტორი აქ კურქელის გავრცელების ხანად მიიჩნევს ძვ. წ. XV—XII სს.

103 საქართველოს სახ. მუზეუმის ფონდები, საინვ. № 42—64/265.

დისფერი სარდიონის მძივები (სფერული, მრგვალ-ბრტყელი, ბიკონუსური და ექვსკუთხედიანი დაწახნაგებული — ბრტყელი, ოვალური მოყვანილობისა)¹⁰⁴.

ჩვენ უკვე დავინახეთ, რომ ბეშთაშენის 37-ე სამარხის თავხვია საკინძი, მადნისქალის და სამთავროს უძველესი ორმოსამარხების თავხვია საკინძებთან შედარებით, უფრო სრულყოფილია და ტიპობრივად განვითარებულიც. სხვა ნივთებიდან აქ ყურადღებას იპყრობს რომბული (ან შესაძლებელია ოვალური) მოყვანილობის ექვსწახნაგა მძივი.

იმის გამო, რომ მსგავსი მძივები შუაბრინჯაოს ხანის გოხნარის III გორასამარხში¹⁰⁵ და პატარა დმანისის დაახლოებით ამავე ხანის კომპლექსში¹⁰⁶ აღმოჩნდა, რ. აბრამიშვილის აზრით, ისინი ქვემო ქართლის ტერიტორიაზე უფრო ადრე ჩნდებიან, ვიდრე შიდა ქართლში, სადაც მათი არსებობა, ავტორის მიხედვით ძვ. წ. XIII—XII და მომდევნო საუკუნეების სამარხებისათვისაა დამახასიათებელი¹⁰⁷. შესაძლებელია ასეც არის, მაგრამ ეს ხომ არ ნიშნავს, რომ ქვემო ქართლში ექვსწახნაგა მძივები ადრევე წყვეტენ თავის არსებობას. ისინი ამ რაიონში გვხვდება გვიანბრინჯაოს ხანის ძეგლებშიაც (მაგალითად ბეშთაშენში) და მათი გავრცელების ზედა ქრონოლოგიური ზღვარი ჯერჯერობით არ არის საბოლოოდ დადგენილი.

ყოველივე ზემოთქმულის საფუძველზე ბეშთაშენის 32-ე და 37-ე სამარხთა დასათარიღებლად არსებითი მნიშვნელობა ენიჭება თავხვია საკინძებს. ისინი კი წარმოადგენენ ადრეულ თავხვია საკინძებზე უფრო განვითარებულ სახეს, რომელიც გვიანბრინჯაოს ხანის ადრეული ეტაპის მასალებში არ გვხვდება და, ამიტომ, ქრონოლოგიურად უშუალოდ მომდევნო საუკუნეებს უნდა მივაკუთვნოთ.

მადნისქალაში აღმოჩენილ თავხვია საკინძებს პარალელები მოეპოვება როგორც კავკასიის¹⁰⁸, ისე წინა აზიის და ევროპის სხვადასხვა ძეგლებში¹⁰⁹.

104 იქვე, საინვ. № 42—64/259—267.

105 ო. ჯაფარიძე, 1959 წლის თრიალეთის არქეოლოგიური ექსპედიციის წინასწარი ანგარიში, სამეცნ. სესია მიძღვნილი 1959 წლის საველე-არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგებისადმი, თბ., 1960, გვ. 15—17; ო. მ. ჯაფარიძე, Археологические раскопки в Триалети в 1959—1962 гг., СА, № 2, М., 1964.

106 რ. აბრამიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 310; მასალა ინახება საქართველოს სახ. მუზეუმის ფონდებში, საინვ. № 19—57.

107 რ. აბრამიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 310, 321.

108 გ. ნიორაძე, არქეოლოგიური დაზვერვები მტკვრის ხეობაში, სსმ, ტ. XII, 1944, გვ. 206—208; ს. მაკალათია, ფლავისმანის..., გვ. 228—229, სურ. 9; ა. აფაქიძე, გ. გობეჯიშვილი, ალ. კალანდაძე, გ. ლომთათიძე, მცხეთა, ტაბ. CXIX; საქართველოს არქეოლოგია, გვ. 137, 184; ო. ჯაფარიძე, მასალები გვიანბრინჯაოს ხანის არქეოლოგიისათვის შიდა ქართლიდან, ტაბ. I; ნ. ა. Куптун, Урартский «колумбарий» у подошвы Арарата и Куро-Аракский энеолит, სსმ, XIII—В, თბ., 1944, გვ. 117; МАК—VI, გვ. 93, 94, 104, ტაბ. IX₁₁; Б. В. Техов, Позднебронзовая культура Лиахвского бассейна, Сталинир, 1957, გვ. 102—103, ტაბ. IV₁₅; Я. Гуммель, Археологические очерки, გვ. 133, სურ. 3, 13; Т. С. Хачатрян, Материальная..., გვ. 78, ტაბ. 6₁ და სხვა.

109 Franz Hanchat, Die Nadelformen des prahistorischen Kaukasus gebietes, E. S. A., VII, Helsinki, 1937, გვ. 128—129; Adolf Gurtwängler, Aegina, München, 1906, S. 397—416; C. L. Woolly, Ur excavations, v. II, 1934, plate 218, (U. 8550).

საქართველოს მიწა-წყალზე მათი არსებობა დამახასიათებელია გვიანი ბრინჯაოს ხანის ადრეული საფეხურისათვის¹¹⁰.

დადგენილია, რომ თავხვია საკინძები, ჩვენში უცხოეთიდან კი არ შემოქონდათ, როგორც ამას ფრ. ჰანჩარი ფიქრობდა¹¹¹, არამედ ადგილობრივ კეთდებოდა¹¹².

გაბატონებული მოსახრების მიხედვით, თავხვია საკინძები იხმარებოდა შალის¹¹³ ან კიდევ სხვა ქსოვილის¹¹⁴ შესაკრავად. მკვლევართა ამ ვარაუდს ადასტურებს მადნისქალის მასალებიც: ზოგიერთ აქაურ საკინძს (№ 23, 37, 136, 169) შემორჩა ქანგით გაუღენთილი სხვადასხვა ქსოვილის ნაშთები. თუმცა მათი ლაბორატორიული შესწავლა ჯერჯერობით ვერ მოხერხდა, მაგრამ უბრალო დაკვირვებითაც ადვილად გამოირჩევა მსხვილი ძაფის (ალბათ შალის) ქსოვილი უფრო ნაზი (ალბათ სელის) ქსოვილისაგან.

თავხვია საკინძთა დანიშნულებაზე თუ ვიმსჯელებთ სამარხებში მათი in situ განლაგების მიხედვით, ზემოთ აღნიშნულს გარდა, დასაშვებად მიგვაჩნია მათი გამოყენება ქალების თმის ვარცხნილობის დასაყენებლად ან თავსაბურავის დასამაგრებლად. ამას გვაფიქრებინებს სამარხში მათი მდებარეობა მიცვალებულთა თავთან და კეფასთან (სამარხები № 1, 13, 24 და სხვ.).

ბ. ბ რ ტ ყ ე ლ თ ა ვ ი ა ნ ი სა კ ი ნ ძ ე ბ ი, ბრინჯაოსი (№ 110, 119, 148: ტაბ. XXXII; სურ. 29, 31, 34). აქვთ ბრტყელი, ლურსმნისებური მოყვანილობის თავი და 3—5 რიგად წრიულად დაღარული ყელი. ყელს ქვემოთ, ოვალურნახვრეტისანი ღერო გაფართოებულია, რის შემდეგ იგი თანაბრად ვიწროვდება და ბოლოვდება წვერით.

ეს საკინძები ჩამოსხმული ჩანს. მათი ღერო წრიულგანივკვეთიანია. სიგრძე 8,5—14,0 სმ უდრის.

ბრტყელთავიანი საკინძები მხოლოდ მამაკაცების სამარხებში შეგვხვდა¹¹⁵. ორი მათგანი სატევრებთან იდო. მესამე — № 148 საკინძი (რომელსაც შედარებით მსხვილი და მცირედ ამოზურცული თავი აქვს, რითაც ნაწილობრივ გამოირჩევა № 110 და 119 საკინძებისაგან) თუმცა კი სატევრის შემცველ 35-ე სამარხში აღმოჩნდა, მაგრამ იგი მიცვალებულის ყელთან იდო.

სამთავროში ბრტყელთავიანი საკინძები ძირითადად მამაკაცების ტანსაცმელს უკავშირდებოდა: ამგვარი 6 საკინძიდან 5 — მამაკაცის სამარხში იყო. ქალისაში მარტო ერთი აღმოჩნდა¹¹⁶. აღსანიშნავია, რომ ზოგიერთ სამარხში ისინი იქაც სატევრების მახლობლად ელაგა¹¹⁷.

სამთავროშიც და მადნისქალაშიც განსახილველი საკინძების სატევრებთან კავშირში აღმოჩენა (ზოგიერთ შემთხვევაში საკინძთა სხვა ტიპებთან, მაგალი-

¹¹⁰ ალ. კ ა ლ ა ნ დ ა ძ ე, დასახ. ნაშრ., გვ. 60, 105—107; გ. ლ ო მ თ ა თ ი ძ ე, მცხეთა-სამთავროს არქეოლოგ. ექსპედიციის..., გვ. 74; ნ. ო ქ რ თ პ ი რ ი ძ ე, დასახ. ნაშრ., გვ. 151; ტ. ჩ უ ბ ი ნ ი შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 89; რ. ა ბ რ ა მ ი შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 308.

¹¹¹ Fr. Hanchar, დასახ. ნაშრ., გვ. 128—129.

¹¹² ვ. ნ ი ო რ ა ძ ე, არქეოლოგიური დაზვერვები..., გვ. 208; ნ. ო ქ რ თ პ ი რ ი ძ ე, დასახ. ნაშრ., გვ. 151; დ. ქ ო რ ი ძ ე, დასახ. ნაშრ., გვ. 174—175.

¹¹³ ნ. ო ქ რ თ პ ი რ ი ძ ე, დასახ. ნაშრ., გვ. 151—152.

¹¹⁴ დ. ქ ო რ ი ძ ე, დასახ. ნაშრ., გვ. 177.

¹¹⁵ მადნისქალის № 27, 30 და 35 სამარხები.

¹¹⁶ ტ. ჩ უ ბ ი ნ ი შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 88.

¹¹⁷ ი ქ ვ ე.

თად, თავხვია¹¹⁸, კონუსურთავიანი¹¹⁹ და სხვებთან ერთად), გარკვეულად მიგვიჩივებს მათ გამოყენებაზე იარაღის წელზე ჩამოსაკიდებლად.

ბრტყელთავიანი საკინძები, როგორც ირკვევა, საკმაოდ არქაული წარმომავლობისაა. ისინი დადასტურებულია შუაბრინჯაოს ხანის ძეგლებში (რაჭა, შიდა ქართლის ჩრდილო რაიონები)¹²⁰. თუმცა უშუალოდ მომდევნო პერიოდშიაც განაგრძობენ თავის არსებობას¹²¹. სამთავროში ისინი დამოწმებულია უძველეს ორმოსამარხებში. ხოლო შემდგომ ხანაში აღარ გვხვდება. ამიტომ, ტანისამოსთან დაკავშირებულ, სამთავროში წარმოდგენილ ნივთთა შორის, ეს საკინძები ერთ-ერთ ყველაზე უძველესად არის მიჩნეული¹²².

გ. კონუსისებურთავიანი ბრინჯაოს ღეროვანხვრეტული საკინძი 3 ცალია (№ 113, 202, 203, ტაბ. XXXI; სურ. 27, 30). ორი მათგანი მამაკაცის სამარხში იდო: მესამე — მარცხენა გვერდზე დაკრძალულ ადამიანს ჰქონდა ჩაყოლებული (სქესის გარკვევა ვერ მოხერხდა). სამივე შემთხვევაში ისინი მიცვალებულებს გულმკერდის არეში აღმოაჩნდა და როგორც ჩანს, გულის შესაბნევად იყენებდნენ.

ზემოგანხილულ ბრტყელთავიან საკინძებისაგან ისინი გამოირჩევიან მხოლოდ დაბალკონუსური თავით, რომელიც ხანდახან (№ 202) სოკოსებურ მოყვანილობას უახლოვდება. მათი ღეროს სიგრძე 10,0—14,6 სმ-ს უდრის.

აღნიშნული საკინძების პარალელები ცნობილია ნულიდან¹²³. ამ უკანასკნელებს ბ. კუფტინი ასაკობრივად თრიალეთის მოგვიანო ხანის გორასამარხებს უტოლებს და დაახლოებით ძვ. წ. XV—XIV სს-ით ათარილებს¹²⁴. ისინი მოგვიანებითაც განაგრძობენ არსებობას, რაზედაც მიგვიჩივებს სამთავროს უძველესი ორმოსამარხები¹²⁵, ბეშთაშენის სამაროვანი¹²⁶ და გვიანბრინჯაოს ხანის სხვა ძეგლები.

დ. მრგვალთავიანი ღეროვანხვრეტული ბრინჯაოს საკინძები (4 ცალია: № 33, 104, 109, 125; ტაბ. XXXII; სურ. 4, 28, 29, 32, 39). ბრტყელთავიან და კონუსურთავიან საკინძებისაგან გამოირჩევიან ბირთვისებური მოყვანილობის თავით.

ღეროს სიგრძე 10,5—13,0 სმ უდრის. ყველა ჩამოსხმული უნდა იყოს.

ამ ტიპის საკინძების ანალოგები დიდი რაოდენობითაა ცნობილი სამთავროს სამაროვნიდან, სადაც მათი გამოჩენა გვიანი ბრინჯაოს ხანის ადრეულ ეტაპზე ხდება. უძველეს ორმოსამარხში სამი ასეთი საკინძია აღმოჩენილი

118 როგორც აღინიშნა, მადნისქალაში თავხვია საკინძები მხოლოდ ქალების სამარხებს ახასიათებდა. სატევრების შემცველ არც ერთ სამარხში არ აღმოჩენილა ისინი. აქ ჩვენ გველისხმობთ სამთავროს 263-ე ორმოსამარხს.

119 მადნისქალის II გორასამარხის ძირითად კამერაში.

120 Б. А. Куфтин, Археологическая маршрутная., გვ. 43—45, ტაბ. XXVIII, XXX.

121 Б. В. Техов, დასახ. ნაშრ., გვ. 90—105, ტაბ. X₂₋₁₀, XVII₃₋₅, XVIII₃₋₅.

122 ტ. ჩუბინიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 83—89.

123 Пчелина Е. Г. и Смирнов А. П., Дневник археологических раскопок, произведенных близ сел. Нули, Авневского сельсовета в юго-Осетии на правом берегу Прони. Известия Юго-Осет. научн. инст. краеведения, вып. I, Сталинир, 1933, გვ. 290—297.

124 Б. А. Куфтин, დასახ. ნაშრ., გვ. 31—35, 51, ტაბ. XVII₁.

125 ტ. ჩუბინიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 89.

126 Б. А. Куфтин, Археологические раскопки в Триалети, გვ. 73, სურ. 80₄.

(ყველა მამაკაცის სამარხში), ხოლო მომდევნო ხანაში საკმაოდ ვრცელდება¹²⁷.

მსგავსი საკინძები ნაპოვნია, აგრეთვე, თრიალეთში¹²⁸, ფლავისმანში¹²⁹, კასპში¹³⁰, სამხრეთ ოსეთში¹³¹, ყობანში¹³² და სხვ.

წინა აზიაში, ალიშარის ბორცვებზე, ისინი გვხვდება ხეთური პერიოდიდან მოკიდებული ვიდრე ფრიგიული პერიოდის ჩათვლით¹³³.

თლის სამაროვანზე მრგვალთავიანი საკინძები ჩნდებოდა თავის ქალასთან. ამიტომ ბ. ტეხოვს შესაძლებლად მიაჩნია მათი გამოყენება ქალების თმის სამაგრებად¹³⁴.

იმის გამო, რომ სამთავროს და კასპის სამაროვნებზე ისინი მეტწილად მამაკაცთა სამარხებშია ნაპოვნი, რაც თითქმის თავისთავად უნდა გამორიცხავდეს თმის სამაგრებად მათ გამოყენებას, მ. ბარამიძე არ ეთანხმება ბ. ტეხოვის მიერ გამოთქმულ ვარაუდს და თვლის მათ შალის უხეში სამოსის შესაკრავ ნივთებად¹³⁵.

მადნისქალის 4 ასეთი საკინძიდან 3 — მამაკაცის სამარხში იყო, 1 კი ქალისაში. ისინი ძირითადად მიცვალებულთა გულ-მკერდის არეში გვხვდებოდა და, ვფიქრობთ, აქ ტანისამოსის შესაკრავად იხმარებოდა. მაგრამ 27-ე ორმოსამარხში, გარდა ამისა, ერთი მრგვალთავიანი საკინძი (№ 109), აღრე სხენებულ ბრტყელთავიან საკინძთან (№ 110) ერთად იდო ბრინჯაოს სატევარზე და, ამ შემთხვევაში, სატევრის ჩამოსაკიდებლად უნდა ყოფილიყო გამოყენებული. ამიტომ მტკიცება იმისა, რომ მრგვალთავიან საკინძებს მხოლოდ და მხოლოდ ერთი რომელიმე ფუნქცია ჰქონდა, ჩვენი აზრით არ არის მიზანშეწონილი. უფრო სწორი იქნება, რომ ვიგულისხმოთ მათი მრავალმხრივი გამოყენება.

ე. ლეროგახვრეტელი საკინძი (№ 179; ტაბ. XXXII; სურ. 15). მოყვანილობით ჰგავს მახათს, მაგრამ ოვალურ ნახვრეტს ზემოთ, შემსხვილებულ თავზე ($d=0,45$ სმ) ამოღარული სალტე შემოუყვება. დამზადებულია მრგვალგანივკვეთიანი ლეროსაგან. სიგრძე=6,5 სმ-ს.

3. სამაჯურები და საწვივე რგოლები გვხვდებოდა ძირითადად ქალების და მარცხენა გვერდზე დაკრძალულ ბავშვთა სამარხებში; ერთ შემთხვევაში (მე-20 სამარხი) ისინი ეკეთა მარჯვენა გვერდზე დასაფლავებულ ბავშვს.

ეს ნივთები ნაკეთებია სპილენძ-ბრინჯაოსაგან (8 ცალი), გარდა კალის ერთი სამაჯურისა, რომელსაც აქვს მრგვალგანივკვეთიანი, გახსნილი თავები-საკენ შევიწროებული ლერო (№ 168; ტაბ. XXXII; სურ. 14); მისი დიამეტრი დაახლოებით 7,0—8,0 სმ-ს უნდა ყოფილიყო.

127 ტ. ჩუბინიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 89.

128 Б. А. К у ф р и н, დასახ. ნაშრ., გვ. 73, სურ. 80ვ.

129 ს. შაკალათია, ფლავისმანის ნეკროპოლი, გვ. 228—232.

130 მ. ბარამიძე, კასპის სამაროვანი, გვ. 54, ტაბ. I ვ.7.

131 Б. В. Т е х о в, დასახ. ნაშრ., გვ. 95—96; ავტორი მრგვალთავიან ლეროგახვრეტელ საკინძებს აერთიანებს მისი კლასიფიკაციის V ტიპში, და გაუგებარი მიზეზით, მათ ლურსმნისებურთავიან (с гвоздевидными головками) საკინძებს უწოდებს.

132 МАК, VIII, ტაბ. XXXIX, 4.

133 F. Schmidt, The Alishar Hüyük, season of 1928 and 1929, part I, University of Chicago press, Chicago, Illinois, p. 58, ill b., g. 25 846.

134 Б. В. Т е х о в, დასახ. ნაშრ., გვ. 92—96.

135 მ. ბარამიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 54.

მადნისქალის სამაჯურები ორი სახეობისაა: 1. ბ რ ტ ყ ე ლ ლ ე რ ი ა ნ ი, ბოლოებში შევიწროებული და ხვეულთაფიანი; ზურგი შემკული აქვთ თავსა და ბოლოში შეერთებული ირიბი კდეების ორი რიგით (№ 51; სურ. 9, 39), ან კიდევ მსგავსადვე გაკეთებული ნაქდები წიწვოვანი ორნამენტით (№ 176; ტაბ. XXXII; სურ. 15) და 2. მ რ გ ვ ა ლ ლ ე რ ო ი ა ნ ი, თავებგახსნილი სამაჯურები, რომელთა თითო ბოლო გაბრტყელებული და ხვეულია, მეორე — შემსხვილებული და კვეთილი (№ 87; ტაბ. XXXII; სურ. 23). ორივე სახის სამაჯურები ოვალური მოყვანილობისაა ($d=3,5-5,0$ სმ).

მადნისქალაში წარმოდგენილი ყველა საწვივე რგოლი, განივკვეთში წრიულია: ერთმანეთზე გადასული თავები გაბრტყელებული და მოხვეულია (№ 42, 87ა; სურ. 7, 39). მოყვანილობით ისინი წარმოადგენენ ტიპურ სამაჯურებს. მაგრამ სამთავროს ზოგიერთ უძველეს ორმოსამარხის მსგავსად¹³⁶, ისინი წვივებზე ჰქონდათ გაკეთებული ბავშვებს (მე-9 სამარხი). აღსანიშნავია, რომ გვიანი ბრინჯაოს ხანის მთელ რიგ ძეგლებზე (სამთავრო¹³⁷, თლი¹³⁸, არტიკი¹³⁹, მინგეჩაური¹⁴⁰ და სხვა) ანალოგიური ნივთები სწორედ სამაჯურებად არის გამოყენებული. მადნისქალაში ჩვენ შევხვდით ერთ ისეთ სამარხსაც (მე-20), სადაც ბავშვს სამაჯურებიც ჰქონდა გაკეთებული და იმგვარივე მოყვანილობის საწვივე რგოლიც (ტაბ. XIII₁).

4. საყურეები და სასაფეთქლე რგოლები ჩნდებოდა ქალების და ბავშვების სამარხებში.

საყურეები (6 ცალი) პატარა ზომისაა ($d=1,0-2,5$ სმ); ნაკეთებია ბრინჯაოს მრავალგანივკვეთიანი მავთულისაგან. აქვთ გახსნილი, ხანდახან ერთმანეთთან მისული თავები, და როგორც წესი, ცალი ბოლო შემსხვილებული (№ 22, 29, 30, 44, 177, 178; ტაბ. XXXII; სურ. 3, 7, 15, 39).

მსგავსი ნივთები ფართოდ იყო გავრცელებული დროსა და სივრცეში, მათ შორის გვიანბრინჯაოს ხანის ადრეულ ეტაპზეც¹⁴¹.

ცალკე უნდა აღინიშნოს 2 სასაფეთქლე რგოლი (№ 151, ტაბ. XXXII; სურ. 35). ვანხილულ საყურეებთან შედარებით ისინი უფრო მასიური და დიდებია ($d=3,5$ სმ); გაბრტყელებული ბოლო ხვეულია, მეორე — წაწვეტილებული.

5. პირსაფარეშო და ბრინჯაოს სხვა წვრილი ნივთები.

ა) მაშა-ჩქიფი (№ 103, 204; ტაბ. XXXII; სურ. 27, 28) ორივე მამაკაცის სამარხში აღმოჩნდა მიცვალებულის წელთან. ნივთები სადაა და დაახლოებით თანატოლი ($l=6,6$ და $6,9$ სმ).

ანალოგიური ნივთები ჩვენში, როგორც ჩანს, გვიანბრინჯაოს ხანის ადრეულ საფეხურზე ჩნდება (იხ. მადნისქალის 26-ე ორმოსამარხი და II გორასამარხის კომპლექსები; სურ. 27, 28; აგრეთვე, სამთავროს უძველესი ორმოსა-

¹³⁶ სამთავროს № 156, 162, 178 ორმოსამარხები; ტ. ჩუბინიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 91.

¹³⁷ იჭკვა.

¹³⁸ Б. В. Техов, დასახ. ნაშრ., გვ. 82, ტაბ. IV₂₇.

¹³⁹ Т. С. Хачагрян, დასახ. ნაშრ., გვ. 67—69, ტაბ. 4.

¹⁴⁰ В. П. Фоменко, Грунтовое погребение № 63 в Мингечауре, ტაბ. III₁.

¹⁴¹ მაგ. სამთავროს № 17, 31, 39, 100, 113, 179 და სხვა უძველეს ორმოსამარხებში.

მარხები¹⁴²). მოგვიანებით ისინი მრავლდებიან და საკმაოდ ხშირად გვხვდებიან გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის ძეგლებში¹⁴³.

შენიშნულია, რომ ადრეული ჩქიფები სადაა და შედარებით ტლანჭი, მაშინ როდესაც შემდგომში, განსაკუთრებით კი რკინის ფართო ათვისების ხანაში, უფრო პატარა ზომისაა და ზოგიერთი ორნამენტირებულია¹⁴⁴.

აღნიშნული ნიშნებით მადნისქალის ჩქიფები ამ ნივთთა უძველეს სახეობას განეკუთვნებიან.

ბ. ხ ვ ი ა (№ 171; სურ. 14) წარმოადგენს სპირალურად დახვეულ სპილენძის თხელ ფირფიტის მილაკს.

მსგავსი ნივთები გავრცელებული იყო მთელ კავკასიაში დროისა და სივრცის ფართო მონაკვეთზე¹⁴⁵.

გ. მ ი ლ ა კ ე ბ ი (№ 170, 120; ტაბ. XXXII; სურ. 14, 31) ბრინჯაოსი. ორივე დამზადებულია ქედვით, რაც კარგად ჩანს ნაპირების შეერთების ადგილზე. სადაც შედაპირს სიგრძეზე გასდევს შეერთების ზოლი. მილაკები ერთი მიმართულებით უმნიშვნელოდ ვიწროვდება. 1) $l=1,0$ სმ; $d=0,5-0,6$ სმ; 2) $l=1,7$ სმ; $d=0,8-1,0$ სმ.

დ. ვ ა რ დ უ ლ ე ბ ი (№ 186; ტაბ. XXXII; სურ. 16) ბრინჯაოსი, 2 ცალი. წარმოადგენენ თხელი ფირფიტისაგან დამზადებულ ოთხფრთიან, გვერდებჩაღარულ, პატარა ზომის ($1,8 \times 2,9$ სმ) ღრუ სამკაულებს.

ანალოგიურ ნივთებს, რომლებიც აღმოჩნდა ე. დე მორგანის მიერ გათხრილ მარალ-დერესის მე-2 სამარხში ბრინჯაოს მდიდრულად ორნამენტირებულ სარტყელთან. რკინის სატევართან და თიხის ორ ჭურჭელთან (დოჭი, ჯამი) ერთად, ბ. კუფტინი ქლარუნებად (розетка—бубенчик) მიიჩნევს. ეს კომპლექსი გვიანვანური ხანით თარიღდება და ასაკობრივად უტოლდება მუსი იერის 74-ე სამარხს. ეს უკანასკნელი კი, თავის მხრივ, ლელვარის ახალგაზრდა ჯგუფის სამარხების თანადროულია¹⁴⁶.

მსგავსი სამკაული ცნობილია მარალინ-დერესის და ლელვარის სამაროვნებიდან¹⁴⁷. ისინი აღმოჩნდა, აგრეთვე, დმანისის სამაროვანზე. ამ ნივთებს

¹⁴² ტ. ჩუ ბ ი ნ ი შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 89, ტაბ. XVIII.

¹⁴³ ი ქ ე ვ ე, გვ. 89; B. A. Куфтин, Археологические раскопки в Триалети, გვ. 70, სურ. 74; გ. გობ ბ ე ჯ ი შ ვ ი ლ ი, არქეოლოგიური გათხრები..., ტაბ. XXIV₅; საქართველოს არქეოლოგია, ტაბ. XIV; რ. ა ბ რ ა მ ი შ ვ ი ლ ი, სამთავროს სამაროვანზე..., ქრონოლოგიური ტაბულა, № 210; მ ი ს ი ე ვ ე, რკინის ათვისების საკითხისათვის..., ტაბ. V, VIII, IX; მ. ბ ა რ ა მ ი ძ ე, კასპის სამაროვანი, გვ. 56; MAK—VI, გვ. 92—93, 106—107; ტაბ. IV₈₋₉.

¹⁴⁴ ო. ჯ ა დ ა რ ი ძ ე, არქეოლოგიური გათხრები სოფ. ოგორაში, თსუ შრომები, № 65 თბ., 1957, გვ. 203.

¹⁴⁵ MAK—VIII, ტაბ. VI₅, XXIV₅, XXX_{6,7}, XXXIV₁₀; Ernest Chantre, Recherches Antropologiques dans le Caucase, tome second, Paris-Lyon, 1886, ტაბ. XXIX, სურ. 1—6; B. E. Деген, Курганы в Кабардинском парке..., გვ., 260, სურ. 7—10; А. А. Иессен, К вопросу о древнейшей металлургии..., გვ. 125, სურ. 17; B. A. Куфтин, დასახ. ნაშრომი, ტაბ. LI; მ ი ს ი ე ვ ე, Материалы к археологии Колхиды, II, თბ. 1941, ტაბ. XXVIII, სურ. 3, 6; B. B. Тетхов, დასახ. ნაშრ., გვ. 112—114.

¹⁴⁶ J. de Morgan, Mission scientifique..., ტ. 1, გვ. 37, 203; მ ი ს ი ე ვ ე, La préhistoire orientale, t. III, Paris, 1927, გვ. 283; B. A. Куфтин, Археологические раскопки в Триалети..., გვ. 49, ტაბ. XXIV.

¹⁴⁷ B. A. Куфтин, დასახ. ნაშრ., გვ. 63.

გ. ნიორაძეც ეღარუნებად თელის, მაგრამ, ამავე დროს, არ გამოორიცხავს მათ მიჩნევას კოსტუმის მოსართავ სამკაულებად¹⁴⁸.

შედარებით მომცრო, მაგრამ მოყვანილობით ზუსტად მსგავსი ნივთები, რომლებიც ტანსაცმლის მოსართავ სამკაულებს წარმოადგენენ, აღმოჩნდა ასურეთის ადრეანტიკური ხანის სამაროვანზე¹⁴⁹.

მასალებით ირკვევა, რომ ოთხფრთიანი ვარდულები არსებობდნენ გვიანბრინჯაოს ხანის ადრეულ საფეხურზე და იხმარებოდნენ ადრეანტიკურ ხანამდე მაინც.

ე. ორი ფირფიტა (№185; სურ. 16) ბრინჯაოსი, გაურკვეველი დანიშნულების. მოყვანილობით დანის პირს მოგვაგონებენ: ყუის ნაწილი შემსხვილებულია, პირისა — გათხელებული და ბასრი. $l=1,0$ სმ; სივანე $=0,4-0,5$ სმ-ს.

ვ. მძივები (ტაბ. XXXIII). სამაროვანზე სხვადასხვა მასალისაგან ნაკეთები (ნახევრად ძვირფასი ქვები, პასტა, მინისებური პასტა, მინა, ანტიმონი, ბრინჯაო) 1500-ზე მეტი მძივი აღმოჩნდა. უდიდეს ნაწილს (დაახლოებით 90%) სარდიონის და ამ ქვის ნაირსახეობათა (აქატი, ქალცედონი) ნაკეთობა შეადგენს. ფერის მიხედვით გამოირჩევა იაშმისებური წითელი, მუქი ვარდისფერი, მოწითალო-მოყავისფრო, მუქი წითელი და ნახევრად გამჭვირვალე ღია ვარდისფერი. ზოგიერთი მათგანი, მეტადრე მუქი და გაუმჭვირვალე ქვები, დასერილია სხვადასხვა ელფერის ზოლებით, რაც კიდევ უფრო აღამაზებს და ნაირფეროვანს ხდის მათ.

გვიანბრინჯაოს ხანის ძეგლებში სარდიონის მძივების დიდი რაოდენობით აღმოჩენამ ადრევე მიიპყრო მკვლევართა ყურადღება. გ. ლემლეინმა სამთავროს, მინგეჩაურის, კარმირბლურის და სხვათა მასალების საფუძველზე საგანგებოდ შეისწავლა ისინი. იგი შეეხო ისეთ სპეციალურ საკითხებს, როგორიცაა მათი დამზადების ტექნიკა, ქვის ჯიშები, ფორმები, გეოგრაფიული გავრცელება და სხვა¹⁵⁰.

იმის გამო, რომ მადნისკალის ქვის მძივები თითქმის ზუსტად შეესატყვისება კავკასიაში გავრცელებულ, გ. ლემლეინის მიერ განხილულ ტიპებს, ჩვენ დეტალურად აღარ ვჩერდებით მათზე და მხოლოდ საჭიროებისამებრ ვიძლევიტ ზოგიერთ განმარტებას.

148 Г. Ниорадзе, Могильник «стеклянного завода», гв. 92, 97, 99, сур. 2с.

149 ე. კვიციანიძე, 1965 წელს ასურეთში ჩატარებული არქეოლოგიური დაზვერვების ანგარიში, XV სამეცნიერო სესია მიძღვნილი 1965 წლის საველე-არქეოლოგიური კვლევების შედეგებისადმი, თბ., 1966, გვ. 17—18; მისივე, 1966 წელს აღმოჩენილი ადრეანტიკური ხანის ძეგლები არუხლოს „გეოი-თეფესა“ და „სამაჩვეთის“ სამაროვანზე, XVI სამეცნიერო სესია მიძღვნილი 1966 წლის საველე-არქეოლოგიური კვლევებისადმი, თბ., 1967, გვ. 65—66.

150 Г. Г. Лемлейн, Каменные бусы Самтаврского некрополя, მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკვ. 29, თბ. 1951, გვ. 183—212; მისივე, Серовые типы каменных бус Мингечаурского некрополя, Доклады АН АЗССР, т. 5, Баку, 1949; მისივე, Техника сверления каменных бус из раскопок на Кавказе, КСИИМК, XVIII, М.-Л., 1947, გვ. 22—30; მისივე, Опыт классификации каменных бус, КСИИМК, XXXII, 1950; Б. Б. Пиотровский, Кармир-Блур, III, Ер., 1955, გვ. 46—49.

მადნისქალის ქვის მძივების თითქმის ნახევარს ე .წ, ნაპობი („Рубленые“)¹⁵¹ მძივები შეადგენს. ნაკეთებია საკმაოდ ტლანქად და, როგორც წესი, გახვრეტილია ერთი მიმართულებით. ზომა: 1,5×1,1 სმ-დან 0,5×0,2 სმ-მდე.

გ. ლემლეინი დასაშვებად მიიჩნევს ნაპობი მძივების ადგილობრივად დამზადებას. ამასთანავე იგი არ გამორიცხავს უცხოეთიდან მათი შემოტანის შესაძლებლობასაც. მაგალითად, მდ. არაქსის სამხრეთით მდებარე ირანის რაიონებიდან, ანდა შუამდინარეთიდან¹⁵².

მძივების დასამზადებლად ვარგისი მინერალები გამოიკვლია გ. ლომთათიძემ. მან დაადგინა, რომ ხსენებული ტიპის მძივებისათვის საჭირო ქვები საქართველოში საკმაოდ ბევრია. ისინი გვხვდება შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროებზე და ძველ ზღვათა განამარხებულ დანალექებში, მაგალითად, რუსთავის მიდამოებში და სხვ.¹⁵³ ადრე უკვე გვქონდა აღნიშნული, რომ მათი საბადოები შედარებით მცირე რაოდენობით, მაგრამ მაინც არსებობს ქვემო ქართლშიაც (მარნეულის რ-ნი, სადახლოსა და შაუმიანის მიდამოები).

გვიანი ბრინჯაოს ხანის ადრეული ეტაპის ძეგლებში სარდიონის ნაპობ მძივებს, სხვა მძივებს შორის გაბატონებული ადგილი უჭირავს. აღნიშნული გარემოება გვეკარნახობს მათი ადგილობრივი წარმოება ვივარაუდოთ, თუნდაც მეზობელ რაიონებიდან შემოტანილი ნედლეულის ბაზაზე, მითუმეტეს, რომ დასამუშავებლად ისინი რაიმე განსაკუთრებულ ტექნიკური ჩვევების ათვისებას არ მოითხოვენ¹⁵⁴. ფაქტიური ვითარება ამ უკანასკნელი ვარაუდის სასარგებლოდ უფრო მეტყველებს, ვიდრე უკვე დამზადებულ ნაწარმის უცხოეთიდან შემოტანის სასარგებლოდ.

ნაპობი მძივები მადნისქალის 20 სამარხში აღმოჩნდა. აქედან 10-ში ქალები იყო დასაფლავებული (№ 1, 4, 5, 7, 12, 14, 32, 36, 37 და 40 სამარხები), 8-ში — ბავშვები და მარცხენა გვერდზე დაკრძალული მოზარდები (№ 2, 9, 11, 13, 16, 17, 20 და 24 სამარხები). მამაკაცის მხოლოდ ერთ 27-ე ორმოსამარხში, სხვა მძივებთან ერთად, იყო მარტო ერთი ნაპობი მძივი. აქედან ჩანს, რომ მადნისქალაში ნაპობ მძივებს ქალები და ბავშვები იკეთებდნენ. მამაკაცთა სამარხებში მათი რიცხვი იმდენად უმნიშვნელოა, რომ მხედველობაში არც არის მისაღები. საინტერესოა, რომ სამთავროშიაც ისინი მეტწილად ქალებს ეკეთა¹⁵⁵.

მადნისქალაში ნაპობი მძივები გვხვდებოდა როგორც ყელსაბამის შემადგენლობაში, ისე სამაჯურების ასხმაში (მაგალითად № 1 სამარხში). მათ იყენებდნენ სამოსის მოსართავადაც. ზშირად ისინი მიცვალებულთა გულ-მკერდის არეში იყო მიმობნეული.

მადნისქალის სამაროვანზე აღმოჩენილი სარდიონის მძივების მეორე ნაწილი რამდენიმე სახეობისაა: სფერული (რომელსაც ზოგიერთ შემთხვევაში

151 Г. Г. Леммлейн, Техника сверления..., გვ. 26—27; მისივე, Каменные бусы..., გვ. 188—189, ტაბ. I₁₋₈.

152 Г. Г. Леммлейн, Каменные бусы..., გვ. 189, 209.

153 გ. ლომთათიძე, სასამკაულო მინერალთა კულტურა ძველ საქართველოში, მეცნიერება და ტექნიკა, № 9, თბ., 1952, გვ. 24.

154 Г. Г. Леммлейн, Техника сверления..., გვ. 26 — 27; მისივე, Каменные бусы..., გვ. 188—189.

155 ტ. ჩუბინიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 93.

თავები ოდნავ შებრტყელებული აქვთ), მრგვალ-ბრტყელი, ცილინდრული, ბიკონუსური, შინდისებური, ვაშლისებური და სხვა. სფერული, ვაშლისებური და მრგვალ-ბრტყელი მოყვანილობის მძივები დამზადებულია ღია ვარდისფერი — ნახევრად გამჭვირვალე ქვებისაგან. დანარჩენები, ნაპობი მძივების მსგავსად, მეტწილად ნაკეთებია მუქი — გაუმჭვირვალე სარდიონისაგან.

ზემოჩამოთვლილი მძივები გავრცეტილია როგორც ორმხრივად, ისე ცალმხრივად. გავრცეტა წარმოებდა სათანადო ხელსაწყოს გამოყენებით და შესაფერისი ტექნიკური ხერხის საშუალებით¹⁵⁶.

გ. ლემლეინი აღნიშნავს, რომ ძველად, აღმოსავლურ და ბერძნულ სამყაროში. ქალები ღია ფერის ქვის მძივებით იმკობდნენ თავს, მამაკაცები კი მუქი სარდიონის მძივებს ატარებდნენ¹⁵⁷. ამასთან დაკავშირებით გვინდა აღვნიშნოთ, რომ მადნისქალაში, ისევე როგორც საქართველოს ტერიტორიაზე გათხრილ გვიანბრინჯაოს ხანის სხვა ძეგლებზე (სამთავრო, კასპი, ბეშთაშენი, ხოვლე და სხვა), ასეთი რამ არ შეინიშნება. ღია ფერის სარდიონის მძივები აქ მამაკაცთა სამარხებშიაც გვხვდება და თუ ისინი, ამ უკანასკნელებში, მცირე რაოდენობითაა წარმოდგენილი, ეს გამოწვეულია საერთოდ მამაკაცთა სამარხებში მძივების ნაკლებობით. ქალები, როგორც ჩანს, მაშინაც მეტ ყურადღებას აქცევდნენ თავის მორთულობას. სამთავროში, მაგალითად, მძივები ქალის ოცდახუთსავე უძველეს სამარხში აღმოჩნდა, უმეტეს შემთხვევაში თითოეულში 60-დან 200 ცალამდე. ცალკეულ შემთხვევაში მათი რიცხვი 400-საც აღწევდა, მაშინ როდესაც ისინი მამაკაცის მხოლოდ ხუთ სამარხში იყო და ისიც 4-დან — 65 ცალამდე¹⁵⁸. მადნისქალაში კი მძივებს შეიცავდა მამაკაცის მხოლოდ ორი — 27-ე და 35-ე სამარხები (ინვენტარი იხ. 29-ე და 34-ე სურათებზე).

კარგადაა ცნობილი, რომ სარდიონის სფერული (ან ბირთვისებური) მძივები გავრცელებული იყო დროისა და სივრცის ფართო მონაკვეთზე. საქართველოს ტერიტორიაზე ისინი გვხვდება როგორც შუაბრინჯაოს ხანის, ისე გვიანბრინჯაოს ხანის ძეგლებში (ორიალეთი¹⁵⁹, არდასუბანი¹⁶⁰, ბრილი¹⁶¹, ეშერი¹⁶², ნოსირი¹⁶³, ფარცხანაყანევი¹⁶⁴, ყულანურხვა¹⁶⁵, ნული, ქვასათა-

156 Г. Г. Леммлейн, Каменные бусы..., გვ. 130—195, 198—200.

157 იქვე.

158 ტ. ჩუბინიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 93.

159 В. А. Куфтин, Археологические раскопки в Триалети, გვ. 42; ო. ჯაფარიძე, არქეოლოგიური გათხრები ორიალეთში, გვ. 9—10; О. М. Джапаридзе, Археологические раскопки в Триалети в 1959—1962 гг., СА, № 2, М., 1964, გვ. 107, სურ. 9, 10.

160 ნ. თუშიშვილი, არდასუბნის შუაბრინჯაოს ხანის სამარხი, გვ. 229, ტაბ. 11₄.

161 გ. გობეჯიშვილი, 1939 და 1950 წწ. რაქის არქეოლოგიური ექსპედიციის ანგარიშები, ხელნაწერი.

162 В. А. Куфтин, Материалы к археологии Колхиды, I, თბ., 1949, გვ. 168—169, ტაბ. XVII_{1,2}.

163 В. А. Куфтин, Археологические раскопки в Триалети, გვ. 133, სურ. 131.

164 იქვე.

165 М. Трапш, Грунтовые погребения с инвентарем скифского типа с Куланурхва, აფხაზეთის ენის, ლიტერატურის და ისტორიის ინსტიტუტის შრომები, სოხუმი, 1951, გვ. 327, ტაბ. XIV.

ლი¹⁶⁶, სამთავრო¹⁶⁷ და სხვ.). მაგრამ გვიანბრინჯაოს ხანის ბირთვისებური მძივებისაგან განსხვავებით, რომლებიც უფრო ხშირად ნახევრად გამჭვირვალე ღია ვარდისფერი სარდიონიდან არიან დამზადებული, შუაბრინჯაოს ხანის ბირთვისებური მძივები, როგორც წესი, დამზადებულია მუქი მოწითალო-მოყავისფრო, უმეტესად ნახევრად გამჭვირვალე ქვის ჯიშებისაგან. შუაბრინჯაოს ხანის ბირთვისებური მძივები, გარდა ამისა, თითქმის ყოველთვის ხასიათდებიან შესანიშნავად დამუშავებული და გაპრიალებული ზედაპირით. გვიანბრინჯაოს ადრეულ ეტაპზეც არის ანალოგიური მძივები (მადნისჭალა, სამთავრო, არმაზისხევი, ხვწე და სხვ.)¹⁶⁸, მაგრამ რაოდენობით ისინი ბევრად ნაკლებია მათ გვერდითვე არსებულ მსგავსსავე მოყვანილობის, ოღონდ შედარებით ნაკლებხარისხოვნად დამუშავებულ ნახევრადგამჭვირვალე ღია ვარდისფერი სარდიონის მძივებზე. თუმცა ისინი ნაპობ მძივებზე უკეთ არიან დამუშავებული, მაგრამ ზედაპირის დაგლუვება-გაპრიალების ხარისხით აშკარად ჩამოუვარდებიან შუაბრინჯაოს ხანის ბირთვისებურ მძივებს.

იმის თქმა, რომ გვიანბრინჯაოს ხანის ადრეული ეტაპის ქვის მძივების ზედაპირის დამუშავების ტექნიკა რაღაც რეგრესს განიცდის შუაბრინჯაოს ხანასთან შედარებით, რა თქმა უნდა, არ შეიძლება. ამის საწინააღმდეგოდ მეტყველებს გვიანბრინჯაოს ხანის ადრეული ეტაპის ძეგლებზე დამოწმებული ბრწყინვალედ დამუშავებული არა მარტო ბირთვისებური, არამედ ბიკონუსური, ცილინდრული, შინდისებური და კიდევ სხვა მოყვანილობის სარდიონის მძივები. ჩვენ გვინდა ხაზი გავუსვათ იმ გარემოებას, რომ გვიანბრინჯაოს ხანის ადრეულ ეტაპზე, შესანიშნავად დამუშავებული სარდიონის მძივების გვერდით გაცილებით მეტი რაოდენობით გვხვდება შედარებით უხარისხოდ დამუშავებული იმავე მოყვანილობის ქვის მძივები. შუაბრინჯაოს ხანაში ეს ასე მკაფიოდ არ შეინიშნება.

რით უნდა აიხსნას აღნიშნული მდგომარეობა? იქნებ იმით, რომ ჩვენში ჯერჯერობით სუსტად არის შესწავლილი შუაბრინჯაოს ხანის რიგითი სამარხები, ხოლო გორასამარხებში მდიდრულად დაკრძალულ პირებს, ბუნებრივია, კარგ ნახელავს ჩააყოლებდნენ? ანდა იქნებ შუაბრინჯაოს ხანაში სარდიონის მძივები შემოქონდათ უცხოეთიდან. გვიანბრინჯაოს ხანაში კი შემოტანილი ნიმუშების მიბაძვით დაუწყიათ ადგილობრივი წარმოება და ახლად ჩამოყალიბებული სახელოსნოები ჯერ კიდევ სრულად ვერ დაეუფლნენ მათი დამზადების ტექნოლოგიას? შესაძლებელია ისიც, რომ გვიანბრინჯაოს ხანაში მოსახლეობის ზრდასთან ერთდ გაიზარდა მოთხოვნილება აღნიშნულ სამკაულზე და თუ ადრე სახელოსნოები ასწრებდნენ არსებული მოთხოვნილების დაკმაყოფილებას, მოგვიანებით, გარკვეული დროის მანძილზე, ვიდრე უფრო ფართოდ არ გაიშლებოდა მათი წარმოება, ვეღარ აუდიდიოდნენ კარგი მძივების დიდი რაოდენობით გამოშვებას, რადგანაც მათი ზედაპირის მაღალხარისხოვნად დამუშავება-გაპრიალება მეტ დროს მოითხოვდა. იქნებ ამიტომაც გაუარესდა მძივების დიდი ნაწილის ხარისხი? აქ შეიძლება კიდევ რამდენიმე მოსაზრების მოტანა, მაგრამ ვიდრე არ გაითხრება შუაბრინჯაოს ხანის საზოგადოების რიგითი წევრების სამარხები და არ დაგროვდება სათანადო მასალა, რომელიც რა-

166 О. М. Джапаридзе, Квасятальский могильник..., გვ. 27.

167 ტ. ჩუბინიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 93.

168 იქვე.

იმე კანონზომიერების დანახვის საშუალებას მოგვცემდა, ამ კითხვებზე პასუხის გაცემა შეუძლებელია. გარდა ამისა, სპეციალისტების მიერ ჯერ კიდევ დეტალურად არ არის შესწავლილი ორივე ხანის მძივების ქვის ჯიშები, მათი საბადოები, საწარმოო ცენტრები და სხვა კონკრეტული საკითხები, რომელთა გაშუქებამდე ჩვენი მსჯელობა ზოგადი ვარაუდის ფარგლებს არ გაცდება.

ფაქტი ისაა, რომ გვიანბრინჯაოს ხანის აღრეულ ეტაპზე, კერძოდ მადნის-ჰალაში, სარდიონის მძივებს შორის არსებობს, ერთის მხრივ, მშვენიერი ნიმუშები, რომლებიც შედარებით მცირე რაოდენობითაა და, მეორეს მხრივ, უფრო უხეში მძივები, რომლებიც რაოდენობრივად სჭარბობს მაღალხარისხოვან პროდუქციას და, ამავე დროს, განსხვავებული ჯიშის — უფრო ღია ფერის სარდიონის ქვებისაგან არიან ნაკეთები.

სამთავროს სარდიონის მძივების განხილვისას, როგორც ითქვა, გ. ლემლინს დასაშვებად მიაჩნია ზოგიერთი მათგანის უცხოეთიდან შემოტანის შესაძლებლობა. სამთავროს მასალებით ავტორის მიერ გამოთქმული მოსაზრება თუ სწორია, მაშინ მისი გავრცელება გაბედულად შეიძლება მადნისჰალის მიმართაც, რადგანაც ჩვენს ძეგლზე აღმოჩენილი ქვის მძივები ზუსტად შეესატყვისებიან სამთავროსას — როგორც ქვის ჯიშებით, ისე ფორმებით და დამზადების ტექნიკით. მაგრამ რიგი მნიშვნელოვანი საკითხებისა, როგორც დავინახეთ, ბადებს ისეთ კითხვებს, რომლებზედაც პასუხის გაცემა ჯერჯერობით შეუძლებელია. ამდენად, ამ ეტაპზე მსჯელობა მათ შესახებ, სათანადო მასალების დაგროვებამდე იქნებოდა ზერელე, მეცნიერულად დაუსაბუთებელი.

ქვის მძივების გარდა მადნისჰალაში სხვა მასალისაგან ნაკეთები მძივებიც აღმოჩნდა. ისინი შედარებით ცოტაა — ერთად აღებული მძივების საერთო რაოდენობის დაახლოებით 10%-ს შეადგენენ. აქ არის ცილინდრული და დაბალცილინდრული იოტისოდენა პასტის მძივები, ფერად შავი, თეთრი და მოყვითალო, ესოდენ გავრცელებულ მატერიალური კულტურის სხვადასხვა დროის ძეგლებში (თეთრი წყარო¹⁶⁹, ბაიბურთი, წინწყარო, თაქქილისა, მარალ-დერესი¹⁷⁰, სამთავრო¹⁷¹, რაქა¹⁷² და სხვ.); თეთრი პასტის მრგვალ-ბრტყელი მძივები, მინისებური პასტის სფერული და მრგვალ-ბრტყელი მოყვანილობის ცისფრად და მწვანედ მზინავი მძივები, რომელთა ანალოგები სამთავროს 21-ე და 178-ე სამარხებშია დამოწმებული¹⁷³.

ცალკე უნდა აღინიშნოს შავი პატინით დაფარული — წითელი, მწვანე, ყვითელი და შესაძლებელია სხვა ფერებისაც¹⁷⁴ — სფერული, კასრისებური და მრგვალ-ბრტყელი მოყვანილობის ფართო ნახვრეტიანი მინის მძივები. ნ. უგრელიძე ფიქრობს, რომ ისინი ადგილობრივად უნდა იყვნენ დამზადებული, რადგანაც ჩვენში მინის წარმოებას უძველესი საწყისები უნდა ჰქონოდა.

169 გ. გობეჯიშვილი, თეთრი წყაროს 1956—1958 წწ. არქეოლოგიური ექსპედიციების მუშაობის ანგარიშები (ხელნაწერი).

170 Б. А. Купчин, დასახ. ნაშრ., გვ. 52, 76, ტაბ. XI, XII, XXXIII.

171 ტ. ჩუბინიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 93.

172 გ. გობეჯიშვილი, 1939 და 1950 წწ. რაქის არქეოლოგიური ექსპედიციის მუშაობის ანგარიშები.

173 ტ. ჩუბინიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 93.

174 მასალა ამეზად დამუშავების პროცესშია მუზეუმის კიმ. ლაბორატორიაში.

მინის მძივები სამთავროს უძველეს ორმოსამარხებისათვისაც არ არის უჩვეულა¹⁷⁵.

საყურადღებოა, რომ მოჭიქული მძივები აღმოჩენილია თრიალეთის შუაბრინჯაოს ხანის კულტურაშიაც, მაგრამ სათანადო მასალების უქონლობის გამო ზ. კუფტინი ვერაფერს ამბობს მათი წარმომავლობის შესახებ. მიუხედავად ამისა ლურჯი კიქურის ხასიათის მიხედვით იგი ეგვიპტურ ნაწარმს უკავშირებს მათ¹⁷⁶.

საქართველოს ტერიტორიაზე მოპოვებული მინის უძველესი მძივები მეცნიერულად ჯერ არავის შეუსწავლია. ის გარემოება, რომ მინა ჩვენში თავს იჩენს უკვე შუაბრინჯაოს ხანაში, ხოლო შემდეგ თითქმის უწყვეტლევ არსებობს, თავისთავად მნიშვნელოვანი და ყურადღებას იმსახურებს, რომელიც მოითხოვს სათანადო განმარტებას მინის წარმოების უძველესი ფესვების და მის დასამზადებლად საჭირო ჩვევების გამოსავლინებლად.

ლითონის მძივებიდან აღსანიშნავია ანტიმონის მრგვალ-ბრტყელი მძივები, რომელთაგან ზოგიერთი დაკეჭნილია (სურ. 25, 30) და, ბრინჯაოს დაბალცილინდრული მძივები (ტაბ. XXXIII).

§ 4. ლითონის ნივთიერების ძირითადი შედგენილობა

კავკასიაში მოსახლე ქართველთა წინაპარ ტომებს ძველი საისტორიო მწერლობა დიდად დაწინაურებულ მელითონეებად გვისახავს¹. ეს რომ ასეა, ამას ადასტურებს არა ერთი არქეოლოგიური ძეგლი, რომელიც გაითხარა საქართველოს დღევანდელ ტერიტორიაზე და მის მომიჯნავე რაიონებში².

ჩვენთვის საინტერესო მხარის ბრინჯაოს უძველესი მეტალურგიის საკითხს რამდენიმე ავტორი შეეხო. მაგრამ მათ ნაშრომებში, ბუნებრივია, არ არის წარმოდგენილი გვიანბრინჯაოს ხანის ადრეული ეტაპის ნივთები — ამ დროის მასალა ქვემო ქართლიდან, როგორც ითქვა, აქამდე გამოვლენილი არ ყოფილა. აღნიშნული გარემოება უეჭველად ზრდის ინტერესს მადნისჭალის ბრინჯაოს ნივთთა მეტალოგრაფიულ შესწავლისადმი.

¹⁷⁵ ტ. ჩუბინიშვილი, დასახ. ნაშრ.

¹⁷⁶ Б. А. Куптин, დასახ. ნაშრ.

¹ ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, წიგნი პირველი, თბ., 1928, გვ. 18—20; გ. გობეჯიშვილი, არქეოლოგიური გათხრები საბჭოთა საქართველოში, გვ. 48.

² А. А. Нессен, К вопросу о древнейшей металлургии меди на Кавказе, Известия ГАНМК, вып. 120, М.-Л., 1935; Ф. Тавадзе и Т. Сакварелидзе, Бронзы древней Грузии, Тб., 1959; გ. გობეჯიშვილი, ძველი ქართული სამთავრო და მეტალურგიული წარმოების ნაშთები სოფ. დეზიდან, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, XIII, № 3, თბ., 1952, გვ. 183—190; ა. აფაქიძე, ანტიმონის წარმოების ისტორიისათვის საქართველოში, სსმმ, XIII—B, თბ., 1944; ც. აბესაძე, რ. ბახტაძე, თ. დვალაძე, თ. ჯაფარიძე, სპილენძ-ბრინჯაოს მეტალურგიის ისტორიისათვის საქართველოში, თბ., 1958; ც. აბესაძე, ლითონის წარმოება ამიერკავკასიაში ძვ. წ. III ათასწლეულში, თბ., 1969; И. А. Гзелишвили, დასახ. ნაშრომი და სხვ.

აქ მოპოვებული მრავალრიცხოვანი ბრინჯაოს ნივთებიდან სათანადო ანალიზი გაუკეთდა თორმეტს: ორ შუბისპირს, ექვს სატევარს, ორ საკინძს, ერთ საყურეს და ერთ სასაფეთქლე რგოლს (იხ. ცხრილი 1).

ცხრილი 1

ნივთის სა- ნეწტრო №	ნივთის დასა- ხელება	სპილენძი Cu	დარიშხანი As	კალა Sn	რკინა Fe	ნიკელი Ni	კობალტი Co	კრომი Cr	ტყვია Pb	ვარცხლი Ag	ანტიმონი Sb	თუთია Zn	ოქრო Au
199	შუბისპირი	89,54	5,0	0,01	0,006	0,005	—	გვ.	0,055	შ 0,01	0,025	0,015	—
146	"	93,20	4,0	2,0	0,005	0,012	—	"	0,28	"	0,1	0,05	—
108	სატევარი	90,17	6,75	0,01	გვ	0,025	—	"	0,17	"	0,05	—	გვ
118	"	88,54	0,05	8,84	0,02	0,011	—	"	0,1	"	0,06	—	გვ
124	"	91,61	4,5	1,5	0,005	0,011	გვ	"	0,28	"	0,4	0,055	—
200	"	91,5	2,5	5,12	0,25	0,005	გვ	"	0,08	"	0,075	0,05	გვ
201	"	91,13	5,62	1,5	გვ	0,013	—	"	0,18	"	0,05	0,027	—
147	"	91,09	4,8	3,03	0,02	0,005	—	"	0,18	"	0,1	0,07	გვ
6	თავზვია საკინძი	94,92	2,5	1,85	0,045	0,005	გვ	"	0,08	"	0,2	0,35	—
34	"	95,5	2,0	1,5	0,055	0,01	გვ	"	0,055	"	0,2	0,45	—
22	საყური	92,66	6,2	0,01	0,045	0,025	გვ	"	0,055	"	0,05	0,04	—
151	სასაფეთქლე რგოლი	92,40	—	6,07	0,2	0,011	გვ	"	0,055	"	0,8	0,07	—

ცხრილიდან ჩანს, რომ ბრინჯაოს ნაკეთობანი დამზადებულია დარიშხანიანი ბრინჯაოსგანაც (№ 22, 108, 199), კალიანი ბრინჯაოსგანაც (№ 118, 151) და კალა-დარიშხანიანი შენადნობისაგან. ბრინჯაოს შენადნობებში მეტწილად ორივე შემთხვევაში ელემენტია ერთად გამოყენებული — კალა და დარიშხანი (იხ. ცხრილში № 6, 34, 124, 146, 147, 200, 201 ნივთები).

ცნობილია, რომ საუკეთესო ხარისხის ბრინჯაო სპილენძთან ერთად კალის ან დარიშხანის 6-დან — 10-მდე პროცენტს უნდა შეიცავდეს. ვარდა ამ უმთავრესი ელემენტებისა, ბრინჯაოს ქიმიურ შედგენილობაში შეიძლება სხვა ლითონებიც იყოს (ანტიმონი, თუთია, ტყვია, ნიკელი, რკინა და სხვა). ხანდახან ისინი წინასწარგამიზნულადაა შეტანილი ამ რთულ შენადნობში, ხანდახან კი — ბუნებრივი მინარევების სახით³.

ძვ. წ. III ათასწლეულის ლითონის ნივთები ქვემო ქართლიდან, ან სრულეებით არ შეიცავენ კალას, ან მისი რაოდენობა ძალიან მცირეა — არ აღემატება 0,05 პროცენტს⁴. აქ სპილენძ-ბრინჯაოს შედგენილობაში ძირითადად დარიშხანია და ისიც საკმაოდ მცირე რაოდენობით (0,5—2,0%)⁵. დარიშხანის და კალის ასე მცირე რაოდენობით არსებობა შეიძლება ბუნებრივმა მინარევებმა მოგვეცეს⁶. არის შემთხვევები, როდესაც დარიშხანის რაოდენობა 3,54%-დან — 5,0%-მდე აღწევს⁷.

³ გ. გობეჯიშვილი, არქეოლოგიური გათხრები საბჭოთა საქართველოში, გვ. 48—49.

⁴ ც. აბესაძე, ლითონის წარმოება ამიერკავკასიაში ძვ. წ. III ათასწლეულში, იხ. წიგნის ბოლოში დართული ცხრილი.

⁵ იქვე.

⁶ Б. А. Богаевский, История техники, I, М.-Л., 1936, გვ. 392; Н. Otto, W. Witter, Handbuch der ältesten vorgeeschlichen Metallurgie in Mitteleuropa, Johann Ambrosius Barth-Verlag—Leipzig, 1952, გვ. 19.

⁷ ც. აბესაძე, დასახ. ნაშრ.

თუ ადრე, ჩვენთვის საინტერესო მხარეში მეტწილად გამოყენებული იყო ბუნებრივი შენადნობები, შუაბრინჯაოს ხანაში ძირითადად ხელოვნური შენადნობებია, რომლის შემუშავება რთულ ტექნოლოგიურ პროცესებს მოითხოვს⁸. გარდა დარიშხანიან-ანტიმონიან ბრინჯაოს მტკიცედ იკიდებს ფეხს კალიანი ბრინჯაო⁹. კალის რაოდენობა ზოგიერთ ბრინჯაოს ნივთში 10,96—13,96 პროცენტს აღწევს. არის დარიშხანიანი ბრინჯაოს ნივთებიც¹⁰. შუაბრინჯაოს ხანის ბრინჯაოს ნაკეთობათა ქიმიურ შედგენილობაში ჩნდება ანტიმონიც. ეს ლითონი ბუნებაში ხშირად დარიშხანის მადნეულის შედგენილობაში გვხვდება. ფიქრობენ, რომ ანტიმონი პირველად სწორედ ამ გზით — დარიშხანთან ერთად მოხვდა შენაერთში¹¹. მაგრამ ანტიმონიანი ბრინჯაო დარიშხანიან ბრინჯაოსთან შედარებით მყიდვად და ნაკლებ პლასტიკური: ამიტომ გამოსაქედად მოუხერხებელი¹².

გვიანბრინჯაოს ხანის ქვემო ქართლის ბრინჯაოს ნივთების ქიმიური ანალიზი გვიჩვენებს, რომ ისინი მეტწილად კალიანი ბრინჯაოსაგან კეთდებოდნენ¹³. კალის რაოდენობა ზოგიერთ ნივთში 12,19—13,69%-ს აღწევს¹⁴. ამ ტერიტორიიდან ქიმიურად შესწავლილი მხოლოდ ერთი შუბისპირია დარიშხანიანი ბრინჯაოსაგან ჩამოსხმული¹⁵.

რადგანაც დარიშხანის გამოყენება საშიშია ადამიანის ჯანმრთელობისათვის მისი მომშხამველი თვისებების გამო, გვიანბრინჯაოს ხანის მელითონეები, როგორც ჩანს, ერიდებიან მას¹⁶. აღნიშნულ ხანაში მელითონე ხელოსნები იმდენად დაეუფლნენ თავის საქმეს, რომ იმ შემთხვევაში, როდესაც ესაქიროებოდათ ჩამოსხმული ბრინჯაოს ნივთის ქედვით დამუშავება, ლითონის სიფიცხის თავიდან აცილების მიზნით მასში კალის რაოდენობას ზღუდავენ: თუ კი ნივთს აღარ გამოქედავენ, მაშინ მას მეტი რაოდენობით ურევდნენ კალს (10,0—14,0%), რაც აუმჯობესებს ბრინჯაოს ჩამოსასხმელ თვისებებს¹⁷.

როდესაც ერთმანეთს ვადარებთ შუაბრინჯაოსა და გვიანბრინჯაოს ხანის ქვემო ქართლის ბრინჯაოს ნივთების ქიმიური ანალიზის შედეგებს, ერთის მხრივ, მადნისქალის მასალების ქიმიურ შედგენილობას, მეორეს მხრივ, აშკარა ხდება, რომ მადნისქალის ბრინჯაოს ნივთები თავისი შედგენილობით ძა-

⁸ ც. აბესაძე, რ. ბახტაძე, თ. დვალის, ო. ჯაფარიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 29.

⁹ იქვე.

¹⁰ Ф. Тавадзе и Т. Сакварелидзе, დასახ. ნაშრ., გვ. 42—47, ცხრილი 5 და 6.

¹¹ იქვე, გვ. 41.

¹² იქვე.

¹³ ფ. თავაძე, თ. საყვარელიძე, ძველი ქართული ბრინჯაოს სატევრებისა და მახვილების ჩამოსხმა და დამუშავება, საქართველოს სსრ მეცნ. აკად. ლითონისა და სამთო საქმის ინსტიტუტის შრომები, VII, თბ., 1956, გვ. 345; მათივე, საქართველოს ტერიტორიაზე არქეოლოგიური გათხრებით ნაპოვნი ბრინჯაოს რგოლებისა და საკინძების დამზადების ტექნოლოგია, საქართველოს სსრ მეცნ. აკად. ლითონისა და სამთო საქმის ინსტიტუტის შრომები, VII, თბ., 1956, გვ. 359.

¹⁴ ც. აბესაძე, რ. ბახტაძე, თ. დვალის, ო. ჯაფარიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 72—73, ცხრილი 24.

¹⁵ იქვე.

¹⁶ Ф. Тавадзе и Т. Сакварелидзе, დასახ. ნაშრ., გვ. 48—67, ცხრილი 7 და 8.

¹⁷ იქვე, გვ. 50.

ლიან ახლოს დგანან როგორც წინამორბედ ხანის სათანადო მასალებთან, ისე მომდევნო ხანის ნივთებთან. ეს უაღრესად მნიშვნელოვანი მომენტი არა მარტო აღნიშნულ ხანათა მეტალურგიის განვითარების უწყვეტი პროცესის სავარაუდებლად, არამედ ამ კულტურათა ერთმანეთთან გენეტიკურად დაკავშირების თვალსაზრისითაც.


მართალია, მეტალოგრაფიული ანალიზების შედეგებით ეს ისე აშკარად არ იგრძნობა, და არც შეიძლება იგრძნობოდეს აღრებრინჯაოსა და შუაბრინჯაოს ხანის ნივთების ურთიერთშეჯერების დროს, რადგანაც, შუაბრინჯაოს ხანაში, როგორც ჩანს, ბრინჯაოს ხელოვნური შენადნობების ფართოდ გამოყენების შედეგად ქვემო ქართლში მოსახლე მელითონეებმა მკვეთრად გააუმჯობესეს ტექნოლოგიური პროცესები და, შესაბამისად, ლითონის ხარისხი. სამაგიეროდ არქეოლოგიური მონაპოვარის ტიპოლოგიური განვითარებიდან გამომდინარე (აქ ეს ეხება არა მარტო ლითონის ნივთებს, არამედ კერამიკას, სხვადასხვა მასალებიდან ნაკეთებ სამკაულსა და სხვა) სადღეისოდ უკვე აღიარებულია (ბ. კუფტონი, გ. გობეჯიშვილი, ო. ჯაფარიძე და სხვ.) ამ კულტურათა უშუალო მემკვიდრეობითი კავშირი.

როგორც აღრე აღინიშნა, უფრო რთულად დგას საკითხი ჩვენთვის საინტერესო მხარის შუა და გვიანი ბრინჯაოს ხანის კულტურათა დასაახლოებლად. მადნისჭალის სამაროვნის ბრინჯაოს ნივთების მეტალოგრაფიული ანალიზის შედეგები თითქოს საშუალებას იძლევა დავინახოთ ამ კულტურათა შორის არსებული კიდევ ერთი შუალედი რგოლი.

თარიღისათვის

ვიდრე უშუალოდ მადნისკალის სამაროვნის დათარიღების საკითხს შევეხებით, მოკლედ უნდა შევჩერდეთ თრიალეთის ორ ძეგლზე, რომელსაც არსებითი მნიშვნელობა აქვს განსახილველი სამაროვნის ქვედა ქრონოლოგიური საზღვრის დასადგენად.

1939 წელს ბ. კუფტინმა საბიდ-ახჩაზე გათხარა 28-ე გორასამარხი. იგი მდებარეობდა 29-ე ეტლიანი გორასამარხის გვერდით და წარმოადგენდა პატარა ზომის ქვაყრილიან გორასამარხს. O—W დამბრობილ ოთხკუთხა ორმოში, ადამიანის ცუდად დაცულ ჩონჩხთან ერთად თიხის ორი კურკელი აღმოჩნდა¹:



სურ. 40

1. უყურო დერგი (სურ. 40ა), შავპრიალა, მსხვილმარცვლოვანი თიხისა. კეცი შავია, შუაში ვარდისფერი შრით. აქვს კვერცხისებური ტანი


¹ Б. А. К у ф т и н, Археологические раскопки в Триалети, გვ. 81, ტაბ. LIX₃. ტექსტში მე-80 გვერდზე ნახსენები ტაბაწყურის გორასამარხი სწორად არ არის მითითებული. LIX₃ ტაბულაზე მოცემულია საბიდ-ახჩის 28-ე გორასამარხი და არა ტაბაწყურის. თავის საველე დღიურში, რომელიც ინახება საქართველოს მუზეუმის ფონდებში, ამ ძეგლის ირვლივ ბ. კუფტინს რაიმე სხვა ცნობა არ მოეპოვება.

და ბრტყელი ძირი. დამზადებულია სამეთუნეო მორგვზე. ჭურჭელს ჩამოტეხილი აქვს პირი და ყელის ნაწილი. ზომა: $h=32,0$ სმ; მუცლის $d=32,0$ სმ; ძირის $d=10,0$ სმ; კეცის სისქე — $0,6-0,7$ სმ.

დერგის მხარი შემკულია თხლად ამოღარული კონცენტრული წრეებით და ამგვარადვე ნაკეთები ტალღური ორნამენტით.

მოყვანილობით იგი ჰგავს, როგორც თრიალეთის შუაბრინჯაოს ხანის დერგებს (მაგალითად, VII და XVII გორასამარხებისას)², ისე გვიანბრინჯაოს ხანის დერგებს (მაგალითად, სამთავროს 73-ე ორმოსამარხის № 1450 ჭურჭელს³, მადნისქალის 25-ე სამარხის № 98 ჭურჭელს (სურ. 36; ტაბ. XXIX), კასპის სამაროვნის⁴, ბეშთაშენის 36-ე ორმოსამარხის⁵ და სხვა).

2. პირფართო ქოთანის (სურ. 40₁), მოყავისფრო, ზედაპირხაოიანი, ასიმეტრიული, საკმაოდ უხეში. ნაკეთებია ხელით მსხვილმარცვლოვანი კენჭბნარევი თიხისაგან. ზომა: $h=26,0$ სმ; პირის $d=20,0$ სმ, მუცლის $d=26,0$ სმ; ძირის $d=13,0$ სმ. ძირზე მას ირიბი კდეები შემოუყვება, რომელიც გივანი ბრინჯაოს ხანის ადრეული ეტაპის ჭურჭელს ახასიათებს⁶. მხარზე შემოსდევს უხეშად ამოკაწრული ტეხილი ხაზი. მუცელს ამშვენებს 3 რელიეფური სვასტიკა⁷.



სურ. 41

როგორც მოყვანილობით, ისე დამზადების ტექნიკით ეს ქოთანი მსგავსებას ამჟღავნებს არდასუბნის შუაბრინჯაოს ხანის ქოთანთან⁸.

² Б. А. Куфтин, *დასახ. ნაშრ.*, გვ. 381, ტაბ. LXXXIII₁; გვ. 387, ტაბ. LXXVI, LXXVII; გვ. 299, ტაბ. LXXXII.

³ ტ. ჩუბინიშვილი, *მცხეთის უძველესი...*, გვ. 37, ტაბ. XIV.

⁴ მ. ბარამიძე, *კასპის სამაროვანი*, გვ. 40—44, ტაბ. III₄.

⁵ საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ფონდები, *საინვ. № 42—64/253*.

⁶ ამ ორნამენტული მოტივის და მისი გავრცელების შესახებ დაწერილებით იხ. წინა თავში, სადაც ვიხილავთ II ჯგუფის მე-4 ტიპის ჭურჭელს.

⁷ ჭურჭლის სქემატური ჩანახაზი გამოქვეყნებულია: იხ. Б. А. Куфтин, *დასახ. ნაშრ.*, გვ. 85, სურ. 92. მაგრამ ავტორი არაფერს ამბობს კერამიკის რომელ ჯგუფს აკუთვნებს მას. გამოქვეყნებულ სურათზე ჭურჭლის პროფილი უზუსტოა: სინამდვილეში მას აქვს თითქმის ორჯერ უფრო ფართო ძირი (სურ. აქვე, სურ. 40₁). ხოლო ტანი შემკულია სვასტიკებით.

⁸ ნ. თუშიშვილი, *არდასუბნის შუაბრინჯაოს ხანის სამარხი*, გვ. 226, ტაბ. III₇.

ჩვენთვის საინტერესო მეორე ძეგლი, ტაბაწყურის 42-ე მიაწყრილიანი გორასამარხი⁹ ბ. კუფტინმა გათხარა 1940 წელს. O—W დამხრობილ ოთხკუთხა ორმოში აღმოჩნდა თიხის 2 კურკელი¹⁰:

1. ფართომუცლიანი, ძირვიწრო, შავპრიალა კურკელი (სურ. 41₁). აკლია პირი და ყელის ნაწილი. ნაკეთებია მორგვზე მსხვილმარცვლოვანი თიხისაგან. კეცი შავია. მხარზე შემოსდევს საპრიალო ხელსაწყოს საშუალებით დატანილი ორი წრე, რომელთა შორის მოთავსებულია მსგავსადვე ნაკეთები სამკუთხედები და ირიბი ზოლები. ამ ორნამენტს ქვემოთ სამი ფართო ღარი (კანელიური) შემოუყვება. ზომა: $h=18,0$ სმ; მუცლის $d=24,0$ სმ; ძირის $d=6,0$ სმ; კეცის სისქე $=0,4$ სმ.

ანალოგიური კერამიკა ცნობილია ბაიბურთის სამარხებიდან¹¹, მაგრამ ტაბაწყურის კურკელი შედარებით პატარაა.

2. ქოთანი (სურ. 41₂). მოყავისფრო; ნაკეთებია ხელით, საკმაოდ უხეშად, მსხვილმარცვლოვანი თიხისაგან. აქვს მცირედ გადმოშლილი პირი. დაბალი ყელი, ზედა ნაწილში გაფართოებული ტანი და ბრტყელი ძირი. ზომა: $h=28,0$ სმ; პირის $d=21,0$ სმ; მუცლის $d=27,5$ სმ; ძირის $d=12,0$ სმ; კეცის სისქე $=0,7—0,9$ სმ. მხარზე, საბიდ-ახჩის 28-ე გორასამარხის ქოთნის მსგავსად, ამოკაწრული ტეხილხაზოვანი ორნამენტი შემოუყვება; ძირის ნაპირები კი დაკდეული აქვს.

ბ. კუფტინი ორივე ამ ძეგლს ზოგადად იხილავს თრიალეთის შუაბრინჯაოს გორასამარხებთან ერთად¹².

საბიდ-ახჩის 28-ე და ტაბაწყურის 42-ე გორასამარხების კერამიკის ურთიერთშეჯერებისას ყურადღებას იქცევს ის გარემოება, რომ იქ აღმოჩნდა თითო შავი (მორგვზე ნაკეთები) და თითო მოყავისფრო (ხელით ნაკეთები) კურკელი, რომელიც ერთმანეთს უახლოვდება როგორც ფორმით, ისე შემკობით. თიხის სტრუქტურით, დაყალიბების ტექნიკით და სხვა. ამის გამო ორივე შემოსხენებული გორასამარხი თანადროულად გამოიყურება. სახელდობრ თუ რა ხანით უნდა დათარიღდნენ ისინი, ამაში გვეხმარება კერამიკული ფორმები, მათზე მოცემული შესამკობი სახეები და დამზადების ტექნიკა.

შავპრიალა კურკელზე მოცემული ორნამენტი საერთოდ დამახასიათებელია გვიანბრინჯაოს ხანისათვის. ასე მაგალითად, თხლად ამოღარული კონცენტრირებული წრეები ფართოდ არის გავრცელებული ბეშთაშენის¹³, მადნისქალის (ტაბ. XXI—XXX), სამთავროს¹⁴, კასპის¹⁵, ხოვლეგორის¹⁶, ქვასათალის¹⁷ და სხვათა კერამიკულ ნაწარმზე. გვიანბრინჯაოს ხანაში ასევე გავრ-

⁹ Б. А. Куфтин, დასახ. ნაშრ., გვ. 80. ნაშრომში აღნიშნული გორასამარხი მოხსენებულია, როგორც ქვაყრილიანი. მითითებულ LIX₃ ტაბულაზე, როგორც ითქვა, მოცემულია საბიდ-ახჩის 28-ე გორასამარხი, რაც ჩანს აღწერილობიდანაც ნაშრომის 225-ე გვერდზე.

¹⁰ სხვა მონაცემები ბ. კუფტინს არც საველე დღიურში მოეპოვება.

¹¹ Б. А. Куфтин, დასახ. ნაშრ., გვ. 76, ტაბ. LVII.

¹² იქვე, გვ. 80—81, 97—100.

¹³ იქვე, ტაბ. XLVII; რ. აბრამიშვილი, რკინის ათვისების... ტაბ. II₂; ვერთვე, იხ. ბეშთაშენის № 4, 18, 20, 26, 33 და სხვა სამარხების კურკელი, მუზეუმის ფონდების სიიხე. № 42—64/21, 95, 136, 138, 168, 172, 173, 198, 230 და სხვ.

¹⁴ ტ. ჩუბინიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 65—67, ტაბ. XIV.

¹⁵ მ. ბარამიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 41.

¹⁶ დ. მუსხელიშვილი, დასახ. ნაშრ.

¹⁷ ო. ჯაფარიძე, მასალები გვიანბრინჯაოს ხანის არქეოლოგიისათვის შიდა ქართლიდან, ტაბ. I, III₁.

ცლებული ჩანს ამოდარული და ამოკაწრული ტეხილხაზოვანი და ტალღური ორნამენტი (მადნისქალა — № 1, 19, 68, 98 და 112 ქურქლები, ბეშთაშენი¹⁸, კასპი¹⁹, ხოვლე²⁰, სტალინირის ნაცარგორა²¹, დიდუბე²² და სხვა). ამავე პერიოდისათვისაა დამახასიათებელი ტაბაწყურის 42-ე გორასამარხის ქურქელზე საპრილო ხელსაწყოს საშუალებით დატანილი ორნამენტი, რომელიც ახლო მსგავსებას ამჟღავნებს მადნისქალის (№ 1), ღრმა-ღელის²³, ბეშთაშენის²⁴, სამთავროს²⁵, კახეთის სხვადასხვა ძეგლების²⁶ და სხვა მასალებთან.

აღსანიშნავია, რომ საბიდ-ახჩის და ტაბაწყურის შავპრილა ქურქელი ზედაპირის დამუშავებით ძალიან ჰგავს შუაბრინჯაოს ხანის თრიალეთურ ქურქელს; კეცის სტრუქტურით და დამზადების ტექნიკით კი უფრო გვიან — ბრინჯაოს ხანის ქურქელს უახლოვდება.

თრიალეთური კერამიკა უკანასკნელ ხანებში ახლებურად შეისწავლა ე. გოგაძემ²⁷. მან თიხის ქურქლისათვის შეიმუშავა ორიგინალური კლასიფიკაცია, რომლის მიხედვით, ტაბაწყურის 42-ე და საბიდ-ახჩის 28-ე გორასამარხებში მოპოვებული შავი ქურქელი თრიალეთის შუაბრინჯაოს ხანის კერამიკის არც ერთ ჯგუფში არ თავსდება. ისინი მიკუთვნებულია ამ კულტურის დასასრულისადმი, უფრო სწორედ, შუაბრინჯაოდან გვიანბრინჯაოზე გარდამავალი ხანისადმი²⁸.

ყოველივე ზემოთქმულის შედეგად, ტაბაწყურის 42-ე და საბიდ-ახჩის 28-ე გორასამარხები შუაბრინჯაოდან გვიანბრინჯაოს ხანაზე გარდამავალი საფეხურით უნდა დათარიღდნენ. ამას მეტყველებს კერამიკაზე არსებული ორივე ამ ხანისათვის დამახასიათებელი ნიშნების შერწყმა. აღნიშნულ გორასამარხებზე რამდენადმე ხნიერი ბაიბურთის სამაროვანი უნდა იყოს.

რაც შეეხება იმ ადგილს, რომელიც უნდა დაიკავოს მადნისქალის სამაროვანმა ქვემო ქართლის გვიანბრინჯაოს ხანის სხვა ძეგლთა შორის, ჩვენ შემდეგი მოსაზრებით ვხელმძღვანელობთ.

შუაბრინჯაოს ხანის თრიალეთის გორასამარხების განხილვის შედეგად ბ. კუფტინი მიუთითებს, რომ ჯერ კიდევ ძნელია სრული დამაჯერებლობით მათი პერიოდიზაცია²⁹. ამისდა მიუხედავად, მისი აზრით, ისინი საკმა-

18 № 13, 18, 28, 37 და სხვა სამარხები, საინვ. № 42—64/94, 138, 208, 261, 262 და სხვ.

19 მ. ბარამიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 41.

20 დ. მუსხელიშვილი, დასახ. ნაშრ.

21 გ. გობეჯიშვილი, სტალინირის ნაცარგორა.

22 დ. ქორიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 162—164, ტაბ. XXXI, სურ. 15.

23 იქვე, გვ. 126, 127.

24 № 18 და 20 ორმოსამარხები, საინვ. № 42—64/133, 168.

25 ტ. ჩუბინიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 56.

26 კ. ფიცხელაური, ორალაზნის აუზის..., გვ. 41.

27 ე. გოგაძე, თრიალეთის ყორღანული კულტურის პერიოდიზაციისა და გენეზისის შესახებ, თბ., 1968, ხელნაბეჭდი.

28 იქვე.

29 Б. А. К у ф т и н, დასახ. ნაშრ., გვ. 99; მისივე, Археологические раскопки 1947 года в Цалкинском районе, თბ., 1942, გვ. 21; მისივე, К вопросу о древнейших корнях грузинской культуры на Кавказе по данным археологии, გვ. 307.

რისი სიზუსტით ჯდებიან ძვ. წ. II ათასწლეულის შუახანების ქრონოლოგიურ ჩარჩოში³⁰.

კლ. შეფერმა, წინა აზიის და ხმელთაშუა ზღვის მასალების მოშველიებით, რამდენადმე დააზუსტა ბ. კუფტინის მიერ შემოთავაზებული ზოგადი თარიღი. მან შეადარა თრიალეთის XV გორასამარხის ვერცხლისსალტიანი შუბისპირი შაგარ ბაზრის და რას შამრა-უგარიტის მსგავს იარაღს, რომელიც უკანსკნელ ძეგლზე ხმარებაში შესულა დაახლოებით ძვ. წ. 2000 წლიდან³¹. მათი ტიპოლოგიურ-ორნამენტული ანალიზის საფუძველზე ავტორმა დაასკვნა რომ თრიალეთის შუბისპირი მეტ მსგავსებას პოულობს შედარებით მოგვიანო უგარიტის I პერიოდის და II პერიოდის დასაწყისის (დაახლოებით ძვ. წ. 1550—1400 წწ.) შუბებთან. მაგრამ ყველაზე დიდ სიახლოვეს იგი მაინც მიკენის მახლობლად, კეფალარის ბორცვზე, ერთ-ერთ დაუზიანებელ სამარხში მოპოვებულ შუბისპირებთან ამკლავნებს. აღნიშნული სამარხის თარიღი კარგად დგინდება შიგ აღმოჩენილი გვიანელადური III ტიპის კერამიკით (ძვ. წ. 1450—1350 წწ), რომლის მსგავსი რას შამრაშიაც მოიპოვება³².

თრიალეთის და კეფალარის შუბებში დიდ მსგავსებასთან ერთად არსებობს ერთგვარი სხვაობაც, რომელიც მიუთითებს თრიალეთის შუბების ადრეულობაზე; ამიტომ კლ. შეფერი მას ძვ. წ. 1450 წლით ათარიღებს³³.

კ. ბერნეის უფრო სიღრმეში გადააქვს თრიალეთის შუაბრინჯაოს ხანის ბრწყინვალე კულტურის ასაკი. ძირითადად კერამიკის მიხედვით იგი იძლევა გორასამარხთა თავისებურ ქრონოლოგიურ თანმიმდევრობას და ათავსებს მათ ძვ. წ. XXI—XVIII სს-თა ჩარჩოში³⁴.

ა. იესენის აზრით, თრიალეთის გორასამარხები ძვ. წ. XVII—XV სს-ით უნდა დათარიღდნენ³⁵.

ა. მარტიროსიანი სომხეთის შუაბრინჯაოს ხანის ძეგლებში გამოყოფს სამ პერიოდს. III პერიოდს იგი ძვ. წ. XVI—XV სს-ით ათარიღებს და მასში შეჰყავს თრიალეთ-კიროვაკანის ტიპის ძეგლები³⁶.

რამდენადმე განსხვავებული შეხედულებისაა ო. ჯათარძე. შუაბრინჯაოს ხანის თრიალეთის ბრწყინვალე კულტურის ქვედა და ზედა ქრონოლოგიურ საზღვრებს იგი ძვ. წ. XIX—XVIII სს-თა მიჯნით და ძვ. წ. XVI საუკუნით განსაზღვრავს³⁷.

ე. გოგაძე, თრიალეთის შუაბრინჯაოს ხანის გორასამარხთა შორის ყველაზე ახალგაზრდად XV გორასამარხს და მის ჯგუფში შემავალ სხვა ანალოგი-

³⁰ Б. А. Куфтин, Археологические раскопки в Триалети, гл. 99; მის ავე, Археологические раскопки 1947 года..., гл. 21.

³¹ Claude F. A. Schaeffer, Stratigraphie comparée et chronologie de l'Asie Occidentale (III—II millénaire), London, 1948, გვ. 511.

³² იქვე, გვ. 511—512.

³³ იქვე.

³⁴ С. А. Барней, Eastern Anatolia in the Chalcolitic and Early Bronze Age, გვ. 175—178.

³⁵ А. А. Иессен, Из истории прошлого Мальско-Карабахской степи, Труды Азербайджанской археологической экспедиции, II, М.-Л., 1965, гл. 18.

³⁶ А. А. Мартиросян, Армения в эпоху бронзы..., гл. 47—56.

³⁷ ო. ჯათარძე, არქეოლოგიური გათხრები თრიალეთში, 1969, გვ. 242—248, 272.

ურ სამარხ-ნაგებობებს (I ბეიუქ-თეფე, II — მცორე ბეიუქ-თეფე, VII გორასამარხი) ათავსებს და მათ ძვ. წ. XVI—XV სს-ით ათარიღებს³⁸.

როგორც დავინახეთ, თრიალეთის შუაბრინჯაოს ხანის გორასამარხთა კულტურის ზედა ქრონოლოგიურ საზღვრად მკვლევართა უმრავლესობა ძვ. წ. XV ს-ს მიიჩნევს; კლ. შეფერი აზუსტებს მას და დაახლოებით 1450 წლით განსაზღვრავს.

აღნიშნულ თარიღს იზიარებს რ. აბრამიშვილი და ეყრდნობა მას აღმოსავლეთ საქართველოს გვიანბრინჯაო — ადრერკინის ხანის მთელი რიგი ძეგლის დათარიღების დროს³⁹. ავტორი ვარაუდობს, რომ ძვ. წ. 1450 წელზე უფრო ადრეული არ უნდა იყოს შიდა ქართლის ე. წ. გვიანბრინჯაოს ხანის ადრეული ეტაპის ძეგლები და ამიტომ ისინი დაახლოებით ძვ. წ. XV ს-ის II ნახევრით და ძვ. წ. XIV ს-ით უნდა დათარიღდნენ⁴⁰. ეს ვარაუდი, რა თქმა უნდა, ვრცელდება ქვემო ქართლის ძეგლებზეც. ამიტომ გვიანბრინჯაოს ხანის ყველაზე ადრეული ძეგლი, აღნიშნული მოსაზრების თანახმად ძვ. წ. 1450 წელზე ღრმად ვეღარ გადაიწევს.

მასალის ტიპოლოგიურ-ქრონოლოგიური განხილვიდან ჩანს, რომ მდნისქალის სამაროვანი გვიანი ბრინჯაოს ხანის ადრეული ეტაპის ძეგლია. ამას შეტყვევებს როგორც ცალკეული ნივთები (ბრინჯაოს ბრტყელი სატევრები, ბრინჯაოს მასრაგახსნილი შუბისპირები, ბრინჯაოს თავხვია საკინძები, თიხის ზოგოვანი ქურქელი და სხვა), ისე ძეგლის მთლიანი ხასიათი. მიუხედავად ამისა, მდნისქალის სამაროვანი დროის მიხედვით ვერ მოთავსდება XV ს-ის II ნახევარში, რადგანაც აქ უნდა ჩაჯდეს ტაბაწყურის 42-ე და საბიდ-ახჩის 28-ე გორასამარხები, რომლებიც ასაკობრივად წინ უსწრებენ მდნისქალის სამარხებს. გარდა აღნიშნული ძეგლებისა, XV ს-ის II ნახევარში ადგილი უნდა დაეთმოს ბაიბურთის სამაროვანსაც. მართალია, მის შესახებ გარკვევით რაიმეს თქმა ჯერჯერობით ძნელია (ვიდრე არ გაითხრება მსგავსი მასალის შემცველი სხვა ძეგლები)⁴¹, მაგრამ მასალის სტილისტური ანალიზით ვარაუდობენ, რომ ბაიბურთის სამაროვანი შუაბრინჯაოსა და გვიანბრინჯაოს ხანის ადრეული ეტაპის ძეგლებს შორის უნდა მოექცეს⁴².

მაშასადამე, მდნისქალის სამაროვანი ძვ. წ. XIV ს-ის დასაწყისზე ადრეული ხანით არ შეიძლება დათარიღდეს. რაც შეეხება სამაროვნის ზედა ქრონოლოგიურ საზღვარს, აქ გადაჭრით რაიმეს თქმა ძნელია. ის გარემოება, რომ სამაროვნის ტერიტორიაზე ბევრი სამარხია თავმოყრილი (ჩვენი ვარაუდით სულ ცოტა 500—600 სამარხზე ნაკლები არ უნდა იყოს), უნდა ვიფიქროთ, რომ იგი ხანგრძლივი დროის განმავლობაში მოქმედებდა. სავარაუდოებელია, რომ სამაროვანს თითქმის მთლიანად მოეცვა ძვ. წ. XIV საუკუნე და, შესაძლებელია, ძვ. წ. XIII ს-ის I ნახევარშიც გადასულიყო.

38 ე. გოგაძე, დასახ. ნაშრ.: Э. М. Гогодзе, К вопросу о генезисе и периодизации курганной культуры Триалети, ძველი ისტორიის საკითხები, თბ., 1970.

39 რ. აბრამიშვილი, რკინის ათვისების საკითხისათვის..., გვ. 314.

40 იქვე.

41 Б. А. Куфтин, Археологические раскопки в Триалети, გვ. 75—77.

42 ზ. შატბერაშვილი, მასალები შიდა ქართლის შუაბრინჯაოს ხანის კულტურისათვის, თბ., 1969, ხელნაწერი.

აღსანიშნავია ისიც, რომ აქ რკინის არც ერთი ნივთი ან მისი არსებობის მანიშნებელი სხვა რაიმე კვალიც კი არ აღმოჩენილა. მადნისკალის სამაროვანის ზოგიერთ სამარხს შორის ხერხდება ასაკობრივი სხვაობის დადგენაც: არის ისეთი სამარხები, რომელთა მშენებლობის დროს დაზიანებულია მათზე ადრე აგებული სამარხები. აქედან გამომდინარე დგინდება, რომ მე-5 სამარხი აგებულია მე-9 სამარხზე ადრე; მე-14 სამარხი კი მე-4, მე-5 და მე-6 სამარხებზე ადრე (ტაბ. VI). 29-ე და 30-ე სამარხები 26-ე სამარხზე ადრეა აგებული; 26-ე სამარხი 35-ზე სამარხზე ადრეულია (ტაბ. XV) და სხვ.

მიუხედავად ამისა, მოპოვებული ნივთების მიხედვით სამარხებს შორის ასაკობრივი სხვაობის დაჭერა არ ხერხდება, რადგანაც მასალა იმდენად ტიპურია, რომ თითქმის არ განირჩევა ერთმანეთისაგან.

მეურნეობის და კულტურის ვითარება

(დასკვნა)

მადნისჭალის სამაროვნის ვათხრამდე ქვემო ქართლში გამოვლენილი თანადროული მცირერიცხოვანი სამარხები, როგორც შეიძლება იყოს წოფის და ბეშთაშენის რამდენიმე სამარხი, ხადიკის გორასამარხები, თეთრი წყაროს № 4 გორასამარხი, არ იძლეოდნენ საკმარის მასალას საკვლევი პერიოდის დასახასიათებლად.

ამ ძეგლების ერთმანეთთან შედარება ააშკარავებს გვიანბრინჯაოს ხანის ადრეული ეტაპის ქვემო ქართლში მოსახლე ტომების კულტურულ და ეთნიკურ ერთიანობას. ეს კარგად ჩანს სხვადასხვა ტიპის სამარხ-ნაგებობათა ერთნაირ აღნაგობაში, მიცვალებულთა დაკრძალვის ერთნაირ წესში, და, რაც მთავარია, მთელი არქეოლოგიური მონაპოვრის (კერამიკა, იარაღი, სამკაული, შესამკობი ორნამენტული სახეები და სხვა) მიხედვით.

ეს ხანა აქამდე სხვადასხვა ძეგლზე სხვადასხვა ტიპის სამარხებით იყო წარმოდგენილი. ხადიკში ქვების წრით შემოფარგლული გორასამარხებია, სადაც სამსხვერპლოც იყო; თეთრ წყაროში — ქვაყრილიანი გორასამარხი, რომლის კამერა ფილაქვებით იყო შეკრული; წოფში — ფილაქვებით დახურული და ქვების წრით შემოფარგლული ორმოსამარხები; ბეშთაშენში — ჩვეულებრივი ორმოსამარხები და ქვისსამარხები. ამას შეეძლო მივეყვანეთ მცდარ დასკვნამდე: ერთი კუთხის სხვადასხვა რაიონისათვის მიცვალებულთა დაკრძალვის განსხვავებული წესი გვევარაუდნა. ეს კი კიდევ უფრო მეტად შეგვიყვანდა შეცდომაში, ვინაიდან განსხვავებული დაკრძალვის წესი ხშირად განსხვავებული ეთნიკური ჯგუფების არსებობას მეტყველებს. მაგრამ მადნისჭალაში ყველა ზემოხსენებულ სამარხთა ტიპები ერთ სამაროვანზეა თავმოყრილი გვერდიგვერდ. ამან საშუალება მოგვცა დაგვეჭირა გვიანბრინჯაოს ხანის ადრეული ეტაპის ქვემო ქართლში მოსახლე ტომების ერთმანეთთან ეთნიკური სიახლოვე, ხოლო სამარხთა განსხვავებული აღნაგობა დაგვეკავშირებინა პირველყოფილი თემური წყობილების რღვევასთან, გამოგვეყო სოციალურად და ეკონომიურად სხვადასხვა საფეხურზე მდგომი ჯგუფები. აქ გვაქვს გორასამარხები, სადაც ტომის ბელადები ან საზოგადოების ერთ-ერთი ყველაზე უფრო დაწინაურებული წევრები უნდა დაემარხათ; ქვისწრეებიანი სამარხები, სადაც, ალბათ, საზოგადოების ზედა ფენის წარმომადგენლებს ასაფლავებდნენ; ამავე საზოგადოების რიგითი წევრების სამარხები — ჩვეულებრივი ორმოსამარხები, ქვისსამარხები და სხვა. ამასვე მეტყველებს სამარხებში მოპოვებული ინვენტარიც, რომელიც შესაბამისად ერთმანეთისაგან გამოირჩევა

სიმდიდრით. განსხვავება შეინიშნება დაკრძალვის რიტუალშიაც. ასე მაგალითად, ზოგიერთ გორასამარხში ძირითადი კამერის გვერდით დამატებით მოწყობილია კიდევ სხვა სამარხები და სამსხვერპლო (ხადიკი, მადნისქალა). მადნისქალის II გორასამარხში უუფლებო პირის გაყოლების ფაქტიც დადასტურდა და სხვ. ყოველივე ეს, როგორც არა ერთხელ აღინიშნა, გვაროვნული საზოგადოების რღვევის გაღვივებას გვაუწყებს. გვიანბრინჯაოს ხანის ადრეულ ეტაპზე ეს სავსებით კანონზომიერი მოვლენა უნდა ყოფილიყო.

შუაბრინჯაოს ხანის ქვემო ქართლის კულტურის ანალიზმა მეცნიერები იმ დასკვნამდე მიიყვანა, რომ უკვე მაშინაც საკმაოდ ღრმად გაუდგამს ფესვები გვაროვნული არისტოკრატიის გამოყოფის პროცესს. თრიალეთური მოსახლეობა შესდგომია საზოგადოების განვითარების „სამხედრო დემოკრატიის“ საფეხურს. დაიწყო პირველყოფილი საზოგადოების რღვევა და კლასობრივი საზოგადოების ჩანასახის ფორმირება¹. ეს პროცესი გრძელდება და ვითარდება გვიანბრინჯაოს ხანის ადრეულ ეტაპზეც. კიდევ უფრო წინაურდება მეურნეობისა და ხელოსნობის ზოგიერთი დარგი.

გვიანბრინჯაოს ხანის ადრეულ ეტაპზე ქვემო ქართლის მოსახლეობას ათვისებული ჰქონდა როგორც მთიანი რაიონები (ბეშთაშენი, ხადიკი), ისე მთისწინა ზოლი (თეთრი წყარო) და ბარი (მადნისქალა, წოფი). აღნიშნული ფაქტი უკვე თავისთავად გვაუწყებს სოფლის მეურნეობის წამყვანი დარგების სწრაფ განვითარებას. საამისო პირობებს, როგორც ადრე დავინახეთ, ქმნიდა კარგი და მრავალფეროვანი გეო-კლიმატური პირობები: ნოყიერი ნიადაგები, საზამთრო და საზაფხულო საძოვრები, მთისა და ბარის მონაცვლეობა, მრავალრიცხოვან ხეობებში და ხევებში ჩამომდინარე წვირლ მდინარეთა და წყარო-ნაკადულების ფართო ქსელი, რომელიც ხელს შეუწყობდა სარწყავი მიწების ათვისებას და სხვ. ყოველივე ეს უმნიშვნელოვანესი წინაპირობაა ადამიანთა საზოგადოების ნორმალური ცხოვრება-განვითარებისათვის.

წინააზიური სამიწათმოქმედო კულტურებისაგან განსხვავებით, სადაც გარემო პირობებმა ადრევე აიძულა მოსახლეობა მიწის დამუშავების ინტენსიურ წესზე გადასულიყო და სარწყავი სისტემა შეექმნა, აღმოსავლეთ საქართველოში, როგორც ჩანს, თავიდანვე ურწყავ მიწათმოქმედებას ეყრება საფუძველი². საზოგადოების ბუნებრივ განვითარებასთან ერთად, ვითარდებოდა მიწათმოქმედებაც, ხდებოდა ახალი მიწების ათვისება და ა. შ. მაგრამ მიწათმოქმედება არ იცვლიდა თავის ხასიათს და დაახლოებით იგივე რჩებოდა. ბრინჯაოსა და მისი უწინარესი ხანის ქვემო ქართლში, როგორც ჩანს, ერთი კულტურის მატარებელი საზოგადოება იჯდა, რომელიც თაობიდან თაობაზე გადასცემდა საუკუნეების განმავლობაში ადგილობრივ პირობებში გამოიმუშავებულ სამიწათმოქმედო ჩვევებს³.

¹ Б. А. Куфтин, Древнейший очаг грузинской культуры в Триалети, თბ., 1949, გვ. 21; Г. А. Меликишивили, К истории древней Грузии, თბ., 1959, გვ. 162.

² ი. კიკვიძე, მორწყვა ძველ საქართველოში, თბ., 1963, გვ. 42; ი. ჯაფარიძე, არქეოლოგიური გათხრები თრიალეთში, თბ., 1969, გვ. 6—7.

³ ი. ჯაფარიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 6—7.

სადღეისოდ არსებული მონაცემების მიხედვით, ძვ. წ. V—IV ათასწლეუ-
ლიდან მაინც, ამიერკავკასიაში მიწათმოქმედება საკმაოდ განვითარებული
იყო⁴. ამის არა ერთი დამადასტურებელი საბუთი ქვემო ქართლშიც მოიპო-
ვება. ასე მაგალითად, თეთრ წყაროში, შულავერში, იმირის გორაზე, არუხ-
ლოში, წოფში და სხვ. აღმოჩნდა სამიწათმოქმედო იარაღები (ნამგლის ჩასარ-
თები, ხელსაფქვავეები და სხვა), მიწათმოქმედების პროდუქტები — ხორბლის
სახით და მარცვლეულისა და სხვა პროდუქტების შესანახი ორმოები და ჭურ-
ქელი⁵.

მიწათმოქმედების შემდგომი განვითარება ჩანს მომდევნო ხანის ძეგლებ-
ზე თეთრი წყაროდან⁶, ბედენიდან⁷, თრიალეთიდან⁸ და სხვ. თეთრ წყარო-
ში ხორბალთან ერთად იმხანად ვაზის კულტურის არსებობის მანიშნებე-
ლი ყურძნის წიპწებიც აღმოჩნდა⁹.

მიწათმოქმედების გვერდით ვითარდებოდა და სულ უფრო ფართო მასშ-
ტაბებს იღებდა მესაქონლეობა¹⁰. უძველეს დროიდან იგი მეურნეობის ერთ-
ერთი წამყვანი დარგი იყო ქვემო ქართლშიაც. ამას მოწმობს შინაურ ცხო-
ველთა ძვლების მრავალრიცხოვანი აღმოჩენები¹¹, თეთრ წყაროსთან გათხრი-
ლი საქონლის დასაბინავებელი ფარეხი მწყემსებისათვის გამოყოფილი სათა-
ნადო სათავსოებით¹², შინაურ ცხოველთა გამოსახულებანი და სხვა.

ჩვენს ხელთ არსებული გვიანბრინჯაოს ხანის აღრეული ეტაპის მასალებ-
ით ძალიან ძნელია იმის დადგენა, თუ მეურნეობის რომელი დარგი იყო უფ-
რო დაწინაურებული ქვემო ქართლში — მიწათმოქმედება თუ მესაქონლეობა.
ბევრი ავტორი ფიქრობს, რომ გვიანბრინჯაოს ხანის ამიერკავკასიაში, კერ-
ძოდ — აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე მოსახლეობა უმთავრესად

⁴ Возникновение и развитие земледелия, М., 1967, გვ. 83—87; Т. А. Бунятов, Земледелие и скотоводство в Азербайджане в эпоху бронзы, Баку, 1957, გვ. 30—73; Археологические исследования в Азербайджане, Баку, 1965, გვ. 45—53; Б. Б. Пнотровский, Развитие скотоводства в древнейшем Закавказье, СА, 1955, т. 23, გვ. 6—9; Н. И. Вавилов, Пшеница в Абиссинии, Л., 1931, გვ. 230; ტ. ჩუბინიშვილი, მტკვრისა და არაქსის..., გვ. 7—13; ი. კიკვიძე, დასახ. ნაშრომი.

⁵ გ. გობეჯიშვილი, თეთრი წყაროს არქეოლოგიური ექსპედიციის 1955—1958 წწ...; თ. ჯაფარიძე, ა. ჯავახიშვილი, ქვემო ქართლის არქეოლოგიური ექსპედიციის შედეგები (1965—1966 წწ.). გვ. 293—294; О. М. Джапаридзе, А. И. Джавахишвили, Результаты работ..., გვ. 19—26; ტ. ჩუბინიშვილი, ქვემო ქართლის არქეოლოგიური ექსპედიციის 1966 წლის..., გვ. 21—25; ტ. ჩუბინიშვილი, კ. კვიციანიძე, გ. ნიკოლაიშვილი, კ. შატრონაშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 4—5; მ. ჯალაბაძე, აღმოსავლეთ საქართველოს სამიწათმოქმედო იარაღების ისტორიიდან, თბ., 1960, გვ. 10—25.

⁶ გ. გობეჯიშვილი, დასახ. ნაშრომი.

⁷ გ. გობეჯიშვილი, ახალი არქეოლოგიური აღმოჩენა თეთრი წყაროს რაიონში, გვ. 35.

⁸ Б. А. Куфтин, Археологические раскопки в Триалети, გვ. 100.

⁹ გ. გობეჯიშვილი, თეთრი წყაროს არქეოლოგიური ექსპედიციის...

¹⁰ Возникновение и развитие земледелия, გვ. 85—87.

¹¹ იხ. მე-4 სქოლიოში დასახელებული ლიტერატურა.

¹² გ. გობეჯიშვილი, დასახ. ნაშრომი.

მიწათმოქმედებას მისდევდა: თესავდა ხორბალს, ქერს, ლომს და სხვა¹³. სასოფლო-სამეურნეო ტექნიკისა და ხელსაწყო-იარაღების გნვითარებასთან დაკავშირებით მიწათმოქმედება ახალ მაღალ საფეხურზე ადის. მიწას აფხვიერებენ მარტივი სახვნელით, გამწვევ ძალად იყენებენ ხარს¹⁴. მკიან ლითონის ნამგლით (ბეშთაშენში კაჟის ნამგლის ჩასართიცაა), ხორბალს ლეწავენ კვერით, მიწის დამუშავებისას იყენებენ თოხს¹⁵.

ი. კიკვიძეს მიაჩნია, რომ მიწათმოქმედება ძირითადად მთისწინა ზოლში უნდა ყოფილიყო, რადგანაც რწყვა პრიმიტიულ ხასიათს ატარებდა და ხორციელდებოდა წყარო-ნაკადულების დახმარებით¹⁶.

თანამედროვე მაგალითების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, ქვემო ქართლის მთაში და მთისწინეთში ურწყავი მიწათმოქმედება უნდა ყოფილიყო. ადვილი მოსალოდნელია, რომ იგი არც კი ჩამორჩებოდა იმ რაიონებს, სადაც ხელოვნური რწყვის შესაძლებლობაა.

ზემოთქმულიდან ჩანს, რომ გვიანბრინჯაოს ხანაში მიწათმოქმედება საკმაოდ დაწინაურებული იყო. ამ ხანის ადრეულ საფეხურზე ქვემო ქართლში მიწათმოქმედების არსებობას პირდაპირ გვაუწყებს ის ფაქტიც, რომ მადნის-ქაღის ერთ-ერთ ქურქელზე (№ 112; ტაბ. XXI) პურის თავთავია გამოსახული. სხვაგვარად ძნელი წარმოსადგენია, რომ მეთუნეებს პურის თავთავი შემკობის ერთ-ერთ სახედ გამოეყენებიათ. ამით ხაზი აქვს გასმული მის მნიშვნელობას.

ზოგი ავტორი საქართველოს მთელი რიგი რაიონისათვის მიწათმოქმედების და მესაქონლეობის თანაბარ განვითარებას ვარაუდობს¹⁷. ეს დებულება სავსებით მისაყენებელია ქვემო ქართლისთვისაც.

ფიქრობენ, რომ გვიანბრინჯაოს ხანაში მესაქონლეობა უკვე გამოყოფილია მიწათმოქმედებისაგან, რადგანაც მომთაბარე მესაქონლეები ისე ინტენსიურად ველარ ახერხებენ მიწის მოვლას და ამის შედეგად პროდუქტების საკ-

¹³ ა. აფაქიძე, ბაკურციხის არქეოლოგიური ძეგლები, გვ. 89; Б. Б. Пиотровский, Археология Закавказья, გვ. 70—71; Г. М. Меликишвили, О происхождении грузинского народа, თბ., 1952, გვ. 26; გ. მელიქიშვილი, საქართველოში კლასობრივი საზოგადოების და სახელმწიფოს წარმოქმნის საკითხისათვის, თბ., 1955, გვ. 74; Б. Б. Пиотровский, Развитие скотоводства..., გვ. 13; Т. А. Бунятов, დასახ. ნაშრ., გვ. 73; Г. А. Меликишвили, К истории древней Грузии, გვ. 192—193.

¹⁴ Б. Б. Пиотровский, Археология Закавказья, გვ. 71; Г. А. Меликишвили, დასახ. ნაშრ., გვ. 74—75; Т. А. Бунятов, დასახ. ნაშრ., გვ. 72; О. А. Абибулаев, Первые итоги раскопок Кюль-тепе, Материалы по истории Азербайджана, т. II, Баку, გვ. 96; კ. ფიცხელაური, იორ-ალაზნის აღზის..., გვ. 49.

¹⁵ J. de Morgan, Mission scientifique au Caucase, t. I, გვ. 59; Я. Гуммель, Курган № 2 близ Ханлара, КСИМК, XXIV, გვ. 55—58; Б. А. Куфтин, К вопросу о ранних стадиях..., გვ. 19; Б. Б. Пиотровский, დასახ. ნაშრ., გვ. 71; მისივე, Развитие скотоводства..., გვ. 12—13; ტ. ჩუბინიშვილი, მიცვალებულის კერზე დასაფლავება საქართველოში, საქართველოს სსრ მეცნ. აკად. მოამბე, ტ. 13, № 1, 1951, გვ. 61—67; საქართველოს ისტორია, ნ. ბერძენიშვილის რედაქციით, თბ., 1958, გვ. 23; საქართველოს არქეოლოგია, გვ. 188—189; ი. კიკვიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 32; გ. ცქიტიშვილი, დასახ. ნაშრ.

¹⁶ ი. კიკვიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 42.

¹⁷ თ. ჯაფარიძე, მიწათმოქმედების იარაღები დასავლურ-ქართულ კულტურაში, ისუ შრომები, ტ. 49, თბ., 1953, გვ. 208.

მაო რაოდენობით მიღებას. საჭირო ხდება პროდუქტების გაცვლა¹⁸. ფიქრობენ, რომ მატულობს წვრილფეხა საქონლის რიცხვი და იგი წამყვან ადგილს იკავებს მესაქონლეობაში, თუმცა მსხვილფეხა საქონელსაც ჰქონდა დათმობილი სათანადო ადგილი. ვითარდება სამომთაბარო მესაქონლეობა, სამომთაბარო მესაქონლეობას ქვემო ქართლში ხელს უწყობდა საზაფხულო (ჯავახეთის მთები, წალკის ზეგანი, ბედენი) და საზამთრო (ბოლნისის და მარნეულის რაიონები, მეზობელი კახეთის და რუსთავის ველის საძოვრები) საძოვრების სიუხვე.

მესაქონლეობაზე მსჯელობისას არსებითი მნიშვნელობა აქვს სადღეებლების აღმოჩენის მრავალრიცხოვან ფაქტებს, რაც გარკვევით მიუთითებს მეწველი საქონლის მოშენებას. გვიანბრინჯაოს ხანის ადრეული ეტაპის ქვემო ქართლის ძეგლებზე ნაპოვნი ოსტეოლოგიური მასალაც მესაქონლეობის განვითარებას გვანიშნებს. მსხვილფეხა რქოსანი საქონლის ძვლები იყო ხადიკის I გორასამარხში¹⁹, ხადიკის II გორასამარხში მსხვილფეხა საქონლის ძვლებთან ერთად ცხვრის ძვლებიც აღმოჩნდა²⁰. მადნისჭალაში, გარდა აღნიშნულ ცხოველთა ძვლებისა, გვხვდებოდა შინაური ღორის და თხის ძვლებიც. მაგრამ ძელოვანი მასალა მაინც არ არის იმ რაოდენობით, რომ პროცენტული შეფარდების მიხედვით რაიმე კანონზომიერება დაგვეჩვენა და გვესაუბრა ამა თუ იმ სახის საქონლის სიჭარბეზე.

ამ პერიოდში მნიშვნელოვნად ვითარდება მეზღვეობა და მევენახეობა-მეღვინეობა²¹. მევენახეობა-მეღვინეობის არსებობას ერთგვარად მიუთითებს თხის ზოვიერთი დოქი და სასმისი (ტოლჩა, თასი, ფიალა, დოქი), რომლებიც შესაძლოა საღვინე ქურჭელი ყოფილიყო (ტაბ. XXI—XV).

ქვემო ქართლში, ისევე როგორც საერთოდ გვიანბრინჯაოს ხანის აღმოსავლეთი საქართველოს ტერიტორიაზე და მთელ ამიერკავკასიაში, ხელოსნობა გამოყოფილია მეურნეობის სხვა დარგებისაგან. იგი უკვე ადამიანთა გარკვეული ჯგუფის საქმიანობას წარმოადგენს. სხვაგვარად ძნელი წარმოსადგენია ისე მაღალხარისხოვანი პროდუქციის მასიური შექმნა, რომელიც ჩვენ გვხვდება სამეთუნეო წარმოებაში, მელითონეობაში, სამკაულის დამზადებაში და სხვ.

განვითარებული უნდა ყოფილიყო ხითხურობა, ტყავის დამუშავება, ქსოვა. მაგრამ იმის გამო, რომ ხე, ტყავი და ქსოვილი დიდხანს ვერ ძლებენ

18 ი. კიკვიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 38.

19 ი. გძელიშვილი, ყორღანი თრიალეთში, გვ. 51.

20 იქვე, გვ. 53.

21 ივ. ჯავახიშვილი, საქართველოს ეკონომიური ისტორია, წიგნი II, თბ., 1935, გვ. 603; ა. აფაქიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 89; К. Модебадзе, История виноградарства и виноделия Грузии, Виноделие и виноградарство СССР, М., 1948, № 6, გვ. 46; Б. Б. Пиотровский, Археология Закавказья, გვ. 71; П. М. Жуковский, Культурные растения и их сородичи, М., 1950, გვ. 24; Г. А. Меликишвили, О происхождении грузинского народа, გვ. 26; გ. მელიქიშვილი, საქართველოში კლასობრივი..., გვ. 74; Б. Б. Пиотровский, Развитие скотоводства..., გვ. 13; ა. აფაქიძე, საქართველოს უძველესი კულტურა ახალ არქეოლოგიურ აღმოჩენათა შუგულ. თბ., 1956, გვ. 22—28; Р. М. Мунчаев, Итоги Кавказской археологической конференции, КСИИМК, вып. 73, М., 1959, გვ. 8; გ. ცქიტიშვილი, მევენახეობის ისტორიისათვის საქართველოში არქეოლოგიური მასალების მიხედვით, ისტორიის ინსტიტუტის შრომები, ტ. IV, ნაკვ. II, თბ., 1959, გვ. 137—143; ა. ბოხოჩაძე, მევენახეობა-მეღვინეობა ძველ საქართველოში არქეოლოგიური მასალების მიხედვით, თბ., 1963, გვ. 14—189.

მიწაში, მათ შესახებ ნაკლები ცნობები მოგვეპოვება. სრული წარმოდგენა არა გვაქვს არც ქვითხურობაზე. გარდა სამარხების მშენებლობისა, ქვის გამოყენების შესახებ თითქმის არაფერი ვიცით გვიანბრინჯაოს ხანის ქვემო ქართლიდან. სამაგიეროდ შიდა ქართლში (ნაცარგორა, ხოვლე) ამ მასალით აშენებულია არა ერთი საცხოვრებელი, სამეურნეო და საკულტო ნაგებობა.

ქვემო ქართლის გვიანი ბრინჯაოს ხანის ადრეული ეტაპის მეტალურგიის შესახებ თუ ადრე თითქმის არაფრის თქმა არ შეიძლებოდა, ახლა დასკვნისათვის მეტი საფუძველი გვაქვს. მადნისჭალის ბრინჯაოს ნივთების ქიმიური შედგენილობა გვიჩვენებს, რომ შუაბრინჯაოს ხანასთან შედარებით მათი დამზადების ტექნოლოგია გარკვეულ ნაბიჯს დგამს. ამავე დროს, ლითონის დამუშავების ჩვევები, რომლებიც არსებობდა შუაბრინჯაოს ხანაში, შეინიშნება გვიანბრინჯაოს ხანის ადრეულ საფეხურზეც. მომდევნო პერიოდში იგი კიდევ უფრო ვითარდება. გვიანბრინჯაოს ხანის ადრეული ეტაპის მეტალურგია მისი უწინარესი ხანის მეტალურგიის პირდაპირ გაგრძელება-განვითარებას წარმოადგენს და, თავის მხრივ, ასევე უკავშირდება უშუალოდ მომდევნო ხანისას (იხ. თავი III, § 4).

მართალია, გვიანბრინჯაოს ხანის ადრეული ეტაპის სპილენძის გამოსადნობი ქურები და მელითონეობასთან დაკავშირებული ხელსაწყო-იარაღები ჯერჯერობით აღმოჩენილი არ არის, მაგრამ მომდევნო ხანის ძეგლებმა ზოგი რამ მაინც მოგვცა (ყალიბები, ტიგელები და სხვ.)²².

ბრინჯაოს მეტალურგიის განვითარებისათვის ქვემო ქართლში არსებობდა თითქმის ყველა პირობა. აქ არის სპილენძის მდიდარი საბადოები²³, თუმცა დარიშხანისა და კალის ძარღვები იმ რაოდენობით მიკვლეული არ არის, რომ დააკმაყოფილოს დღევანდელი სამრეწველო მოთხოვნილებანი, მაგრამ გეოლოგიური სამმართველოს არქივში დაცულია ცალკეული ცნობები, რომლის მიხედვით ქციის, მაშავერას და დებედას ხეობაში არის ნიშნები აღნიშნული წიაღისეულის მცირე რაოდენობით არსებობის შესახებ. შესაძლებელია ეს რაოდენობა საკმარისი ყოფილიყო ძველი მელითონეებისათვის. გამორიცხული არ არის ამ ლითონის შემოტანა მეზობელ მხარეებიდანაც.

3. კვირინგის აზრით, სამხრეთ ამიერკავკასიაში მეტალურგიას საფუძველი ჩაუყარა არა მარტო საბადოების არსებობამ, არამედ საწვავი მასალის — ხე-ტყის ისეთი ჯიშების არსებობამაც, რომელიც საშუალებას იძლევა ლითონის გამოღნობისათვის საჭირო ტემპერატურის მისაღწევად²⁴. ამ მხრივ ქვემო ქართლი მდიდარია საწვავი მასალითაც.

მოკლედ უნდა შევჩერდეთ შუა და გვიანი ბრინჯაოს ხანის კულტურის ურთიერთდამოკიდებულების საკითხზე.

IV თავში აღნიშნული გვქონდა, რომ ტაბაწყურის და საბიდ-ახჩის ძვ. წ. XV ს-ის II ნახევრის გორასამარხები შეიცავენ თიხის ისეთ ქურქებს, რომელშიაც შერწყმულია შუა და გვიანი ბრინჯაოს ხანისათვის დამახასიათებელი

²² გ. ავალიშვილი, მელითონეობის ძველი კერა ქვემო ქართლში, გვ. 503—508.

²³ В. И. Орбеладзе, Медь, Природные ресурсы Грузинской ССР, т. I, М., 1956, зб. 99; Минеральные ресурсы ССР Грузии, зб. 551—552.

²⁴ H. Quiring, Die Erzgrundlager der Alttesten Eisen Erzeugung, Zeitschrift für praktische geologie, August, 1933, зб. 123—131.

ნიშნები. სამწუხაროდ, მათი სინქრონული ძეგლები ქვემო ქართლის ტერიტორიაზე თითქმის ამით მოიწურება (ბაიბურთი მაინც ცოტა ადრეული ძეგლი უნდა იყოს და მის შესახებ სათანადო მასალების დაგროვებამდე მსჯელობა ნაადრევია). ეს გარემოება აძნელებს საკითხის გადაჭრას. მაგრამ ის, რაც უკვე ვეაქვს, შესაძლებელს ხდის ზოგი რამ მაინც აღინიშნოს.

ქვემო ქართლის გვიანი ბრინჯაოს ხანის ადრეული ეტაპის მასალა აშკარად ეხმაურება შუაბრინჯაოს ხანისას. განსაკუთრებით მკაფიოდ ჩანს ეს ზოგიერთი თიხის კურკლის მოყვანილობის (დერგები) მსგავსებაში, ყელის შემკობის ტრადიციის გაგრძელებაში. მადნისქალის შავპრილა ვარდისფერსარჩულიანი თიხის კურკელს (№ 92; ტაბ. XXIX) სავსებით ისეთივე კეცის სტრუქტურა აქვს, როგორც შუაბრინჯაოს ხანის კურკელს საერთოდ ახასიათებს. მსგავსება შეინიშნება სხვა კურკლებზეც. მაგრამ ჩვენ ამაზე სიტყვას აღარ გავაგრძელებთ. ამის შესახებ დაწვრილებით ადრე გვქონდა საუბარი (იხ. თავი III, § 1). ის გარემოება, რომ შუაბრინჯაოს ხანის კერამიკა მაინც საგრძნობლად განსხვავდება გვიანბრინჯაოს ხანის ადრეული ეტაპის კერამიკისაგან უნდა აიხსნას, ერთის მხრივ იმით, რომ ჯერ კარგად არ ვიცნობთ შუიდან — გვიანბრინჯაოზე გარდამავალი ხანის კერამიკას; მეორე მხრივ, — გვიანბრინჯაოს ხანაში სწრაფადმშრუნავი კერამიკული მორგევი შემოდის. ახალი ტექნიკური ჩვევების დანერგვას უნდა გამოეწვია სწორედ ეს ცვლილებები.

შუა და გვიანი ბრინჯაოს ხანას ერთმანეთთან აახლოებს მადნისქალაში მოპოვებული სატევოები, რომელთა მსგავსი ცნობილია თრიალეთისა და შიდა ქართლის შუაბრინჯაოს ხანის კომპლექსებში (იხ. თავი III, § 2), ბრტყელთავიანი და ღეროგახვრეტელი საკინძები და სხვა. გენეტიკური კავშირი იგრძნობა სამარხთა აღნაგობაშიც (იხ. თავი II). ორივე ამ ხანას აახლოებს ისიც, რომ მოსახლეობის რელიგიურ წარმოდგენაში წამყვანი ადგილი ასტრალურ ღვთაებათა თაყვანისცემას ჰქონდა დათმობილი. ამგვარი რწმენა, ჩვეულებრივ, შესაქონლე და მიწათმოქმედ ტომებს ახასიათებს.

სხვა საკითხია სად გაქრა ის სიმდიდრე, რომელიც გვხვდება შუაბრინჯაოს ხანის უზარმაზარ გორასამარხებში. გორასამარხებში გვიანბრინჯაოს ხანის ადრეულ ეტაპზეც მარხავდნენ ტომის ბელადებს, მაგრამ აქ მხოლოდ შორეული გამოძახილია ძველი სიდიადისა. რით უნდა აიხსნას კულტურის ერთგვარი „დაქვეითება“?

ჩვენი აზრით, ამაზე გავლენა უნდა მოეხდინა იმ დიდ ძვრებს, რომელიც სწორედ ძვ. წ. XIV—XIII სს-ში ხდებოდა მახლობელ აღმოსავლეთში.

როგორც ცნობილია, აქ არსებობდა ორი დიდი სახელმწიფო გაერთიანება მითანისა და ხეთების სახით. მითანის სახელმწიფო მდებარეობდა შუამდინარეთის ჩრდილო ნაწილში. თავისი ძლიერების პერიოდში მან ბევრი მეზობელი ქვეყანა დაიპყრო. ჩრდილოეთით მის ხელთ მოექცა ვანის ტბის რაიონი. იგი გავლენას ახდენდა კიდევ უფრო ჩრდილო რაიონებზე — არარატის მთისა და შავი ზღვის მიმართულლებით. მაგრამ ძვ. წ. XVI ს-დან მითანის ძლი-

ერებამ იწყო დასუსტება და ძვ. წ. XIII ს-ში ბოლო მოეღო მის დამოუკიდებლობასაც კი²⁵.

ხეთების სამეფო მდებარეობდა მცირე აზიაში. მისმა ძლიერებამ მწვერვალს მიაღწია ძვ. წ. XV—XIV სს-ში, როდესაც იგი მთელ მცირე აზიას, შუამდინარეთსა და სირიის ჩრდილო ნაწილს ფლობდა²⁶.

ორივე ამ სახელმწიფომ მეტად მაღალი კულტურა შექმნა. მეზობელ ხალხებთან სამხედრო-ეკონომიური ურთიერთობა, რომელიც დროდადრო მშვიდობიან ან მტრულ დამოკიდებულებას იღებდა, იწვევდა კულტურის მონაპოვართა ურთიერთგაზიარებას.

ძვ. წ. XIV—XIII სს-ში მითანისა და ხეთების სახელმწიფოების განადგურებასთან დაკავშირებით²⁷, დასავლეთიდან შემოსულმა „ზღვის ხალხებმა“ ცეცხლითა და მახვილით გადაიარეს მცირე აზია, სირია, პალესტინა და სხვ.²⁸. ამას არ შეეძლო გარკვეული დალი არ დაესვა ამიერკავკასიაზე, კერძოდ ქვემო ქართლზეც. აქაური მოსახლეობა ამა თუ იმ სახით ჩაბმული უნდა ყოფილიყო ბრძოლებში. დამქანცველ და გამანადგურებელ ომებს ეკონომიურადაც უნდა დაესუსტებინა აქ მოსახლე ტომები. არ არის გამორიცხული, რომ ასეთ მღვრიე პერიოდში ქვემო ქართლის მოსახლეობას შერწყმოდა კიდევ სხვა მონათესავე ტომები. ბრძოლებგადატანილი ქვემო ქართლის მოსახლეობა თითქოს სწორედ გვიანბრინჯაოს ხანის ადრეულ საფეხურზე უნდა შედგომოდა კრილობების მოშუქებას და ახალ მშვიდობიან ცხოვრებაზე გადასვლას. ეს თითქოს ასე ჩანს არქეოლოგიური მასალებით. დროის მიხედვითაც კარგად უდგება.

ასე მაგალითად, თუ მადნისქალის სამაროვანი, ხადიკისა და თეთრი წყაროს (მართალია გაძარცვულია) გორასამარხები, ბეშთაშენის № 14, 15 (ზოგიერთი სხვაც), წოფის ადრეული სამარხები საერთოდ არ გამოირჩევა სიმდიდრით, ქრონოლოგიურად მომდევნო ხანა (ბეშთაშენის № 1, 4, 11, 13, 18, 19, 20, 34, 37 და სხვა სამარხები, წინწყარო, გუნია-ყალა, მარალინ-დერესი, თაქ-ქილისა, დმანისი, განთიადი) გვიანბრინჯაოს ხანის ადრეული ეტაპის მასალებთან შედარებით უფრო მდიდრულად არის წარმოდგენილი. ეს ჩანს არა მარტო ძვირფასი ლითონის ნივთების მიხედვით, რომელიც აქ მცირე რაოდენობით გვხვდება, არამედ საერთო კულტურული დონის მიხედვით. გვიანბრინჯაოს ხანის ადრეულ ეტაპთან შედარებით მის მომდევნო ხანაში იხვეწება კერამიკული ფორმები, მრავლდება და ნაირგვარი ხდება ზედატანილი ორნამენტული მოტივები. უფრო სრულყოფილ სახეს იღებს სხვადასხვა ტიპის საბრძოლო და სამეურნეო იარაღი, მდიდრდება და ლამაზდება სასამკაუ-

